

თინათინ წერეთელი

საზოგადოებრივი საშიშროება  
და  
მართლმშენებლობა  
სისხლის სამართალში



„კავკასიური სახლი“

თბილისი

2006

უაკ (UDC) 343  
წ 493

პროექტის ავტორი ნაირა გელაშვილი  
Project author NAIRA GELASHVILI

რედაქტორი ოთარ გამყრელიძე  
Editor OTAR GAMKRELIDZE

ყდის დიზაინი კოტე სულაბერიძისა  
Cover design KOTE SULABERIDZE

პროექტის კოორდინატორი დიანა მიქაძე  
Project coordinator DIANA MIKADZE

© „კავკასიური სახლი“, 2006  
© Caucasian House, 2006

ISBN 99928-71-99-7



თინათინ ზარეთაძე

1903-1980





## რედაქტორისაბან

გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-იურისტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევერ-კორესპონდენტის, პროფესორ თინათინ წერეთლის წინამდებარე ნაშრომი პირველად ქვეყნდება. ეს ნაშრომი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის 1967-1969 წწ. სამეცნიერო კვლევითი გეგმითაა შესრულებული (აქედან ნაშრომის მესამე ნაწილი რუსულ ენაზე იყო დაწერილი, რომელიც ჩვენ ქართულად ვთარგმნეთ).

როგორც სათაურიდან ჩანს, ნაშრომში განხილულია სისხლის სამართლის თეორიის ერთ-ერთი ურთულესი საკითხი — მართლწინააღმდეგობა და საზოგადოებრივი საშიშროება. მართლწინააღმდეგობა ფორმალური ცნებაა, რომლის მატერიალურ გამოხატულებას საზოგადოებრივი საშიშროება წარმოადგენს. ამიტომ არის, რომ საზოგადოებრივ საშიშროებას ზოგჯერ მატერიალურ მართლწინააღმდეგობასაც უწოდებენ. საქართველოს 1999 წ. სისხლის სამართლის კოდექსი, 1960 წ. კოდექსისაგან განსხვავებით, ტერმინს „საზოგადოებრივი საშიშროება“ აღარ ხმარობს. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ დასახელებული ცნება თანამედროვე ქართული სისხლის სამართლისათვის უცხოა. საზოგადოებრივი საშიშროების ნაცვლად, ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინი სისხლისსამართლებრივი უმართლობა.

მართლწინააღმდეგობის პრობლემა ქართულ და რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში, შეიძლება ითქვას, თითქმის დაუმუშავებელია. ყოველ შემთხვევაში, ამ პრობლემის ირგვლივ ჩვენში ძალიან ცოტაა დაწერილი. სამაგიეროდ, ის საკმაოდ დამუშავებულია გერმანულ მეცნიერებაში. წინამდებარე ნაშრომის ავტორი კრიტიკულად იხილავს გერმანულ მეცნიერთა შეხედულებებს მართლწინააღმდეგობის საკითხთან

დაკავშირებით (კ. ბინდინგი, ე. ბელინგი, მ. მაიერი და სხვ.).

ნაშრომში დაწვრილებითაა მიმოხილული აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების (ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ბულგარეთი და სხვ.) რუსი რევოლუციამდელი და საბჭოთა იურისტების მოსაზრებანიც. ამ ურთულეს საკითხზე ავტორს საკუთარი შეხედულებაც აქვს გამოთქმული. თინათინ ნერეთლის ამ ნაშრომის გამოქვეყნება შემდგომ ბიძგს მისცემს მართლწინააღმდეგობის პრობლემის ღრმად დამუშავებას და უთუოდ წინ წასწევს ქართულ იურიდიულ აზროვნებას.

ნაშრომის გამოცემისათვის მადლობას ვუხდით „კავკასიური სახლის“ დირექტორს ნაირა გელაშვილს და პროექტის კოორდინატორს დიანა მიქაძეს.

ოთარ გამყრელიძე

## VORWORT

Das vorliegende Werk der hervorragenden georgischen Rechtswissenschaftlerin, des Mitgliedes der Akademie der Wissenschaften Prof. Tinatin Zereteli wird das erste Mal veröffentlicht. Dieses Werk wurde gemäss dem wissenschaftlichen Forschungsplan des Instituts für Wirtschafts- und Rechtswissenschaften der Akademie der Wissenschaften der Georgischen Sowjetischen Sozialistischen Republik von 1967-1969 geschaffen (ausgehend davon war der dritte Teil des Werkes in der russischen Sprache verfasst, der von uns ins Georgische übertragen wurde.).

Wie man aus Titel des Werkes ersehen kann, wird es hier eine der wichtigsten Fragen des Strafrechtes - Rechtswidrigkeit und öffentliche Gefahr - behandelt. Rechtswidrigkeit ist ein formaler Begriff, der seinen materiellen Ausdruck in öffentlicher Gefahr findet. Gerade aus diesem Grund wird die öffentliche Gefahr oft als materielle Rechtswidrigkeit bezeichnet. Im Strafgesetzbuch von Georgien vom 1999 wird im Unterschied zum Strafgesetzbuch 1960 die Bezeichnung „öffentliche Gefahr“ nicht verwendet. Jedoch bedeutet dies nicht, dass der genannte Termin georgischem Strafrecht fremd ist. Heutzutage wird in unseren rechtswissenschaftlichen Schriften der Termin strafrechtliches Unrecht angewandt.

Es kann gesagt werden, dass das Problem der Rechtswidrigkeit in den georgischen und russischen rechtswissenschaftlichen Arbeiten kaum bearbeitet ist. Jedenfalls ist dieses Problem bei uns wenig behandelt. Dafür ist es von der deutschen Wissenschaft ziemlich gut erforscht. Die Verfasserin des vorliegenden Werkes behandelt kritisch die Ansichten von deutschen Wissenschaftlern über das Problem der Rechtswidrigkeit (K. Binding, E. Belling, M. Meier usw.).

Darüber hinaus werden im Werk die Ansichten der osteuropäischen Rechtswissenschaftler (Tschechoslowakei, Ungarn, Bulgarien

usw.) und der vorrevolutionären und sowjetischen Wissenschaftler eingehend besprochen. Über diese schwierige Frage hat die Autorin auch ihre eigenen Meinungen geäußert. Die Veröffentlichung des vorliegenden Werkes von Tinatin Zereteli wird ihren weiteren Beitrag zur eingehenden Bearbeitung des Problems der Rechtswidrigkeit leisten und das georgische juristische Denken fördern.

Für die Veröffentlichung des Werkes bedanken wir uns bei der Direktorin des „Kaukasischen Hauses“ Frau Naira Gelaschwili und der Projektkoordinatorin Frau Diana Mikadse.

Otar Gamkrelidse

## პირველი ნაწილი

### პირველი თავი

#### საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა როგორც დანაშაულის ცნების აუცილებელი ნიშანი

##### §1. საზოგადოებრივი საშიშროება და დანაშაულის ცნების განსაზღვრება

საბჭოთა სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობა დანაშაულის ცნების განსაზღვრებისას ცდილობს მიუთითოს ისეთ ნიშანზე, რომელიც მის სოციალურ-პოლიტიკურ არსს გვიჩვენებს. წინააღმდეგ დანაშაულის ცნების ფორმალური განსაზღვრებისა, რომელსაც ბურჟუაზიული კანონმდებლობანი იძლევიან, საბჭოთა სისხლის სამართალი დანაშაულის ცნების მატერიალურ განსაზღვრებას იძლევა. ამას საბჭოთა კანონმდებლობა იმით აღწევს, რომ დანაშაულად თვლის მხოლოდ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას.

დანაშაულის ცნების მატერიალური განსაზღვრება საბჭოთა სისხლის სამართალში თანდათანობით ჩამოყალიბდა და დაიხვეწა. მითითება, რომ დანაშაულად მარტოოდენ საზოგადოებრივად საშიში ქმედობა უნდა ჩაითვალოს, საბჭოთა ხელისუფლების უკვე პირველივე წლების საკანონმდებლო აქტებში გვხვდება. ასეთი მითითება შეტანილ იქნა დანაშაულის ცნების ზოგად განსაზღვრებაში, რომელიც მოცემული იყო რსფსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ 1919 წლის 12 დეკემბერს დამტკიცებულ პირველ საბჭოთა სისხლის-სამართლებრივ საკოდიფიკაციო აქტში — «რსფსრ-ის სისხლის სამართლის კანონმდებლობის „სახელმძღვანელო საწყისებში“».

„სახელმძღვანელო საწყისების“ მე-5 მუხლის თანახმად, „დანაშაული არის სისხლის სამართლით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა წესრიგის დარღვევა“, ხოლო იმავე „სახელმძღვანელო საწყისების“ მე-6 მუხლში დანაშაული განსაზღვრულია როგორც „საზოგადოებრივ ურთიერთობათა არსებული სისტემისათვის საშიში მოქმედება ან უმოქმედობა“. თუმცა „სახელმძღვანელო საწყისების“ აღნიშნული მუხლებით პირდაპირ არ მიუთითებდნენ, თუ, სახელდობრ, საზოგადოებრივ ურთიერთობათა როგორ სისტემას ხელყოფს დანაშაული, მაგრამ ეს ხარვეზი შევსებული იყო მე-3 მუხლით, სადაც ნათქვამი იყო, რომ „საბჭოთა სისხლის სამართლის ამოცანას წარმოადგენს რეპრესიის მეშვეობით დაიცვას საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა, რომელიც შეესაბამება გაბატონებულ კლასად ორგანიზებული მშრომელთა კლასების ინტერესებს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პროლეტარული დიქტატურის პერიოდში“.

ამგვარად, საბჭოთა სისხლის სამართლის პირველ კოდიფიცირებულ საკანონმდებლო აქტში სავსებით გარკვევით არის მითითებული დანაშაულის ცნების სპეციფიკურ მატერიალურ ნიშანზე — მის საშიშროებაზე ახლად წარმოშობილ, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ სახელმწიფო საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემისათვის. ამ დროიდან მოყოლებული, საზოგადოებრივი საშიშროება, როგორც დანაშაულის შემადგენელი არსებითი ელემენტი, შეტანილია დანაშაულის ცნების განსაზღვრებაში ყველა მომდევნო სისხლის სამართლის კოდექსის მიერ.

დანაშაულის კლასობრივი შინაარსის ზუსტი საკანონმდებლო ფიქსირება მოცემული იყო რსფსრ-ის 1922 წ. სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ 1923 წ. სისხლის სამართლის კოდექსი). ამ კოდექსის მე-6 მუხლში ნათქვამია: „დანაშაულად ჩაითვლება ყოველი საზოგადოებრივად საშიში მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ემუქრება საბჭოთა წყობილების საფუძვლებს და მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მიერ კომუნისტურ წყობილებაზე გარდამავალი პერიოდისათვის დამყარებულ მართლწესრიგს“.

1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული განსაზღვრება დანაშაულის ცნებისა მაინც სრულყოფილი არ იყო. ჯერ ერთი, არ იყო სწორი მითითება, თითქოს დანაშაულად ჩაითვლება ყოველი მოქმედება, რომელიც ემუქრება საბჭოთა წყობილების საფუძვლებს და საბჭოთა მართლწესრიგს. საბჭოთა წყობილების საფუძვლებს შეიძლება ემუქრებოდეს ისეთი მოქმედებაც, რომელიც ჩადენილია შეურაცხი პირის მიერ, ხოლო ასეთი მოქმედება დანაშაულად არ ჩაითვლება. მით უმეტეს, არა ყოველი მოქმედება, რომელიც არღვევს საბჭოთა მართლწესრიგს, შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად. საბჭოთა მართლწესრიგს არღვევს აგრეთვე სამოქალაქო დელიქტი, ადმინისტრაციული ან დისციპლინური დარღვევა, მაგრამ მათ დანაშაულთან ვერ გავაიგივებთ.

საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1924 წლის ძირითადი საწყისები დანაშაულის ცნების განსაზღვრებას სპეციალურად არ იძლეოდნენ, მაგრამ დანაშაულის კლასობრივი ბუნება ხაზგასმული იყო 1-ლ მუხლში, რომელიც სისხლის სამართლის კანონმდებლობის ამოცანებს სახავდა. ამ ამოცანას, „ძირითადი საწყისების მიხედვით, წარმოადგენს „მშრომელთა სახელმწიფოს სასამართლო — სამართლებრივი დაცვა საზოგადოებრივად საშიში ქმედობებისგან, რომელნიც ძირს უთხრიან მშრომელთა ხელისუფლებას ან არღვევენ მის მიერ დამყარებულ მართლწესრიგს“.

დანაშაულის ცნების განსაზღვრება, მოცემული რსფსრ-ის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებით გადავიდა რსფსრ-ის 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლში და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებში. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლში დანაშაული განსაზღვრული იყო შემდეგნაირად: „საზოგადოებრივად საშიშ ქმედობად (დანაშაულად) ჩაითვლება ყოველი მოქმედება ან უმოქმედობა, რაც საფრთხეს წარმოადგენს საბჭოთა წეს-წყობილებისათვის ან არღვევს მუშა-

თა და გლეხთა ხელისუფლების მიერ კომუნისტურ წეს-წყობილებაზე გარდამავალი ხანისათვის დამყარებულ მართლწესრიგს“.

ამ განსაზღვრებას იგივე ნაკლი ახასიათებდა, რაც 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიერ მოცემულ განსაზღვრებას: დანაშაული გაიგივებული იყო საზოგადოებრივად საშიშ ქმედობასთან, მაშინ როდესაც საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტიცა, მაგრამ მათ შორის იგივეობის ნიშანი არ შეიძლება დაისვას.

ამ მხრივ დანაშაულის ცნების უფრო სრულყოფილი განსაზღვრება მოცემულია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის საფუძვლებში. საფუძვლების მე-7 მუხლის თანახმად, „დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს საბჭოთა საზოგადოებრივ ან სახელმწიფო წყობილებას, მეურნეობის სოციალისტურ სისტემას, სოციალისტურ საკუთრებას, პიროვნებას, მოქალაქეთა პოლიტიკურ შრომითს, ქონებრივ და სხვა უფლებებს, აგრეთვე სოციალისტურ მართლწესრიგის ხელმყოფი სხვა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით“. აღნიშნული განსაზღვრება უცვლელად შევიდა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსებში (საქართველოს სსრ სსკ, მუხ. 8).

მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა ამგვარად ინარჩუნებს დანაშაულის მატერიალურ განსაზღვრებას, შეაქვს რა მასში საზოგადოებრივი საშიშროების ელემენტი. თანაც, საზოგადოებრივი საშიშროების ცნება აქ გათანაბრებული არ არის დანაშაულის ცნებასთან, არამედ წარმოადგენს მის ერთ-ერთ აუცილებელ ნიშანს. ამავე დროს საფუძვლების მე-7 მუხლში კონკრეტიზირებულია, თუ როგორი მოქმედება უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშად. ეს კონკრეტიზაცია ხდება იმ ძირითადი ობიექტების ჩამოთვლით,



რომელთა ხელყოფაც დანაშაულად ითვლება. მე-7 მუხლში მოცემული ჩამოთვლა ატარებს არა ამომწურავ, არამედ სანიმუშო ხასიათს. ამის გამო მე-7 მუხლში განსაზღვრული ობიექტების ხელმყოფ ქმედობასთან ერთად მითითებულია „სხვა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით“.

მაგრამ რას ნიშნავს სიტყვა „ხელყოფა“? საფუძვლები მე-7 მუხლი ხელყოფის შინაარსს არ განსაზღვრავს. საბჭოთა სისხლის სამართლის ძველი კოდექსები „ხელყოფის“ მაგივრად ხმარობდნენ სხვა ტერმინებს, სახელდობრ, „საფრთხეს ნარმოადგენს“, ან „არღვევს“. აქედან ნათლად ჩანს, რომ ტერმინი „ხელყოფა“ არ ნიშნავს სამართლით დაცული ამა თუ იმ ობიექტის მხოლოდ რეალურად დაზიანებას, არამედ გულისხმობს ისეთ მოქმედებასაც, რომელიც ქმნის ასეთი დაზიანების საფრთხის შექმნას. საფრთხის ცნება — რეალური შესაძლებლობის კატეგორიასთან არის დაკავშირებული. იგი გულისხმობს ისეთი ობიექტური პირობების არსებობას, რომელთაც კანონზომიერად შეუძლიათ გამოიწვიონ ობიექტის ნამდვილი დაზიანება. და მართლაც, დანაშაულად ითვლება არა მარტო ისეთი ქმედობა, რომელმაც ვნება მიაყენა ობიექტს (მაგალითად, მკვლელობა, სხეულის დაზიანება და ა. შ.), არამედ ისეთი ქმედობებიც, რომლებიც ობიექტისათვის ვნების მიყენების საშიშროებას შეიცავენ (მაგალითად, მონმის ცრუ ჩვენება, ალიმენტის ბოროტად არგადახდა და ა. შ.). სწორედ ამიტომ დანაშაულად ითვლება არა მარტო დამთავრებული დანაშაულებრივი ქმედობა, როდესაც საშიშროება უკვე რეალიზებულია, არამედ აგრეთვე დაუმთავრებელი დანაშაულიც, რომელიც შედეგის განხორციელების მხოლოდ შესაძლებლობას შეიცავს.

ის მომენტი, რომ საზოგადოებრივი საშიშროება გულისხმობს როგორც ობიექტის ნამდვილად დაზიანებას, ისე მისი დაზიანების ობიექტურ საფრთხეს, კარგად არის ნაჩვენები სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში. მაგალითად, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის

1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 პარაგრაფის მე-2 პუნქტში ნათქვამია: „საზოგადოებრივად საშიშია ყოველი მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც არღვევს ან ემუქრება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ ან ეკონომიკურ წყობილებას, პიროვნებას და მოქალაქეთა უფლებებს“. საზოგადოებრივი საშიშროების ცნების ანალოგიური განსაზღვრება მოცემულია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ახალ (1967 წლის) პროექტში: „ქმედობა საზოგადოებრივად საშიშია, როდესაც იგი ზიანს აყენებს ან ემუქრება სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივ ან სახელმწიფოებრივ წყობილებას, პიროვნებას, მოქალაქის პოლიტიკურ, შრომითს, ქონებრივ და სხვა უფლებებს, მეურნეობის სოციალისტურ სისტემას, სოციალისტურ საკუთრებას და სხვა ინტერესებს, რომელთაც იცავს სოციალისტური მართლწესრიგი“.

ამგვარად, საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის ცნების ობიექტური თვისებაა. იგი რეალურ სინამდვილეში არსებობს და გამოხატავს „ურთიერთობას პირის მოქმედების ან უმოქმედობის ობიექტურ გამოვლინებასა და ობიექტურად არსებულ საზოგადოებრივ ან სახელმწიფოებრივ წყობილებას შორის“!

საზოგადოებრივი საშიშროება ახასიათებს თვით ქმედობას, როგორც ადამიანის ნების გარეგან გამოვლინებას და არა ამ ქმედობის სუბიექტს, არა მისი პიროვნების თვისებებს. დანაშაულის ცნებაში საზოგადოებრივი საშიშროების ცნების შეტანით სოციალისტური სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სოციალისტური სახელმწიფო ებრძვის სისხლისსამართლებრივი სასჯელის, ე. ი. სახელმწიფო იძულების ამ ყველაზე მკაცრი ღონისძიების მეშვეობით არა ლიტონ ბრალს, ანტისოციალურ ფსიქიკურ განწყობას, არამედ მხოლოდ ქმედობას, რომელიც ეწინააღმდეგება კომუნისმისაკენ მიმავალი საზოგადოების განვითარე-

<sup>1</sup> Костадин Лютов, Содержание понятия "Общественной опасности", "Вопросы уголовного права стран народной демократии", М., 1963, гл. 217.

ბის ობიექტურ კანონზომიერებას, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, რომლებიც ამ კანონზომიერებას შეესაბამებიან, საბჭოთა მოქალაქის უფლებებსა და ინტერესებს.

ამგვარად, საზოგადოებრივი საშიშროება აბსტრაქტული კატეგორია როდია. იგი კონკრეტულ-ისტორიული კატეგორიაა და დამოკიდებულია საზოგადოებაში გაბატონებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაზე, საბჭოთა სახელმწიფოს მიერ კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში დასახულ ამოცანებზე. გასაგებია ამიტომ, რომ ქმედობანი, რომელებიც გარკვეულ ისტორიულ პერიოდში საზოგადოებრივად საშიშად ითვლებოდნენ, შეცვლილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში კარგავენ ასეთ ხასიათს, და პირიქით; ის, რაც დღეს საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს, წინა ისტორიულ პერიოდში შეიძლება ასეთ ხასიათს არ ატარებდა.

## **§2. საზოგადოებრივი საშიშროება როგორც დანაშაულის ცნების აუცილებელი ნიშანი**

საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში სრული თანხმობაა იმ დებულების გამო, რომ საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის ცნების აუცილებელი ელემენტია. მაგრამ ამ ცნების შინაარსისა და მოცულობის თაობაზე ჯერ კიდევ არ არსებობს სრული ერთსულოვნება. სადავოა აგრეთვე ის საკითხი, მხოლოდ დანაშაულის აუცილებელი ნიშანია საზოგადოებრივი საშიშროება, თუ იგი ყოველ მართლსაწინააღმდეგო ქმედობას ახასიათებს (მაშასადამე, ადმინისტრაციულ, დისციპლინურ და სხვა სახის სამართალდარღვევასაც).

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი განსაზღვრავს საზოგადოებრივი საშიშროების ცნებას როგორც საშიშროებას საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი სისტემისათვის. ამ შეხედულებას იზიარებს, მაგალითად, პროფ. ნ. დურმანოვი, რომელსაც აქედან გამოაქვს დასკვნა, რომ ვინაიდან საზოგა-

დოებრივ ურთიერთობათა მთელ სისტემას მხოლოდ სისხლის-სამართლებრივი დარღვევა ეწინააღმდეგება, ამიტომ საზოგადოებრივი საშიშროება წარმოადგენს დანაშაულის ცნების სახეობით და არა გვარეობით ნიშანს და რომ დანაშაული სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება სხვა სახის სამართლებრივი დარღვევისაგან. პროფ. ნ. დურმანოვი საკითხს ასე აყენებდა: „განსხვავდება თუ არა დანაშაული სხვა სამართალდარღვევათაგან ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებით, რომელიც მხოლოდ მისთვისაა თანაარსი, თუ მხოლოდ ყველა სამართალდარღვევისათვის თანაარსი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხით?“<sup>2</sup> — ამ კითხვაზე პროფ. ნ. დურმანოვი უპასუხებდა, რომ „ყველა სამართალდარღვევა როდი შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშად“<sup>3</sup> რომ ეს ნიშანი არ ახასიათებს არც სამოქალაქო დელიქტს, არც ადმინისტრაციულ ან დისციპლინურ დარღვევას. „უმნიშვნელო დარღვევები, რომლებიც ადმინისტრაციული ან დისციპლინური წესით იდევნებიან, არ შეეხებიან საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელ სისტემას და ამიტომ ისინი არ შეიძლება ჩავთვალოთ საზოგადოებრივად საშიშად“.<sup>4</sup> პროფ. ნ. დურმანოვი არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაციული გადაცდომანიც ხელს უშლიან რალაც საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის განხორციელებას. და ამიტომ ობიექტურად მავნე მოქმედებანი არიან, მაგრამ მთელი საზოგადოებისათვის საშიშროება, რაც დამახასიათებელია დანაშაულისათვის, მათ არ ახასიათებთ.<sup>5</sup> აქედან წარმოიშვა ფორმულა: დანაშაული არის საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, ხოლო ადმინისტრაციული ან სხვა სახის სამართალდარღვევა — მავნე მოქმედება.

ამავე დროს, პროფ. ნ. დურმანოვი არ უარყოფს იმას, რომ მოქმედება შეიძლება არ იყოს აღიარებული კანონის მიერ დანა-

---

<sup>2</sup> Н. Д. Дурманов, Понятие преступления, М., 1948, გვ. 285.

<sup>3</sup> ნ. დ. დურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 290.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 290.

<sup>5</sup> იქვე.

შაულად და ამავე დროს საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენდეს. მოჰყავს რა მაგალითები, როდესაც ესა თუ ის ქმედობა აშკარა საშიშროებას წარმოადგენს საზოგადოებრივი ნყობილებისათვის, მაგრამ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ აღიარებული არ არის დანაშაულად, პროფ. ნ. დურმანოვი დაასკვნის: „ამგვარად: 1. საშიში ქმედობა ამავე დროს ყოველთვის როდია დანაშაული და 2. საშიშროების წარმოშობის და მისი მოსპობის მომენტი ყოველთვის როდი ემთხვევა ქმედობის აღიარებას დანაშაულად ან, პირიქით, ქმედობის ამორიცხვას დანაშაულთა სიიდან“.<sup>6</sup>

ამ შეხედულებას თითო-ოროლა მომხრე ჰყავს, მაგრამ არა კრიმინალისტების, არამედ სამართლის სხვა დარგის წარმომადგენელთა შორის. მაგალითად, ბულგარელი ადმინისტრაციისტიები, პ. სტაინოვი და ანგელოვი ამტკიცებენ, რომ „სოციალისტური სახელმწიფოს ადმინისტრაციული სამართალი აცხადებს ადმინისტრაციულ დარღვევად ისეთ ქმედობებს, რომლებიც, თუმცა ამ მომენტისათვის საზოგადოებრივად საშიში არ არიან, მაგრამ მაინც სახელმწიფოს თვალსაზრისით საზიანონი არიან საზოგადოებრივი წესრიგისა და სიმშვიდისათვის და ამიტომ მუშათა კლასის ინტერესებს, სოციალიზმის მშენებლობას ეწინააღმდეგებიან“.<sup>7</sup> და შემდეგ: „არსებობს იურიდიული განსხვავება ადმინისტრაციულ დარღვევასა და დანაშაულს შორის. იგი, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას, რომელსაც კანონი აკვალიფიცირებს და სჯის როგორც დანაშაულს, ხოლო პირველი, თუმცა ისიც მართლსაწინააღმდეგოა, არ ითვლება კანონის თანახმად საზოგადოებრივად საშიშად, არამედ განიხილება როგორც მხოლოდ მავნე სოციალისტური მართლწესრიგისათვის“.<sup>8</sup>

ნ. დურმანოვის ზემოთ მოტანილ დებულებებს იზიარებს

<sup>6</sup> ნ. დ. დურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 169.

<sup>7</sup> П. Стайнов, А. Ангелов, Административное право Народной Республики Болгарии (общая часть), М., 1960, гв. 374.

<sup>8</sup> იქვე.

აგრეთვე ი. სამოშჩენკოც, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ საზოგადოებრივი საშიშროების ცნება, რომელსაც აყენებს სისხლის სამართლის კოდექსი, არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს საზოგადოებრივად საზიანოს ცნებასთან, რაც შეიძლება ახასიათებდეს ადმინისტრაციულ თუ სხვა სახის სამართალდარღვევასაც. დანაშაული არ არის უბრალოდ მავნე მოქმედება. მარქსიზმის კლასიკოსებს დანაშაული ესმით როგორც საზოგადოების არსებობის პირობების დარღვევა, როგორც არ უნდა იყოს ეს პირობები".<sup>9</sup> „...საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა აკვალიფიცრებს, როგორც დანაშაულს, მართლწესრიგის მხოლოდ ისეთ დარღვევებს, რომლებიც ხელყოფენ საბჭოთა საზოგადოების არსებობის პირობებს, ე. ი. სხვა სიტყვებით, ხელყოფენ საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლებს ან არსებით ზიანს აყენებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც თუმცა ჩვენი წყობილების საფუძვლებს არ წარმოადგენენ, მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვთ მისთვის“.<sup>10</sup>

აქედან ი. სამოშჩენკო აკეთებს დასკვნას, რომ საზოგადოებრივი საშიშროება დამახასიათებელია მხოლოდ დანაშაულისათვის და სწორედ ამ ნიშნით დანაშაული თვისობრივად (და არა რაოდენობრივად, ე. ი. საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხით) განსხვავდება სამართალდარღვევის სხვა სახეებისაგან.

ი. სამოშჩენკო არ უარყოფს იმას, რომ სამოქალაქო, ადმინისტრაციული თუ დისციპლინური დარღვევაც ვნების მომტანია საბჭოთა საზოგადოებისათვის, მაგრამ მაშინ, როდესაც სამართლებრივი დარღვევის სხვა სახეები ხელყოფენ ამა თუ იმ ცალკეულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, მართლწესრიგის ამა თუ იმ მხარეს, დანაშაული ხელყოფს მართლწესრიგს მის მთლიანობაში. აქედან ი. სამოშჩენკო უშვებს გამონაკლისს მხოლოდ ერთი სახის სამართალდარღვევისა-

---

<sup>9</sup> И.С. Самошченко, Понятие правонарушения по советскому законодательству, "Юридическая литература", М., 1963, гл. 57.

<sup>10</sup> იქვე.

თვის, სახელდობრ, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის თავის არიდებისა და ანტისაზოგადოებრივი პარაზიტული ცხოვრების წესისათვის. ამ დარღვევას ჩვენი სამართალი, მართალია, ადმინისტრაციული წესით ებრძვის, მაგრამ ი. სამოშჩენკოს აზრით, იგი ხელყოფს მთლიან მართლწესრიგს, ეწინააღმდეგება სოციალისტური საზოგადოების არსებობის პირობებს და ამიტომ, საზოგადოებრივად საშიშად და, თავისი არსით, დანაშაულად უნდა ჩაითვალოს, „ამგვარად, იმის დათქმა, რომ მუქთახორობა, სხვა დარღვევებისაგან განსხვავებით, უნდა ჩაითვალოს მთლად საბჭოთა მართლწესრიგის ხელყოფად, — ეს ისეთი გამონაკლისია საერთო წესიდან, რომელიც მხოლოდ ადასტურებს წესს: დანაშაულის ობიექტი მთელი საბჭოთა მართლწესრიგია, ხოლო დარღვევათა ობიექტი — მართლწესრიგის ცალკეული მხარეები“.<sup>11</sup>

უკანასკნელ ხანს ამ შეხედულებას პროფ. მ. სტროგოვიჩიც შეუერთდა. მისი აზრით, თუ ყველა სამართალდარღვევა საზოგადოებრივად საშიშ ქმედობად ჩავთვალეთ და ვალიარეთ, რომ ეს ქმედობები ერთმანეთისაგან მხოლოდ საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხით განსხვავდებიან, მაშინ საზოგადოებრივი საშიშროების ცნება ყოველგვარ გარკვეულობას დაკარგავს. „მაგრამ საზოგადოებრივი საშიშროება — მეტად სერიოზული ცნებაა, მისი მიმარჯვება ყოველი არამართლზომიერი ქმედობისადმი შეუძლებელია...“.<sup>12</sup> საზოგადოებრივი საშიშროება, სტროგოვიჩის აზრით, მხოლოდ დანაშაულის თვისებაა, და სწორედ ამ თვისებით განსხვავდება იგი სხვა სამართლებრივი დარღვევებისაგან, რომლებიც თუმცა უარყოფით საზოგადოებრივ, სამართლებრივ და მორალურ შეფასებას იმსახურებენ, მაგრამ საზოგადოებრივი საშიშროებით არ ხასიათდებიან.<sup>13</sup>

ასეთია საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში საკმაოდ

<sup>11</sup> ი. სამოშჩენკო, დასახ. ნაშრომი, გვ. 169.

<sup>12</sup> М.С. Строгович, Основные вопросы советской социалистической законности, Изд. "Наука", 1966, გვ. 199.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 200-201.

გავრცელებული შეხედულება საზოგადოებრივი საშიშროების, როგორც მხოლოდ დანაშაულის, დამახასიათებელი ნიშნის შესახებ.

საზოგადოებრივი საშიშროების, როგორც დანაშაულის, სახეობითი და არა გვარეობითი ნიშნის გაგებას ვერ დავეთანხმებით. შეუძლებელი და არასწორია იმის მტკიცება, თითქოს სხვა სახის სამართალდარღვევანი არ შეიძლება საზოგადოებრივად საშიშად ჩაითვალოს. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს შეხედულება აშკარად ეწინააღმდეგება ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობას. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 1-ლ მუხლში ნათქვამია, რომ ამ კოდექსის ამოცანების განსახორციელებლად იგი განსაზღვრავს, თუ „რომელი საზოგადოებრივად საშიში ქმედობებია დანაშაული...“ მაშასადამე, ყველა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა როდია დანაშაული, არამედ კოდექსი საზოგადოებრივად საშიშ ქმედობათა წრიდან ირჩევს მხოლოდ ზოგიერთს და მათ უკავშირებს სისხლისსამართლებრივ სანქციას.

ასეთივე დასკვნა უნდა გამოვიტანოთ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლიდან, სადაც მოცემულია დანაშაულის ცნების განსაზღვრება. ამ განსაზღვრების თანახმად, დანაშაულად ითვლება მხოლოდ ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც კანონით გამოცხადებულია დასჯადად.

დებულება, თითქოს საზოგადოებრივი საშიშროება თანაარსი იყოს მხოლოდ დანაშაულისათვის და სხვა სამართალდარღვევას არ ახასიათებდეს, იმ არასწორი საფუძვლიდან გამომდინარეობს, თითქოს ყოველი დანაშაულებრივი ქმედობა უშუალო საშიშროებას წარმოადგენდეს მთელი სოციალისტური საზოგადოების არსებობის პირობებისათვის, მთელი მართლწესრიგისათვის, ხოლო ადმინისტრაციული, დისციპლინური თუ სხვა სახის დარღვევა არავითარ საფრთხეს არ ქმნიდეს მთელი მართლწესრიგისათვის. ამ ორი დებულებიდან არც ერთი არ არის სწორი.

დანაშაული, რაც უნდა მძიმე იყოს იგი, როგორც წესი, არ



ქმნის უშუალო საფრთხეს სოციალისტური საზოგადოების არსებობისათვის. ასეთი უშუალო საფრთხე შეიძლება შექმნას მხოლოდ ზოგიერთმა მძიმე სახელმწიფო დანაშაულმა, და თანაც გარკვეულ პირობებში. დანაშაული ქმნის უშუალო საფრთხეს იმ კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის, ე. ი. იმ ობიექტისათვის, რომლის წინააღმდეგაც იგი მიმართულია. იმის მტკიცება, თითქოს ყოველი დანაშაული უშუალო საშიშროებას ქმნის მთელი საბჭოთა საზოგადოების არსებობის პირობებისათვის, მაშასადამე, მთელი მისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილებისათვის, ფაქტიურად მოასწავებს ინდივიდუალური დანაშაულებრივი აქტის გაიგივებას დანაშაულობასთან როგორც ასეთთან.

მაგრამ არასწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ რადგან თითოეული დანაშაულებრივი ქმედობა უშუალოდ მიმართულია გარკვეული ობიექტის წინააღმდეგ და, მაშასადამე, ქმნის საფრთხეს გარკვეული კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის, იგი ამავე დროს არ წარმოადგენს არაუშუალო საშიშროებას სოციალისტური საზოგადოების არსებობის პირობებისათვის. უშუალოდ აზიანებს რა კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელიც საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების კომპლექსში შედის როგორც მისი ერთ-ერთი ელემენტი, ვნებს რა საბჭოთა მართლწესრიგის ერთ მხარეს, რომელიც ამ მართლწესრიგის შემადგენელი ელემენტია, დანაშაული ამით საშიშროებას ქმნის მთელი საზოგადოებისათვის, მთელი მართლწესრიგისათვის. განვმარტოთ ეს კონკრეტულ მაგალითზე: ვინმემ მიითვისა სახელმწიფო ქონება მცირე რაოდენობით. თავისდათავად, უშუალოდ ამ დანაშაულმა არ შეიძლება შექმნას საშიშროება მთელი მართლწესრიგისათვის, მთელი სოციალისტური საზოგადოების არსებობის პირობებისათვის. მაგრამ, რამდენადაც სოციალისტური საკუთრების ურთიერთობა ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია ჩვენი სამეურნეო წყობილებისა და ჩვენი მართლწესრიგისა, ყოველი აქტი, უშუალოდ მიმართული სოციალისტური საკუთრების ცალკეული ობიექტის წინააღმდეგ, ამავე

დროს არაპირდაპირ, არაუშუალოდ ხელყოფს მთელი სოციალისტური საზოგადოების ინტერესებს, მართლწესრიგს, როგორც მთლიანობას. საზოგადოებრივი საშიშროება, როგორც დანაშაულის დამახასიათებელი ნიშანი, არ შეიძლება შეფასებულ იქნეს მხოლოდ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედობის ჩარჩოებში, არამედ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებაც, თუ რა საშიშროებას ქმნიან სოციალისტური საზოგადოებისათვის საერთოდ ამგვარი ქმედობანი.

თავისთავად ცხადია, რომ თუ ცალკეული დანაშაული არღვევს უშუალოდ კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობას და მხოლოდ არაპირდაპირ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელ სისტემას, დანაშაულთა ცალკეული სახეები ადვილად შეიძლება განვასხვავოთ მათი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით. ამ ხარისხის ძირითადი განმსაზღვრელი მომენტი იქნება იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის ღირებულება, რომელსაც უშუალოდ ხელყოფს დანაშაული. შემთხვევითი არ არის ამიტომ, რომ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში მოცემული სისტემა ძირითადად სწორედ დანაშაულის ობიექტს ემყარება.

აღსანიშნავია, რომ თვით ი. სამოშჩენკო თანამიმდევრულად ვერ იცავს თავის შეხედულებას საზოგადოებრივ საშიშროებაზე, როგორც ისეთ ნიშანზე, რომელიც აღნიშნავს ქმედობის საშიშ ხასიათს უშუალოდ მთელი სოციალისტური საზოგადოების არსებობის პირობებისათვის, მთელი მართლწესრიგისათვის. მიუთითებს რა, რომ დანაშაულთა საზოგადოებრივი საშიშროება განსაკუთრებით ნათლად ვლინდება ისეთი დანაშაულის ჩადენაშიც, რომელიც საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძვლებს ხელყოფს, ი. სამოშჩენკო დასძენს: „მაგრამ თავის მასაში დანაშაულნი საზოგადოებრივად საშიში არიან არა იმიტომ, რომ მიმართული არიან საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ... უმეტეს შემთხვევაში დანაშაულობანი წარმოადგენენ განსაკუთრებით მავნე ხელყოფას ისეთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მიმართ, რომ-

ლებიც შეიძლება იყვნენ სხვა სამართალდარღვევათა ობიექტებიც“.<sup>14</sup>

არამართებულია იმის უარყოფაც, თითქოს საზოგადოებრივი საშიშროების მომენტი არ ახასიათებდეს სხვა სახის დარღვევას — დისციპლინურს, ადმინისტრაციულს, სამოქალაქოს.

ასეთი შეხედულება, უპირველეს ყოვლისა, ენინააღმდეგება იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი ქმედობა, რომელიც დანაშაულად იყო გამოცხადებული, შემდეგ ამორიცხულ იქნა დანაშაულთა სიიდან და სახელმწიფო მათ უკვე დისციპლინური ან ადმინისტრაციული ღონისძიებების მეშვეობით ებრძვის. ამას ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით მოკავშირე რესპუბლიკების ახალი სისხლის სამართლის კოდექსების შედგენის დროს. ასეთი ქმედობების სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღება მოტივირებული იყო არა იმით, რომ ისინი დღევანდელ პირობებში საერთოდ აღარ წარმოადგენენ საზოგადოებრივ საშიშროებას, არამედ იმით, რომ მცირე საზოგადოებრივი საშიშროების მქონე ქმედობებთან ბრძოლა სახელმწიფო იძულების ისეთი მკაცრი იძულებითი ღონისძიების მეშვეობით, როგორცაა სისხლისსამართლებრივი სასჯელი, მიზანშეუწონელია და საკმარისია დავჯერდეთ ადმინისტრაციული ან დისციპლინური ღონისძიების გამოყენებას.

შეიძლება მოვიტანოთ მეორე საბუთი. ზოგიერთი ქმედობა ერთი საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გამოცხადებულია დანაშაულად, ხოლო მეორე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით — ადმინისტრაციულ დარღვევად. მაგალითად, ტრანსპორტის მოძრაობის უშიშროების წესების დარღვევა, თუ ეს დარღვევა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ქმნიდა ადამიანთა უბედური შემთხვევის დადგომის სერიოზულ საფრთხეს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულადაა გამოცხადებული (მუხ. 241, ნაწ. 1), ხოლო რსფსრ-ის სისხლის სამართლის კანონმდე-

---

<sup>14</sup> ი. სამოჭენკო, დასახ. ნაშრ., გვ. 167-168.

ბლობა მას დანაშაულად არ თვლის (იხ. მუხ. 212) და ადმინისტრაციულ დარღვევად აცხადებს. მაგრამ განა აქედან შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა, რომ საქართველოს ფარგლებში ეს ქმედობანი საზოგადოებრივად საშიშია, ხოლო რსფსრ-ის ფარგლებში — არ არის საზოგადოებრივად საშიში?

ჩვენ უდავოდ მიგვაჩნია ის დებულება, რომ ყოველი სამართლებრივი დარღვევა განსაზღვრული ხარისხის, მეტ თუ ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებას შეიცავს. ყოველი სამართლებრივი დარღვევა მიმართულია განსაზღვრული კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის წინააღმდეგ, არღვევს მართლწესრიგის ამა თუ იმ მხარეს. მაგრამ არაპირდაპირ იგი არღვევს მართლწესრიგს, როგორც მთლიანობას.

„პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, — წერს ი. შიშოვი, — რომ ცალკეული ადმინისტრაციული დარღვევანი, თავისდათავად აღებულნი, როგორცაა, მაგალითად, ქუჩის გადასვლა აკრძალულ ადგილას, გაზონებზე სიარული და სხვ. მეტად უმნიშვნელოა და ამიტომ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს. მაგრამ არ შეიძლება მხედველობიდან გავუშვათ, რომ ცალკეული სამართალდარღვევის საზოგადოებრივ საშიშროებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ ამგვარ მოქმედებათა ერთობლიობის საფუძველზე... ამა თუ იმ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება უნდა შევაფასოთ არა მარტო მისი გამოვლინების ცალკეული ფაქტების მიხედვით, არამედ ამგვარ სამართალდარღვევათა გავრცელებულობის, მათთან ბრძოლის წარმატებულობის და სხვ. მისთ. მიხედვით“.<sup>15</sup>

სავსებით მართებულად წერს აგრეთვე პროფ. ა. სახაროვი დისციპლინურ გადაცდომათა შესახებ, რომ „საბჭოთა სახელმწიფო აპარატის მომუშავეის მიერ მასზე დაკისრებულ მოვალეობათა ყოველი დარღვევა, რომელიც უცილობელ

---

<sup>15</sup> О.Ф. Шишов, О разграничений преступлений и административных проступков в советском праве, гз. 18 (Советское государство и право), 1951, 16, гз. 70-71.

კვალს ტოვებს მთელი აპარატის წარმატებით საქმიანობაზე, საზოგადოებრივად საზიანო და შეუწყნარებელი მოვლენაა“.<sup>16</sup>

დებულება, თითქოს საზოგადოებრივი საშიშროება მხოლოდ დანაშაულს ახასიათებს და ადმინისტრაციული თუ სხვა სახის დარღვევანი სწორედ ამ ნიშნის არარსებობით განსხვავდებიან დანაშაულისაგან, ეწინააღმდეგება საბჭოთა სოციალისტური სამართლის სხვადასხვა დარგების მიზნების ერთიანობას. საბჭოთა სამართლის სხვადასხვა დარგები ერთ მწყობრ სისტემას წარმოადგენენ და სხვადასხვა გზით თუ მეთოდით ერთი და იმავე საბოლოო მიზნის განხორციელებისაკენ არიან მიმართული. ეს მიზანია — საზოგადოების კომუნისტურად გარდაქმნა, ახალი კომუნისტური საზოგადოების აშენება. ამ მიზანს ემსახურება როგორც სამოქალაქო, ისე სახელმწიფო, ადმინისტრაციული თუ სხვა სამართალი. აქედან, ცხადია, რომ სამართლის ყოველი დარგის ნორმათა დარღვევა საბოლოო ანგარიშში, მეტად თუ ნაკლებად, ხელს უშლის სამართლის ამ საბოლოო მიზნის განხორციელებას. ამ მხრივ, გამონაკლისს არ წარმოადგენს არც ადმინისტრაციული, დისციპლინური თუ სამოქალაქო-სამართლებრივი დარღვევანი. და თუ ეს ასეა, მაშინ ცხადია, თუ ყოველი სამართლებრივი დარღვევის ობიექტური არსი სწორედ მის საზოგადოებრივ საშიშროებაშია, თუმცა ამ საშიშროების ხარისხი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, ზოგისა უფრო მძიმე, ზოგისა კი — უმნიშვნელო.

დაბოლოს, აღსანიშნავია ერთი მომენტი. ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება — ეს არის ქმედობის დამახასიათებელი ობიექტური თვისება, რომელიც არსებობს იმისდა მიუხედავად, გამოცხადებულია თუ არა ეს ქმედობა სახელმწიფოს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დასჯად ქმედობად. ხოლო თუ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საზოგადოებრივი საშიშროება არ ახასიათებს არც ერთ სხვა სამართლებრივ დარღვევას, გარდა დანაშაულისა, მაშინ ამით იმ დასკვნამდე მივ-

---

<sup>16</sup> А.Б. Сахаров, Ответственность за должностные злоупотребления по советскому уголовному праву, Госюриздат, М., 1956, гл. 150.

დივართ, რომ საზოგადოებრივი საშიშროება ქმედობის ობიექტური საზოგადოებრივი თვისება კი არ ყოფილა, არამედ თვისება, რომელიც მას მიანიჭა თვით კანონმდებელმა მისი დანაშაულად გამოცხადებით. სინამდვილეში, — ამა თუ იმ ქმედობის შეტანით სისხლის სამართლის კოდექსში სახელმწიფო პირველად კი არ აფუძნებს მის საზოგადოებრივ საშიშროებას, არამედ აღიარებს რა, რომ ეს ქმედობა ობიექტურად, თავისი თვისებებით ეწინააღმდეგება სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობას, ცნობს მას სისხლის სამართლის ნორმის სანინააღმდეგო და დასჯად ქმედობად. სახელმწიფო ხელისუფლების ეს აქტი ამგვარად აფუძნებს არა ქმედობის საზოგადოებრივად საშიშ, არამედ დანაშაულებრივ ხასიათს. როგორც კ. მარქსი მიუთითებდა, — „...ოფიციალურ საზოგადოებაზე რამდენადმე დამოკიდებულია, დააკვალიფიციროს მის მიერ დადგენილ კანონთა ზოგიერთი დარღვევა დანაშაულად ან მხოლოდ გადაცდომად“.<sup>17</sup>

ამგვარად, საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის ცნების სახეობითი ნიშანია (*differentia specifica*), რომელიც განასხვავებს მას სხვა სამართალდარღვევათაგან, არამედ იგი არის გვარეობითი ნიშანი (*genus proximus*), რომელიც ახასიათებს როგორც დანაშაულს, ისე სამართალდარღვევის სხვა სახეებსაც. უფრო მეტიც, ქმედობა შეიძლება არ ეწინააღმდეგებოდეს არავითარ სამართლებრივ ნორმას და მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენდეს. ავიღოთ ისეთი ამორალური ქმედობანი, როგორცაა სისხლის აღრევან, ცხოველთმავლობა, შეგულიანება ან ხელის შეწყობა სრულწლოვანი შერაცხადი პირის თვითმკვლელობისათვის. ეს მძიმე ამორალური ქმედობანი უეჭველად საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენენ, ისინი ეწინააღმდეგებიან სოციალისტურ მორალს, სოციალისტური თანაცხოვრების წესებს, მაგრამ სოციალისტური საზოგადოება საჭიროდ თვლის ებრძოლოს მათ არა სახელმწიფოებრივი იძულებითი ღონისძიებების, არამედ საზოგადოებრივი ზემოქმედების მეშ-

<sup>17</sup> К. Маркс, Ф. Энгельс, Соч. т. 13, гл. 516.

ვეობით. მაშასადამე, საზოგადოებრივი საშიშროების ცნების მოცულობა უფრო ფართოა, ვიდრე სამართალდარღვევისა. ყოველი სამართლებრივი დარღვევა საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს, მაგრამ ყოველი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა როდია დანაშაული. ამ შეხედულებას იზიარებს საბჭოთა კრიმინალისტიკების უმრავლესობა.<sup>18</sup> მას ეთანხმებიან აგრეთვე სხვა სოციალისტური ქვეყნების მთელი რიგი კრიმინალისტიკები.<sup>19</sup>

დანაშაულის ცნების სახეობით ნიშნად მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების გამოცხადებამ ლიტერატურაში მეორე უკიდურესი შეხედულება წარმოშვა. ეს მეორე უკიდურესი შეხედულება იმ დებულებიდან გამოდის, რომ საზოგადოებრივი საშიშროება არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის აუცილებელ ნიშნად და ამიტომ იგი სავსებით უნდა იქნეს გაძევებული დანაშაულის ცნების მეცნიერული და საკანონმდებლო განმარტებიდან.

ეს შეხედულება მეტად არის გავრცელებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კრიმინალისტიკებს შორის. მას ემხრობიან პროფ. ი. რენებერგი, პროფ. ი. ლექშასი, დოც. ვებერი, დოც. შტილერი და სხვ.

აღნიშნული იურიტიკები ილაშქრებენ იმ დებულების

---

<sup>18</sup> იხ. მაგალითად, **А.А. Пионтковский**, Учение о преступлениях, Госюриздат, М., 1961, გვ. 47; **А.Б. Сахаров**, Ответственность за должностные злоупотребления по советскому уголовному праву, Госюриздат, 1956, გვ. 153-161; его же, Должностное преступление и дисциплинарный проступок. "Советское государство и право", 1955, №2, გვ. 90; **О.С. Иоффе**, **М.Д. Шаргородский**, Вопросы теории права. Изд. Ленинградского университета, 1961, გვ. 401; **О.Ф. Шишов**, О разграничении преступлений и административных проступков в советском праве. "Советское государство и право", 1961, №5 და სხვ.

<sup>19</sup> **Ганс Гератс**, "Материальное понятие преступления" и основания уголовной ответственности, "Государство и право" – в свете Великого Октября, Изд. Иностр. лит., М., 1958, **Л. Шуберт**, Об общественной опасности преступного деяния, Госюриздат, М., 1940, გვ. 23-30; **Michael Benamin und Helmut Rutsch**, Gesellschaftsgefährlichkeit und materiale Begriff der Straftat im Strafrecht der Deutschen Demokratischen Republik, "Staat und Recht", 1963, №10 და სხვ.

წინააღმდეგ, თითქოს ყოველი დანაშაული მიმართულია მთელი საზოგადოების წინააღმდეგ და, მაშასადამე, ყოველი სამართალდამრღვევი პრინციპულ და გლობალურ წინააღმდეგობაშია მთელ სოციალისტურ საზოგადოებასთან.<sup>20</sup> ასეთი თვისება ქმედობათა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის თავისებურებას შეადგენს. იგი ყოველ სახელმწიფო დანაშაულსაც კი არ ახასიათებს. თვით სახელმწიფო დანაშაულნიც არ ხელყოფენ ხელისუფლების ურთიერთობათა მთელ სისტემას. სამშობლოს ღალატის გარდა, სხვა სახის სახელმწიფო დანაშაული გარკვეულ სპეციფიკურ საზოგადოებრივ ურთიერთობას ემუქრება და ერთიანი ხელისუფლების მხოლოდ გარკვეულ მხარეს ხელყოფს.<sup>21</sup> მით უმეტეს უნდა ითქვას იგივე სხვა სახის დანაშაულობებზე, განსაკუთრებით მცირე მნიშვნელობის გადაცდომებზე, რომელთაც ჩვეულებრივად საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებით ებრძვიან.

ზემოაღნიშნული გერმანელი კრიმინალისტიები არა მარტო წინააღმდეგი არიან საზოგადოებრივი საშიშროების ნიშნის დანაშაულის ცნებაში შეტანისა, არამედ საერთოდ ილაშქრებენ დანაშაულის ზოგადი და ერთიანი ცნების წინააღმდეგ. ამ ცნების ადგილი, მათი აზრით, უნდა დაიჭიროს დასჯადი ქმედობის ცნებამ, ხოლო სისხლის სამართლის კანონში უნდა იქნეს გამიჯნული და განმარტებული დასჯადი ქმედობის ორი მკვეთრად განსხვავებული სახე — დანაშაული და გადაცდომა (Verbrechen und Vergehen).

ეს შეხედულება დასაბუთებული იყო პროფ. ი. რენებერგის, დოც. რ. შტილერის და დოც. ჰ. ვებერის მიერ შედგენილ თეზისებში, რომლებიც მათ წარუდგინეს სახელმწიფოსა და სამართლის აკადემიის მიერ 1963 წლის ნოემბერში ჩატარებულ კონფერენციას, მიძღვნილს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტისადმი.

თეზისების ავტორები მოითხოვენ დასჯადი ქმედობის

---

<sup>20</sup> იხ. Hans Weber. Zum Begriff der Straftat im künftigen Strafgesetzbuch, "Staat und Recht", 1963, №10, s. 1617.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 1618.



ორი სახის: დანაშაულისა და გადაცდომის მკვეთრ დიფერენციაციას და მათთვის პასუხისმგებლობის სხვადასხვა პრინციპების შემუშავებას. დანაშაულად ისინი თვლიან მხოლოდ მძიმე სახის სამართალდარღვევებს, რომელნიც დასჯად ქმედობათა დაახლოებით 10%-ს შეადგენენ, ხოლო გადაცდომად — დანარჩენ დასჯად ქმედობებს, რომელთა პროცენტი დასჯად ქმედობათა მიმართ 90-ს უდრის. დანაშაულისა და გადაცდომის დიფერენციაციას, თეზისების ავტორების აზრით, საფუძვლად უდევს განსხვავება მათ მამოძრავებელ ფაქტორებს ანუ სტიმულებს შორის. დანაშაული — ეს არის სახელმწიფო დანაშაული და სხვა დანაშაული, რომელშიც მულავენდება სოციალისტური კანონიერებისა და ადამიანთა საერთო ცხოვრების წესების მძიმე და პრინციპული უგულებელყოფა. ასეთი დანაშაულით დამნაშავე თავის თავს საზოგადოების გარეშე აყენებს. ხოლო გადაცდომები ისეთი დასჯადი ქმედობები არიან, რომელთა ჩადენაც განპირობებულია ადამიანის შეგნებაში ინდივიდუალური ზმისა და ეგოიზმის გადმონაშთების არსებობით.

დასასჯელ ქმედობათა ამ ორი ძირითადი კატეგორიის მიხედვით თეზისების ავტორები მოითხოვენ სისხლისსამართლებრივ სასჯელთა მკვეთრ დიფერენციაციას. თუ ის დამნაშავენი, რომელნიც სოციალისტური საზოგადოების არსებობას ემუქრებიან, მკაცრად უნდა იქნენ დასჯილნი (ჩვეულებრივად თავისუფლების აღკვეთით) გადაცდომის ჩამდენების მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი სასჯელნი, რომლებიც დაკავშირებულნი არ არიან თავისუფლების აღკვეთასთან, ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი.

„საზოგადოებრივი საშიშროების“ კატეგორია, თეზისების ავტორების აზრით, არ გამოდგება დასასჯელ ქმედობათა უმრავლესობის — გადაცდომების საზოგადოებრივი არსის სწორად დახასიათებისათვის, ვინაიდან ეს ნიშანი არ შეესაბამება გადაცდომათა უმნიშვნელო ხასიათს. საზოგადოებრივი საშიშროების ნიშანი არც იმისთვის არის გამოსადეგი, რომ გადაცდომა სხვა სახის სამართალდარღვევებისაგან გაიმ-

იჯნოს, ვინაიდან ასეთ გადაცდომათა უმრავლესობა არც ობიექტურად და არც სუბიექტურად არ არის უფრო მძიმე, ვიდრე სხვა სახის სამართალდარღვევები.<sup>22</sup> „თუ ჩვენ საზოგადოებრივ საშიშროებას (ვინრო მნიშვნელობით) გამოვიყენებთ როგორც დასჯადი გადაცდომისა და არადასჯადი დარღვევების გამმიჯნავ კრიტერიუმს, მაშინ საბოლოოდ იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ გადაცდომათა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე აღარ შეიძლება განხილულ ინეს როგორც დასჯადი ქმედობა და შეტანილ იქნეს სისხლის სამართლის კოდექსში“.<sup>23</sup>

დასასჯელ ქმედობათა სხვადასხვა სახეების გაერთიანება დანაშაულებრივი ქმედობის ერთიან ცნებაში და მათი დახასიათება საერთო ნიშნის „საზოგადოებრივი საშიშროების“ მიხედვით თეზისების ავტორებს იმ მხრივაც მიაჩნიათ მიზანშეუწონლად, რომ ასეთი გაერთიანების შედეგად მიიჩქმალება დასასჯელ ქმედობათა ორი ძირითადი ჯგუფის — დანაშაულისა და გადაცდომის — თვისებრივი განსხვავება, რაც ხელს შეუშლის მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას სისხლის სამართლის სფეროში. მართლმსაჯულების მთელი ყურადღება მიპყრობილი იქნება იმაზე, რაც საერთოა ყველა დასჯადი ქმედობისათვის, იმის მაგივრად, რომ შესრულებულ იქნეს პარტიის მითითებანი დასჯადი ქმედობებისადმი დიფერენცირებულად მიდგომის შესახებ.<sup>24</sup>

ამიტომ თეზისების ავტორები წინადადებას იძლევიან, რომ სისხლის სამართლის კოდექსში არ იყოს შეტანილი დანაშაულის ცნების ზოგადი განმარტება. მათი აზრით, საკმარისია, თუ კოდექსში ფორმულირებული იქნება დებულება, რომ სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს ის, ვინც ბრალეულად ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაული ან გადაცდომა, და ამის შემდეგ მოცემული იქნება დანაშაულისა და გადაცდომის დახასიათება.<sup>25</sup>

<sup>22</sup> იხ. Hans Weber. Zum Begriff der Straftat im künftigen Strafgesetzbuch, "Staat und Recht", 1963, №10, გვ. 72.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 73.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 73-74.

ჩვენი აზრით, ასეთი წინადადება არ შეიძლება იყოს მიღებული. მითითება საზოგადოებრივ საშიშროებაზე, როგორც დანაშაულის ცნების ერთ-ერთ არსებით ელემენტზე, აუცილებელია იმისათვის, რათა შემუშავებულ იქნეს დანაშაულთან ბრძოლის საერთო საფუძველი და საერთო პრინციპები. როგორც მართებულად აღნიშნავენ მ. ბენიამინი და ჰ. რუჩი, — „ჩვენი სახელმწიფო ორგანოების ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ შეზღუდოს და დათრგუნოს დანაშაულობის მხოლოდ განსაზღვრული ფგუფები. კომუნიზმისაკენ გარდამავალი პერიოდისათვის აუცილებელია აცილებულ იქნეს ყველა დანაშაულებრივი ქმედობა, ყველა სამართლებრივი დარღვევა“.<sup>26</sup>

საზოგადოებრივი საშიშროების ცნება, წინააღმდეგ მის მოწინააღმდეგეთა შეხედულებისა, მეტად მოსახერხებელი ცნებაა როგორც დანაშაულთა ცალკეული კატეგორიების დახასიათებისათვის, ისე დანაშაულებრივი ქმედობის გამიჯვნისათვის სხვა სამართალდარღვევათაგან. საზოგადოებრივი საშიშროების ცნება შეფასებითი ხასიათის ცნებაა და მიგვითითებს იმაზე, რომ ამ თვისების მქონე მოქმედება ეწინააღმდეგება ჩვენს საზოგადოებრივ წესრიგს, უარყოფით ზეგავლენას ახდენს სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების სიმტკიცეზე და აფერხებს მათ განვითარებას. საზოგადოებრივი საშიშროება შეიძლება სხვადასხვა ხარისხისა იყოს. მოქმედება შეიძლება იყოს მეტად თუ ნაკლებად საზოგადოებრივად საშიში. მოქმედების მეტი თუ ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა მეტ თუ ნაკლებ სიმძიმეზე. როგორც უკვე აღნიშნული იყო, დანაშაულთა კლასიფიკაცია, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილშია მოცემული, ძირითადად სწორედ მათ ობიექტურ საზოგადოებრივ

---

<sup>26</sup> იხ. მ. ბენიამინისა და რუჩის ზემოთ დასახელებული წერილი ჟურნალში "Staat und Recht", №10, s. 1631. იხ. აგრეთვე მ. ბენიამინის მეტად საინტერესო გამოვლენა ზემოხსენებულ კონფერენციაზე პოსდტამ-ბაბელსბურგში.

საშიშროებაზეა აგებული (სხვა საკითხია, თუ რით განისაზღვრება თვით ეს ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროება). მაგრამ იგივე ნიშანი, — ე. ი. მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, წარმოადგენს ძირითად კრიტერიუმს კანონმდებლისათვის სისხლისსამართლებრივი დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა გასამიჯნავად. დანაშაული, როგორც წესი, უფრო დიდი საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელია, ვიდრე სხვა სამართალდარღვევები, და სწორედ ამიტომ არის, რომ სახელმწიფო ებრძვის მას სისხლისსამართლებრივი სასჯელის მეშვეობით, ე. ი. სახელმწიფოს იძულებით ღონისძიებათა შორის ყველაზე უფრო მკაცრი ზომის მეშვეობით, როგორც მართებულად აღნიშნავს უნგრელი კრიმინალისტი ლასლო ვიშკი, — „პრინციპში კანონმდებელს შეუძლია გამოაცხადოს დანაშაულად ყოველი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა. მაგრამ, გამოდის რა სისხლის სამართლის ძირითადი ამოცანებიდან, იგი ამას მხოლოდ მაშინ აკეთებს, როდესაც ქმედობა, რომელსაც ის დასჯადად აცხადებს, საზოგადოებრივი საშიშროების ისეთ განსაზღვრულ ხარისხს აღწევს, რომ მასთან ბრძოლა საჭიროა სახელმწიფოებრივი იძულების ყველაზე უფრო ძლიერი საშუალებით — სისხლის სამართლის კანონით“.<sup>27</sup>

ეს არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ცალკეული საზოგადოებრივად მეტად საშიში მოქმედება შეიძლება არ იყოს გათვალისწინებული როგორც დანაშაული. მაგრამ ასეთი ფაქტი სრულიადაც არ უარყოფს იმას, რომ საზოგადოებრივი საშიშროების სიმძიმე კანონმდებლისათვის ამა თუ იმ ქმედობის კრიმინალიზაციის ძირითად მასშტაბს წარმოადგენს. ეს მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ კანონმდებელი ამ სისხლისსამართლებრივ-პოლიტიკური ამოცანის გადაჭრის დროს ემყარება არა მარტო ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს, არამედ სხვა საფუძვლებსაც. როგორც მართებულად მიუთითებს პროფ. ჰ. გერაცი, „ქმედობის აღიარება დანა-

<sup>27</sup> Ласло Вишки, Умысел и общественная опасность, "Вопросы уголовного права стран народной демократии", Изд. иностр. лит., М., 1963, гв. 279-280.

შაულად კონკრეტული და ყოველმხრივი სისხლისსამართლებრივ-პოლიტიკური მოსაზრებების შედეგია. უნდა იქნეს გამოკვლეული, თუ როგორია სოციალისტური სახელმწიფოს რეაქცია საშიშ ქმედობაზე და მიღებულ იქნეს სისხლისსამართლებრივ-პოლიტიკური გადანყვეტილება იმის თაობაზე, რომ ამ პირობებში ამგვარი ქმედობა უნდა დაითრგუნოს, თანაც სასჯელის მუქარისა და კანონით დადგენილ სასჯელს დამნაშავეისადმი მიყენების მეშვეობით. საზოგადოებრივი საშიშროების, მორალური გასაკიცხაობის, პოლიტიკური შეუწყნარებლობის ნიშნების გარდა, ყოველთვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დასჯადობის ნიშანიც. მსჯელობა საშიშროების შესახებ იდენტური არ არის სისხლისსამართლებრივი გადანყვეტილებისა სასჯელის აუცილებლობის შესახებ".<sup>28</sup>

## მეორე თავი

### საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა

#### §1. მართლწინააღმდეგობა როგორც დანაშაულის ცნების აუცილებელი ნიშანი

ყოველი დანაშაული საზოგადოებრივად საშიში ქმედობაა, მაგრამ ყოველი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა როდია იმავე დროს დანაშაული. არის მთელი რიგი საზოგადოებრივად საშიში ქმედობანი, რომლებიც სისხლის სამართლის წესით არ იდევნებიან. ხულიგნობა მძიმე დანაშაულად ითვ-

---

<sup>28</sup> **Ганс Гератс**, "Материальное панятия преступления" и основания уголовной ответственности, "Государство и право в свеге Великого Октября", М., 1958, გვ. 247; ანალოგიურ აზრს გამოთქვამს აგრეთვე ბულგარელი კრიმინალისტი **ნენოვი** (იხ. **Иван Пенев**, Наказателное право. Общая часть, София, 1963, გვ. 213-214) და უნგრელი კრიმინალისტი ვიშკი იხ. **Ласло Вишки**, Умысел и общественная опасность, "Вопросы уголовного права страны народной демократии", Изд. иностр. лит., М., 1963, გვ. 278-279, 281-282.

ლება, მაგრამ წვრილმანი ხულიგნობა, პირველად ჩადენილი, ადმინისტრაციული დარღვევაა და ადმინისტრაციულ სახდელს იწვევს. უკანონო ნადირობა — საზოგადოებრივად საშიში და დასჯადი ქმედობაა, მაგრამ თუ ის პირველად არის ჩადენილი, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს.

უფრო მეტიც, არსებობს ისეთი ქმედობანიც, რომლებიც უეჭველად საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენენ, მაგრამ არათუ სისხლის სამართლის წესით არ ისჯებიან, არამედ საერთოდ სამართალდარღვევას არ წარმოადგენენ და საზოგადოება მათ მხოლოდ მორალური გაკიცხვისა და აღმზრდელობითი ღონისძიებების მეშვეობით ებრძვის. ასეთი ქმედებებია, მაგალითად, სისხლის აღრევა, თვითმკვლელობა ან სრულწლოვანი შერაცხადი პირის შეგულიანება თვითმკვლელობისადმი, სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნება კერძო პირის მიერ (თუ არ არის სამშობლოს ღალატი ან ჯაშუშობა) და ა. შ.<sup>29</sup> როგორც მართებულად აღნიშნავს უნგრელი კრიმინალისტი ლასლო ვიშკი, „კანონმდებელი სისხლის სამართლის სანინაალმდეგო ქმედობად საზოგადოებრივად საშიშ ქმედობათა მხოლოდ ვიწრო წრეს აცხადებს, სახელდობრ, ისეთ ქმედობებს, რომლებთანაც ბრძოლა სისხლისსამართლებრივი მეთოდებით დასაბუთებული და მიზანშეწონილია. აქედან კი გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივი საშიშროება — როგორც რეალური სინამდვილის ამსახველი კატეგორია — უნდა არსებობდეს სისხლის მართლწინააღმდეგობისაგან დამოუკიდებლად“.<sup>30</sup>

მართლწინააღმდეგობის ცნება ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად შესწავლილი საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში. მაგრამ ერთი დებულება შეიძლება დადგენილად

<sup>29</sup> ამიტომ არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს 1952 წელს მოსკოვში გამოცემული სახელმძღვანელოს მტკიცება, რომ „საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ყოველთვის არღვევს სოციალისტური სამართლის განსაზღვრულ ნორმასაც...“ (Советское уголовное право. Общая часть, М., 1952, გვ. 180. ხაზგასმულია ჩვენს მიერ. — თ. ნ.).

<sup>30</sup> ლ. ვიშკი. დასახ. წერილი, გვ. 281-282.

ჩაითვალოს: მართლწინააღმდეგობა გამოხატავს ადამიანის ქმედობის შეუსაბამობას სამართლებრივი წესრიგისადმი, სამართლებრივი ნორმებისადმი. მართლწინააღმდეგობა გულისხმობს იმას, რომ ობიექტური სამართლებრივი ნორმა უარყოფითად აფასებს ადამიანის განსაზღვრულ მოქმედებას ან უმოქმედობას, ვინაიდან ასეთი საქციელი ხელს უშლის სამართლის მიზნების განხორციელებას.

ცხადია, მართლწინააღმდეგი შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანის ქცევა, როგორც მისი ნების გამოვლინება. არ შეიძლება არსებობდეს მართლწინააღმდეგო მდგომარეობა, როგორც ამას ზოგიერთი ბურჟუაზიული კრიმინალისტი ამტკიცებს.<sup>31</sup> სამართალი არსებობს იმისათვის, რომ მოაწესრიგოს ადამიანთა ურთიერთობები. სამართლის ნორმის ერთადერთი ადრესატი არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია აღიქვას ეს ნორმა და მის შესაბამისად წარმართოს თავისი მოქმედება. მართლზომიერი თუ მართლწინააღმდეგო „მდგომარეობის“ მტკიცება ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას ეწინააღმდეგება.

არა ყოველი მოქმედება, რომელიც სოციალისტური სამართლის ნორმას ეწინააღმდეგება, ასაბუთებს სისხლისსამართლებრივ მართლწინააღმდეგობას, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას შეესაბამება. როგორც სწორად აღნიშნავს პროფ. ა. პიონტკოვსკი, „ქმედობის მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში ჩვენ გვესმის როგორც მისი წინააღმდეგობა ისეთი სამართლებრივი ნორმისადმი, რომლის დარღვევაც ისჯება სისხლის სამართლის კანონით. ამიტომ ესა თუ ის მოქმედება ან უმოქმედობა შეიძლება ითვლებოდეს მართლწინააღმდეგოდ სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის თვალსაზრისით, მაგრამ არ იყოს მართლწინააღმდეგო სისხლის სამართლისათვის“.<sup>32</sup> ადმინისტრაციული ან სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისით მართლწინააღმდეგო ქმედობას არ გააჩნია ის

<sup>31</sup> Edmund Mezger, Strafrecht. Ein Lehrbuch, Berlin und München, 1949, s. 164.

<sup>32</sup> А.А. Пионтковсeй, Учение о преступлении, М., 1961, гл. 159.

ნიშანი, რომელიც მას დასჯად ქმედობად გადააქცევს, ე. ი. ასეთი ქმედობა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს არ შეესაბამება და, მაშასადამე, სისხლის სამართლის თვალსაზრისით მართლსაწინააღმდეგო არ არის.

ქმედობა, რომელიც დანაშაულის შემადგენლობას შეესაბამება და, მაშასადამე, სისხლის სამართლის თვალსაზრისით მართლსაწინააღმდეგოა, შეიძლება იმავე დროს სამართლის სხვა დარგის ნორმებსაც არღვევდეს. მაგალითად, ქონების ფარულად ან აშკარად გატაცება არღვევს არა მარტო სისხლის სამართლის, არამედ აგრეთვე სამოქალაქო სამართლის ნორმებსაც. საკუთრების უფლებას აწესრიგებს სამოქალაქო სამართალი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა შეადგენს საკუთრების უფლების შინაარსს, რაც შეიძლება იყოს მისი ობიექტი და როგორი მოქმედებანი ჩაითვლებიან საკუთრების უფლების დარღვევად. საკუთრების უფლების დარღვევას მოჰყვება სამოქალაქოსამართლებრივი შედეგები (უკანონო მფლობელისაგან ნივთის დაბრუნება მესაკუთრის მიერ, ნეგატორული სარჩელი, სარჩელი ზარალის ანაზღაურების შესახებ და ა. შ.). მაგრამ საკუთრების უფლების დარღვევას გარკვეულ შემთხვევებში სისხლისსამართლებრივი სანქციაც ანუ სასჯელი მოჰყვება. ასეთი შემთხვევები სხვა მრავალი შეიძლება მოიძებნოს (მაგალითად, მოქალაქეთა საარჩევნო უფლების დარღვევა განსაზღვრულ პირობებში სისხლის სამართლის დანაშაულია, მაგრამ თვით საარჩევნო უფლება რეგლამენტირებულია სახელმწიფო სამართლის ნორმების მიერ და ა. შ.).

ასეთი ხასიათის სისხლის სამართლის ნორმების არსებობის საფუძველზე ბურჟუაზიულმა კრიმინალისტიკმა კარლ ბინდინგმა შექმნა თავისებური თეორია, რომელიც ცნობილია ნორმების თეორიის სახელწოდებით და რომელმაც დიდი როლი შეასრულა ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მართლსაწინააღმდეგობის საკითხის დამუშავებაში.

ბინდინგის თეორიის არსი მდგომარეობს შემდეგში:

სისხლის სამართალი არ არეგულირებს ურთიერთობებს ადამიანთა შორის. ეს ურთიერთობები მონესრიგებულია სა-



მართლის სხვა დარგების (სამოქალაქო ან საჯარო სამართლის) მიერ. სისხლის სამართლის ფუნქცია ამოიწურება იმით, რომ იგი უზრუნველყოფს ნორმის სანინაალმდეგო მოქმედების დასჯადობას, ხოლო ქმედობის ნორმის სანინაალმდეგო ხასიათი სისხლის სამართლის კანონში არ დგინდება.

დამნაშავე, ბინდინგის აზრით, არღვევს არა სისხლის სამართლის კანონს, არამედ ნორმას, რომელიც სისხლის სამართლის კანონის გარეშე არსებობს. ეს ნორმა შეიძლება იყოს ნერილობითი (სამოქალაქო ან საჯარო სამართლებრივი) ან დაუნერელი, ე. ი. ტრადიციით გადაცემული. უკანასკნელ შემთხვევაში იგი შეიძლება აღმოჩნდეს თავისუფალი განმარტების მეშვეობით.

დამნაშავე მოქმედებს არა სისხლის სამართლის სანინაალმდეგოდ, არამედ მის შესაბამისად, ვინაიდან მისი მოქმედება შეესაბამება სისხლის სამართლის კანონში აღწერილ ქმედობას. სისხლის სამართლის კანონი არაფერს ავალებს და არაფერს უკრძალავს მოქალაქეებს. იგი მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებს ავალებს მიუყენონ დამნაშავეს, რომელმაც ნორმა დაარღვია, სისხლის სამართლის კანონში აღწერილი სასჯელი.

ამრიგად, ბინდინგის თეორიის მიხედვით, ნორმა იძენს დამოუკიდებელ მნიშვნელობას სისხლის სამართლის კანონის გარეშე და მის გვერდით.

ეს შეხედულება, ჩვენი აზრით, არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს.

ჯერ ერთი, მცდარია ბინდინგის აზრი, თითქოს ამკრძალავი ნორმა ყოველთვის სამართლის რომელიმე სხვა დარგში არსებობს და არასოდეს არ არის მოცემული თვით სისხლის სამართლის კანონში. სად, რომელი სხვა დარგის ნორმით არის, მაგალითად, აკრძალული მამათმავლობა, ან გარყვნილი მოქმედება და ა. შ. რა თქმა უნდა, ამ ქმედობათა აკრძალვას ჩვენ სამართლის რომელიმე სხვა დარგში ვერ ვიპოვით. თუ ისინი სადმე სხვაგან არიან აკრძალული, სისხლის სამართლის გარდა, მხოლოდ მორალის ნორმებით. მაგრამ რომ მივმართოთ

თუნდაც ისეთ ქმედობებს, რომლებიც სისხლის სამართლის სფეროს გარეშეც ატარებენ მართლსაწინააღმდეგო ხასიათს, მაგალითად, სხვისი საკუთრების მიტაცებას, აქაც სისხლის-სამართლებრივი მართლწინააღმდეგობა (უმართლობა) არ შეიძლება გავაიგივოთ სხვა სახის უმართლობასთან. ამ შემთხვევაშიც სისხლის სამართლის სფეროში იქმნება ახალი ტიპის უმართლობა, და ეს ახალი ტიპის უმართლობა იქმნება იმით, რომ იგი აღწერილია სისხლის სამართლის კანონში როგორც დანაშაულის შემადგენლობა.

მაშასადამე, სისხლის სამართლის კანონი დანაშაულის შემადგენლობის შექმნით და მასთან სასჯელის დაკავშირებით, ქმნის ნორმას, რომელიც სავალდებულოა ყველა მოქალაქისათვის. მართალია, სისხლის სამართლის კანონი რედაქციულად არ არის აგებული: ქურდობა ყველასათვის აკრძალულია და თუ ვინმემ მოიპარა, — ასე და ასე დაისჯებაო. მაგრამ იგი ამას მხოლოდ საკანონმდებლო-ტიქნიკური მოსაზრებებით არ აკეთებს, ვინაიდან ყველასათვის გასაგებია, რომ თუ კანონი რაიმე მოქმედებას დასჯადად აცხადებს, იგი ამ მოქმედებას კრძალავს. სისხლის სამართლის კანონის ძირითადი მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი უკრძალავს მოქალაქეთ განსაზღვრული მოქმედების შესრულებას; და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავს იგი მართლმსაჯულების ორგანოებს და აყალიბებს მათი მოქმედების წესს მოქალაქის მიერ ნორმის დარღვევის შემთხვევაში.

ამგვარად, მივედით შემდეგ დასკვნამდე: როდესაც კანონმდებელი ცხოვრების ურთიერთობათა მრავალფეროვნებიდან გამოყოფს ფაქტების განსაზღვრულ კომპლექსს, როგორც საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელს, და მას უკავშირებს სასჯელის მუქარას, იგი ამით დანაშაულებრივ ქმედობათა ტიპებს ადგენს. თანაც, იმისდა მიუხედავად, იყო თუ არა ესა თუ ის კონკრეტული მოქმედება უკვე სისხლის სამართლის კანონის გამოცემამდე სამართლის რომელიმე სხვა დარგში გამოცხადებული მართლსაწინააღმდეგო ქმედობად, თუ სისხლის სამართლის კანონმა პირველმა შექმნა მართლსაწინ-

ინააღმდეგო ქმედობის ტიპი, ქმედობისა, რომელიც სამართლის სხვა დარგით წინასწარ აკრძალული არ იყო. კანონმდებელი იმით, რომ განსაზღვრულ ქმედობას სასჯელის მუქარას უკავშირებს, ე. ი. დანაშაულის შემადგენლობის მეშვეობით ქმნის განსაზღვრული სახით უმართლობას, სისხლის სამართლის უმართლობას, რითაც ზუსტად მიჯნავს სისხლის სამართლის უმართლობას ყველა დანარჩენი მოქმედებისაგან, რომელსაც სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა არ ახასიათებს.

ზემონათქვამიდან არ გამომდინარეობს, თითქოს რაიმე ქმედობა შეიძლება ნებადართული იყოს სამართლის რომელიმე დარგის მიერ და ამავე დროს აკრძალული იყოს მეორე დარგის მიერ. ასეთი შეხედულება ეწინააღმდეგება საბჭოთა მართლწესრიგის მიზნების ერთიანობას. თუ სამართლის რომელიმე დარგი ამა თუ იმ მოქმედებას სავალდებულოდ ან ნებადართულად თვლის, ცხადია, იგი არ შეიძლება აკრძალულ იქნეს სამართლის მეორე დარგის მიერ. თუ, მაგალითად, მოქალაქემ შეასრულა ბრძანება, რომელიც თავისი შინაარსით უკანონოა, მაგრამ რომლის შესრულება მისთვის სავალდებულო იყო (მაგალითად, სამხედრო პირისათვის უფროსის ბრძანება კანონია, და იგი შესრულებულ უნდა იქნეს უსიტყვოდ, ზუსტად და დაუყოვნებლივ), ასეთი მოქმედება არ შეიძლება მართლსაწინააღმდეგოდ ჩაითვალოს და დაისაჯოს როგორც დანაშაული.

ზოგჯერ მითითება ქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათზე დანაშაულის შემადგენლობის ნიშანს წარმოადგენს, ე. ი. პირდაპირ შეტანილია სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში გარკვეული დანაშაულის ნიშნების აღწერის დროს. ასე, მაგალითად, 133-ე მუხლში ლაპარაკია უკანონო თავისუფლების აღკვეთაზე. 238-ე მუხლში — იარაღის უკანონო ტარებაზე, 177-ე მუხლში — უკანონო ნადირობაზე და ა. შ. დანაშაულის შემადგენლობის ასეთ ნიშნებს ნორმატიული ნიშნები ეწოდება. ასეთ შემთხვევებში ქმედობის შემადგენლობის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია ის, რომ ეს ქმედობა აკრძა-

ლულია სამართლის სხვა დარგით, მაგალითად, ადმინისტრაციული სამართლის ნორმით. ამიტომ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების დადგენის დროს მოსამართლე ვალდებულია დაადგინოს, რომ აღნიშნული ქმედობა მართლწესრიგის რომელიმე სხვა ნაწილით, მაგალითად, ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებით არის აკრძალული. როგორც ვ. კუდრიავეცივი სწორად აღნიშნავს, რსფსრ-ის 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მითითება „უკანონო თავისუფლების აღკვეთაზე“ ნიშნავს იმას, რომ ეს ნორმა შეეხება თავისუფლების ძალმომრეობით აღკვეთას, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც იგი ნებადართულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ან ადმინისტრაციული აქტებით.<sup>33</sup> მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა იქმნება იმით, რომ კანონი ფაქტების განსაზღვრულ კომპლექსს სასჯელს უკავშირებს. „სამართლის ნორმების შესაბამისი დარღვევისათვის დასჯითი სანქციის დაწესება სპეციფიკურ ხასიათს აძლევს ჩადენილ დანაშაულებრივი ქმედობის მართლწინააღმდეგობას სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით“.<sup>34</sup>

## §2. ქმედობის მართლწინააღმდეგობა და ანალოგიის აკრძალვა

მითითება მოქმედების მართლწინააღმდეგო ხასიათზე არ იყო შეტანილი საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 1958 წლის საფუძვლების გამოცემამდე. რსფსრ-ის 1922 წლის და აგრეთვე 1926 წლის კოდექსები განსაზღვრავდნენ დანაშაულს როგორც საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებას და უმოქმედობას და არ მიუთითებდნენ, რომ დანაშაული ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედობაა, რომელიც სისხლის სამართლის კანონითაა გათვალისწინებული. ეს არ

<sup>33</sup> В.Н. Кудрявцев, О противоправности преступления, "Правоведение" 1959, №1, გვ. 73.

<sup>34</sup> А.А. Пионтковский, Учение о преступлении, М., 1961, გვ. 161.

გამორიცხავდა იმას, რომ, როგორც წესი, დანაშაულს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედობა წარმოადგენდა. მაგრამ, გამონაკლისის სახით, დანაშაულად შეიძლება აღიარებული ყოფილიყო ისეთი ქმედობაც, რომელიც უშუალოდ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში გათვალისწინებული არ იყო, მაგრამ თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობითა და გვარით კანონით გათვალისწინებულ ქმედობას ენათესავებოდა. მაშასადამე, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დაშვებული იყო დანაშაულის ანალოგია.

ანალოგიის შემოღება საბჭოთა სისხლის სამართალში განპირობებული იყო კლასობრივი ბრძოლის განსაკუთრებული პირობებით. პირველი (1922 წლის) სისხლის სამართლის კოდექსის შემოღებამდე მოსამართლეებს უხდებოდათ საკითხის გადაჭრა ცალკეული დეკრეტებისა და რევოლუციური შეგნების საფუძველზე. სისხლის სამართლის ნორმების კოდიფიკაციამდე მოსამართლის სოციალისტური მართლშეგნების გამოყენება სავსებით გამართლებული იყო. ოქტომბრის რევოლუციის პირველ წლებში მოსამართლეებს უხდებოდათ ბრძოლა მთელ რიგ ახლად წარმოშობილ და სწრაფად ცვალებად დანაშაულებრივ ქმედობებთან, რომლებშიც კლასობრივი წინააღმდეგობა ვლინდებოდა. კლასობრივი ბრძოლის ამ სწრაფად ცვალებადი ფორმების მთელი მრავალგვარობის წინასწარ განჭვრეტა და ზუსტად ფიქსაცია მეტად ძნელი იყო. საბჭოთა პირველ კოდექსს, ცხადია, ამ გარემოებისათვის ანგარიში უნდა გაენია და უნდა მიეცა მოსამართლეთათვის უფლება, შეეცნოთ კანონმდებლობაში ადვილად მოსალოდნელი ხარვეზები.<sup>35</sup>

მართლაც, რსფსრ-ის 1922 წლის სსკ-ში და მოკავშირე რე-

---

<sup>35</sup> რსფსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისარმა დ. კურსკიმ სრულიად რუსეთის ცაკის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის განხილვის დროს განაცხადა: „არც ერთ სისხლის სამართლის კოდექსს არ შეუძლია მოიცვას სისხლისსამართლებრივ ქმედობათა მთელი მრავალგვარობა, რომელიც სინამდვილეში არსებობს და შეიძლება არსებობდეს, — და თუ ჩვენ გვსურს

სპუბლიკების კოდექსებში შეტანილი იყო მუხლები, რომლებიც კანონის ხარვეზის არსებობის შემთხვევაში უფლებას აძლევდნენ მოსამართლეს შეეფარდებინათ კანონით გაუთვალისწინებელი საზოგადოებრივად საშიში ქმედობისათვის ის მუხლი, რომელიც მსგავს დანაშაულებრივ ქმედობას ითვალისწინებდა.

პირველი სისხლის სამართლის კოდექსების მოქმედების დასაწყისშივე ნათლად დადასტურდა, რომ კოდექსს მნიშვნელოვანი ხარვეზები ჰქონდა, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთან ბრძოლის საქმეში. აღსანიშნავია, რომ აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში სასამართლო ორგანოები და იუსტიციის სახალხო კომისარიატი შედიოდნენ სათანადო წარდგინებით საკანონმდებლო ორგანოებში, რომელთაც სისხლის სამართლის კოდექსში სათანადო ცვლილებები შეჰქონდათ და რომელნიც ამგვარად ცდილობდნენ ანალოგიის გამოყენების მაგივრად სამართლის მტკიცე ნორმა გამოეცათ.<sup>36</sup>

შევქმნათ კოდექსი, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი იქნება საბჭოთა წყობილებისათვის საშიშ ქმედობებთან წარმატებით ბრძოლა, მაშინ უნდა გვექონდეს მუხლები, რომლებიც საშუალებას მისცემენ მოსამართლეს გამოიყენოს ანალოგია, საშუალებას მისცემს მოსამართლეს იხელმძღვანელოს სოციალისტური მართლშეგნებით, რათა ამით მონახოს გამოსავალი მდგომარეობიდან (Д.И. Курский, Израильские статьи и речи, 1948, გვ. 86).<sup>36</sup> მაგალითად, აღმოჩნდა, რომ კოდექსში არ არის მუხლი, რომელიც სჯის სამხედრო აღრიცხვისაგან თავის არიდებას. სასამართლოებს ამიტომ პირველ ხანებში უხდებოდათ სისხლის სამართლის კანონის ანალოგიით შეფარდება, ხოლო სრულიად რუსეთის ცაკის უახლოეს სესიაზე მიღებულ იქნა კანონი, რომელმაც კოდექსის ეს ხარვეზი შეავსო.

1923 წლის გაზაფხულზე რსფსრ-ის უმაღლესმა სასამართლომ გაარჩია ერთი საქმე, რომლის განხილვისას მან ანალოგიის გამოყენების მეშვეობით ეკონომიკური კონტრრევოლუციის ცნება ჩამოაყალიბა. ამ შემთხვევაშიც სრულიად რუსეთის ცაკის უახლოეს სესიაზე (1923 წ. 10 ივლისს) მიღებულმა დადგენილებამ სისხლის სამართლის კოდექსს დაუმატა ახალი მუხლი, რომელიც ეკონომიკური კონტრრევოლუციის შემადგენლობას ითვალისწინებდა.

მრავალი სხვა ასეთი ხარვეზი გამოირკვა და შემდგომ საკანონმდებლო გზით შეივსო 1922 წლის კოდექსის მოქმედების პირველი ორი წლის განმავლობაში.

ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობა დაშვებულ იქნა აგრეთვე სისხლის სამართლის პირველ საერთო-საკავშირო კოდიფიკაციურ აქტში — სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1924 წლის ძირითად სანყისებში (მუხ. 3). ამ ნორმის შესაბამისად ნორმა ანალოგიის შესახებ შევიდა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებშიც.

კერძოდ, საქართველოს სსრ სსკ მე-8 მუხლში ნათქვამი იყო: „უკეთესა თუ ის საზოგადოებრივად საშიში ქმედობა სისხლის სამართლის კანონმდებლობით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, პასუხისმგებლობის საფუძველსა და ფარგალს, აგრეთვე სოციალური დაცვის ღონისძიებას სასამართლო განსაზღვრავს ამა კოდექსის კერძო ნაწილს იმ მუხლის ანალოგიით, რითაც გათვალისწინებულია მნიშვნელობით და გვარით ყველაზე უფრო მსგავსი დანაშაული“.

თავდაპირველად ანალოგიით სისხლის სამართლის კანონის გამოყენების შემთხვევები იშვიათი გამოჩენილი იყო. რსფსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1922 წლის 8 ივნისის ცირკულარში „სისხლის სამართლის კოდექსის ცხოვრებაში შემოღების შესახებ“ ნათქვამი იყო: „საერთო წესით სასჯელი და სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებანი შეიძლება შეფარდებულ იქნეს სასამართლოთა მიერ მხოლოდ იმ ქმედობათა მიმართ, რომლებიც ზუსტადაა გათვალისწინებული კანონით. ამ წესის გამოჩენის დასაშვებია მხოლოდ იმ გამოჩენის შემთხვევაში, როდესაც თუმცა სამართალში მიცემულის ქმედობა ზუსტად არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსით, მაგრამ სასამართლო ცნობს მას აშკარად საშიშად მუშურ-გლეხური ხელისუფლების მიერ დამყარებული ახალი მართლწესრიგის საფუძვლების თვალსაზრისით“.

შემდგომ პერიოდში ანალოგიის გამოყენებას უფრო ფართო მასშტაბები ჰქონდა. თანაც მეტად ხშირად ანალოგიას არასწორად იყენებდნენ. ანალოგიის გამოყენების პრაქტიკის შემონიშნებამ მოსკოვის ერთ-ერთი რაიონის სახალხო სასამართ-

ლოში გვიჩვენა, რომ 1937-1938 წწ.-ში ანალოგიის გამოყენებით გარჩეული 15 საქმიდან არც ერთ საქმეში საერთოდ არავითარი დანაშაულის შემადგენლობა არ იყო.<sup>37</sup> იმავე ავტორმა, რომელმაც გამოიკვლია მოსკოვის საოლქო სასამართლოსა და მოსკოვის საქალაქო სასამართლოს ანალოგიის შეფარდების პრაქტიკა 20 თვის განმავლობაში, აღმოაჩინა, რომ „ეს პრაქტიკა ადასტურებს ანალოგიის მეტად ფართო გამოყენებას სისხლის სამართლის კოდექსის მრავალი მუხლის მიმართ“ (სახელდობრ, კოდექსის 53-ე მუხლის გამოყენება ხდებოდა ანალოგიით), თანაც ყველა ამ შემთხვევაში ანალოგიის გამოყენება „არავითარი აუცილებლობით გამონეული არ იყო“.<sup>38</sup> იყო შემთხვევები, როდესაც ანალოგიას იყენებდნენ ისეთი დანაშაულის მიმართ, რომელიც პირდაპირ გათვალისწინებული იყო კანონში, მაგრამ მოსამართლის აზრით, კანონით მისთვის სათანადოდ მკაცრი სასჯელი არ იყო დადგენილი. მაგალითად, სამამულო ომის პერიოდში ერთი პირის მიერ ჩადენილ მკვლელობას უფარდებდნენ ანალოგიით მუხლს ბანდიტიზმის შესახებ, რათა ამ გზით მკვლელისათვის გადაეწყვიტათ სიკვდილით დასჯა, რომელიც იმდროინდელი კანონით მკვლელობისათვის გათვალისწინებული არ იყო.

საერთო-საკავშირო სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემუშავებას წინ უსწრებდა საბჭოთა ლიტერატურაში გაცხოველებული დავა ანალოგიის შესახებ.

ანალოგიის შენარჩუნების მომხრეები საბჭოთა ლიტერატურაში იყვნენ მეცნიერებათა აკადემიის ნ/კ პროფ. ა. ტრაინინი, აკად. ვიშინსკი, პროფ. ვ. ჩხიკვაძე, პროფ. მ. შარგოროდსკი, დოც. კამინსკაია, დოც. მ. ბრაინინი და სხვ. მონინააღმდეგეთა ბანაკში იყვნენ პროფ. პიონტკოვსკი, პროფ. გერცენზონი, დოც. კ. თავგაზოვი, თ. ნერეთელი და სხვ.

ანალოგიის მომხრენი შემდეგნაირად ასაბუთებდნენ ანალოგიის შენარჩუნების აუცილებლობას:

---

<sup>37</sup> П.В., Понятие аналогии в советском уголовном праве и практика ее применения, "Советская юстиция" 1939, №3, გვ. 12-13.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 12.



ანალოგიის ინსტიტუტი განუყრელად დაკავშირებულია დანაშაულის ცნების მატერიალურ განსაზღვრებასთან. მაგალითად, ვ. კამინსკაიას აზრით, „რამდენადაც ჩვენი კანონი დანაშაულის მატერიალური გაგებიდან გამოდის და ამა თუ იმ მოქმედების დანაშაულად აღიარება მის სოციალურ საშიშროებაზეა დამოკიდებული, ანალოგიის დაშვება ჩვენს მართლმსაჯულებაში აუცილებელია“.<sup>39</sup>

აღნიშნული შეხედულება მართებულად ვერ აფასებს დანაშაულის მატერიალური ნიშნის — საზოგადოებრივი საშიშროების როლს დანაშაულის ცნების განსაზღვრებისათვის. როგორც უკვე აღნიშნული იყო, საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის ცნების მატერიალურ ნიშანია. მაგრამ ამ ნიშნით არ ამოიწურება დანაშაულის ცნების განსაზღვრება. მასთან ერთად, დანაშაულს ახასიათებს ფორმალური ნიშნებიც — მართლწინააღმდეგობა და დასჯადობა. მართლწინააღმდეგობის ნიშანი კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში იმით გამოიხატება, რომ თვით კანონის მიერ მოცემულია ცალკეული სახის დანაშაულთა ნიშნების ამომწურავი ჩამოთვლა, ე. ი. მოცემულია დანაშაულის შემადგენლობანი. დანაშაულად ითვლება მხოლოდ ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს შეესაბამება.

შეხედულება, რომელიც ამტკიცებს, რომ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება ერთადერთი გადამწყვეტი ნიშანი უნდა იყოს ქმედობის კრიმინალიზაციისათვის, სწორად ვერ აფასებს დანაშაულის სხვა ნიშნების როლს. ამავე დროს, აღნიშნული შეხედულების თანამიმდევრულად განვითარებამ არსებითად განუსაზღვრელ ანალოგიამდე უნდა მიგვიყვანოს.

იმის დასამტკიცებლად, რომ დანაშაულის მატერიალურ განმარტებასა და ანალოგიას შორის არავითარი შინაგანი და განუწყვეტელი კავშირი არ არსებობს, საკმარისია მივუთითოთ შემდეგ ფაქტებზე: გერმანიის 1871 წლის სისხლის სა-

---

<sup>39</sup> В.И. Каминская, Роль Верховного Суда СССР в развитии советского права, "Советское государство и право" 1948, №6, გვ. 38.

მართლის დებულება დანაშაულის წმინდა ფორმალურ განმარტებას იძლევა, მაგრამ ამ გარემოებამ სულაც არ შეუშალა ხელი ფაშისტურ ხელისუფლებას 1935 წელს დანაშაულის ანალოგია შემოეღო. ანალოგიას ითვალისწინებს აგრეთვე დანიის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც დანაშაულის ფორმალურ განმარტებას იძლევა. მეორე მხრივ, დღევანდელი საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა, აგრეთვე სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსები დანაშაულს მატერიალურად განსაზღვრავენ, მაგრამ ანალოგიას არ ითვალისწინებენ.

ანალოგიის მომხრეთა მეორე არგუმენტი იმაში მდგომარეობდა, რომ არც ერთი სისხლის სამართლის კოდექსს არ შეუძლია წინასწარ გაითვალისწინოს ყველა საზოგადოებრივად საშიში მოქმედება, რომელიც კრიმინალიზაციას მოითხოვს, და თუ ანალოგია არ იქნება ნებადართული, მრავალი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საშიშროების მქონე ქმედობა დაუსჯელი დარჩება. მაგალითად, ა. ვიშინსკი აღნიშნავდა: ჩვენ გაჭირვება გვაიძულებს ანალოგიას მივმართოთ, ვინაიდან შეუძლებელია გავითვალისწინოთ და ჩავნეროთ კანონში დანაშაულის ყველა შესაძლებელი შემთხვევა. მაგრამ გაჭირვება არ შეიძლება სიკეთედ ჩავთვალოთ, არ შეიძლება იგი პრინციპად გამოვაცხადოთ, თანაც ისეთ პრინციპად, რომელზედაც აგებული უნდა იყოს მთელი ჩვენი სასამართლო საქმიანობა — ეს კანონიერებისათვის ძირის გამოთხრა იქნებოდა.

სისხლის სამართლის კოდექსში რომ ხარვეზები ყოველთვის არის შესაძლებელი, ეჭვს გარეშეა. ეს ხარვეზები შესაძლებელია ზოგჯერ საკანონმდებლო ტექნიკის უსრულობით იყოს გამოწვეული, ზოგჯერ კი მათი მიზეზი ის შეიძლება იყოს, რომ ცხოვრების ახალ ურთიერთობათა წარმოშობის შესაბამისად შეიძლება წარმოიშვან ახალი საზოგადოებრივად საშიში ქმედობანი, რომელთა წინასწარ განჭვრეტა და სისხლის სამართლის კოდექსში შეტანა შეუძლებელი იყო. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სისხლის სამართლის კოდექსების

ხარვეზთა შეცვლების უფლება მოსამართლეებს შეიძლება მიეცეს? ჩვენი აზრით, მოსამართლისათვის ასეთი ფართო უფლებების მინიჭება დღევანდელ პირობებში არა თუ ხელს არ შეუწყობდა სოციალისტური კანონიერების შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას, არამედ პირიქით, შეაფერხებდა მას.

ანალოგიის გამოყენებით ფართო გასაქანი ეძლევა ცალკეულ მოსამართლეთა სუბიექტივიზმს. მოსამართლისათვის იმ უფლების მინიჭება, რათა მან თავისი სუბიექტური შეხედულებისამებრ დანაშაულად გამოაცხადოს ისეთი ქმედობა, რომელიც სისხლის სამართლის კანონით დასჯადი არ არის, შეიძლება გახდეს ნყაროდ მოქალაქეთა კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დარღვევისათვის ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენელთა მხრით, ხელი შეუწყოს მათ თვითნებობას და ამით საბჭოთა მართლმსაჯულებას ზიანი მოუტანოს. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონის ადგილს, კანონისა, რომელიც მშრომელი მასების ნების გამოხატულებაა და, რომელიც გარკვეული წესის თანახმად მხოლოდ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს შეუძლია გამოსცეს, ანალოგიის დროს იჭერს ცალკეული მოსამართლის პირადი შეხედულება, პირადი გემოვნება, რომელიც ზოგჯერ კანონის დარღვევის ნყაროდ შეიძლება გადაიქცეს. ხოლო, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, „სულ მცირეოდენი უკანონობა, საბჭოთა წესრიგის სულ მცირეოდენი დარღვევა უკვე ის ხვრელია, რომელსაც დაუყოვნებლივ გამოიყენებენ მშრომელთა მტრები“.<sup>40</sup>

ამავე დროს, სისხლის სამართლის კანონის ანალოგიით გამოყენების უფლება ხელს უშლიდა მოკავშირე რესპუბლიკებში ერთიანი სოციალისტური კანონიერების გატარებას. ერთ მოსამართლეს ერთი შეხედულება აქვს რაიმე ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებისა და მისი დასჯადობის საჭიროების შესახებ. მეორე მოსამართლეს კი შეიძლება ამავე საკითხზე დიამეტრალურად სანინაალმდეგო შეხედულება

---

<sup>40</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 661.

ჰქონდეს. უფრო მეტიც: ერთი და იგივე მოსამართლე გარეშე სიტუაციის ან წუთიერი სუბიექტური განწყობის ზეგავლენით ერთსა და იმავე ქმედობას შეიძლება სულ სხვადასხვაგვარად აფასებდეს. ასეთი სხვადასხვაგვაროვნება, რა თქმა უნდა, ხელს ვერ შეუწყობდა მართლმსაჯულების სიმტკიცეს და ერთგვაროვნებას. ჯერ კიდევ 1922 წელს ვ. ი. ლენინი წერილში „ორმაგი დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“ წერდა; „კანონიერება არ შეიძლება არსებობდეს კალუგისა და ყაზანის, არამედ უნდა იყოს ერთიანი სრულიად რუსეთისა და ერთიანი საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ფედერაციისთვისაც კი“.<sup>41</sup>

ანალოგიის გამოყენება ეწინააღმდეგება აგრეთვე სისხლის სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დებულებას, რომლის თანახმად ნორმას, რომელიც ადგენს ქმედობის დანაშაულებრიობას და დასჯადობას, არ შეიძლება ჰქონდეს უკუქცევითი ძალა. ეს დებულება წინათ მოცემული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (მუხლი მე-2), ხოლო ამჟამად ფიქსირებულია სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-6 მუხლში (საქართველოს სსრ სსკ-ის მე-7 მუხლი).

აღნიშნული ნორმა უბრალო ტექნიკური ხასიათის წესი როდია. იგი სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპიდან გამომდინარეობს. იგი წარმოადგენს საბჭოთა მოქალაქის პირადი თავისუფლების ერთ-ერთ გარანტიას, იცავს საბჭოთა მოქალაქეს იმ თვითნებობისაგან, რომელიც ამა თუ იმ ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება გამოიჩინონ ხელისუფლების ერთეულმა წარმომადგენლებმა. იგი ერთ-ერთი პირობაა საბჭოთა მართლმსაჯულების სამართლიანობისა თუ კანონმა წინასწარ არ გამოაცხადა ქმედობა დასასჯელად, არ არსებობს მართლსაწინააღმდეგო ქმედობა, არ არსებობს კანონისადმი დაუმორჩილებლობა: მოქალაქემ არათუ არაფერი იცოდა ქმედობის აკრძალულობისა და დასჯადობის შესახებ,

---

<sup>41</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 428.

არამედ მას არც შეეძლო სცოდნოდა, ვინაიდან თვით ამკრძალავი კანონი არ არსებობდა. და თუ თვით სისხლის სამართლის კანონსაც კი არ შეიძლება ჰქონდეს უკუქცევითი ძალა, მით უმეტეს დაუშვებელია ასეთი ძალა მიეცეს იმ ნორმას, რომელსაც მოსამართლე ქმნის.

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი უარყოფდა იმას, რომ ანალოგიის შეფარდებით მოსამართლე სამართლის ახალ ნორმას ქმნის. ეს აზრი არ არის სწორი. ანალოგია არ წარმოადგენს არსებული სამართლის ნორმის შეფარდებას, არამედ იგი სამართალში არსებული ხარვეზის შევსებაა; ვინაიდან სისხლის სამართლის კანონის ანალოგიის დროს მოსამართლე დასჯადად აცხადებს ისეთ ქმედობას, რომელიც კანონით დასასჯელი არ არის, ცხადია, ამით მოსამართლე ქმნის ახალ დანაშაულებრივ შემადგენლობას, ახალ სისხლისსამართლებრივ ნორმას, რომელსაც ამავე დროს უკუმოქმედებით ძალას ანიჭებს. მაშასადამე, ანალოგიით სასამართლო პრაქტიკას მეტი ძალა ენიჭება, ვიდრე თვით კანონს, მოსამართლეს იმის გაკეთება შეუძლია, რისი გაკეთების უფლება თვით კანონმდებელსაც კი არა აქვს.<sup>42</sup>

ანალოგიით სისხლის სამართლის კანონის შეფარდება გამართლებული არ არის სასჯელის ამოცანების თვალსაზრისითაც. როდესაც კანონმდებელი რაიმე ქმედობას წინასწარ დანაშაულად აცხადებს, ამას მოქალაქეებისათვის ზოგადი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს. მოქალაქემ წინასწარ უნდა იცოდეს, ან ყოველ შემთხვევაში მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა წინასწარ იცოდეს, რომ აღნიშნულ ქმედობას საბჭოთა სახელმწიფო დანაშაულად აცხადებს და

---

<sup>42</sup> საკვებით სამართლიანად აღნიშნავდა რუსეთის რევოლუციამდელი კრიმინალისტი ნ. ს. ტაგანცევი: „თუ ჩვენ იმასაც კი არ ვუშვებთ, რომ თვით ახალმა კანონმა აღიაროს დანაშაულად ქმედობა, რომელიც წინათ დანაშაულად არ ითვლებოდა, როგორ შეიძლება ასეთი უფლება მოსამართლეს მივანიჭოთ...“ (Н.С. Таганцев, Русское уголовное право, Лекции, т.1, 1902, გვ. 189.)

მის ჩამდენს სათანადო სასჯელით ემუქრება. სისხლისსამართლებრივი აკრძალვის განმტკიცება სასჯელის მუქარით საკმაოდ ძლიერი სტიმულია იმისათვის, რომ მერყევმა ელემენტებმა თავი შეიკავონ დანაშაულის ჩადენისაგან. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასჯელის მუქარამ სათანადო ზემოქმედება არ მოახდინა ამა თუ იმ პიროვნებაზე, საბჭოთა სახელმწიფო საჭიროდ თვლის ამ მოქალაქის მიმართ სასჯელის გამოყენებას. სისხლის სამართლის კანონის ანალოგიით გამოყენების დროს სასჯელის მუქარის ეს ზოგადი განაფრთხილებელი ამოცანა არ ხორციელდება. მოქალაქემ არათუ არაფერი იცოდა სასჯელის მუქარის შესახებ, არამედ მას არც შეიძლებოდა სცოდნოდა, ვინაიდან სასჯელის დამდგენი კანონი სრულიად არ არსებობს.

ანალოგიის მომხრეთა ის მოსაზრება, რომ კანონით გაუთვალისწინებელ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობათა დასჯის შეუძლებლობა დიდ საფრთხეს წარმოადგენს სოციალისტური საზოგადოებისათვის, არ შეიძლება სერიოზულ არგუმენტად ჩაითვალოს ანალოგიის სასარგებლოდ. ჯერ ერთი, არა ყოველი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის კრიმინალიზაცია, როგორც დავინახეთ, უნდა ჩაითვალოს აუცილებლად. ქმედობის დანაშაულად გამოცხადების დროს მხედველობაში მიიღება, გარდა საზოგადოებრივი საშიშროების მომენტისა, მთელი რიგი სხვა გარემოებანი, რომელთა შორის მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასჯელის გამოყენების მიზანშეწონილობა. მეორე, კიდევაც რომ *de lege ferenda* ყოველმხრივად დასაბუთებული იყოს რაიმე საზოგადოებრივად საშიში ქმედობის დასჯადობის აუცილებლობა, ეს უნდა გააკეთოს არა უშუალოდ მოსამართლემ, არამედ კანონმდებელმა. საბჭოთა კანონმდებელი საკმაოდ სწრაფი და მოქნილია იმისათვის, რომ დროულად შეავსოს სისხლის სამართლის კოდექსში ნამდვილად არსებული ხარვეზი და გამოაცხადოს დასასჯელად კანონით გაუთვალისწინებელი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელსაც უწყებულ სოციალურ-პოლიტიკურ ვი-

თარებაში მიზანშეწონილია ვებრძოდეთ სასჯელის და არა სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ზემოქმედების სხვა ღონისძიების მეშვეობით. ის ზიანი, რაც შეიძლება გამოიწვიოს ასეთი ქმედობების დაუსჯელობამ ახალი კანონის გამოცემამდე, მეტად უმნიშვნელო იქნება, ყოველ შემთხვევაში, გაცილებით უფრო ნაკლები, ვიდრე ის, რაც შეიძლება მოჰყვეს მათ დასჯადობას მოსამართლის თავისუფალი მიხედულებით.

სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისა და საბჭოთა მართლმსაჯულებაში მისი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით საბჭოთა კანონმდებლობამ კომუნიზმისაკენ გარდამავალ პერიოდში უარი განაცხადა ანალოგიაზე. 1958 წლის საფუძვლების მე-3 მუხლში მითითებულია: „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ე. ი. ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა“. ანალოგიური მითითება მოცემულია დანაშაულის ცნების განსაზღვრებაშიც: „დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა..., აგრეთვე სოციალისტური მართლწესრიგის ხელმყოფი სხვა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით“.

ამგვარად, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მტკიცედ დამკვიდრდა პრინციპი *nullum crimen, nulla poena sine lege* — არ არის დანაშაული, არ არის სასჯელი კანონის გარეშე.

მართლწინააღმდეგობის ნიშანი შეაქვთ დანაშაულის ცნების განსაზღვრებაში სახალხო დემოკრატიული ქვეყნების კოდექსებსაც.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 1951 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლით „დანაშაულად ითვლება

საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), ჩადენილი ბრალეულად და კანონის მიერ დასჯადად გამოცხადებული“.<sup>43</sup>

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის 1961 წლის კოდექსით, „დანაშაულებრივ ქმედობად ითვლება საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომლის ნიშნები მითითებულია ამა კანონში“ (§3, ა.1).

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის 1961 წლის კოდექსით, „დანაშაულად ითვლება საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომლის ჩადენისათვის კანონი ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნას...“ (§2, პ.3).

დანაშაულებრივი ქმედობის მართლწინააღმდეგობა თავის კონკრეტულ გამოსახულებას პოულობს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში, სადაც აღწერილია ცალკეულ დანაშაულთა შემადგენლობანი. ყოველი ქმედობა, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას შეესაბამება, მართლწინააღმდეგოა, თუ არ არსებობს რაიმე განსაკუთრებული გარემოება, რომელიც ქმედობის მართლწინააღმდეგო ხასიათს გამორიცხავს. პირიქით, თუ ქმედობა სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის რომელიმე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს არ შეესაბამება, ასეთი ქმედობა არ არის მართლწინააღმდეგო და, მაშასადამე, არ არის დანაშაული.

---

<sup>43</sup> აღსანიშნავია, რომ 1948 წელს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იყო სისხლის სამართლის კანონის ანალოგია, მაგრამ შემდგომ სახალხო კრების 1956 წლის 3 თებერვლის დადგენილებით ანალოგია გაუქმდა. ანალოგია გაუქმდა აგრეთვე რუმინეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 1951 წლის 29 თებერვალს.



### წვ. საზოგადოებრივი საშიშროება, მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა

როგორც უკვე აღნიშნული იყო, საზოგადოებრივი საშიშროება ქმედობის ობიექტური თვისებაა. იგი არსებობს რეალურ სინამდვილეში და გამოხატავს „ურთიერთობას პირის მოქმედების ან უმოქმედობის ობიექტურ გამოვლინებასა და ობიექტურად არსებულ საზოგადოებრივ ან სახელმწიფოებრივ ნყობილებას შორის“.<sup>44</sup>

ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებაზე არ შეიძლება ვილაპარაკოთ იმ შემთხვევაში, როდესაც თვით სუბიექტი ფიქრობს, რომ იგი საზოგადოებრივად მავნე მოქმედებას ჩადის, სინამდვილეში კი ეს მისი სუბიექტური წარმოდგენა მოქმედების ობიექტურ თვისებებს არ შეესაბამება. მაგალითად, პირი უკიდურესი უვიცობისა და ცრურწმენის გამო დანაშაულის ჩასადენად შელოცვასა და სხვა მისთანებს მიმართავს, ასეთი სახის უვარგისი მცდელობა საბჭოთა სისხლის სამართლით არ დაისჯება ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობის გამო.

დანაშაულის ცნების ასეთივე ობიექტურ თვისებას წარმოადგენს მისი მართლწინააღმდეგობა. ის გარემოება, რომ ესა თუ ის ქმედობა გამოცხადებულია კანონის მიერ დასჯადად, მაშასადამე, კანონსაწინააღმდეგოა, ქმედობას ობიექტური მხრით ახასიათებს.

არ შეიძლება ვილაპარაკოთ ქმედობის მართლწინააღმდეგობაზე იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მხოლოდ სუბიექტის წარმოდგენაშია აკრძალული კანონით, სინამდვილეში კი კანონს არ ეწინააღმდეგება. მაგალითად, ვინმე ჩადის სისხლის აღრევას, ფიქრობს, რომ ეს ქმედობა კანონის მიერ დანაშაულად ითვლება. ასეთი ქმედობა მხოლოდ მოჩვენებითი დანაშაულია (*delictum putativum*), რომელიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ იწვევს.

---

<sup>44</sup> კ. ლიუტოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 217.

მეორე მხრით, პირმა შეიძლება ჩაიდინოს ქმედობა, რომელიც ობიექტურად ზიანს აყენებს სამართლით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, მაგრამ არ არის მოცული მისი ბრალით. შეიძლება თუ არა ასეთი ქმედობა საზოგადოებრივად საშიშად და მართლსაწინააღმდეგოდ ჩაითვალოს? თუ საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგი ქმედობა გულისხმობს თავის აუცილებელ ელემენტად ბრალეულობასაც? ეს საკითხი სოციალისტურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად წყდება.

პროფ. ნ. დურმანოვის აზრით, სისხლისსამართლებრივი მართლსაწინააღმდეგობა წარმოუდგენელია ბრალის გარეშე. სისხლის სამართლის კანონი კრძალავს და სჯის მხოლოდ განზრახვით ან გაუფრთხილებლობით ჩადენილ ქმედობას. „განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გარეშე ჩადენილი ქმედობა, საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით, არასდროს არ არის სისხლისსამართლებრივად მართლსაწინააღმდეგო“.<sup>45</sup>

ამავე შეხედულებას იზიარებს პროფ. ვ. კუდრიავცევი. მისი აზრით, ბრალი შეიძლება არ ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგობის ცნების აუცილებელ ელემენტად სამოქალაქო სამართალში, ვინაიდან სამოქალაქო სამართალი ცნობს პასუხისმგებლობას ბრალის გარეშეც. მაგრამ იგივე არ შეიძლება ითქვას სისხლისსამართლებრივ მართლსაწინააღმდეგობაზეც, რომელიც ყოველთვის ბრალს გულისხმობს. ვ. კუდრიავცევის მიხედვით, „ობიექტური“ მართლსაწინააღმდეგობის, ე. ი. ბრალის გარეშე მოქმედი პირის მართლსაწინააღმდეგობის ცნებას, საბჭოთა სისხლის სამართლის თვალსაზრისით, არავითარი პრაქტიკული აზრი არა აქვს, ვინაიდან მას არ შეიძლება მოჰყვეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და, მაშასადამე, იგი მოკლებულია სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას“.<sup>46</sup> უფრო მეტიც, ვ. კუდრიავცევი თვლის, რომ „ობიექტური მართლსაწინააღმდეგობის ცნებამ შეიძლება არასასურველი

<sup>45</sup> Н.Д. Дурманов, Понятие преступления, Изд. АН СССР, М., 1948, гл. 202.

<sup>46</sup> В.Н. Кудрявцев, О противоправности преступления, "Правоведение" 1959, №61, гл. 69.

დასკვნები გამოიწვიოს“. «ადამიანის „არაბრალეული“ მოქმედების აღიარებიდან სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით „მართლსაწინააღმდეგოდ“ ერთი ნაბიჯია მისი „ექვსის ქვეშ დატოვებამდე“ ან იქამდე, რომ იგი ამა თუ იმ ხარისხით პასუხისმგებლად ვცნოთ დანაშაულისათვის, რომელიც მას სინამდვილეში არ ჩაუდენია»<sup>47</sup>

ჩვენი აზრით, ეს შეხედულება არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ზოგჯერ საზოგადოებრივად საშიშად და მართლწინააღმდეგად თვლის ისეთ ქმედობებსაც, რომელნიც სუბიექტის ბრალის გარეშე არიან ჩადენილი და, მაშასადამე, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევენ. საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-3 მუხლის თანახმად, „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, . . . ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა“.

მაშასადამე, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა შეიძლება ჩადენილ იქნეს განზრახვისა და გაუფრთხილებლობის, ე. ი. ბრალის გარეშე და ასეთ შემთხვევაში იგი პასუხისმგებლობას არ იწვევს. ამავე საფუძვლების მე-11 მუხლის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ეკისრება იმ პირს, რომელიც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეურაცხაობის მდგომარეობაში...“. შეურაცხი პირი არ შეიძლება ბრალეულად მოქმედებდეს, მაგრამ მან შეიძლება ჩაიდინოს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ობიექტურად საზოგადოებრივად საშიში ქმედობა. ასეთი ქმედობის ჩადენა არ წარმოადგენს საფუძველს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და დასჯადობისათვის, მაგრამ იგი არის საფუძველი სამედიცინო ხასიათის

---

<sup>47</sup> В. Н. Кудрявцев, О противоправности преступления, "Правоведение" 1959, №61, გვ. 69.

იძულებითი ღონისძიების გამოყენებისა. ამაზე პირდაპირ მიუთითებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლი: „იმ პირების მიმართ, რომლებმაც შეურაცხადობის მდგომარეობაში ჩაიდინეს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა... სასამართლოს შეუძლია შეუფარდოს სამედიცინო ხასიათის... იძულებითი ღონისძიებანი...“.

ამავე შეხედულებას ადგია საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაც, საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასამართლო პლენუმის 1944 წლის 13 ივლისის დადგენილებაში დანილოვის საქმეზე მითითებულია, რომ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი მიზნად ისახვენ არა მარტო ავადმყოფის მკურნალობას, არამედ აგრეთვე „საზოგადოების დაცვას ავადმყოფის საშიში ქმედობებისაგან, რომლებიც მან ჩაიდინა თავისი ავადმყოფური მდგომარეობის გამო“.<sup>48</sup> საკითხს იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ ნყვეტს მხოლოდ სასამართლო სამსჯავრო სხდომაზე. „...როგორც თვით აღიარება სოციალური საშიშროების ფაქტისა, რაც იძულებითი ღონისძიების გამოყენებას მოითხოვს, ისე ამ ღონისძიების შერჩევა სოციალური საშიშროების ხარისხის შესაბამისად, მოითხოვს სასამართლოსაგან მთელი რიგი სასამართლო მოქმედების შესრულებას, რომლებიც მოსამზადებელ სხდომაზე ვერ იქნება შესრულებული...“<sup>49</sup>

ამ დადგენილების კომენტირების დროს პროფ. მ. ისაევი აღნიშნავდა: „სწორედ ის გარემოება, რომ შეურაცხმა პირმა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ჩაიდინა, აიძულებს საბჭოთა კანონს დააკისროს რეაგირება ამ მოქმედებაზე სასამართლოს და არა რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოს. მხოლოდ სასამართლოს შეუძლია ავტორიტეტულად დაადგინოს, ჩაიდინა თუ არა საზოგადოდ შეურაცხმა პირმა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა“.<sup>50</sup>

<sup>48</sup> იხ. М.М. Исаев, Вопросы уголовного права и уголовного процесса в судебной практике Верховного Суда СССР, М., 1948, გვ. 43.

<sup>49</sup> იქვე, გვ. 41.

<sup>50</sup> იქვე, გვ. 45.

იგივე უნდა ითქვას აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ.

არის სხვა შემთხვევებიც, როცა სისხლის სამართალს ესაჭიროება საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის ცნების ობიექტური გაგება. სახელდობრ, ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას არ გამორიცხავს შესაცხადი პირის შეცდომა თავისი მოქმედების საზოგადოებრივ საშიშროებაში. ისევე, როგორც პირის არასწორი წარმოდგენა საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობაზე არ გადააქცევს ქმედობას, რომელიც მართლწინააღმდეგობას და საზოგადოებრივ საშიშროებას არ შეიცავს, საზოგადოებრივად საშიშად და მართლსაწინააღმდეგოდ, პირის არასწორი წარმოდგენაც, თითქოს მისი მოქმედება მართლსაწინააღმდეგო და საზოგადოებრივად საშიშია, არ სპობს ამ მოქმედების ამგვარ ხასიათს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ აუცილებელი მოგერიება სულით ავადმყოფთა წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, აუცილებელი მოგერიება კანონით ნებადართულია მხოლოდ საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო მოქმედების წინააღმდეგ. საბჭოთა ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით ნებადართულია აუცილებელი მოგერიება სულით ავადმყოფთა წინააღმდეგ, აგრეთვე იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც ბრალის გარეშე მოქმედებს (ე. ი. მოჩვენებითი მოგერიების წინააღმდეგ). აქედან გამომდინარეობს, რომ მოქმედება შეიძლება არ იყოს ბრალეული და, მიუხედავად ამისა, იყოს საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო.<sup>51</sup>

---

<sup>51</sup> საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო ისეთი შეხედულება, თითქოს აუცილებელი მოგერიების უფლება სულით ავადმყოფის თავდასხმის წინააღმდეგ მხოლოდ იმ პირს აქვს, ვინც არ იცის, რომ თავდამსხმელი შეურაცხვეაუნაროა. ხოლო თუ პირმა იცის, რომ თავდამსხმელი შერაცხვეაუნარიანია, მაშინ მას არ შეუძლია გაიმართლოს თავი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობით. „მისი მოქმედება, მიმართული უშუალო საფრთხის წინააღმდეგ, კვალიფიცირებულ უნდა იქნეს როგორც ჩადენილი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში“

მაშასადამე, არ მართლდება ვ. კუდრიავცევის სიტყვები, თითქოს საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის ობიექტური გაგება პრაქტიკული თვალსაზრისით სისხლის სამართალს არაფერი არ აძლევს. არც ის არის სწორი, თითქოს ასეთი გაგებიდან ობიექტურ შერაცხვამდე ერთი ნაბიჯია, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ცალკეული წინამძღვრების შინაარსის დადგენის დროს არ უნდა დავივინყოთ, რომ იზოლირებულად აღებული ერთი რომელიმე წინამძღვარი არასდროს არ მოგვცემს პასუხისმგებლობის საკითხის სწორ გადანყევტას. ცხადია, პასუხისმგებლობის საკითხი ვერ გადანყდება ვერც მარტოოდენ საზოგადოებრივი საშიშროების და მართლწინააღმდეგობის საფუძველზე, ვინაიდან დანაშაულის ცნება ამ ორი ნიშნით არ ამოიწურება, არამედ, ქმედობის ობიექტურ საზოგადოებრივ საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის გარდა, აუცილებელია კიდევ ბრალის არსებობაც. მხოლოდ საზოგადოებრივად საშიში, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედობა ინვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას და არა მართლსაწინააღმდეგო ქმედობა თავისთავად.

---

(И.И. Слуцкий, *Обстоятельства исключающие уголовную ответственность*, Изд. Л.-го универс., Л., 1956, გვ. 49.). ამ შეხედულებამ შეიძლება პრაქტიკულად მიუღებელ დასკვნებამდე მიგვიყვანოს. ცნობილია, რომ უკიდურესი აუცილებლობის დროს არ შეიძლება გადაარჩინო ტოლფასოვანი სიკეთე, არამედ გადარჩენილი სიკეთე უთუოდ მეტი ღირებულებისა უნდა იყოს, ვიდრე დაზიანებული. ასეთი მოთხოვნა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობისათვის არ არსებობს. და თუ სულით ავადმყოფთა თავდასხმისაგან დაცვას განვიხილავთ როგორც უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას და არა აუცილებელ მოგერიებას, მაშინ ისეთ სიტუაციაში, როდესაც პირი, რომელსაც სულით ავადმყოფი მოკვლით ემუქრება, თავდაცვის მიზნით კლავს მას, რათა თავი იხსნას აუცილებელი სიკვდილისაგან, ასეთი პირი, სლუცკის თეორიით, დაისჯება, ვინაიდან მან გადაარჩინა ტოლფასოვანი და არა უფრო მეტი სიკეთე.

გარდა ამისა, თავდამსხმელის მოქმედების ხასიათი არ შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს იმისდა მიხედვით, ჯანმრთელად თვლის მას მომგერიებელი თუ ავადმყოფად. თავდამსხმელის შეცდომა თავდამსხმელის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ვერ გადააქცევს არამართლზომიერ მოქმედებას მართლზომიერად.

ის გარემოება, რომ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება არ შეიცავს ბრალის მომენტს, სხვაგვარადაც შეიძლება დამტკიცდეს. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად, განზრახვა გულისხმობს პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის მიმართ. მაშასადამე, პირს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ მისი ქმედობა ზიანს აყენებს სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს ან ემუქრება მათ. თუ ბრალი საზოგადოებრივი საშიშროების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია (მაშასადამე, მთლიანობის ერთი ნაწილია), როგორღა შეიძლება იყოს იგი ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივ საშიშროებასთან (რომელიც ბრალსაც გულისხმობს), მაშასადამე, დამოკიდებულება თავის თავთან. ცხადია, ბრალი მხოლოდ იმიტომ გულისხმობს საზოგადოებრივი საშიშროების შეგნებას, რომ ამ უკანასკნელ ცნებას მისგან დამოუკიდებელი შინაარსი აქვს.

ამგვარად, საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა, რომლებიც გამოხატავენ ქმედობის ობიექტურ წინააღმდეგობას სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და მართლწესრიგისადმი, ბრალის ცნებისაგან განსხვავებით, რომელიც გამოხატავს დამნაშავეის შინაგან, ფსიქიკურ დამოკიდებულებას მის მიერ ჩადენილი ქმედობის ფაქტიური ნიშნებისა და მისი საზოგადოებრივი საშიშროებისადმი, ობიექტური შინაარსის შემცველი ცნებებია.

ამიტომ სავსებით სწორად მიუთითებს პროფ. პიონტკოვსკი, რომ საზოგადოებრივი საშიშროება — „ყოველი დანაშაულის ობიექტური საზოგადოებრივი თვისებაა“<sup>52</sup> და რომ „დანაშაული თავისი ობიექტური საზოგადოებრივი თვისებების მიხედვით არა მარტო საზოგადოებრივად საშიში, არამედ იმავე დროს მართლწინააღმდეგო ქმედობაცაა“.<sup>53</sup>

მაგრამ ნიშნავს თუ არა ის ფაქტი, რომ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა დანაშაუ-

<sup>52</sup> А.А. Пионтковский, Учение о преступлении, 1961, гв. 155-156.

<sup>53</sup> იქვე, გვ. 159.

ლის ობიექტურ დახასიათებას წარმოადგენენ და შეიძლება არსებობდნენ ბრალის გარეშეც, იმას, რომ მათზე მსჯელობის დროს არასდროს არავითარი სუბიექტური მომენტები არ შეიძლება იქნენ მხედველობაში მიღებულნი?

ასეთ დასკვნას აკეთებს უნგრელი კრიმინალისტი ლასლო ვიშკი საზოგადოებრივი საშიშროების (და არა მართლწინააღმდეგობის) ცნების მიმართ. მისი აზრით, „დანაშაულის შემადგენლობის ზოგიერთი ნიშანი მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივი საშიშროების ცნების ფორმირებაში, ხოლო სხვა ნიშნები — ბრალის ცნების ფორმირებაში, მაშასადამე, ამ თვალსაზრისით შეიძლება და საჭიროცაა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები. ხოლო ეს განსხვავება, პირველ რიგში, იმაში მდგომარეობს, რომ დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ ნიშნებს ჩვენ განვიხილავთ როგორც ისეთ ნიშნებს, რომლებიც გამოხატავენ ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას, ხოლო სუბიექტურ ნიშნებს — როგორც ისეთებს, რომლებიც გამოხატავენ ბრალს და მის ხარისხს“.<sup>54</sup>

ჩვენი აზრით, ის დებულება, რომ საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა დანაშაულის ობიექტურ დახასიათებას წარმოადგენენ და განსხვავებული უნდა იქნენ ბრალისაგან, აგრეთვე ის დებულება, რომ საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა შეიძლება არსებობდნენ ბრალის გარეშეც, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ცნებათა „ფორმირებაში“, როგორც ამას ლასლო ვიშკი ამბობს, დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური ნიშნები არასდროს არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდნენ. პირიქით, არსებობს მთელი რიგი შემთხვევები, როცა დასკვნა ქმედობის ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროების და მართლწინააღმდეგობის არსებობაზე თუ არარსებობაზე შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ გათვალისწინებული იქნება მოქმედების მიზანი.

---

<sup>54</sup> ლ. ვიშკი, დასახ. ნაშრომი.



აქ უპირველეს ყოვლისა, უნდა იქნეს მითითებული, რომ გარემოებანი, რომლებიც გამორიცხავენ ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას და მართლწინააღმდეგობას, მარტო მაშინ ჩაითვლებიან ასეთ გარემოებებად, თუ პირი მართლზომიერი მიზნით მოქმედებდა. ავილოთ, მაგალითად, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ნორმები აუცილებელი მოგერიების შესახებ. აუცილებელი მოგერიება არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მოქმედება ჩადენილია საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების, მომგერიებლის ან სხვა ადამიანის პიროვნებისა და უფლებების დაცვის მიზნით. ამგვარად, აუცილებელი მოგერიება წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშ ქმედობასთან ბრძოლის საშუალებას. მომგერიებელი მოქმედებს მართლწინააღმდეგო თავდასხმისაგან მართლზომიერი ინტერესის დაცვის მიზნით. ასეთივე მართლზომიერი მიზანი ამოქმედებს პიროვნებას უკიდურესი აუცილებლობის დროს.

აუცილებელი მოგერიებისა და უკიდურესი აუცილებლობის შესახებ არსებულ სისხლისსამართლებრივ დადგენილებათა ანალიზს იმ დასკვნამდე მივყვართ, რომ ერთ-ერთი მომენტი, რომელიც მხედველობაში მიიღება ქმედობის მართლზომიერებაზე თუ მართლწინააღმდეგობაზე მსჯელობის დროს, ეს არის მოქმედების მიზანი. მოქმედებანი, რომლებმაც ობიექტურად ერთნაირი შედეგები გამოიწვიეს, შეიძლება განხილულ იქნენ როგორც საზოგადოებრივად საშიში ან, პირიქით, საზოგადოებრივად სასარგებლონი იმ მიზნის მიხედვით, რომლებისათვის ისინი არიან ჩადენილი. მაგალითად, ადამიანის მკვლელობა სხვა ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში თავდასხმის მოგერიების მიზნით, განიხილება როგორც მართლზომიერი მოქმედება, ჩადენილი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. მაგრამ ადამიანის მკვლელობა, თუნდაც ამით ობიექტურად თავიდან იქნეს აცილებული სხვისი მართლწინააღმდეგო თავდასხმით შექმნილი საშიშროება ადამიანის სიცოცხლისათვის, საზოგადოებრივად საშიში იქნება,

თუ მის მიზანს ამ მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის აცილება არ წარმოადგენდა.

საზღვარგარეთის სასამართლო პრაქტიკაში იყო ასეთი შემთხვევა: გერმა მოკლა მამინაცვალი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში აწამებდა თავის ცოლს (მკვლელის დედას) და მის შვილებს პირველი ქორწინებიდან. მკვლელობა ჩადენილი იყო ღამით, ბნელ ოთახში, იმ დროს, როცა მამინაცვალი თავზე დადგომოდა თავის ცოლს და ეჩხუბებოდა მას. იმ მომენტში, როდესაც გერმა მამინაცვალს წალდი ჩაართყა, გავარდა ტყვია, რომელიც კედელს მოხვდა. როგორც შემდეგ გამოიკვია, მამინაცვალს ხელში ეჭირა რევოლვერი, რომლითაც ცოლის მოკვლას აპირებდა. წალდის დარტყმამ, რომელმაც მამინაცვალი სიცოცხლეს გამოასალმა, მკვლელის დედა სიკვდილს გადაარჩინა.

მოყვანილი მაგალითის მთელი ობიექტური სურათი მთლიანად შეესაბამება მართლზომიერი აუცილებელი მოგერიების პირობებს. ადგილი აქვს რეალურ, უშუალო, საზოგადოებრივად საშიშ, მართლსაწინააღმდეგო თავდასხმას ადამიანის სიცოცხლეზე, მოგერიების ინტენსივობა არ აღემატება თავდასხმის ინტენსივობის ფარგლებს. და მაინც მკვლელის მოქმედება აუცილებელ მოგერიებად ვერ ჩაითვლება: მკვლელმა არ იცოდა იმ საშიშროების შესახებ, რომელიც დედამისს ემუქრებოდა, ვინაიდან სიბნელეში მისთვის დამიზნებული რევოლვერი არ დაუნახავს. მკვლელობა ჩადენილი იყო უკვე დიდი ხნის წინათ მიღებული გადაწყვეტილების განსახორციელებლად — გაეთავისუფლებინა ოჯახი ბოროტი მამინაცვლისაგან და არა დედის სიცოცხლის გადასარჩენად. ამგვარად, მოქმედების მიზანმა განაპირობა ქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი.

ჩვენი აზრის დასამტკიცებლად შეიძლება სხვა მაგალითიც მოვიყვანოთ. ვინმემ ოთახის ფანჯარა გაზით მონამლული ბავშვის სიცოცხლის გადასარჩენად შეამტვრია. ასეთი ქმედობა მართლზომიერი და საზოგადოებრივად სასარგებლოა, იგი უკიდურესი აუცილებლობის აქტს წარმოადგენს, ვინაიდან

ჩადენილია საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის განსახორციელებლად. მაგრამ თუ იგივე მოქმედება ჩადენილია ბინის გაქურდვის მიზნით, იგი არ ჩაითვლება უკიდურესი აუცილებლობის აქტის განხორციელებად, თუნდაც ოთახში სუფთა ჰაერის შემოსვლის შედეგად ბავშვი, რომელსაც გაზის მონამვლისაგან სული ეხუთებოდა, სიკვდილს გადარჩეს. ობიექტურად ამ შემთხვევაშიც სასარგებლო შედეგია მიღწეული. მაგრამ ვინაიდან ქურდი მოქმედებდა სხვისი ქონების მოპარვის და არა ბავშვის გადარჩენის მიზნით, ამიტომ მისი მოქმედება საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგოა.

ამგვარად, ორივე შემთხვევაში საკითხი მოქმედების მართლზომიერებისა თუ მართლწინააღმდეგობის შესახებ წყდება მისი მიზნის გათვალისწინებით. შეიძლება მოვიყვანოთ მრავალი სხვა მაგალითი იმის დასადასტურებლად, რომ მოქმედების მიზანს მნიშვნელობა აქვს მისი საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლზომიერების დასადგენად, მაგრამ ვფიქრობთ, ნათქვამიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ მიზნის მართლზომიერებას შეუძლია გადააქციოს სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე მუხლით გათვალისწინებული და სხვა შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო ქმედობა — მართლზომიერ და არასაზოგადოებრივად საშიშ ქმედობად.

მაგრამ მოქმედების მიზნის მნიშვნელობა მართლწინააღმდეგობის საკითხისათვის მისი მხოლოდ ამ ნეგატიური ფუნქციით როდი ამოიწურება. სისხლის სამართლის კოდექსში გვხვდება მთელი რიგი ისეთი შემადგენლობები, რომელთა დანაშაულებრიობას სწორედ გარკვეული არამართლზომიერი მიზანი ასაბუთებს, ხოლო ამ მიზნის არარსებობის შემთხვევაში მოქმედება ან სულ არ არის დანაშაული ან კიდევ უმართლობის სხვა ტიპს (დანაშაულის სხვა შემადგენლობას) წარმოადგენს.

ასეთია, მაგალითად, მითვისების მიზანი ქონების გატაცების დროს. თუ ვინმემ სხვისი ქონება ამ მიზნის გარეშე აიღო (მაგალითად, დროებითი ხმარების მიზნით) გატაცების დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება. ეს მოქმედება სრულიად

არ იქნება დანაშაული ანდა შესაძლებელია მან მოგვეცეს (სათანადო პირობებში) თვითნებობის შემადგენლობა. ასევე არამესაკუთრის კანონიერ მფლობელობაში მყოფი პირადი ქონების დაკავება მისაკუთრების მიზნის გარეშე არ შეიძლება ჩაითვალოს 155-ე მუხლით გათვალისწინებულ მითვისებად – სხვისი ბავშვის მოტაცება ქონებრივი გამორჩენის მიღების მიზნით ან სხვა ქვენა გრძნობებით არ ჩაითვლება დანაშაულად.

ზოგჯერ გარკვეული მიზანი ქმედობის უფრო დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას აფუძნებს და ქმედობას უფრო მძიმე დანაშაულად აქცევს. მაგალითად, სახელმწიფოს წარმომადგენლის მკვლელობა, ჩადენილი ომის პროვოკაციის ან საერთაშორისო გართულების მიზნით, უფრო დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას აფუძნებს და ქმნის უმართლობის სულ სხვა სახეს (ტერორისტული აქტი), ვიდრე იგივე ქმედობა, ჩადენილი ამ მიზნის გარეშე.

ის გარემოება, რომ საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის ცნებათა დადგენისათვის მნიშვნელობა აქვს სუბიექტურ მომენტსაც, სულაც არ ნიშნავს საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის ცნებაში ბრალის შეტანას. პირველი ორი ცნება მაინც წარმოადგენენ ქმედობის ობიექტურ დახასიათებას. ქმედობა საზოგადოებრივად საშიშია, ვინაიდან იგი ობიექტურად ზიანს აყენებს სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს ან ქმნის ასეთი ზიანის მიყენების შესაძლებლობას. იგი მართლწინააღმდეგია, ვინაიდან სოციალისტური სისხლის სამართალი აფასებს მას როგორც ობიექტურად შეუსაბამოს სოციალისტური მართლწინააღმდეგობისადმი. ხოლო ბრალის მომენტი გამოხატავს სუბიექტის პირად ანტისაზოგადოებრივ განწყობას, რის გამოც ეს ქმედობა მას შეერაცხება. ამგვარად, ერთი და იგივე მომენტი (მიზანი) შეიძლება მონაწილეობას იღებდეს როგორც მართლწინააღმდეგობის (საზოგადოებრივი საშიშროების), ისე ბრალის ფორმირებისათვის, მაგრამ შეფასება ამ მომენტისა მართლწინააღმდეგობისა და ბრალის ცნებათა დადგენის დროს სხვადასხვა კრიტერიუმების მეშვეობით ხდება.

საზოგადოებრივი საშიშროების გამორიცხვა  
ქმედობის მცირე მნიშვნელობის გამო

ამა თუ იმ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, როგორც დავინახეთ, წარმოადგენს ძირითად კრიტერიუმს იმ საკითხის გადასაჭრელად, საჭიროა თუ არა ქმედობის განოცხადება დანაშაულად და, თუ საჭიროა, როგორი სასჯელი უნდა იქნეს გათვალისწინებული კანონით ამ დანაშაულისათვის.

ამავე დროს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება წარმოადგენს კრიტერიუმს მოსამართლისთვისაც. ჯერ ერთი, საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს სასჯელის კონკრეტული ზომის შეფარდების დროს, როგორც პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი (საფუძვლების 32-ე მუხლი, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლის მეორე ნაწილი). და მეორე — თუ მოსამართლე დარწმუნდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე მუხლით გათვალისწინებული ქმედობა უწყებულ კონკრეტულ პირობებში საზოგადოებრივ საშიშროებას არ შეიცავს, მას უფლება არა აქვს ასეთი ქმედობა დანაშაულად ჩათვალოს.

პირველი საკითხი სასჯელის დანიშვნის ზოგად საფუძვლებს შეეხება და ამიტომ განხილულ უნდა იქნეს სასჯელის შეფარდების პრობლემასთან დაკავშირებით. მეორე საკითხზე კი აქ დანვრილებით უნდა შევჩერდეთ, ვინაიდან იგი პირდაპირ კავშირშია საზოგადოებრივი საშიშროების საკითხთან.

საფუძვლების მე-7 მუხლის მეორე ნაწილის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მეორე ნაწილის) თანახმად, „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული რაიმე ქმედობის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას“.

ამ ნორმის არსისა და მისი გამოყენების მოცულობის განსაზღვრისათვის საჭირო იქნება მისი ჩამოყალიბების ისტორიას შევეხოთ.

1925 წლის 9 თებერვალს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი იყო მუხლი მე-4<sup>ე</sup> შემდეგი შინაარსისა: „...პროკურორსა და სასამართლოს უფლება აქვთ უარი განაცხადონ სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე და აგრეთვე სისხლის სამართლის საქმე წარმოებით მოსპონ იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემული პირის ქმედობა თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედობის ნიშნებს, მაგრამ არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშრად (სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 6) თავისი უმნიშვნელობისა და შედეგების არარსებობის გამო, აგრეთვე მაშინაც, როდესაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აღძვრა ან საქმის შემდგომი წარმოება აშკარად მიზანშეუწონელია“.

ამ ნორმების შემოღების პირველ ხანებში საპროკურორო და სასამართლო პრაქტიკა მას მეტად ხშირად მიმართავდა. განსაკუთრებით ხშირად მიმართავდნენ იმ ნაწილს, რომელიც მიუთითებდა მიზანშეუწონლობის მოტივით საქმის არააღძვრის ან აღძრული საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. იყო შემთხვევები, რომ ამ მოტივით მეტად მნიშვნელოვანი დანაშაულის ჩამდენებიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარეშე რჩებოდნენ. ამის გამო რსფსრ-ის უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმი იძულებული იყო 1925 წლის 18 ნოემბრის დადგენილებით სპეციალური მითითება მიეცა სახალხო სასამართლოებისათვის აღნიშნული ნორმის უფრო შეზღუდულად გაგების და გამოყენების შესახებ. ამავე დროს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სასამართლოებს წარმოედგინათ თავისი მოსაზრებანი კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების შეტანის თაობაზე.<sup>55</sup>

---

<sup>55</sup> Н.Д. Дурманов, Понятие преступления, М., 1948, гл. 261.

სასამართლოთა მიერ წარდგენილი მოსაზრებების საფუძველზე რსფსრ-ის უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა 1926 წლის 28 ივნისს საჭიროდ სცნო სისხლის სამართლის კოდექსში ახალი მუხლის შეტანა. ამ მუხლს „შესაძლებლობა უნდა მიეცა სასამართლოსა და პროკურატურისათვის პრაქტიკულად გამოეყენებიათ საბჭოთა სისხლის სამართლისათვის დამახასიათებელი გაგება დანაშაულისა, როგორც სოციალურად საშიში ქმედობისა და არა როგორც სისხლის სამართლის კანონის ფორმალური გაგებისა, და, მაშასადამე, აღკვეთავდა იმის შესაძლებლობას, რომ პასუხისგებაში მიეცათ და საბრალდებო დასკვნა გამოეტანათ ისეთი ქმედობისათვის, რომელიც მხოლოდ ფორმალურად შეესაბამება სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის რომელიმე მუხლის ნიშნებს, მაგრამ თავისი შინაარსით არ შეიცავს სოციალური საშიშროების იმ მინიმუმს, რომელიც მე-6 მუხლის თანახმად, დანაშაულის არსებით ნიშანს წარმოადგენს“.<sup>56</sup>

აღნიშნულის შესაბამისად პლენუმმა შესაბამისი წინადადება შეიტანა რსფსრ-ის საკანონმდებლო ორგანოებში, სადაც იმ პერიოდში რსფსრ-ის მეორე სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი იხილებოდა და ამ წინადადების საფუძველზე რსფსრ-ის 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იყო მე-6 მუხლის შენიშვნა შემდეგი შინაარსისა: „არ ჩაითვლება დანაშაულად მოქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად უდგება ამა კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის რომელიმე მუხლის ნიშნებს, მაგრამ აშკარა მეორემნიშვნელოვანებისა და მავნე შედეგის არარსებობის გამო მოკლებულია საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს“. ეს ნორმა საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის უმნიშვნელოვანეს ნორმად გადაიქცა და შემდგომ იგი შეტანილ იქნა სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაში. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში, მართალია, იგი შეტანილი არ ყოფი-

---

<sup>56</sup> Сборник циркуляров и важнейших разъяснений Пленума Верховного Суда РСФСР, январь 1925-май 1926, М., 1927, გვ. 14-16.

ლა, მაგრამ ცოტა სხვაგვარი რედაქციით შევიდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მე-4<sup>o</sup> მუხლის სახით.

რა სიახლე შეიტანა რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის შენიშვნამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4<sup>o</sup> მუხლთან შედარებით?

აღსანიშნავია, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ ნორმა, რომლის თანახმად ქმედობის მცირემნიშვნელობა სპობს მის საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს, ამოღებულია საპროცესო კოდექსიდან და გადატანილია მატერიალურ სისხლის სამართლის კოდექსში. ეს სწორიცაა, ვინაიდან ეს ნორმა არსებითად ავსებს დანაშაულის ცნების მატერიალურ განსაზღვრებას, რომელიც მოცემული იყო მე-6 მუხლში. თუ ამ მუხლის თანახმად, დანაშაულად ითვლება მხოლოდ საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, მუხლის შენიშვნა, ანვითარებს რა ამ დებულებას, მიუთითებს, რომ საზოგადოებრივ საშიშროებას მოკლებული ქმედობა არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად, თუნდაც იგი ფორმალურად სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე მუხლს შეესაბამებოდეს. ასეთი ნორმის მატერიალურ-სამართლებრივ ხასიათზე მითითებული იყო ჯერ კიდევ რსფსრ-ის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიის მოხსენებაში 1925 წლის მუშაობის შესახებ. მოხსენებაში ნათქვამი იყო: „პირის ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის არსებობის თუ არარსებობის საკითხთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საკითხი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის გამოყენების შესახებ, მუხლისა, რომელიც თავისი არსით უფრო მატერიალური, ვიდრე პროცესუალური ხასიათის ნორმაა“.<sup>57</sup>

მეორე: თუ საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი უფლებას ანიჭებდა პროკურორს და მოსამართლეს არ აღეძრათ საქმე ან მოესპოთ უკვე აღძრული სისხლის სამართლის საქმე, როდესაც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობა საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს, სისხ-

---

<sup>57</sup> "Еженедельник советской юстиции", 1927, №2.



ლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის შენიშვნა ასეთ პირობებში უარყოფს თვით დანაშაულის არსებობას: მაშასადამე, პროკურორს და მოსამართლეს უფლება არა აქვთ ამ პირობებში საქმის აღძვრის, ხოლო, თუ საქმე უკვე აღძრულია, ისინი ვალდებული არიან საქმის წარმოება მოსპონ დანაშაულის არარსებობის გამო.

მესამე, მე-6 მუხლის შენიშვნაში შეტანილი არ იყო მითითება მიზანშეუნონლობის მოტივით საქმის არაღძვრის ან აღძრული საქმის შემდგომი წარმოების შეწყვეტის შესახებ. ამ პროცესუალურმა წესმა, როგორც დავინახეთ, არასასურველი შედეგები გამოიღო.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, მართალია, არ შეინარჩუნა სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანშეუნონლობით საქმის წარმოების შეწყვეტის ნორმა, მაგრამ სხვა მხრივ, იგი უფრო ახლოს იყო რსფსრ-ის საპროცესო კოდექსის მე-4<sup>ა</sup> მუხლთან, ვიდრე რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის შენიშვნასთან. სახელდობრ, მის მე-4<sup>ა</sup> მუხლში აღნიშნული იყო: „სისხლის სამართლის დევნა შეიძლება მოისპოს პროცესის ყველა სტადიაში, უკეთეს ბრალდებულის მიერ ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა თუმცა ფორმალურად შეიცავს საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ნიშნებს, მაგრამ თავისი უმნიშვნელობით და მავნე შედეგის არარსებობის გამო, ან კონკრეტული სოციალურ-პოლიტიკური გარემოცვის გამო არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებრივად საშიში ხასიათი“.

როგორც ვხედავთ, აქაც სისხლის სამართლის საქმის წარმოება შეიძლება მოისპოს და არ უნდა მოისპოს. რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4<sup>ა</sup> მუხლის მითითებას, რომ სისხლის სამართლის საქმე შეიძლება მოისპოს იმ შემთხვევაშიც, როცა ქმედობას „კონკრეტული სოციალურ-პოლიტიკური გარემოცვის გამო არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებრივად საშიში ხასიათი“, ანალოგიური ნორმა არსებობდა რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსშიც. იგი მოთავსებული იყო ამ კოდექსის მე-8 მუხ-

ლში, რომელიც აგრეთვე რსფსრ-ის უმაღლეს სასამართლოს წარდგინებით შეტანილი იყო სისხლის სამართლის კოდექსში მე-6 მუხლის შენიშვნასთან ერთად.

რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, „უკეთუ კონკრეტულმა მოქმედებამ, რომელიც მისი ჩადენის მომენტში ამა კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, დანაშაულს წარმოადგენდა, მისი გამოძიების ან სასამართლოში განხილვის დროისათვის დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი სისხლის სამართლის კანონის ან სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შეცვლის გამო, ან უკეთუ მისი ჩადენი პირი, სასამართლოს აზრით, ამ მომენტისათვის არ შეიძლება საზოგადოებრივად საშიშად ჩაითვალოს, ეს მოქმედება არ იწვევს მისი ჩადენის მიმართ სოციალური დაცვის ღონისძიების გამოყენებას“.

ამ მუხლში არსებითად სამი ნორმა იყო მოცემული:

1. ქმედობა მისი ჩადენის მომენტში საზოგადოებრივად საშიში იყო, მაგრამ საქმის სასამართლოში განხილვის მომენტისათვის მან დაკარგა საზოგადოებრივად საშიში და, მაშასადამე, დანაშაულებრივი ხასიათი სისხლის სამართლის კანონის შეცვლის გამო. ეს ნორმა ეკუთვნის კანონის უკუქცევითი ძალის სფეროს და გამოხატავს იმ დებულებას, რომ სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედობის დასჯადობას, უკუქცევითი ძალა აქვს, ე. ი. ასეთი კანონი ვრცელდება მის გამოცემამდე ჩადენილ ქმედობაზეც. ამჟამად ასეთი ნორმა მოცემულია საფუძვლების მე-6 მუხლის მეორე ნაწილში.

2. ქმედობა მისი ჩადენის დროსაც და სასამართლოში საქმის განხილვის დროსაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე მუხლით. მაგრამ თუ მისი ჩადენის მომენტში იგი საზოგადოებრივად საშიში იყო, საქმის განხილვის მომენტისათვის მან დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შეცვლის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ახალი კანონით მისი დასჯადობა გაუქმებული არ არის, ასეთი ქმედობა მაინც არ უნდა

დაისაჯოს. აქ დანაშაულის ფორმალურ მხარესთან შედარებით უპირატესობა ეძლევა მის მატერიალურ მხარეს — საზოგადოებრივ საშიშროებას. ეს ნორმა იმით განსხვავდება მე-6 მუხლში შეტანილი ნორმისაგან, რომ უკანასკნელ შემთხვევაში ქმედობა თავიდანვე, ე. ი. ჩადენის მომენტშივე მოკლებულია საზოგადოებრივად საშიშ და დანაშაულებრივ ხასიათს, ხოლო პირველ შემთხვევაში — ქმედობა მისი ჩადენის მომენტში საზოგადოებრივად საშიში იყო და მხოლოდ შემდეგ დაკარგა მან ასეთი ხასიათი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შეცვლის შედეგად. ანალოგიური ნორმა ამჟამად შეტანილია საფუძვლების 43-ე მუხლში.

3. ქმედობა მისი ჩადენის მომენტშიც და საქმის განხილვის დროსაც საზოგადოებრივად საშიშია, მაგრამ მისი ჩამდენი აღარ არის საზოგადოებრივად საშიში. საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ანალოგიურ ნორმას მე-14 მუხლში ითვალისწინებდა: „უკეთუ ბრალდებული, სასამართლოს აზრით, საქმის განხილვის დროისათვის საზოგადოებრივად საშიშ პიროვნებად არ ჩაითვლება, სასამართლოს უფლება აქვს, განაჩენში სათანადო მოტივების აღნიშვნით, სრულიად არ შეუფარდოს მას სოციალური დაცვის ღონისძიება“. ამჟამად, ეს ნორმა, ზოგიერთი ცვლილებებით, შეტანილია საფუძვლების 43-ე მუხლში.

ყოველივე ზემოთ მოტანილი ნათლად ასაბუთებს, რომ დანაშაულის მატერიალური განსაზღვრება, რომელიც დიდი ხანია არსებობს საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ნორმაა. გასაგებია ამიტომ, რომ 1958 წლის საფუძვლების პროექტის დამუშავების პერიოდში და უფრო ადრეც, საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გაბატონებული იყო ისეთი აზრი, რომ მე-6 მუხლის შენიშვნით გათვალისწინებული ნორმა აუცილებლად უნდა იქნეს გადატანილი ახალ კანონმდებლობაში. ერთგვარ ეჭვს გამოთქვამდა მხოლოდ პროფ. ნ. დურმანოვი. პროფ. დურმანოვის აზრით, „დანაშაულის მატერიალური განსაზღვრება და მისი კონკრეტიზაცია

არ არის დაკავშირებული სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში აუცილებლად ასეთი ნორმის არსებობასთან. ასეთი ნორმის არსებობა არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის მატერიალური განმარტების ერთადერთ ფორმად. ასეთი კონკრეტიზაცია შეიძლება მიღწეულ იქნეს იმ მუხლების შევსებით და დამატებით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას მომზადებისა და მცდელობისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული ნაწილის ზოგიერთ მუხლებში სათანადო შესწორებების შეტანით".<sup>58</sup>

ნ. დურმანოვის ასეთი შეხედულება განპირობებული იყო იმით, რომ მისი აზრით, „ქმედობა ან უმოქმედობა, რომლითაც უკვე შესრულებულია რაიმე დანაშაულის შემადგენლობა, ყოველ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს მცირე მნიშვნელოვნად“.<sup>59</sup> აქედან თითქოს ისეთი დასკვნა გამომდინარეობდა, რომ მე-6 მუხლის შენიშვნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მარტოოდენ დაუმთავრებელი დანაშაულის, ე. ი. მომზადებისა და მცდელობის ჩადენის შემთხვევაში. ასეთი აზრის ერთგვარ ფორმალურ საფუძველს იძლეოდა მე-6 მუხლის შენიშვნის რედაქცია: „არ ჩაითვლება დანაშაულად მოქმედება, რომელიც... აშკარა მცირემნიშვნელოვანობისა და მავნე შედეგის არარსებობის გამო მოკლებულია საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს“. ამგვარად, ნორმა მოითხოვდა ორ პირობას: ქმედობა თავისთავად უნდა ყოფილიყო აშკარად მცირემნიშვნელოვანი და მას მავნე შედეგი არ უნდა გამოენვია. სინამდვილეში ჩვენი სასამართლო პრაქტიკა, სავსებით მართებულად, არ ნავიდა ამ ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების გზით. სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ამ ნორმის გამოყენება ისეთ საქმეებზეც, რომლებიც ფორმალურად დამთავრებულ, შედეგიან დანაშაულობებს წარმოადგენენ და არა მხოლოდ მომზადებას ან მცდელობას.<sup>60</sup> აღსანიშნავია ის გარემოე-

<sup>58</sup> Н.Д. Дурманов, Понятие преступления, М., 1948, გვ. 272.

<sup>59</sup> იქვე.

<sup>60</sup> მაგალითად, მოსკინი მიცემული იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მესამე მუხლით

ბა, რომ თვით ნ. დურმანოვიც ასე რიგორისტულად არ იცავს მის მიერ წამოყენებულ დებულებას და მომდევნო წინადადებაში წერს: „ჩვენი აზრით, მცირემნიშვნელოვანობის ნიშანი შეიძლება ჰქონდეს ზოგიერთ მოსამზადებელ მოქმედებას, თანამონაწილეობის მესამეხარისხოვან ფორმებს და უვარგისი მცდელობის ზოგიერთ სახეს“.<sup>61</sup> როგორც ჩანს, პროფ. ნ. დურმანოვს მხედველობაში ჰქონდა, რომ თუ მომავალი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა ხელს აიღებდა მოსამზადებელი ქმედობის საერთო წესით დასჯადობაზე და გაითვალისწინებდა მის დასჯადობის მხოლოდ ზოგიერთი მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, აგრეთვე გაითვალისწინებდა მცირე დანაშაულში თანამონაწილეობის დაუსჯელობას, მე-6 მუხლის შენიშვნა საჭირო აღარ იქნებოდა.

ანალოგიურ აზრს გამოთქვამდა გერმანიის დემოკრა-

---

იმიტათვის, რომ 1951 წლის 10 მარტს გაიტაცა კოლმეურნეობის ყანიდან 20 კილოგრამი მარცვლეულის ნარჩენი. სსრკ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ 1952 წლის 14 მაისის განჩინებაში, რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლით შენიშვნის საფუძველზე, მოსკინის საქმის წარმოება მოსპო, თანაც მიუთითა: „მოქმედება, რომელიც ბრალად ედება მოსკინს, თუმცა ფორმალურად უდგება „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ქონების მტაცებლობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის“ შესახებ გამოცემული ბრძანებულების მე-3 მუხლს, მაგრამ აშკარა მცირემნიშვნელოვანებისა და მავნე შედეგის არარსებობის გამო მოკლებულია საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს“ („Судебная практика Верхов. Суда СССР“ 1953, №3, გვ. 5-6) ამგვარადვე უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ 1945 წლის 26 აპრილის განჩინებაში შესაძლებლად სცნო შეეფარდებინა რსფსრ 1926 წლის სსკ-ის მე-6 მუხლის შენიშვნა სკოპინცევისათვის, რომელმაც ბაზარზე ხორცის 7 პარკი მოიპარა. ამ განჩინების საფუძველად კოლეგიამ მის გარემოება მიუთითა, რომ სკოპინცევის მოქმედებას რაიმე ზიანი არ გამოუწვევია (იხ. „Судебная практика Верховного Суда СССР“ 1946, вып. 1, გვ. 30).

<sup>61</sup> იქვე. კერძოდ, თანამონაწილეთა მიმართ მე-6 მუხლის შენიშვნის შეფარდებაზე პროფ. დურმანოვი მიუთითებდა, რომ მათ იგი შეიძლება შეეფარდოთ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი მოქმედება უშუალოდ არ იყო დაკავშირებული განხორციელებული შედეგის წარმოშობასთან (იქვე, გვ. 270).

ტიული რესპუბლიკის კრიმინალისტი ჰ. გერატცი. ემყარებო-  
და რა ჩვენი სასამართლოების პრაქტიკას, საიდანაც ჩანს, რომ  
ასეთი კონფლიქტი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების  
ფორმალურად განხორციელებასა და ქმედობის საზოგადოე-  
ბრივი საშიშროების არარსებობას შორის მეტად იშვიათად  
უნდა მოხდეს, ჰ. გერატცი წერდა: „იმ საკითხის გადაჭრა, საჭი-  
როა თუ არა სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნეს  
მე-6 მუხლის შენიშვნის მსგავსი ნორმა, არსებითად დამოკიდე-  
ბული იქნება იმაზე, იქნება თუ არა მასში ზოგადი ფორმით  
დასჯადად გამოცხადებული მოსამზადებელი მოქმედება, იმა-  
ზე, თუ როგორ არის მოწესრიგებული მასში პასუხისმგე-  
ბლობა მომზადებისა და თანამონაწილეობისათვის და იმაზე,  
თუ რამდენად იქნება კონკრეტიზებული განსაკუთრებული  
ნაწილის ის დებულებები, სადაც შესაძლებელია ასეთი კოლი-  
ზიები (განსაკუთრებით, წვრილმანი გატაცება, სხეულის  
დაზიანება, სამეურნეო დანაშაულობანი და დანაშაულნი მმა-  
რთველობის წესის წინააღმდეგ)“.<sup>62</sup>

აღსანიშნავია, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მოქმედი  
სისხლის სამართლის კოდექსები მთელ რიგ შემთხვევებში  
ითვალისწინებენ საზოგადოებრივი ან ადმინისტრაციული  
ლონისძიებების გამოყენებას წვრილმან დარღვევათა მიმართ,  
რომლებიც გერატცის წერილშია მოხსენებული (წვრილმანი  
ქურდობა — საქართველოს სსრ სსკ 95-ე მუხ., ხულიგნობა —  
მუხ. 228, წვრილმანი სპეკულაცია — მუხ. 165 და მთელი რიგი  
სხვა ქმედობანი). მიუხედავად ამისა, საბჭოთა კანონმდებელ-  
მა მაინც საჭიროდ სცნო მე-6 მუხლის შენიშვნის ანალოგიური  
ნორმის შენარჩუნება.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საფუძვლების მე-7  
მუხლის მეორე ნაწილი არ იხსენიებს, როგორც საზოგადოე-  
ბრივი საშიშროების მოსპობის აუცილებელ პირობას, შედეგის  
არარსებობას. ანგარიშს უწევს რა დიდი ხნის სასამართლო  
პრაქტიკას, იგი შესაძლებლად სცნობს საზოგადოებრივი საშ-

---

<sup>62</sup> ჰ. გერატცი, დასახ. ნაშრომი, გვ. 218.

იშროების არარსებობას იმ შემთხვევაშიც, როცა შედეგი თუმცა განხორციელდა, მაშასადამე, დამთავრებული დანაშაულია ჩადენილი, მაგრამ ეს შედეგი მეტად მცირემნიშვნელოვანია.

ამგვარად, ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული რაიმე ქმედობის ნიშნებს, მაგრამ მცირემნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას“ (საფუძვლების მე-7 მუხლის მეორე ნაწილი, საქართველოს სსრ სსკ მე-8 მუხლის მეორე ნაწილი).

ის საკითხი, არის თუ არა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობა იმდენად მცირემნიშვნელოვანი, რომ იგი არ შეიძლება საზოგადოებრივად საშიშად და, მაშასადამე, დანაშაულად ჩაითვალოს, ფაქტის საკითხია და მოსამართლემ იგი უნდა გადაწყვიტოს საქმის კონკრეტულ გარემოებათა მხედველობაში მიღებით. მეცნიერებას შეუძლია შეიმუშაოს მხოლოდ ზოგიერთი საორიენტაციო დებულება, რომლებითაც შეიძლება იხელმძღვანელოს მოსამართლემ აღნიშნული საკითხის გადაჭრისას. თანაც ეს დებულებანი სწორედ რომ საორიენტაციო არიან, ხოლო მოსამართლეს შეუძლია და იგი ვალდებულიცაა შეაფასოს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი მისი ჩადენის ყველა ინდივიდუალური გარემოების გათვალისწინებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება შეფასებითი ხასიათის ცნებაა და ამიტომ იგი უშვებს სხვადასხვა ხარისხებს. მოქმედება შეიძლება იყოს დიდი საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელი, იგი შეიძლება ნაკლებად საშიშიც იყოს, დაბოლოს, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი შეიძლება ვერ აღწევდეს იმ მინიმუმამდე, რაც აუცილებელია ამ კონკრეტული ქმედობის დანაშაულებრივი ხასიათის დასაბუთებისათვის.

ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება ხარისხის განსაზღვრისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამი ძირითადი მომენტი: 1. ეს არის ის როლი, რომელიც შეასრულა

ან რომელიც შეეძლო შეესრულებინა პირის ქმედობას დანაშაულებრივი შედეგის წარმოშობაში, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შედეგისათვის ხელისშეწყობის ხარისხი ანუ ხარისხი შედეგის განხორციელების შესაძლებლობისა, რაც შექმნილია პირის მიერ; 2. იმ ობიექტის საზოგადოებრივი ღირებულება, რომელსაც ხელყოფს პირის მოქმედება და 3. ხელყოფის ობიექტის დაზიანების მოცულობა, რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნეს მოქმედებით. შევჩერდეთ ამ მომენტებზე ცალ-ცალკე.

1. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ქმედობა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს საზოგადოებრივ საშიშროებას მოკლებული იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი დამთავრებულია. მაგრამ, ცხადია, მოქმედების უმნიშვნელო საზოგადოებრივი საშიშროება უფრო ხშირად სწორედ დაუმთავრებელი დანაშაულის დროს გვხვდება. თუ მოქმედება, მიმართული საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელებაზე, იმდენად დაშორებულია იმ შედეგიდან, რომ არ ქმნის მისი განხორციელების უშუალო საფრთხეს, ასეთი ქმედობა, როგორც წესი, შეიძლება ჩაითვალოს მცირემნიშვნელოვნად და საზოგადოებრივი საშიშროების იმ მინიმალურ ხარისხს მოკლებულად, რაც აუცილებელია ამ ქმედობის დასჯადობისათვის. სწორედ ამიტომ დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედება, როგორც წესი, არ ითვლება საზოგადოებრივად საშიშად. მოსამზადებელი მოქმედების სტადიაში, როდესაც პირს ჯერ არ დაუწყია დანაშაულის შემადგენლობის უშუალო განხორციელება, საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელების ხარისხი იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია ვილაპარაკოთ სამართლით დაცულ სიკეთისათვის რეალური საფრთხის შექმნაზე. მოქმედებას, რომელიც იარაღთა და საშუალებათა შექმნაში, დანაშაულის ჩადენის პირობების შექმნაში გამოიხატება, ჯერ კიდევ არა აქვს ისეთი ქმედითი, ისეთი აქტიური ხასიათი, რომ იგი შედეგის განხორციელების პოტენციალურ შესაძლებლობას შეიცავდეს. ამავე დროს მოსამზადებელი მოქმედება ჩვეულებრივად მეტად დიდი მანძილით არის დაშორე-



ბული დანაშაულის დამთავრებისაგან და ამ მანძილზე ადვილად შეიძლება წარმოიშვან გარემოებანი, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალონ დანაშაულის ბოლომდე მიყვანას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ, მიუხედავად მოსამზადებელი მოქმედების პრინციპული დასჯადობისა, რაც ფიქსირებულია კანონში, პრაქტიკაში მომზადების დასჯადობა იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. სულ სხვა ხასიათს ატარებს, მომზადებასთან შედარებით, დანაშაულის მცდელობა. იგი უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩადენაზე და ამიტომ ქმნის დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების უშუალო შესაძლებლობას. ამიტომ, ერთი და იმავე ობიექტის ხელყოფის დროს, მცდელობა, რომელიც უფრო აქტიური და ქმედითია, როგორც საერთო წესი, საზოგადოებრივად საშიშად და დანაშაულებრივად ითვლება, მაშინ, როდესაც ამავე ობიექტის ხელყოფის მომზადება შეიძლება არ იყოს საზოგადოებრივად საშიში.

2. მაგრამ მხოლოდ ეს მომენტი, ე. ი. დანაშაულის განხორციელების შესაძლებლობის ხარისხი არ შეიძლება ჩაითვალოს გადამწყვეტად დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გადაჭრისათვის. მასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ობიექტის ღირებულებას, რომლის წინააღმდეგ მიმართულია ხელყოფა. თუ ეს ობიექტი დიდი საზოგადოებრივი ღირებულებისაა, სასამართლოს შეუძლია ცნოს მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოქმედებას არ შეუქმნია ამ ობიექტის დაზიანების უშუალო საფრთხე, მაშასადამე, როდესაც მოქმედებას არ მიუღწევია მცდელობის სტადიისათვის. მაგალითად, განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის, ყალბი ფულის დამზადების, პიროვნების წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან სოციალისტური ქონების გატაცების მძიმე შემთხვევების დროს მავნე შედეგის განხორციელების შორეულმა შესაძლებლობამაც კი შეიძლება დაასაბუთოს ქმედობის დასჯადობა და საზოგადოებრივი საშიშროება. მაშასადამე, სასამართლოს შეუძლია საზოგადოებრივად საშიშად და დასჯადად ცნოს ასეთი დანაშაულის მომზადებაც.

პირიქით, როდესაც ქმედობა მიმართულია ისეთი ობიექტის წინააღმდეგ, რომელსაც სოციალისტური მართლწესრიგის თვალსაზრისით შედარებით ნაკლები ღირებულება აქვს, ასეთ შემთხვევაში დანაშაულის განხორციელების უშუალო საფრთხეც ყოველთვის როდია საკმარისი საზოგადოებრივი საშიშროებისა და დასჯადობის დასაბუთებისათვის, და მოსამართლეს შეუძლია, მიუხედავად მცდელობის სტადიის არსებობისა, მიუყენოს ქმედობას „საფუძვლების“ მე-7 მუხლის მეორე ნაწილი. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა თუმცა არ ითვალისწინებს დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის რაიმე ფორმალურ შეზღუდვებს, მაგრამ საბჭოთა მოსამართლეს ზოგჯერ შეუძლია არ ჩათვალოს მცდელობა საზოგადოებრივად საშიშად და დანაშაულებრივად.

აღნიშნული მომენტები მხედველობაში მიიღება აგრეთვე თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროსაც. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აქაც რაიმე ფორმალურ შეზღუდვას, ე. ი. არ ითვალისწინებს, რომ თანამონაწილეობა მცირე დანაშაულში არ ისჯება. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ყოველგვარ დანაშაულში თანამონაწილეობა აღწევს საზოგადოებრივი საშიშროების ისეთ ხარისხს, რომ მისი დასჯადობა აუცილებელი იყოს. ამის თაობაზე პროფ. ა. ტრაინინი მართებულად მიუთითებდა: „...თუ თვით დანაშაულის ავტორი — ამსრულებელი — მე-6 მუხლის პენიშენის ძალით მცირემნიშვნელოვან შემთხვევებში თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, მით უმეტეს, მიზანშეუწონელია მცირემნიშვნელოვან დანაშაულთა დამხმარეებისა და დამფარავების მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში“.<sup>63</sup>

3. მესამე მომენტი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გადამჭრისათვის, არის იმ ზიანის სიდიდე, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ობიექტს ხელყოფის განხორციელების შედეგად. თუ,

<sup>63</sup> А.Н. Трайнин, Учение о состоянии, Юриздат, М., 1941, გვ. 146.

მაგალითად, ხელყოფამ მცდელობის სტადიას მიაღწია, თანაც იგი მიმართულია დიდი საზოგადოებრივი ღირებულების ობიექტის — სახელმწიფო საკუთრების წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს სუბიექტს განზრახული აქვს სულ უმნიშვნელო ზიანის მიყენება ამ საკუთრებისათვის (მაგალითად, რამდენიმე მანეთის ღირებულების საქონლის მოპარვა), სასამართლოს შეუძლია ასეთი მოქმედება მცირემნიშვნელოვნად ცნოს და საფუძვლების მე-7 მუხლი შეუფარდოს. ცხადია, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს არა იმას, რომ სახელმწიფო რეალურად ნაკლებად დაზარალდა, არამედ იმას, რომ თავიდანვე არსებობდა მცირე ზიანის მიყენების შესაძლებლობა. ამ მომენტზე მართებულად მიუთითებს პროფ. დურმანოვი, რომელიც აღნიშნავს: „თუ მოქმედება მიმართული იყო მნიშვნელოვანი ზიანის ან განუსაზღვრელი სიდიდის ზიანის მისაყენებლად, ხოლო სინამდვილეში მიყენებულია უმნიშვნელო ზიანი, არ შეიძლება ვილაპარაკოთ მცირემნიშვნელოვან ქმედობაზე...“<sup>64</sup>

ამ დებულების საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან:

ვ.-ს ბრალად ედებოდა, რომ კ.-სთან ერთად ვაგონის დათვალიერების დროს მოგლიჯა ლუქი და გააღო ვაგონის კარი, ამის შემდეგ ვ. ვაგონთან დარაჯად დადგა, ხოლო კ. შევიდა ვაგონში სახელმწიფო ქონების გატაცების მიზნით. კ.-მ მხოლოდ 5 კოლოფი პაპიროსის მოპარვა მოახერხა, ვინაიდან ვ.-მ გააფრთხილა, რომ მატარებელს უახლოვდება მატარებლის შემდგენი. ვ. დააკავეს, ხოლო კ.-მ გაქცევა მოასწრო. ვ. პასუხისმგებლობაში იყო მიცემული „სახელმწიფო და საზოგადო საკუთრების გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ 1947 წლის 4 ივნისს გამოცემული ბრძანებულების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტით, მაგრამ რკინიგზის სახალხო სასამართლომ ვ.-ს მიმართ საქმის წარმოება მოსპო. თავის განჩინებას სახალხო სასამართლომ საფუძვლად დაუ-

---

<sup>64</sup> Н.Д. Дурманов, Понятие преступления, М.-Л. 1948, გვ. 266.

დო გატაცებული ქონების უმნიშვნელო რაოდენობა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს რკინიგზის კოლეგიამ 1949 წლის 12 მაისის განჩინებით გააუქმა რკინიგზის სახალხო სასამართლოს ეს განაჩენი, თანაც მიუთითა, რომ ქონების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით გატაცების მიზეზი იყო ვაგონის შემდგენის მოქმედება, რომელმაც ხელი შეუშალა დამნაშავეებს სრული მოცულობით განეხორციელებინათ თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვა“.<sup>65</sup>

ამ მომენტის მნიშვნელობაზე სპეციალურად მიუთითა სსრკ უმაღლეს სასამართლოს პლენუმზე 1957 წლის ივნისში უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. მოროზოვმა. მან აღნიშნა, რომ ზოგჯერ სასამართლოები არასწორად უფარდებენ 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულებას „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“, ვინაიდან მხედველობაში იღებენ მხოლოდ ფაქტიურად გატაცებული ქონების ოდენობასა და ღირებულებას და ამავე დროს ყურადღებას არ აქცევენ იმ გარემოებას, რომ დამნაშავის განზრახვა მიმართული იყო გაცილებით უფრო მეტი ღირებულების ქონების გატაცებაზე, მაგრამ ეს განზრახვა ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი დამნაშავის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ნ. მოროზოვს მოჰყავს შემდეგი მაგალითი: ვინმე სოროკინი შეიპარა ბუფეტში და მოასწრო სამი კოლოფი კონსერვის, ერთი კოლოფი პაპიროსის და ერთი კოლოფი ყელეს მოტაცება. მოროზოვმა აღნიშნა: „სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო, რომ სოროკინს მიუსწრეს და დააკავეს დანაშაულის ჩადენის ადგილზე იმ მომენტში, როდესაც მან მხოლოდ დაიწყო სოციალისტური ქონების მოპარვა საქონლის ის მცირე რაოდენობა, რისი აღებაც სოროკინმა მოასწრო, არ აძლევდა სასამართლოს უფლებას მსჯავრი დაედო მისთვის სახელმწიფო ქონების წვრილმანი გატაცების გამო, რადენადაც საქმის ყველა გარემოებიდან ჩანს, რომ სო-

---

<sup>65</sup> "Судебная практика Верховного Суда СССР", 1949, №2, გვ. 20-21.

როკინის განზრახვა მიმართული იყო მეტი რაოდენობის საქონლის გატაცებაზე. ასეთ პირობებში სოროკინის მოქმედება განხილული უნდა ყოფილიყო როგორც იმ გატაცების მცდელობა, რაც გათვალისწინებულია 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით.<sup>66</sup>

ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების საკითხის გადაჭრის დროს სამივე ზემოთ მოხსენიებული მომენტი ერთობლივად უნდა გავითვალისწინოთ და არა იზოლირებულად. თანაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობის საკითხი უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია ორ უკანასკნელ მომენტთან. მაშასადამე, რაც უფრო მეტია ობიექტის საზოგადოებრივი ღირებულება და რაც უფრო დიდია შესაძლებელი ზიანის მოცულობა, დანაშაულებრივი შედეგის მით უფრო მცირე შესაძლებლობაა საკმარისი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების დასაბუთებისათვის. და პირიქით, რაც უფრო მცირეა ობიექტის საზოგადოებრივი მნიშვნელობა და შესაძლებელი ზიანის მოცულობა, მით უფრო დიდი უნდა იყოს შედეგის განხორციელების შესაძლებლობა, რომ დაასაბუთოს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება.

აღნიშნული სამი ძირითადი მომენტის გარდა, თავისთავად ცხადია, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე მთელი რიგი სხვა გარემოებანი: დანაშაულის ჩადენის დრო და ადგილი. სოციალურ-პოლიტიკური გარემოცვა, რომელშიც ჩადენილია ქმედობა, ქმედობის მიზანი, ბრალის ფორმა და ა. შ. კანონის აზრიდან გამომდინარეობს, რომ საფუძვლების მე-7 მუხლის მეორე ნაწილის შეფარდებისას მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს ძირითადად ისეთი გარემოებები, რომლებიც დანაშაულის ობიექტს და დანაშაულებრივ ქმედობას შეეხებიან. რაც შეეხება იმ გარემოებებს, რომლებიც სუბიექტის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს განსაზღვრავენ, ისინი მხედველობაში მიიღებენ მხოლოდ საფუძვ-

---

<sup>66</sup> "Бюллетень Верховного Суда СССР", 1957, №4, გვ. 16.

ლების 43-ე მუხლის გამოყენების დროს, ე. ი. როდესაც წყდება საკითხი, შეიძლება თუ არა განთავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან ის პირი, რომელიც გამოძიების ან საქმის განხილვის მომენტისათვის საზოგადოებრივად საშიში აღარ არის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლი).

საფუძვლების მე-7 მუხლის მეორე ნაწილში მოცემული ნორმის ანალოგიური ნორმა შეტანილია აგრეთვე სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 1951 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, „საზოგადოებრივად საშიში არ არის ქმედობა, რომელიც თუმცა შეიცავს კოდექსით გათვალისწინებული რაიმე დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ აშკარად უმნიშვნელოა და მავნე შედეგები არ გამოუწვევია“. ამგვარად, ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის რედაქცია თითქმის იგივეა, რაც რსფსრ-ის 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსისა.<sup>67</sup>

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, „ქმედობა, რომლის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი უმნიშვნელოა, არ წარმოადგენს დანაშაულებრივ ქმედობას იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი შეიცავს დანაშაულებრივი ქმედობის ნიშნებს“ (§3, 2). ჩეხოსლოვაკიის სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული ნორმა უფრო ახლოა საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ახალ რედაქციასთან. აღსანი-

---

<sup>67</sup> ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს აგრეთვე სხვა ნორმა (მუხლი 11), რომლის თანახმად, „არ დაისჯება ქმედობა, რომელიც თუმცა შეიცავს კოდექსით გათვალისწინებული რაიმე დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ აშკარად მცირემნიშვნელოვანია და მისი მავნე შედეგებიც აშკარად მცირემნიშვნელოვანია“. მე-7 მუხლისაგან განსხვავებით, მე-11 მუხლი გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ქმედობა არ შეიცავს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, მაგრამ არც იმდენად უმნიშვნელოა, რომ დანაშაულად არ ჩაითვალოს. ასეთი ქმედობის არსებობის შემთხვევაში, ამგვარად, გამორიცხულია არა მისი დანაშაულებრივი ხასიათი, არამედ მისი დასჯადობა.

შნავია, რომ ჩეხოსლოვაკიის 1950 წლის სისხლის სამართლის კოდექსით ასეთი ქმედობა მაინც დანაშაულად ითვლებოდა, თუმცა პროკურორს და სასამართლოს ჰქონდათ უფლება (და არა მოვალეობა) საქმის წარმოება მოესპოთ.

ანალოგიური დადგენილება არსებობს აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობაში. სახელდობრ, 1957 წლის კანონი „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის დამატების შესახებ“ მე-8 პარაგრაფში ადგენს, რომ არ ჩაითვლება დანაშაულად ქმედობა, რომელიც თუმცა ფორმალურად შეესაბამება კანონში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობას, მაგრამ არ წარმოადგენს საშიშროებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის, სოციალისტური წყობილებისათვის, მშრომელთა და ცალკე მოქალაქეთა ინტერესებისათვის მისი მცირემნიშვნელოვანების და მავნე შედეგის არარსებობის გამო. ამავე დროს ასეთი ქმედობა შეიძლება დაისაჯოს როგორც დარღვევა“.

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მოსპობა ქმედობის მცირემნიშვნელოვანობის გამო საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა. რსფსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და უმაღლესი სასამართლოს 1927 წლის 15 იანვრის სადირექტივო წერილში რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის შენიშვნის გამოყენების თაობაზე პირდაპირ მითითებული იყო ამ გარემოებაზე. „...სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის შენიშვნა, — ნათქვამია ამ წერილში, — არის მხოლოდ გამოსავალი ზოგიერთი შემთხვევისათვის. როდესაც დანაშაულის შემადგენლობისადმი ფორმალურმა მიდგომამ სასამართლო განაჩენის კანონზომიერი აქტი შეიძლება თავის საწინააღმდეგოდ გადააქციოს, ე. ი. ისეთ აქტად, რომელიც საბჭოთა სისხლის სამართლის პოლიტიკის თვალსაზრისით არსებითად ამკარად მიზანშეუწონელია“.<sup>68</sup>

---

<sup>68</sup> "Еженедельник советской юстиции", 1927, №2, გვ. 44.

აღნიშნული ნორმის შეფარდებამ განსაკუთრებით ხშირი ხასიათი მიიღო იმ პირობებში, როდესაც საბჭოთა საზოგადოებრიობა ფართოდ ჩაება დანაშაულობასთან ბრძოლაში, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო მიღებული ახალი სისხლის სამართლის კოდექსები, რომლებიც ანესრიგებენ საქმის გადაცემას საზოგადოებრივი სასამართლოებისადმი ან დამნაშავეის გადაცემას საზოგადოებრივ თავდებობაში. მას შემდეგ, რაც უკანასკნელი ინსტიტუტი სისხლის სამართლის კოდექსებში შეტანილი სპეციალური მუხლებით წესრიგდება, საფუძვლების მე-7 მუხლის მეორე ნაწილის შეფარდებას, ჩვენი აზრით, გამოყენების ისევ ვინრო ასპარეზი უნდა დარჩეს.

\* \* \*

ზემოთ ნათქვამი იყო, რომ რსფსრ-ის 1926 წლის კოდექსის მე-8 მუხლში შეტანილი ნორმები ამჟამად გათვალისწინებული საფუძვლების 42-ე მუხლში და მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების შესაბამის მუხლებში. 43-ე მუხლის შინაარსი ასეთია:

„დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მიჩნეულ იქნება, რომ გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის, ვითარების შეცვლის შედეგად, დამნაშავეის მიერ ჩადენილმა ქმედობამ დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი ან ეს პირი აღარ არის საზოგადოებრივად საშიში.

დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან, თუ მიჩნეული იქნება, რომ შემდგომი უმნიშვნელო ყოფაქცევებისა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების გამო ეს პირი სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშ პირად“.

საფუძვლების 43-ე მუხლი არსებითად სამ ძირითად დებულებას შეიცავს:

1. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს დანაშაულის ჩამდენი პირი, თუ გამოძი-



ბის ან სასამართლოში საქმის განხილვის მომენტი სათვის, ვითარების შეცვლის შედეგად, ქმედობამ დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი. ამ ნორმის შეფარდებისათვის აუცილებელია შემდეგი პირობები: ა) ქმედობა მისი ჩადენის მომენტში საზოგადოებრივად საშიში და დანაშაულებრივი იყო; ბ) საქმის გამოძიების ან სასამართლოში განხილვისათვის, ობიექტური პირობების შეცვლის გამო, ქმედობა აღარ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას; გ) მისი დასჯადობა ფორმალურად გაუქმებული არ არის, მაშასადამე, ჯერ კიდევ არსებობს სისხლის სამართლის კანონი, რომელიც დასჯადობას ითვალისწინებს, თუმცა ის პირობები, რის გამოც იგი საზოგადოებრივად საშიში იყო და რის გამოც დასჯადად გამოცხადდა, დღეს უკვე აღარ არსებობს. მაგალითად, ზოგიერთი ქმედობა, რომელიც ომიანობის პირობებში მისი საზოგადოებრივი საშიშროების გამო დასჯადად იყო გამოცხადებული (დაბნელების წესების დარღვევა და სხვ. მისთ.), დღეს უკვე აღარ შეიძლება წარმოადგენდეს დანაშაულს, ვინაიდან ის საფუძველი, რის გამოც იგი დანაშაულად გამოცხადდა, დღეს აღარ არსებობს". დანაშაულის მატერიალური (საზოგადოებრივი საშიშროების) და ფორმალური (მართლწინააღმდეგობის) ნიშნების ასეთი კოლიზიის შემთხვევაში ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა უპირატესობას აძლევს მის მატერიალურ ნიშანს, ამიტომ თუ ქმედობამ საზოგადოებრივად საშიში ხასიათი დაკარგა, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად და ინვესტდეს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. ასეთი ნორმა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, წინათ რსფსრ-ის სსკ მე-8 მუხლში იყო მოცემული (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4<sup>ა</sup> მუხლი).

2. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს აგრეთვე დანაშაულის ჩამდენი პირი, თუ ეს პირი გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის მომენტისათვის აღარ არის საზოგადოებრივად საშიში.

3. სასჯელისაგან შეიძლება გათავისუფლდეს პირი, თუ სასამართლოს მიერ მიჩნეული იქნება, რომ შემდგომი უმნიცვ-

ლო ყოფაქცევისა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების გამო ეს პირი სასამართლოში საქმის განხილვის მომენტისათვის არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშად.

საფუძვლების 43-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები არსებითად განსხვავდება მისი პირველი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში იგულისხმება შემთხვევა, როდესაც თვით ქმედობა, რომელიც მისი ჩადენის მომენტში დანაშაული იყო, საქმის გამოძიების ან განხილვის მომენტისათვის დანაშაულს არ წარმოადგენს. ამის საწინააღმდეგოდ მეორე და მესამე ნაწილში იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც პირის მიერ ჩადენილი ქმედობა საზოგადოებრივად საშიში და დანაშაულებრივია არა მარტო მისი ჩადენის, არამედ აგრეთვე მისი გამოძიების ან სასამართლოში განხილვის დროისთვის, მაგრამ თვით პირი აღარ არის საზოგადოებრივად საშიში.

მეორე და მესამე ნაწილები ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებიან, რომ მეორე ნაწილის პირობით დანაშაულის ჩამდენი პირი აღარ არის საზოგადოებრივად საშიში გარემოცვის შეცვლის გამო. ხოლო მესამე ნაწილის პირობით სასამართლოში (და არა გამოძიების დროს) დამტკიცებული უნდა იყოს, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავეს ახასიათებდა უმნიშვნელო ყოფაქცევა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულება, რაც ადასტურებს, რომ იგი უკვე გამოსწორდა და რაიმე იძულებით-აღმზრდელით ღონისძიებებს არ საჭიროებს.

საფუძვლების 43-ე მუხლის რედაქცია ჩვენ სრულყოფილად არ მიგვაჩნია.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება გარემოცვის, ე. ი. ობიექტური ვითარების შეცვლამ იმოქმედოს პირის საზოგადოებრივი საშიშროების არსებობაზე ან არარსებობაზე. ამიტომ 43-ე მუხლის პირველ ნაწილში, ჩვენი აზრით, უნდა დარჩეს მხოლოდ მითითება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ქმედობამ დაკარგა სოციალურად საშიში ხასიათი ვითარების შეცვლის გამო, ხოლო 43-ე მუხლი დარჩეს უცვლელად, როგორც ამჟამად არის.

მეორე ნაკლოვანებაც, ჩვენი აზრით, 43-ე მუხლის პირველ ნაწილს შეეხება. კანონის ტექსტის მიხედვით, თუ ქმედობამ ვითარების შეცვლის გამო დაკარგა საზოგადოებრივად საშიში, მაშასადამე, დანაშაულებრივი ხასიათი, გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს მხოლოდ შეუძლია გაანთავისუფლოს იგი პასუხისმგებლობისაგან. მაშასადამე, ეს არის არა მოვალეობა, არამედ უფლება სათანადო ორგანოებისა. მაგრამ ცხადია, თუ ქმედობა დანაშაული აღარაა, სასამართლო ან გამომძიებელი ვალდებულია გაანთავისუფლოს აღნიშნული ქმედობის ჩამდენი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორება შეეძლოთ სისხლის სამართალწარმოების საფუძვლებს, მაგრამ ამ საფუძვლებმა კიდევ უფრო გაართულეს საქმე. სახელდობრ, სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 43-ე მუხლის მე-4 აბზაცში ნათქვამია: „სასამართლო დაადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დაუნიშნავად, თუ სასამართლოში საქმის განხილვის მომენტისათვის ქმედობამ დაკარგა საზოგადოებრივი საშიშროება ან მისი ჩამდენი პირი აღარ არის საზოგადოებრივად საშიში“.

აქ გაერთიანებულია პრინციპულად განსხვავებული ორი შემთხვევა, რომელიც სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 43-ე მუხლის თანახმად, ერთნაირ შედეგებს არ უნდა იწვევდეს. სახელდობრ, სისხლის სამართლის კანონმდებლობის 43-ე მუხლის პირველი ნაწილი ლაპარაკობს, რომ „დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. მაშასადამე, აქ გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება გამოტანილ იქნეს, პირიქით საქმე შეიძლება მოისპოს უკვე გამოძიების სტადიაში. რაც შეეხება ამ საფუძვლების 43-ე მუხლის მეორე ნაწილს, სადაც პიროვნებაზეა ლაპარაკი, აქ კი მიზანშეწონილია, რომ სასამართლომ, რომელიც დარწმუნდება პირის გამოსწორებაში, გამოუტანოს ასეთ პირს გამამტყუნებელი განაჩენი, ვინაიდან დანაშაული მის მიერ ჩადენილია, მაგრამ გაანთავისუფლოს

იგი სასჯელისაგან, ვინაიდან გამოსწორებას აღარ საჭიროებს.

სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების აღნიშნული ნაკლის გამოსწორებას შეეცადნენ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები, რომლებიც ითვალისწინებენ სისხლის სამართლის საქმის მოსპობას ვითარების შეცვლის შედეგად. მაგალითად, საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით, „სასამართლოს, პროკურორს, აგრეთვე გამომძიებელს და მოკვლევის ორგანოს, პროკურორის თანხმობით, უფლება აქვთ მოსპონ სისხლის სამართლის საქმე, თუ მიჩნეული იქნება, რომ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ან სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე საქმის განხილვის დროისათვის ვითარების შეცვლის შედეგად, დამნაშავეს მიერ ჩადენილმა ქმედობამ დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი ან ეს პირი აღარ არის საზოგადოებრივად საშიში.

თუ აღნიშნული გარემოებები საქმის სამსჯავრო სხდომაზე განხილვის დროს აღმოჩნდება, სასამართლო დაადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დაუნიშნავად“.

ამ მუხლშიც ერთგვარი წინააღმდეგობაა. თუ გამოძიების სტადიაზე საქმე შეიძლება მოისპოს, ვინაიდან ქმედობა არ არის საზოგადოებრივად საშიში და დანაშაულებრივი, ცხადია, სამსჯავრო სხდომაზე საქმის განხილვისას სასამართლოს უნდა ჰქონდეს ამის უფლება და იგი გამამტყუნებელ განაჩენს არ უნდა ადგენდეს.

აღნიშნული კანონმდებლობა, ჩვენი აზრით, ერთგვარ დასკვნას მოითხოვს. სახელდობრ:

1. სისხლის სამართლის კანონმდებლობის 43-ე მუხლი უნდა იყოს მოცემული ასეთი სახით.

მუხლი 43. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან განთავისუფლება

„დანაშაულის ჩამდენი პირი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მიჩნეული იქნება, რომ

ვითარების შეცვლის შედეგად გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის, დამნაშავის მიერ ჩადენილმა ქმედობამ დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი.

დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება განთავისუფლდეს სასჯელისაგან, თუ მიჩნეული იქნება, რომ შემდგომი უმნიშვნელო ყოფაქცევისა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების გამო ეს პირი სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშ პირად“.

2. შესაბამისად სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძველების მე-5 მუხლს უნდა დაემატოს პ.10 შემდეგი შინაარსისა:

„პ.10) იმის გამო, რომ ვითარების შეცვლის შედეგად დამნაშავის მიერ ჩადენილმა ქმედობამ დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი“.

ანალოგიური პუნქტი უნდა დაემატოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლს, ხოლო ამ კოდექსის მე-6 მუხლი ამოიშალოს.

3. სისხლის სამართალწარმოების საფუძველების 43-ე მუხლის მე-4 აბზაცი უნდა შეიცვალოს შემდეგნაირად:

„გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება ემყარებოდეს ვარაუდს და დადგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის მსვლელობაში სამართალში მიცემულის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში დამტკიცებულია.

სასამართლო დაადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დაუნიშნავად, თუ მიჩნეული იქნება, რომ შემდგომი უმნიშვნელო ყოფაქცევისა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების გამო, ეს პირი სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშ პირად“.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველების 43-ე მუხლში მოცემული ნორმის ანალოგიური დადგენილებანი

გათვალისწინებულია სხვა სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 1951 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, არ გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ქმედობა, რომელიც წინათ დანაშაულად ითვლებოდა, მაგრამ შეცვლილი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო დღეს მოკლებულია საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს.

ჩეხოსლოვაკიის 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სასამართლოს შეუძლია არ შეუფარდოს დამნაშავეს სასჯელი, თუ ჩადენილი ქმედობა წარმოადგენს უმნიშვნელო საშიშროებას საზოგადოებისათვის. დამნაშავემ მოინანია მისი ჩადენა და ამჟღავნებს გამოსწორების ქმედით სურვილს და თუ ჩადენილი ქმედობისა და დამნაშავეს ცხოვრების წესის საფუძველზე სასამართლო დაასკვნის, რომ მის გამოსასწორებლად საჭიროა საქმის სასამართლოში განხილვა (§24, აბზ. 1, პ.„ა“), თუ სასამართლომ ხელი აიღო სასჯელის შეფარდებაზე, დამნაშავე მსჯავრდებულად არ ითვლება.

### *მეოთხე თავი*

## **დანაშაულთა კლასიფიკაცია**

### **§1. დანაშაულთა კლასიფიკაცია ბურჟუაზიული სისხლის სამართლის მიხედვით**

ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კოდექსები, როგორც წესი, დანაშაულებრივ ქმედობებს ყოფენ რამდენიმე ძირითად ჯგუფად იმისდა მიხედვით, თუ როგორია მათთვის დადგენილი სასჯელი. საფრანგეთის 1810 წლის კოდექსმა, პირველმა ბურჟუაზიულ კოდექსებს შორის, გაითვალისწინა დანაშაულთა სამწევროვანი დაყოფა (trixotomia), სახელდობრ, დაყოფა დანაშაულად (ვინრო მნიშვნელობით, crime), გადაცდომად (delit) და დარღვევად (contravention). აქედან ეს დაყოფა XIX და

XX საუკუნის სხვა კოდექსებში გადავიდა. ასეთ დაყოფას ითვალისწინებენ, მაგალითად, გერმანიის 1871 წლის და ავსტრიის 1852 წლის სისხლის სამართლის კოდექსები (Verbrechen, Vergehen, Übertretung), რუსეთის 1903 წლის სისხლის სამართლის დებულება (тяжкое преступление, преступление, проступок), შვეიცარიის 1937 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, საბერძნეთის 1951 წლის სისხლის სამართლის კოდექსი და სხვ.

არიან ისეთი კოდექსებიც, რომლებიც დანაშაულთა ორწევროვან კლასიფიკაციას ითვალისწინებენ. მაგალითად, იტალიის 1930 წლის სისხლის სამართლის კოდექსი (დანაშაული და გადაცდომა).

ყველა შემთხვევაში დაყოფის საფუძველი არის არა ის სასჯელი, რომელიც დაუნიშნა სასამართლომ დამნაშავეს, არამედ სასჯელი, რომელიც კანონის თანახმად დადგენილია ამ სახის დანაშაულებრივი ქმედობისათვის.

დანაშაულთა კლასიფიკაციას ზოგიერთი ბურჟუაზიული ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ნაწილობრივ პროცესუალური მნიშვნელობა ჰქონდა (განსჯადობის საკითხის გადანყვეტისათვის).

მაგრამ უფრო მეტია მისი საკანონმდებლო-ტიქნიკური მნიშვნელობა. ასეთი კლასიფიკაცია შესაძლებლობას იძლევა უფრო მარტივად იქნეს ფორმულირებული ზოგადი ნაწილის მუხლები, როდესაც კანონმდებელს, სურს გაავრცელოს ესა თუ ის დადგენილება დანაშაულთა გარკვეულ ჯგუფზე. მაგალითად, რუსეთის 1903 წლის დებულების მიხედვით, მძიმე დანაშაულის მცდელობა ისჯება ყოველთვის, დანაშაულის მცდელობა — მარტო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხოლო გადაცდომისა — არასოდეს. აქ კანონი, იმის მაგივრად, რომ სათითაოდ დაასახელოს თითოეული შემადგენლობა, რომელზედაც ვრცელდება ეს ნორმა, ასახელებს მხოლოდ ჯგუფის ტერმინს, რითაც საკანონმდებლო თვალსაზრისით ეკონომიას აღწევს. ასეთი დადგენილებები შეიძლება ითვალისწინებდნენ დამხმარის დასჯადობას, გაუფრთხილებლობის დასჯადობას და ა. შ.

## §2. დანაშაულთა კლასიფიკაცია საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობამ იმ-თავითვე მოსპო მცდელობის ან დახმარების დასჯადობის ფორმალური შეზღუდვანი. ამასთან, იგი იმ შეხედულებას დაადგა, რომ ქმედობის კონკრეტული საზოგადოებრივი საშიშროება შეიძლება გაზომილ იქნეს არა აბსტრაქტული სასჯელის, არამედ მოსამართლის მიერ არჩეული სასჯელის მიხედვით. ამიტომ ბურჟუაზიულ კოდექსებში მიღებული ფორმალური დაყოფა დანაშაულებრივი ქმედობებისა კანონით გათვალისწინებული სასჯელის ზომის მიხედვით, საბჭოთა კანონმდებლობის მიერ უარყოფილ იქნა. იგი არ შეუტანი-ათ არც სხვა სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში. იუგოსლავიის 1951 წლის სისხლის სამართლის კოდექსის შემდგენლები ასე ასაბუთებენ დანაშაულის ფორმალური სამწევროვანი დაყოფის უარყოფას: „სასჯელი — საზოგადოებრივი საშიშროების ზოგადი ზომაა, ხოლო კონკრეტული სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედობა შეიძლება იყოს მეტად თუ ნაკლებად საზოგადოებრივად საშიში... დიფერენციაცია კი შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ კონკრეტულ საზოგადოებრივ საშიშროებას... ამიტომ სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედობების დაყოფა ფორმალური კრიტერიუმის საფუძველზე არ შეესაბამება სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედობის მატერიალურ კონცეფციას“.<sup>69</sup>

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოცემული დაყოფა დანაშაულებრივი ქმედობებისა არ ემყარება ასეთ ფორმალურ კრიტერიუმს და რაიმე ტექნიკურ-იურიდიული ამოცანის გადაჭრას მიზნად არ ისახავს. სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში აქ იყო მოცემული ცდები დანაშაულთა დიდ ჯგუფებად დაყოფისა მათი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით.

<sup>69</sup> ციტირებულია ავეუსტ მუნდას შრომის მიხედვით იუგოსლავიის სისხლის სამართლის შესახებ, იხ. "Современное зарубежное право", т. I, изд. Иностр. лит., М., 1957, გვ. 517.



სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისები (1924 წლი-სა) და მათ საფუძველზე გამოცემული მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები (საქართველოს სსრ სსკ-ის 43-ე მუხლი) ყველა დანაშაულებრივ ქმედობებს ორ ძირითად კატეგორიად ყოფდნენ: 1. დანაშაულებრივი ქმედობანი, რომლებიც მიმართულია მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მიერ სსრ კავშირში დამყარებულ საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ და რომელნიც, ამის გამო, უაღრესად დიდ საშიშროებას წარმოადგენენ, და 2. ყველა სხვა დანაშაულებრივი ქმედობანი. პირველი კატეგორიის დანაშაულისათვის კოდექსით დაწესებული იყო ის უდაბლესი საზღვარი, რომლის ქვევით სასჯელის გადაწყვეტა სასამართლოს არ შეეძლო, ხოლო მეორე კატეგორიისათვის — მხოლოდ უმაღლესი ზღვარი.

აღსანიშნავია, რომ ამ დაყოფას იმთავითვე მაინცდამაინც დიდი პრინციპული მნიშვნელობა არა ჰქონდა, ვინაიდან ზოგჯერ კანონი აწესებდა მხოლოდ უმაღლეს ზღვარს მეტად მძიმე დანაშაულისათვის და, პირიქით, მხოლოდ უდაბლეს ზღვარს შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის. რაც მთავარია, ასეთ დაყოფასთან რაიმე პრინციპული სამართლებრივი შედეგები დაკავშირებული არ იყო. დროის განმავლობაში ასეთმა დაყოფამ ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგა, ვინაიდან შემდგომ გამოცემულ სისხლის სამართლის კანონებში ჩვეულებრივად უთითებდნენ სასჯელის როგორც უმაღლეს, ისე უდაბლეს ზომას.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველებში ასეთი დაყოფა აღარ არსებობს. მაგრამ ახალი კანონმდებლობა იცნობს სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულებრივ ქმედობებს, რომლებზედაც მითითებულია კანონის სხვადასხვა მუხლებში.

საფუძველების 22-ე მუხლში მითითებულია, რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთათვის (სამშობლოს ღალატი, ჯაშუშობა, დივერსია, ტერორისტული აქტი, ბანდიტიზმი, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში და სხვა

განსაკუთრებული მძიმე დანაშაული) დაშვებულია სიკვდილით დასჯა, ხოლო 23-ე მუხლში მითითებულია, რომ განსაკუთრებული მძიმე დანაშაულთათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით, მაგრამ არა უმეტეს 15 წლისა. აქედან შეიძლება ისეთი დასკვნა გავაკეთოთ, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად ითვლება ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას ან თავისუფლების აღკვეთას 10 წელზე მეტი ვადით.

საფუძვლების 23-ე მუხლი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთან ერთად ითვალისწინებს მძიმე დანაშაულის ცნებასაც (ნაწ. 2), მაგრამ ამ ცნებას არ განმარტავს. ამ ცნების განსაზღვრება ამიტომ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებშია მოცემული. მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების უმრავლესობამ ხელი აიღო მძიმე დანაშაულის ზოგად განსაზღვრებაზე და მძიმე დანაშაულთა ამომწურავი ჩამოთვლა მოგვცა. ცოტა სხვაგვარად იქცევა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლი. იგი, მართალია, იძლევა მძიმე დანაშაულთა ამომწურავ ჩამოთვლას, მაგრამ ამას მეორე ნიშანსაც უმატებს. სახელდობრ, მძიმე დანაშაულის ჩამდენად ჩაითვლება პირი, ვინც ჩაიდინა კანონში პირდაპირ მითითებული ერთერთი დანაშაული, თუ მას ამ დანაშაულისათვის მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლები ხუთი წლისა. 25-ე მუხლში მძიმე დანაშაულის ცნება მოცემულია იმასთან დაკავშირებით, რათა მითითებულ იქნეს, თუ ვის შეიძლება დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა საპყრობილეში მოთავსებით.

მძიმე დანაშაულის ცნებას საფუძვლები იმ მუხლშიც იხსენიებენ, რომელიც პირობით ვადამდე გათავისუფლების წესს განსაზღვრავს. აქაც სისხლის სამართლის კოდექსები დანაშაულთა ამომწურავ ჩამოთვლას იძლევიან, ხოლო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი (მუხლი 54) იმავე მე-

ორე ნიშანს უმატებს (ფაქტიურად მსჯავრდება თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ხუთი წლისა).

აღსანიშნავია, რომ მძიმე დანაშაულთა ჩამოთვლა, მოცემული 25-ე მუხლში, არ ემთხვევა იმ ჩამოთვლას, რაც 54-ე მუხლშია მოცემული. ეს გარემოება, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, დიდ ნაკლს წარმოადგენს: ერთი და იგივე ტერმინი ერთსა და იმავე საკანონმდებლო აქტში სხვადასხვაგვარად არის განმარტებული. ამიტომ, ჩემი აზრით, ეს ორი მუხლი აუცილებლად შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი.

მაგრამ კიდევ უფრო დიდ ნაკლი, ჩვენი აზრით, მძიმე დანაშაულთა ამომწურავი ჩამოთვლაა. ასეთ ჩამოთვლას ის ნაკლი ახასიათებს, რაც საერთოდ დამახასიათებელია კაზუისტური მეთოდისათვის; კანონმდებელს უფრო ადვილად შეიძლება გამოორჩეს რომელიმე დანაშაული, რომელიც მძიმე დანაშაულთა სიაში იყო შეტანილი ან ყოველთვის, როგორც ახალი დანაშაულებრივი შემადგენლობა იქმნება, კანონმდებელმა უნდა განსაჯოს, ხომ არ არის შესატანი იგი იმ მძიმე დანაშაულთა სიაში, რაც მოცემულია 25-ე მუხლში, ან იმ მძიმე დანაშაულთა სიაში, რომელიც მოცემულია 43-ე მუხლში.

დაბოლოს, ეს ჩამოთვლა მეტად ამძიმებს სისხლის სამართლის კოდექსის შესწავლას (ჩამოთვლას თითქმის ორი ფურცელი უჭირავს).

ჩვენ უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია ის გზა, რომელიც ვარიანტის სახით გათვალისწინებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1959 წლის პროექტის 27-ე მუხლში, მაგრამ რომელიც, სამწუხაროდ, მოქმედ კანონში არ აისახა: მძიმე დანაშაულის ცნების განსაზღვრება სასჯელის იმ ზომის მიხედვით, რაც სასამართლომ მის ჩამდენ პირს ფაქტიურად მიუსაჯა. სახელდობრ, ამ პროექტის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილში ნათქვამი იყო:

„თავისუფლების აღკვეთა საპყრობილეში მოთავსებით სასჯელის მთელი ვადით ან ნაწილობრივ შეიძლება დაენიშნოს იმ პირთ, ვისაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლებ რვა წლისა, და აგრეთვე განსაკუთრებით საშიშრეციდივისტებს“.

ამავე პროექტის 53-ე მუხლი (პირობით ვადამდე განთავისუფლება) უკვე აღარ იძლეოდა მძიმე დანაშაულის ახალ განსაზღვრას, არამედ პირდაპირ მიუთითებდა 27-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, სადაც მოცემული იყო ცნების განსაზღვრება.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების შეტანა.

გარდა განსაკუთრებით მძიმე და მძიმე დანაშაულთა ცნებებისა, მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები იცნობენ აგრეთვე ნაკლებად მნიშვნელოვანი დანაშაულის ცნებებს. ამ ცნებათა განსაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსების იმ მუხლებშია მოცემული, რომლებიც ითვალისწინებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას და საქმის გადაცემას ამხანაგურ სასამართლოში ან პირის გადაცემას საზოგადოებრივ თავდებობაში. პირველ შემთხვევაში ისინი ლაპარაკობენ მცირემნიშვნელოვან დანაშაულზე, ხოლო მეორე შემთხვევაში — დანაშაულზე, რომელიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს. ის საკითხი, თუ რა უნდა ჩაითვალოს მცირემნიშვნელოვან დანაშაულად და დანაშაულად, რომელიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში სხვაგვარად წყდება, ვიდრე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში. რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლით ამხანაგურ სასამართლოს შეიძლება გადაეცეს საქმეები შემდეგ დანაშაულთა შესახებ:

1. სხეულის განზრახ მსუბუქი დაშავება ან ცემა, რასაც ჯანმრთელობის მოშლა არ მოჰყოლია; კოლექტივში კოლექტივის წევრის შესახებ ცრუ, სახელგამტეხი ხმების გავრცელება; შეურაცხყოფა;

2. სხვა ქმედობა, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის თანახმად, ნებადართულია საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების შეფარდება (მაგალითად, სახელმწიფოსათვის ან საზოგადოე-

ბრივი ორგანიზაციისათვის მოტყუების ან ნდობის ბოროტად გამოყენების გზით ზარალის მიყენება, თუ ეს ქმედობა არ შეიცავს გატაცების ნიშნებს. ნაპოვნი ნივთის მითვისება, თუ პირმა იცის, რომ ეს ქონება ეკუთვნის სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას; სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში დატოვება და სხვ.

3. სხვა მცირემნიშვნელოვანი ქმედობა, თუ ჩადენილი ქმედობის ხასიათისა და დამნაშავეს პიროვნების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი გამოსწორება შესაძლებელია სასჯელის გამოყენების გარეშე საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების მეშვეობით.

ამგვარად, რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით 51-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტში მოცემულ ჩამოთვლას მხოლოდ სანიმუშო ხასიათი აქვს, ხოლო პრინციპულად, მე-3 პუნქტის თანახმად, ამხანაგურ სასამართლოს შეიძლება გადაეცეს განსახილველად ყოველი ქმედობა, რომელსაც მოსამართლე მცირემნიშვნელოვნად ჩათვლის. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ საკითხის გადაჭრა, მცირემნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს დანაშაულებრივი ქმედობა თუ არა, მთლიანად მოსამართლის თავისუფალ მიხედულებას ეკუთვნის.

ჩვენი აზრით, ეს წესი მეტად აფართოებს მოსამართლის თავისუფალი მიხედულების სფეროს და ხელს ვერ შეუწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას. ის, რაც ერთ მოსამართლეს, თავისი საკუთარი გამოცდილების, გამოცდების, შეხედულების მიხედვით, შეიძლება მცირემნიშვნელოვნად მოეჩვენოს, მეორემ შეიძლება მძიმე დანაშაულად ჩათვალოს. რა თქმა უნდა, ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ გარკვეულ ფარგლებში მოსამართლისათვის თავისუფალი შეხედულების მინჭებისა, მაგრამ ეს სწორედ „გარკვეულ ფარგლებში“ უნდა მოხდეს და ეს ფარგლები მხოლოდ კანონმდებელს შეუძლია დაანესოს.

ჩვენ უფრო სწორად მიგვაჩნია ამ საკითხში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პოზიცია, რომელიც

საკანონმდებლო წესით თვით განსაზღვრავს იმ დანაშაულთა წრეს, რომლებიც შეიძლება გადაეცეს განსახილველად ამხანაგურ სასამართლოებს. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის 1-ლ ნაწილში ნათქვამია: „უკეთუ პირმა ჩაიდინა მცირემნიშვნელოვანი დანაშაული, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ერთი წლისა, ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი და თუ მისი გამოსწორება შესაძლებელია სასჯელის გამოყენების გარეშე საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა მიღებით, სასამართლოს უფლება აქვს გაათავისუფლოს ასეთი პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და საქმე გადასცენ ამხანაგურ სასამართლოს განსახილველად“.<sup>70</sup>

ასეთია მცირემნიშვნელოვანი დანაშაულის ცნების განსაზღვრება საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსებში.

რაც შეეხება ისეთი დანაშაულის ცნებას, რომელიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს, ამ ცნების განსაზღვრაც საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსებში სხვადასხვაგვარად ხდება. რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსი სრულიად არ იძლევა იმ დანაშაულის განსაზღვრებას, რომელიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს. კოდექსის 52-ე მუხლში მითითებულია, რომ თუ პირის მიერ ჩადენილია დანაშაული, რომელიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს და ამასთან, ამ ქმედობას მძიმე შედეგი არ მოჰყოლია, ხოლო თვით დამნაშავის პიროვნება არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას და მან გულწრფელად მოინანია ჩადენილი დანაშაული, ასეთი პირი, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან მშრომელთა კოლექტივის შუამდგომლობით შეიძლება განთავისუფლდეს სისხლის სა-

---

<sup>70</sup> აღსანიშნავია, რომ ამ ნორმამ საბჭოთა კრიმინალისტიკების დადებითი შეფასება დაიმსახურა. მაგალითად, პროფ. ა. პიონტკოვსკი წერს: „საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსს განსახილველ საკითხში უფრო სწორი პოზიცია უჭრავს“ (А.А. Пионтковский, Учение о преступлении, М., 1961, გვ. 39).

მართლის პასუხისმგებლობისაგან და გადაეცეს თავდებქვეშ ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციას და კოლექტივს, რომელთაც შუამდგომლობა აღძრეს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი (53-ე მუხლი) აქაც თვით განსაზღვრავს, თუ როგორი დანაშაულის ჩამდენი შეიძლება მიეცეს საზოგადოებრივ თავდებობაში. სახელდობრ, 53-ე მუხლში მითითებულია, რომ ეს შეიძლება იყოს ისეთი დანაშაულის ჩამდენი, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს სამი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი.<sup>71</sup>

პროფ. ა. პიონტკოვსკის აზრით, ისეთი ქმედობანი, რომლებიც შეიძლება გადაეცეს ამხანაგურ სასამართლოს ან რომელთა ჩამდენიც შეიძლება გადაეცეს საზოგადოებრივ თავდებობაში, არ წარმოადგენენ დანაშაულს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. «ცხადია, — წერს იგი, — ამ პირობებში დანაშაულის პირველად ჩადენისას ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი არ აღწევს ისეთ დონეს, რაც საჭიროა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის. ამიტომ აქაც ჩადენილი სამართალდარღვევა წარმოადგენს არსებითად უკვე არა დანაშაულს, არამედ თავისებურ ანტისაზოგადოებრივ გადაცდომას».<sup>72</sup>

ჩვენი აზრით, ასეთი შეხედულება არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. როგორც უკვე აღნიშნული იყო, დანაშაული აუცილებლობით როდი იწვევს სასჯელს. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე განსახილველად ამხანაგურ სასამართლოს გადაეცემა ან პირი აღსაზრდელად კოლექტივს გადაეცემა, არსებობს სხვა შემთხვევებიც პირის სასჯელისა-

---

<sup>71</sup> ამ ნორმამაც დაიმსახურა მთელი რიგი კრიმინალისტიკების მოწონება. მაგალითად, პროფ. ა. პიონტკოვსკი აღნიშნავს: «ეს პოზიცია ჩვენ უფრო სწორად მიგვაჩნია, იგი უფრო შეესაბამება სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის ამოცანას» (А.А. Пионтковский, Учение о преступлении, М., 1961, გვ. 42).

<sup>72</sup> А.А. Пионтковский, Учение о преступлении, М., 1961, გვ. 49.

გან გათავისუფლებისა, მაგალითად, პირობითი მსჯავრი, პირის გათავისუფლება სასჯელისაგან იმის გამო, რომ იგი უკვე გამოსწორდა და იძულებით აღზრდას არ საჭიროებს (საფუძვლების 43-ე მუხლი) და სხვ. მაგრამ ამ პირთა მიერ ჩადენილი დანაშაული დანაშაულად რჩება. დასჯადობის ნიშანი, რომელიც დანაშაულის ცნებაში შედის, ისე უნდა გავიგოთ, რომ დანაშაულებრივ ქმედობასთან აუცილებლობით არის დაკავშირებული კანონის მუქარა და არა სასჯელის ფაქტიურად მიყენება. თუ ამ თვალსაზრისით იმ ქმედობებს განვიხილავთ, რომლებიც ამხანაგურ სასამართლოებს გადაეცემა და რომელთა ჩამდენი საზოგადოებრივ თავდებობაში მიეცემა, იქაც დანაშაულის ყველა ელემენტთან გვაქვს საქმე და, კერძოდ, ქმედობის დასჯადობის ნიშანთან.

52-ე და 53-ე მუხლების გამოყენების საფუძველი არის არა მარტო ქმედობათა მცირემნიშვნელობა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მოქმედის მიმართ სასჯელის გამოყენების მიზანშეუნონლობა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკმარისობა. ერთი და იმავე ქმედობის ჩამდენთ, ქმედობისა, რომელიც თავისი ობიექტური ნიშნებით აკმაყოფილებს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნებს, ერთს შეიძლება შეეფარდოს ეს მუხლი, მეორეს კი არა. ამა თუ იმ ქმედობის გამოცხადება დანაშაულად თუ ანტისაზოგადოებრივ გადაცდომად შეიძლება მოხდეს მხოლოდ ქმედობის ობიექტური ნიშნების მიხედვით და არა მოქმედის სუბიექტური თვისებების მიხედვით.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც დანაშაულში თანამონაწილეობის დროს სასჯელისაგან ათავისუფლებენ ზოგიერთ მონაწილეს, რომელიც ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს და შეიძლება გამოსწორდეს კოლექტივის ზემოქმედების გავლენით. ასეთ შემთხვევაში გამოვა, რომ ერთი და იგივე დანაშაულებრივი ქმედობა დანაშაულიც არის (იმ პირისათვის, ვისაც სასჯელი მიესაჯა) და ანტისაზოგადოებრივი გადაცდომაც (იმ პირის მიმართ, ვინც კოლექტივს გადაეცა აღსაზრდელად).



დაბოლოს, შეიძლება წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე პირი გადასცეს აღსაზრდელად მშრომელთა კოლექტივს. პროფ. ა. პიონტკოვსკის აზრით, ამ პირის მიერ ჩადენილი ქმედობა უნდა ჩაითვალოს არა დანაშაულად, არამედ ანტისაზოგადოებრივ ქმედობად. მაგრამ დავუშვათ, რომ თავდებქვეშ აყვანილმა პირმა არ გაამართლა კოლექტივის ნდობა და არღვევს პირობას, რომ ის სამაგალითო მუშაობით და პატიოსანი შრომით დაამტკიცებს თავის გამოსწორებას ან ასეთი პირი ტოვებს კოლექტივს, რათა თავი აარიდოს საზოგადოებრივ ზემოქმედებას. ასეთ შემთხვევაში, საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით, ის ორგანიზაცია, რომელმაც თავდებობა იკისრა, გამოიტანს გადაწყვეტილებას თავდებობაზე უარის განცხადების შესახებ და დამნაშავე პასუხისგებაში მიეცემა იმ დანაშაულისათვის, რომლის ჩადენასთან დაკავშირებით ის გადაცემული იყო თავდებქვეშ. აქ უკვე პროფ. ა. პიონტკოვსკიმ უნდა აღიაროს, რომ ქმედობას, რომელიც ერთ მომენტში დანაშაულს აღარ წარმოადგენს, უბრუნდება მისი დანაშაულებრივი ხასიათი, რაც აშკარა შეუსაბამობაა.

ამგვარად, ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში, რა თქმა უნდა, დანაშაულს აქვს ადგილი, თუმცა ეს დანაშაულობანი, ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებას შეიცავენ, ვიდრე დანარჩენი დანაშაულებრივი ქმედობანი.

მეორე ნაწილი

პირველი თავი

ბურჟუაზიული კრიმინალისტიკის მოძღვრება  
მართლწინააღმდეგობის შესახებ და მისი კრიტიკა

### §1. ბინდინგის ნორმათა თეორია

XIX საუკუნის ბოლოს ცნობილმა ბურჟუაზიულმა კრიმინალისტიკა კარლ ბინდინგმა შექმნა ეგრეთ წოდებული „ნორმათა თეორია“, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო მომდევნო მოძღვრებას მართლწინააღმდეგობის შესახებ. ბინდინგმა ეს თეორია ჩამოაყალიბა თავის ფუნდამენტალურ შრომაში „Die Normen und ihre Bbertretungen“, რომელიც პირველად გამოიცა ლაიფციგში 1872 წელს, ხოლო შემდეგ ოცჯერ მეტად იყო გამოცემული.

ბინდინგის თეორიის არსი შემდეგში მდგომარეობს:

სისხლის სამართალი არ არეგულირებს ურთიერთობებს ადამიანთა შორის. ეს ურთიერთობები მონესრიგებულია სამართლის სხვა დარგების მიერ. სისხლის სამართლის ფუნქცია ამოიწურება იმით, რომ იგი უზრუნველყოფს ნორმის საწინააღმდეგო ქმედობის დასჯადობას, ხოლო ქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი სისხლის სამართლის კანონით არ დგინდება.

დამნაშავე, ბინდინგის აზრით, არღვევს არა სისხლის სამართლის კანონს, არამედ ნორმას, რომელიც სისხლის სამართლის კანონის გარეშე არსებობს. ნორმა, რომელსაც არღვევს დამნაშავე, ლოგიკურად ყოველთვის წინ უსწრებს სისხლის სამართლის კანონს.<sup>1</sup>

დამნაშავე მოქმედებს არა სისხლის სამართლის კანონის წინააღმდეგ, არამედ ამ კანონის პირველი ნაწილის შესა-

---

<sup>1</sup> K. Binding, Die Normen und ihre Bbertretungen, 2. Aufb., 1890, s. 4.

ბამისად. იგი სწორედ იმ მოქმედებას ასრულებს, რომელიც სისხლის სამართლის კანონშია აღწერილი. მოკლედ: „ნორმა ქმნის მართლსაწინააღმდეგო, ხოლო სისხლის სამართლის კანონი — დანაშაულებრივ ქმედობას“.<sup>2</sup>

სისხლის სამართლის კანონის მეორე ნაწილში მითითებულია, რომ პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედობის ჩამდენს დაედება სასჯელი. ეს დებულება, ბინდინგის აზრით, არ შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ იმპერატივად, არამედ იგი მხოლოდ საზეიმო განცხადებაა: *ita ius esto*.<sup>3</sup>

საკითხავია, სად უნდა ვეძებოთ ნორმა, რომელსაც, ბინდინგის აზრით, დანაშაული არღვევს? ნორმების შინაარსის დადგენა, — უპასუხებს ამ კითხვაზე ბინდინგი, — შესაძლებელია სისხლის სამართლის კანონის თავისუფალი განმარტების მეშვეობით. ამისათვის საჭიროა, რომ ამ კანონის პირველი ნაწილის დებულება გარდაქმნათ ბრძანებად.<sup>4</sup> გარდა ამისა, ნორმის არსებობა შეიძლება დავასკვნათ სამართლებრივი სიკეთის დაცვის საჭიროების საფუძველზე. თანამედროვე სისხლის სამართალში ნორმები, როგორც წესი, არ არის ჩამოყალიბებული კანონში ან ადათობრივ სამართალში. ისინი კანონგარეშე დებულებებს წარმოადგენენ, კანონმდებლის ნების გამოიყვანება ამ შემთხვევაში კონკლუდენტური მოქმედების მეშვეობით ხდება.<sup>5</sup>

ქმედობა, ბინდინგის აზრით, მართლსაწინააღმდეგოა იმდენად, რამდენადაც იგი ნორმას ეწინააღმდეგება. თვით ნორმა კი საჯარო სამართალს ეკუთვნის. ამიტომ უფლება, რომ ნორმას დაემორჩილონ, ისევე როგორც მოვალეობა დამორჩილებისა, საჯარო-სამართლებრივ ხასიათს ატარებს.

ბინდინგის ნორმათა თეორიის შესახებ ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში მთელი ლიტერატურა შეიქმნა. მას ბევრი ჰყავდა როგორც მოწინააღმდეგენი, ისე მომხრენი, რომლებ-

---

<sup>2</sup> K. Binding, Die Normen und ihre Ibertretungen, 2. Aufb., 1890, s. 134.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 7-8.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 45.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 153.

მაც ბინდინგის მიერ გამოთქმული ძირითადი დებულებანი განავითარეს და მათგან ლოგიკური დასკვნები გააკეთეს.<sup>6</sup>

რა უნდა ჩაითვალოს ბინდინგის თეორიის ძირითად ნაკლოვანებად?

ჯერ ერთი, მცდარია ბინდინგის აზრი, თითქოს ამკრძალავი ნორმა ყოველთვის სამართლის სხვა დარგში არსებობს და არასოდეს არ არის მოცემული უშუალოდ სისხლის სამართლის კანონში. სად, რომელი სხვა დარგის ნორმით არის აკრძალული, მაგალითად, მამათმავლობა ან გარყვნილი მოქმედება და ა. შ.? რა თქმა უნდა, ამ, და მათთან ერთად მთელ რიგ ქმედობათა აკრძალვას ჩვენ სამართლის რომელიმე სხვა დარგში ვერ ვიპოვით. აღნიშნული ფაქტის გამო ბინდინგი, როგორც დავინახეთ, იძულებულია აღიაროს პოზიტიური სამართლის გარეშე არსებული ანუ კანონგარეშე სამართლის ნორმატიული ძალა სისხლის სამართლის სფეროსათვის. მაგრამ ბინდინგის სწორედ ეს დებულება სისხლის სამართლისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს, რადგან იმ საკითხის გადასაჭრელად, არის თუ არა ქმედობა მართლსაწინააღმდეგო, ბინდინგმა პრინციპულად დასაშვებად სცნო კანონგარეშე კრიტიერიუმების

---

<sup>6</sup> უფრო მეტიც: ერთგვარი ზეგავლენა ბინდინგმა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაზეც მოახდინა. კერძოდ, პროფ. ი. ბრანინის აზრით, „სისხლის სამართლის კანონის დისპოზიცია, როგორც წესი, არ შეიცავს ნორმას, რომელსაც ეს კანონი მოიცავს. იგულისხმება, რომ ეს ნორმა არსებობს დაუნერვლი სახით (მაგალითად, ნორმები, რომლებიც წარმოადგენენ საფუძველს მრავალი მუხლისათვის, სადაც გათვალისწინებულია პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა დასჯადობა ან მოცემულია სხვა ნორმატიულ აქტში...“ (იხ. Я.М. Брайнин, Советское уголовное право. Общая часть, вып. I, Киев, 1955, გვ. 152). იმავე შეხედულებას ი. ბრანინი ავითარებს თავის ახალ მონოგრაფიაში სისხლის სამართლის კანონის შესახებ. აქაც იგი მიუთითებს, რომ „სისხლისსამართლებრივი ნორმები სასჯელის რიდით კრძალავენ ამა თუ იმ მოქმედების წესის (ნორმების) დარღვევას, რომლებიც უშუალოდ გამოხატული არ არიან სისხლის სამართლის კანონში, არამედ დადგენილი ან სანქცირებული არიან საბჭოთა სახელმწიფოს მიერ“ (Я.М. Брайнин, Уголовный закон и его применение, М., 1967, გვ. 21). თანაც ეს ნორმები, რომლებიც სისხლის სამართლის კანონში გამოხატული არ არიან, ან სხვა საკანონმდებლო აქტებშია დადგენილი, ანდა მორალის ნორმებით (იქვე, გვ. 22).

გამოყენება. ბინდინგის ეს „ნორმები“, რომლებიც პოზიტიურ სამართალში არ არსებობენ და წინ უსწრებენ სისხლის სამართლის კანონს, სინამდვილეში არ შეიძლება სამართლებრივ ნორმებად ჩაითვალოს, ვინაიდან არ არსებობს სამართალი პოზიტიური სამართლის გარეშე და სამართლებრივი ნორმა, რომელიც პოზიტიური სამართლის წყაროთი არ არის დადგენილი. ასეთი „კანონგარეშე ნორმები“, როგორც სწორად მიუთითებს ბურჟუაზიული კრიმინალისტი რ. ჰიპელი, „საზოგადოდ არ წარმოადგენენ პოზიტიურ სამართალს, არამედ შეიცავენ მხოლოდ მათი ავტორების სუბიექტურ შეხედულებებს, ლიტონ მტკიცებას მოქმედი სამართლის სავარაუდო შინაარსის შესახებ, რასაც დამოუკიდებელი მტკიცებითი ძალა არა აქვს. რომ ამასთანავე ასეთი ნორმების შემოტანის მეთოდი უაღრესად არადამაჯერებელია, ეს თვით ბინდინგსაც რალაც საბედისწეროდ მიაჩნია“.<sup>7</sup>

მცდარია ბინდინგის ის დებულებაც, თითქოს დამნაშავე არ არღვევს სისხლის სამართლის კანონს იმის გამო, რომ იგი ამ კანონის დისპოზიციის შესაბამისად მოქმედებს. შეიძლება სწორედ ამის საპირისპირო დებულება წამოვაცენოთ: სწორედ იმით, რომ დამნაშავე მოქმედებს სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში აღწერილი ნიშნების შესაბამისად, იგი არღვევს სისხლის სამართლის კანონს. დანაშაულის შემადგენლობის შექმნით და მასთან სასჯელის მუქარის დაკავშირებით კანონმდებელი ქმნის ნორმას, რომელიც სავალდებულოა ყველა მოქალაქისათვის. მართალია, სისხლის სამართლის კანონი რედაქციულად არ არის ასე აგებული: „ქურდობა აკრძალულია, და თუ ვინმემ მოიპარა, — ასე და ასე დაისჯება“. მაგრამ ეს მხოლოდ საკანონმდებლო ტექნიკის მოსაზრებებით აიხსნება. ყველასათვის გასაგებია, რომ როდესაც სისხლის სამართლის კანონი რაიმე მოქმედებას დასჯადად აცხადებს, იგი ამით კრძალავს ამ მოქმედებას. სისხლის სამართლის კანონის ძირითადი დანიშნულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ქმნის ამკრძალავ ნორმას, იგი უკრძალავს ყველა მო-

<sup>7</sup> K. Hippel, Deutsches Strafrecht, B.I, Berlin, 1925, s. 21.

ქალაქეს განსაზღვრული მოქმედების შესრულებას. და სწორედ ამ ნორმას, ამ აკრძალვას, რაც სისხლის სამართლის კანონშია მოცემული, არღვევს დამნაშავე. ამასთან ერთად, სისხლის სამართლის ნორმა მიმართავს აგრეთვე მართლმსაჯულების ორგანოებს და აყალიბებს მათი მოქმედების წესს მოქალაქის მიერ ნორმის დარღვევის შემთხვევაში.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელსაც იცავს სისხლის-სამართლებრივი ნორმა, შეიძლება დაცული იყოს სხვა დარგის სამართლებრივი ნორმითაც. მაგალითად, საკუთრების უფლებას იცავს სამოქალაქო სამართალიც. მაგრამ ამ შემთხვევაშიც სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა თავის შინაარსს სულაც არ იღებს სამართლის ამ სხვა დარგის ნორმისაგან. მაშინაც კი, როდესაც რაიმე ქმედობა სისხლის სამართლის სფეროს გარეთაც ატარებს მართლწინააღმდეგო ხასიათს, სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა არ შეიძლება გავაიგივოთ სხვა სახის მართლწინააღმდეგობასთან. ამ შემთხვევაშიც სისხლის სამართლის სფეროში იქმნება უმართლობის ახალი ტიპი, და ეს ახალი ტიპის უმართლობა იქმნება იმით, რომ იგი აღწერილია სისხლის სამართლის კანონში როგორც დანაშაულის შემადგენლობა. როგორც სწორად მიუთითებს პროფ. ნ. დურმანოვი, „სისხლისსამართლებრივი ნორმა გამოხატავს არა ქმედობის მართლწინააღმდეგობას საზოგადოდ, არამედ საზოგადოებრივად საშიში ქმედობის სპეციფიკურ სისხლისსამართლებრივ მართლწინააღმდეგობას, რომელიც თავის ასახვას პოულობს სისხლისსამართლებრივ ნორმაში მთლიანად და არა მარტო მის სანქციაში“.<sup>8</sup>

დაბოლოს, როგორც არაერთხელ აღვნიშნავთ სისხლის-სამართლებრივ ლიტერატურაში, ბინდინგის ნორმათა თეორიას საფუძვლად უდევს დანაშაულის წმინდა ფორმალური გაგება; დანაშაული არის ურჩობა ნორმისა, ე. ი. სახელმწიფოს საჯაროსამართლებრივი ბრძანებისა. „ნორმატივიზმის,

---

<sup>8</sup> Н. В. Дурманов, Советский уголовный закон, М., 1967, гл. 102; იხ. აგრეთვე В. Н. Кудрявцев, О противоправности преступлений, "Правоведение" 1959, №1, гл. 70-71.

როგორც ბურჟუაზიული სისხლისსამართლებრივი მეცნიერების, რეაქციული მიმართულების მანკიერი და რეაქციული არსი იმაში მდგომარეობს, რომ მან გამოაძევა სამართლებრივი ნორმებიდან მათი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური შინაარსი, რომელიც გამოყავს არა საზოგადოების ცხოვრების მატერიალური პირობებიდან და გაბატონებული კლასის ნებიდან, რაც ამ პირობებით განისაზღვრება, არამედ რაღაც ტრანსცენდენტური საწყისებიდან".<sup>9</sup>

ბინდინგის ნორმათა თეორიის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს ბელინგის მოძღვრება დანაშაულის შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის შესახებ და მ. ე. მაიერის ეგრეთ ნოდებული „კულტურის ნორმების“ თეორია.

## §2. ბელინგის თეორია დანაშაულის შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის შესახებ

ბელინგმა მოძღვრებაში დანაშაულის შესახებ დანაშაულის შემადგენლობის ცნება შემოიტანა. ქმედობის შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობისადმი, მისი აზრით, წარმოადგენს დანაშაულის ცნების დამოუკიდებელ ელემენტს, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის ელემენტებთან ერთად. როგორ ესმის ბელინგს დანაშაულის შემადგენლობა და მისი დამოკიდებულება მართლწინააღმდეგობის ცნებასთან?

ბინდინგის მსგავსად, ბელინგიც ამტკიცებს, რომ დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კანონში, არ აფუძნებს ქმედობის მართლწინააღმდეგობას ხასიათს. ბელინგისთვისაც სისხლის სამართლის კანონი და ამკრძალავი ნორმა ერთმანეთისაგან გათიშულნი არიან.

„შემადგენლობა, — ლაპარაკობს ბელინგი, — წარმოადგენს იმ ნიშნების ერთობლიობას, რომლებიც მიგვიითითებენ, თუ რომელი ტიპის დანაშაულთან გვაქვს საქმე...“<sup>10</sup> „შე-

<sup>9</sup> Я.М. Браунин, Уголовный закон и его применение, М., 1967, გვ. 18.

<sup>10</sup> E. Beling, Die Lehre vom Verbrechen, Tübingen, 1906, s. 6.

მადგენლობა უნდა განისაზღვროს როგორც დანაშაულის ტიპის მონახაზი".<sup>11</sup> ქმედობის შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობისადმი, ბელინგის აზრით, წარმოადგენს დანაშაულის ზოგად, აბსტრაქტულ ნიშანს. ეს თვისება არის დანაშაულის *conditio sine qua non*.<sup>12</sup>

საინტერესოა, როგორია ბელინგისეული შემადგენლობის ცნების მოცულობა? შემადგენლობა, ბელინგის სისტემაში, მხოლოდ ქმედობის ობიექტური ნიშნების აღწერაა. მაშინაც კი, როდესაც სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში პირდაპირ მითითებულია სუბიექტურ ნიშანზე (მაგალითად, მითვისების ნიშანი ქურდობის შემადგენლობაში), ეს ნიშანი ბელინგს შემადგენლობის ელემენტად არ მიაჩნია. იგი, განზრახვასა და გაუფრთხილებლობასთან ერთად, ბელინგის აზრით, ბრალის ცნებაში შედის, ხოლო ბრალი შემადგენლობიდან გამორიცხებულია. ბრალი არის ფსიქიკური დამოკიდებულება შემადგენლობის ნიშნებისადმი, რომლებიც წმინდა ობიექტურ ხასიათს ატარებენ.

ბელინგი გამორიცხავს შემადგენლობის ცნებიდან აგრეთვე იმ ნიშნებს, რომლებიც შეფასებით ხასიათს ატარებენ. შემადგენლობას იგი მხოლოდ ფაქტიური ხასიათის გარემოებებს (*Tatumstande*) აკუთვნებს. ისეთი ნიშნები, როგორიცაა „სხვისი“ ან ნიშანი „უკანონო“, „ნებადაურთავი“ და სხვ. მისთ., რომლებიც ზოგჯერ მოხსენიებულია ხოლმე სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში, ბელინგის აზრით, შემადგენლების ნიშნები კი არ არიან, არამედ მართლწინააღმდეგობას მიეკუთვნებიან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბელინგის სისტემაში შემადგენლობა როგორც აბსტრაქტული იურიდიული წარმონაქმნი, რომელსაც წმინდა დესკრიფციული (აღწერილობითი) ხასიათი აქვს, მკვეთრად არის გამიჯნული მართლწინააღმდეგობისაგან, როგორც შეფასებითი მსჯელობისაგან. „იმის დადასტურება, რომ შესრულებულია შემადგენლობა,

<sup>11</sup> E. Beling, Die Lehre vom Verbrechen, Tübingen, 1906, s. 110.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 24.



თავისთავად არავის არ ედება ტვირთად. შემადგენლობაში არ ძვეს შეფასებითი მსჯელობა. მართალია, არსებობენ შემადგენლობანი, რომელთა განხორციელება, როგორც წესი, მართლსაწინააღმდეგოა, მაგრამ თავისთავად ტიპურობა არასდროს იძლევა მზამზარეულ დასკვნას, რომ პირი მოქმედებდა არამართლზომიერად. მართლწინააღმდეგობა — დამოუკიდებელი პრობლემაა. შემადგენლობის შესაბამისობის გამოკვლევა წმინდა ნეიტრალურ ნიადაგზე რჩება“.<sup>13</sup> მაგალითად, თუ ვინმემ კაცი მოკლა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ: მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ან ბრძოლის ველზე (ჯარისკაცის მიერ საბრძოლო ვითარებაში მტრის მოკვლა).

ამიტომ საკმარისი არ არის, რომ მოსამართლემ დაადგინოს ქმედობის შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობისადმი. ამ საკითხის გადაჭრის შემდეგ მოსამართლემ მეორე საკითხი უნდა გადაჭრას; არის თუ არა შემადგენლობის შესაბამისი ქმედობა ამავე დროს მართლსაწინააღმდეგოც? ეს უკვე მოსამართლის წმინდა შეფასებით მსჯელობაა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო შემადგენლობის არსებობასთან.

იბადება კითხვა: თუ შემადგენლობა წმინდა აღწერილობითი ხასიათისაა და მოსამართლის მსჯელობას ქმედობის მართლწინააღმდეგობის შესახებ არაფერი აქვს საერთო პირის მოქმედებაში შემადგენლობის ნიშნების არსებობასთან, მაშ რას ეფუძნება მოსამართლის შეფასებითი მსჯელობა მართლწინააღმდეგობის შესახებ? ამ საკითხში ბელინგი ცოტა სცილდება ბინდიგს. თუ ბინდიგისათვის მართლწინააღმდეგობის საკითხს სჭრიდნენ სისხლის სამართლის კანონის გარეთ არსებული ცალკეული სამართლებრივი ნორმები, ბელინგისათვის საკითხს მართლწინააღმდეგობის შესახებ ჭრის ნორმათა ერთობლიობა, ე. ი. მართლწესრიგი როგორც მთლიანობა. ხოლო შემადგენლობის როლი ამ მსჯელობისათვის მეტად მცირე

---

<sup>13</sup> E. Beling, Die Lehre vom Verbrechen, Tübingen, 1906, s. 147.

რეა. შემადგენლობა მხოლოდ ამახვილებს მოსამართლის ყურადღებას, რომ საჭიროა შესწავლილ იქნეს მართლწინააღმდეგობის საკითხი. შემადგენლობა არის „მართლწინააღმდეგობის სამხილი“.

ალსანიშნავია, რომ ბელინგის მიერ შექმნილი მოძღვრება შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის შესახებ სუბიექტურად ჯერ კიდევ არ იყო მიმართული ბურჟუაზიული კანონიერების ნგრევისა და მოსამართლის თვითნებობის დანერგვისაკენ. როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილი იურისტი კარლ პოლაკი მიუთითებდა, პირიქით, ბელინგის შრომა "Die Lehre am Verbrechen" დაწერილი იყო სოციალოგიური სკოლის წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა დაეცვა სისხლის სამართლის პოლიტიკა ამ სკოლის გამანადგურებელი ზეგავლენისაგან. ბელინგისათვის „სისხლის სამართალი არ უნდა გამხდარიყო თვითნებობის სამართლად, სისხლის სამართალს არ უნდა წართმეოდა თავისი ფუნქცია — იყოს სამართლებრივი გარანტიების გამტარებელი — რაც სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლებიდან გამომდინარეობს. ყოველი ქმედობა როდი შეიძლება გახდეს საფუძველი მოსამართლის შეფასებითი მსჯელობისა, არამედ მხოლოდ ადამიანის ქცევის განსაზღვრული ტიპის შესაბამისი ქმედობა, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში“.<sup>14</sup>

და მაინც ბელინგის თეორია ამ მხრივ კიდევ უფრო მეტ საფრთხეს ქმნის, ვიდრე ბინდინგის თეორია. ბელინგი, ისევე როგორც ბინდინგი, უარყოფს დანაშაულის შემადგენლობის, ე. ი. სისხლის სამართლის კანონის როლს მართლწინააღმდეგობის შესახებ შეფასებითი მსჯელობისათვის. ამ მსჯელობის საფუძველს კანონს გარეშე მდებარე მოსაზრებები წარმოადგენენ, იდეა მართლწესრიგისა მთლიანად. უკვე თავისთავად ეს იძლევა კანონიერების რღვევის საფუძველს. მაგრამ დიდი

---

<sup>14</sup> К. Полак, Учение о составе преступления в буржуазной уголовно-правовой литературе, "Советское государство и право", 1940, №12, гв. 75.

ნაბიჯი ამ მიმართულებით გადადგა ბურჟუაზიულმა კრიმინალისტმა მ. ე. მაიერმა, რომელმაც „მართლწესრიგის“ მაგივრად მსჯელობაში მართლწინააღმდეგობის შესახებ გადამწყვეტი როლი მიანიჭა უკვე არა სამართლის, არამედ ეგრეთ წოდებულ „კულტურის ნორმებს“.

### **§3. მ. ე. მაიერის თეორია მართლწინააღმდეგობის, როგორც „კულტურის ნორმების“ დარღვევის შესახებ**

„დანაშაულის შემადგენლობისადმი შესაბამისობა და მართლწინააღმდეგობა, — ლაპარაკობს მ. ე. მაიერი, — მკვეთრად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან... სისხლის სამართლის სისტემატური ჩამოყალიბება მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს მიღწეული, როდესაც ეს ორი საკითხი: შეესაბამება თუ არა განსაზღვრული ქმედობა დანაშაულის შემადგენლობას და ეწინააღმდეგება თუ არა იგი ნორმას, ცალ-ცალკე იქნება განხილული“.<sup>15</sup> მართლწინააღმდეგობა, მაიერის აზრით, არ წარმოადგენს მოქმედების და, მასთან ერთად, დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს. „იგი არ ხორციელდება არც გარე სამყაროში, არც მოქმედი პირის შინაგან სამყაროში. მართლწინააღმდეგობა არის მსჯელობა, შეფასებითი პროცესი; ის ხორციელდება მოსამართლის შინაგან სამყაროში“.<sup>16</sup> ბელინგის მსგავსად, მ. ე. მაიერიც ამტკიცებს, რომ ქმედობის შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობისადმი არის მხოლოდ ინდიცია, ე. ი. „მართლწინააღმდეგობის შეცნობის საფუძველი. ისინი ეკუთვნიან ერთმანეთს როგორც კვამლი და ხანძარი“.<sup>17</sup> კვამლი შეიძლება მიგვიითითებდეს ხანძრის არსებობაზე, მაგრამ იგი სულაც არ არის მისი არსებობის საფუძველი.

---

<sup>15</sup> M. E. Mayer, Der Allgemeine Teil des deutschen Strafrechts, Heidelberg, 1915, s. 9-10.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>17</sup> იქვე.

დანაშაულის შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის გათიშვის დროს მ. ე. მაიერი ბინდინგის ნორმათა თეორიას ემყარება. სისხლის სამართლის კანონი, მისი აზრით, შეიცავს ბრძანებას მხოლოდ მართლმსაჯულების ორგანოებისადმი და არა მოქალაქეებისადმი. ამით მ. ე. მაიერი სრულიად უგულებელყოფს სისხლის სამართლის კანონის ძირითად ფუნქციას — განსაზღვროს მოქალაქეთა მოქმედების წესი და პირველ ადგილზე მისი მეორედი ფუნქცია გადმოაქვს.

თვით ნორმას, ე. ი. ბრძანებას და აკრძალვას, რომელსაც არღვევს მოქალაქე და რომლის დარღვევაც ქმნის მის მოქმედებას მართლსაწინააღმდეგოდ, მ. ე. მაიერი სისხლის სამართლის კანონის გარეთ ეძებს. მაგრამ, ამ მხრივ, იგი უფრო შორს მიდის, ვიდრე ბინდინგი და ბელინგი. თუ ბინდინგისათვის ნორმა, რომელსაც არღვევს დამნაშავე, მაინც სამართლის ნორმას წარმოადგენდა (თუმცა არა ყოველთვის პოზიტიური სამართლის ნორმას), თუ ბელინგის აზრით, გადამწყვეტია მართლწესრიგი, როგორც მთლიანობა, მ. ე. მაიერის აზრით, „...მართლწინააღმდეგობის რეალური განსაზღვრა შეიძლება მოიძებნოს მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ ისეთ თვალსაზრისს დავადგებით, რომელიც სამართლის გარეშე ძევს...“<sup>18</sup> „მართლსაწინააღმდეგო ისეთი ქმედობაა, რომელიც სახელმწიფოს მიერ აღიარებულ კულტურის ნორმებს შეესაბამება“.<sup>19</sup> რას წარმოადგენს ეს „კულტურის ნორმები“, რომლებსაც მ. ე. მაიერი საფუძვლად უდებს მსჯელობას მართლწინააღმდეგობის შესახებ? „კულტურა“, მაიერის აზრით, არის ადამიანის ყოველგვარი საქმიანობა, მიმართული ბუნების დაუფლებაზე, ადამიანთა მისწრაფებების და მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. კულტურის ნორმები წარმოიშობიან საერთო საზოგადოებრივი ინტერესების ნიადაგზე და წარმოადგენენ „აკრძალვებს და ბრძანებებს, რომელთა მეშვეობით საზოგადოება მოითხოვს მისი ინტერესებისათვის შესატ-

<sup>18</sup> M.E. Mayer, Der Allgemeine Teil des deutschen Strafrechts, Heidelberg, 1915, s. 179.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 180.

ყვისი მოქმედების შესრულებას".<sup>20</sup> ისინი იმ მასალას წარმოადგენენ, საიდანაც კანონმდებელი ქმნის სამართლის, კერძოდ, სისხლის სამართლის ნორმებს.<sup>21</sup>

როგორც ამ გადმოცემიდან ჩანს, მოსამართლის სუბიექტივიზმის სფერო მაიერის სისტემაში განუსაზღვრელად გაფართოებულია. დანაშაულის შემადგენლობა, ე. ი. სისხლის სამართლის კანონი არ წყვეტს საკითხს მართლწინააღმდეგობის შესახებ. ეს საკითხი მოსამართლის შინაგანი რწმენის საგანს წარმოადგენს. ხოლო ამ შინაგანი რწმენის საფუძველი არის არა სამართალი, არამედ სამართალგარეშე მოსაზრებანი.

ეს შეხედულება შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ რეაქციულ კლასობრივ ხასიათს ატარებს. იგი თეორიულად ასაბუთებს სისხლის სამართლის კანონის უგულებელყოფას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაჭრისას. იგი ფართო გასაქანს აძლევს მოსამართლის სუბიექტურ შეხედულებას. აღნიშნული თეორიის კლასობრივი არსის გაგებისათვის საკმარისია შევამოწმოთ, თუ პრაქტიკულად როდის ხდება მისი გამოყენება. როგორც თვით ბურჟუაზიული კრიმინალისტიკები მიუთითებენ, მართლწინააღმდეგობის პრობლემის ასეთ გაგებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ შემთხვევებში, როდესაც საკითხი ეხება კერძო მენარმეთა განთავისუფლებას პასუხისმგებლობისაგან იმ „უბედური შემთხვევებისათვის“, რომელთაც ადგილი აქვს წარმოებაში. მტკიცება, რომ შემადგენლობა მართლწინააღმდეგობას არ ასაბუთებს, შესაძლებლობას აძლევს ბურჟუაზიულ მოსამართლეს გაამართლოს საწარმოს პატრონი სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის, იმაზე მითითებით, რომ საწარმოს პატრონის მოქმედება, რომლებითაც დანაშაულებრივი შედეგია გამოწვეული, არ

---

<sup>20</sup> M.E. Mayer, Der Allgemeine Teil des deutschen Strafrechts, Heidelberg, 1915, s. 44.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 49. მთლიანი მოძღვრება კულტურის ნორმების შესახებ მ. ე. მაიერს მოცემული აქვს 1903 წელს გამოცემულ წიგნში.

ენინაალმდეგება მართლწესრიგს მთლიანად, არ ეწინააღმდეგება „კულტურის ნორმებს“ და ამიტომ არ არის მართლსაწინააღმდეგო.

ასე, მაგალითად, ბურჟუაზიული კრიმინალისტი ჰ. ტარნოვსკი პირდაპირ მიუთითებდა, რომ „უმეტეს შემთხვევაში, როდესაც, მაგალითად, მუშა განიცდის ზიანს საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევისაგან მანქანის მართვის დროს, საწარმოს პატრონის დასჯას, რა თქმა უნდა, არ უნდა დაისაჯოს“.<sup>22</sup> ამიტომ ჰ. ტარნოვსკის აზრით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის წინამძღვრები ისე უნდა იქნეს ფორმულირებული, რომ „შესაძლებელი იყოს გამოვრიცხოთ მწარმეთა პასუხისმგებლობა საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევისათვის, როგორც წესი მაინც“.<sup>23</sup>

თუმცა დანაშაულის შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხში მ. ე. მაიერის თეორია ბელინგის შეხედულების განვითარებას წარმოადგენდა, მაგრამ შემადგენლობის ცნების მოცულობა მაიერს უფრო ფართოდ ესმის, ვიდრე ბელინგს. კერძოდ, მ. ე. მაიერმა განავითარა შეხედულება დანაშაულის შემადგენლობის ნორმატიული ელემენტების შესახებ. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ბელინგი გამორიცხავდა შემადგენლობის ცნებიდან ნორმატიულ, ანუ შეფასებით ელემენტებს. ყოველგვარი ნიშანი, რომელიც წმინდა ფაქტიურ ხასიათს არ ატარებს, ეკუთვნის, ბელინგის აზრით, არა შემადგენლობის, არამედ მართლწინააღმდეგობის ცნებას. ამის საწინააღმდეგოდ, მ. ე. მაიერმა აღიარა შემადგენლობის „ნორმატიული“ ელემენტების არსებობა. ასეთ ელემენტებად მას მიაჩნია შემადგენლობაში შეტანილი ისეთი ნიშნები, რომლებიც მიზეზობრივ კავშირში არ არიან დამნაშავეს ნებასთან, არ წარმოიშობა მის მიერ. ასეთია, მაგალითად, ნიშანი „სხვისი“ ქონება ქურდობის შემადგენლობაში, გავრცელებული „ფაქტის შეუსაბამობა

<sup>22</sup> H. Tarnowski, Die systematische Bedeutung der adäquaten Kausalitätstheorie für den Aufbau des Verbrechensbegriffs, Berlin, 1927, s. 255.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 256.

ჭემმარიტებასთან“ ცილისნამების შემადგენლობაში. ის ფაქტი, რომ წართმეული ნივთი „სხვისი“ საკუთრებაა, არ არის მიზეზობრივად გამოწვეული ქურდის მიერ. გავრცელება ჭემმარიტების შეუსაბამის ფაქტებისა — ეს ცილისმნამებლის საქმეა, მაგრამ ის, რომ ფაქტი ჭემმარიტებას არ შეესაბამება, ეს უკვე „გამოწვეული“ არ არის ცილისმნამებლის მიერ. „ნორმატიული ნიშნები“ არ აღიქმებიან ჩვენი გრძნობების მიერ და არ მიმდინარეობს გარე სამყაროში, არამედ არსებობენ მხოლოდ სამართლის სფეროში. მათ შეფასებითი მნიშვნელობა აქვთ.<sup>24</sup> „ამ ნორმატიულ ელემენტებს, რომლებიც, ერთი მხრივ, კანონით დადგენილ შემადგენლობას ეკუთვნიან, ხოლო, მეორე მხრივ — მართლწინააღმდეგობას, ორმაგი ხასიათი აქვთ: ისინი წარმოადგენენ შემადგენლობის ნორმატიულ და ამიტომ არანამდვილ (unechte) ელემენტებს და მართლწინააღმდეგობის ნამდვილ ელემენტებს“.<sup>25</sup> შემადგენლობის ელემენტები ისინი არიან იმდენად, რამდენადაც ახასიათებენ შემადგენლობაში აღწერილ ქმედობას და მასთან ერთად განუყრელ მთლიანობას წარმოადგენენ. მაგრამ შემადგენლობის არანამდვილი, ხოლო მართლწინააღმდეგობის ნამდვილი ელემენტები არიან იმდენად, რამდენადაც, ისინი, შემადგენლობის სხვა ნიშნების მსგავსად, მართლწინააღმდეგობის ინდიციას კი არ წარმოადგენენ, არამედ აფუძნებენ მსჯელობას მართლწინააღმდეგობის შესახებ.

მართალია, მ. ე. მაიერმა პირველმა დაასაბუთა შემადგენლობის ნორმატიული ნიშნების არსებობა, მაგრამ არსებითად მისი თვალსაზრისი არც იმდენად განსხვავდება ბელინგის შეხედულებისაგან, რამდენადაც ამ ნიშნებს იგი შემადგენლობის მხოლოდ „არანამდვილ ელემენტებად“ თვლის და, პირიქით, ისინი მართლწინააღმდეგობის ნამდვილ ელემენტებად მიაჩნია. არ არის სწორი მაიერის მითითება, რომ შემადგენლობის ფაქტიური ელემენტები მხოლოდ ინდიციას წარმოად-

<sup>24</sup> M.T. Mayer, Der Allgemeiner Teil..., s. 182-184.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 182. .

გენენ მართლწინააღმდეგობისათვის, და მარტო ნორმატიული ელემენტები ასაბუთებენ მსჯელობას მართლწინააღმდეგობის შესახებ.

დანაშაულის შემადგენლობის ფაქტიური და შეფასებითი ელემენტები, ერთად აღებულნი, ასაბუთებენ მართლწინააღმდეგობას (და არ წარმოადგენენ მხოლოდ მის ინდიციას). მ. ე. მაიერის მიერ შემადგენლობის ელემენტების გაყოფა ფაქტიურ ელემენტებად, რომელნიც მართლწინააღმდეგობის მხოლოდ ინდიციას წარმოადგენენ, და ნორმატიულ ელემენტებად, რომლებიც მართლწინააღმდეგობას აფუძნებენ, გამომდინარეობს იქიდან, რომ მაიერი თიშავს გარე სამყაროს და სამართლებრივ სამყაროს, თანაც ამ უკანასკნელს იგი აკუთვნებს „მოსამართლის მსჯელობას ქმედობის შესახებ“.<sup>26</sup>

მეორე დებულება, რომლითაც მ. ე. მაიერის თეორია განსხვავდება ბელინგის შეხედულებისაგან, არის დებულება მართლწინააღმდეგობის სუბიექტური ელემენტების შესახებ. ბელინგისათვის მსჯელობა მართლწინააღმდეგობის შესახებ დანაშაულის მხოლოდ ობიექტურ ნიშნებს ემყარებოდა. როგორც უკვე ითქვა, ყოველგვარი სუბიექტური ელემენტი, ბელინგის მიხედვით, ეკუთვნის ბრალს და არა მართლწინააღმდეგობას. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სუბიექტური ელემენტების მნიშვნელობაზე ობიექტური მართლწინააღმდეგობის ცნებისათვის თავდაპირველად მიუთითა 1911 წელს ი. ნაგლერმა თავის შრომაში — "Der heutige Stand der lehre von der Ruhtswidrigkeit", მაგრამ შემდგომ ეს საკითხი დაამუშავა და განავითარა მ. ე. მაიერმა. ამ უკანასკნელმა მიუთითა, რომ მთელ რიგ შემთხვევაში საკითხი ქმედობის მართლწინააღმდეგობის შესახებ არ შეიძლება გადაწყდეს ქმედობის მიზნის გარეშე. ეს დებულება მაიერმა განაზოგადა და დაასაბუთა, რომ არსებობენ მართლწინააღმდეგობის სუბიექტური ელემენტები, რომლებიც არ არიან ამავე დროს ბრალის

<sup>26</sup> ბურჟუაზიული სისხლის სამართლის ლიტერატურაში მ. ე. მაიერის შეხედულების საფუძვლიანი კრიტიკა მოცემული აქვს შვეიკერტს (იხ. H. Schweikert, Die Wandlungen der Tatbestandslehre seit Beling, 1957, ss. 44-45).



არც ნამდვილი და არც არანამდვილი ელემენტები. მართალია, მაიერს ეს სუბიექტური ელემენტები შემადგენლობის ცნებაში არ შეაქვს და ამიტომ იგი არ სცილდება ბელინგის მოძღვრებას შემადგენლობაზე, როგორც წმინდა ობიექტური ნიშნების შემცველ ცნებაზე, მაგრამ მართლწინააღმდეგობის სუბიექტური ელემენტების აღიარებით მან უკვე შესაძლებელი გახადა შემადგენლობის ნიშნების ბელინგისეული ობიექტური სტრუქტურის შეცილება. შემდგომი განვითარება მართლწინააღმდეგობის სუბიექტური ელემენტებისა მოცემულია უკვე ზაუერისა და მეცგერის შრომებში.

მაიერის თეორიის გადმოცემის დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ მაიერის მოძღვრებაში უკვე აშკარად გამოხატულია კანონიერების რღვევის ტენდენცია, რომელიც განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაძლიერდა. „ომისმერმინდელი იმპერიალიზმის სისხლისსამართლებრივი დოგმატიკა, აგებული მაიერის მოძღვრებაზე, უკვე სრულიად აღარ ცნობს აბსტრაქტულ, სავალდებულო, ყოველგვარ პოზიტიურ კანონზე მაღლა მდგომ პრინციპებს. სამართლის არსი მდგომარეობს კონკრეტული ინტერესის დაცვაში, რომლის დაცვასაც სახელმწიფო საჭიროდ თვლის. მისწრაფება სწორედ ამ კონკრეტული ინტერესის შენარჩუნებისაკენ ანიჭებს კანონს მის სავალდებულო ძალას, განსაზღვრავს მის შინაარსს და მოქმედების ფარგლებს. სამართალი კი არ ბატონობს კონკრეტულ ინტერესებზე, არამედ, პირიქით, კონკრეტული ინტერესები წარმოადგენენ უმაღლეს პრინციპს სამართლის მიმართ და ანიჭებენ სამართალს შინაარსს და ფორმას... თავისი სრული განვითარება ამ კონცეფციამ ომისშემდგომი პერიოდის სისხლის სამართლის მეცნიერებაში პოვა“.<sup>27</sup>

---

<sup>27</sup> К. Полак, Учение о составе преступления в буржуазной уголовноправовой литературе, "Советское государство и право", 1940, №12, გვ. 76.

#### §4. სწავლება „შემადგენლობის უარყოფითი ნიშნების“ შესახებ

თუ ბელინგი და მისი მიმდევრები მკვეთრად უპირისპირებენ ერთმანეთს შემადგენლობას როგორც აღწერილობით ცნებას და მართლწინააღმდეგობას როგორც შეფასებით მსჯელობას, ბურჟუაზიულ იურისტთა მეორე ჯგუფი პირიქით, იმ აზრს ემხრობა, რომ მართლწინააღმდეგობა სავსებით უნდა გაითქვიფოს შემადგენლობის ცნებაში. ამ შეხედულებას იზიარებს „შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების თეორია“, რომლის ძირითადი წარმომადგენლები არიან მირჟიჩკა,<sup>28</sup> ბაუმგარტენი,<sup>29</sup> კაუფმანი<sup>30</sup> და სხვ.

ზემოხსენებული ავტორების აზრით, შემადგენლობა შედგება არა მარტო პოზიტიური ნიშნებისაგან, რომლებიც პირდაპირ მითითებულია სისხლის სამართლის კანონში (მაგალითად, 1. სხვა, 2. ადამიანისათვის, 3. სიცოცხლის, 4. მოსპობა), არამედ აგრეთვე ნეგატიური ნიშნებისაგან, რომლებიც შემადგენლობაში პირდაპირ მითითებული არ არიან, მაგრამ მასში მდუმარედ იგულისხმებიან. ასეთი ნეგატიური ნიშნებია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი (მაგალითად, აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა, დაზარალებულის თანხმობა, სავალდებულო ბრძანების, პროფესიული ფუნქციის, უფლების ან ვალდებულების შესრულება და ა. შ.). ეს ნიშნები იგულისხმებიან შემადგენლობაში ნეგატიურად, ე. ი. როგორც არარსებულნი. მაშასადამე, შემადგენლობას ადგილი აქვს მაშინ, თუ არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არც ერთი გარემოება. ხოლო თუ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოება, შემადგენლობა არ არის. „...მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ყველა გარემოების

<sup>28</sup> A. Muzik, Die Formen der Strafschuld und ihre gesetzliche Regelung, Tübingen, 1907.

<sup>29</sup> A. Baumgarten, Der Aufbau der Verbrechenslehre, 1913.

<sup>30</sup> A. Kaufmann, Schuld und Strafe. Studien zur Strafrechtsdogmatik, 1966.

კომპლექსის არარსებობა წარმოადგენს ასეთი დელიქტის შემადგენლობის პოზიტიურ ნიშანს, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ასეთი შემთხვევების კომპლექსი წარმოადგენს შემადგენლობის ნეგატიურ ნიშანს".<sup>31</sup> მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი ისეთივე ნიშნებია ყველა შემადგენლობისა, როგორც მაგალითად, „სხვისი ქონება“ ან „მითვისების მიზანი“ ქონების გატაცების შემადგენლობისათვის, და კანონმდებელს რომ შეეძლოს „ასევე უბრალოდ და ზუსტად, ერთი გამოთქმით, ...რეალურად აღნიშნოს ყველა შემთხვევა, როდესაც, მაგალითად, მკვლელობა ან ადამიანისათვის თავისუფლების აღკვეთა ან სხვის სახლში შეჭრა მართლწინააღმდეგობა, და გამოყოს ეს შემთხვევები მართლწინააღმდეგობის გამომრიცხვის შემთხვევებისაგან, ეჭვს გარეშეა, რომ კანონმდებელი აქაც ასე მოიქცეოდა; იგი შეიტანდა ამ გამოთქმას თითოეული დანაშაულის კანონისმიერ განსაზღვრებაში.<sup>32</sup> და თუ კანონმდებელი ასე არ მოიქცა, არამედ მხოლოდ კოდექსის ზოგად ნაწილში მიუთითა აუცილებელ მოგერიებაზე და უკიდურეს აუცილებლობაზე, თანაც ამასთან ერთად მდუმარედ დაუშვა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი მრავალი სხვა გარემოება, ეს მხოლოდ ტექნიკური მოსაზრებით ხდება.<sup>33</sup>

აქედან „შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების“ თეორიის წარმომადგენლები აკეთებენ დასკვნას, რომ პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების, მაგალითად, აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი აუცილებლობის არსებობა გამომრიცხავს არა მარტო ქმედობის მართლწინააღმდეგობას, არამედ აგრეთვე შემადგენლობასაც.

„შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების“ თეორიის თაობაზე, უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ იგი ხსნის საერთოდ მართლწინააღმდეგობის პრობლემას. ამ თეორიისათვის მართლწინააღმდეგობა არ წარმოადგენს დანაშაულის ცნების დამოუკიდებელ ნიშანს, არამედ იგი შემადგენლობის

<sup>31</sup> ა. მირუჩიკა, დასახ. ნაშრ., გვ. 124-125.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 125.

<sup>33</sup> იქვე.

მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტი, თანაც ისეთი ელემენტი, რომელიც გათანაბრებულია შემადგენლობის სხვა ელემენტებთან, მაგალითად, ნიშანთან „სხვისი“ ქონების გატაცების დროს.

ჩვენი აზრით, არც მართლწინააღმდეგობა, როგორც შემადგენლობის პოზიტიური ნიშანი, არც მართლწინააღმდეგობის არარსებობა, როგორც შემადგენლობის ნეგატიური ნიშანი, არ შეიძლება დაყვანილ იქნეს შემადგენლობის ერთ-ერთ ელემენტამდე, ვინაიდან იგი ახასიათებს შემადგენლობის ყველა ნიშანს, ერთად აღებულს. ქურდობის შემადგენლობა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც შემდგარი ასეთი ნიშნებისაგან: 1. სხვისი ქონების, 2. ფარულად, 3. ამოღება სხვისი მფლობელობიდან, 4. მისი მისაკუთრების მიზნით, 5. თუ იგი მართლწინააღმდეგოა (ან „შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების“ თეორიის მიხედვით — თუ არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არა ერთი გარემოება). მართლწინააღმდეგობა შემადგენლობის დამოუკიდებელი ნიშანი კი არ არის, არამედ იგი ახასიათებს შემადგენლობის ყველა ნიშნის ერთობლიობას, ერთად აღებულს. მართლწინააღმდეგოა სწორედ სხვისი ქონების ფარულად ამოღება სხვისი მფლობელობიდან მისი მისაკუთრების მიზნით. სწორედ ამ ნიშნების ერთობლიობაა საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელი და სწორედ ამ ნიშნების კომპლექსის საზოგადოებრივი საშიშროების გამო კანონმდებელმა აკრძალა ქმედობა, ე. ი. გამოაცხადა მართლწინააღმდეგოდ.

მეორე, „შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების თეორია“ ერთ სიბრტყეში ათავსებს ისეთ ნიშნებს, რომლებიც ასაბუთებენ მართლწინააღმდეგობას (მაგალითად, 1. სხვისი ქონების, 2. ამოღებას სხვისი მფლობელობიდან, 3. მისაკუთრების მიზნით) და ისეთ გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავენ პასუხისმგებლობას (აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა და ა. შ.), მაშინ როდესაც ლოგიკურად ისინი სწორედ საპირისპირო ცნებები არიან. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი, რომლებიც გვხვდებიან არა მარტო სისხლის სამართალში (როგორც, მაგალითად, აუცილებელი

მოგერიება და უკიდურესი აუცილებლობა), არამედ მართლ-  
ნესრიგის სხვა სფეროშიც (მაგალითად, სავალდებულო  
ბრძანების, უფლების ან ვალდებულების შესრულება და ა. შ.)  
არ შეიძლება წარმოადგენდნენ სისხლის სამართლის კანონის  
შემადგენელ ნაწილებს, კანონისა, რომელშიც აღწერილია აკრ-  
ძალული ქმედობა. პირიქით, ეს გარემოებანი, როგორც  
გამამართლებელი გარემოებანი, ხსნიან მართლწინააღმდეგო-  
ბას, რომელსაც სისხლის სამართლის კანონში აღწერილი შე-  
მადგენლობა აფუძნებს, და ამდენად მათ დამოუკიდებელი  
მნიშვნელობა აქვთ.

როგორც თვით ბურჟუაზიული კრიმინალისტიკები მიუ-  
თითებენ, „მოძღვრება შემადგენლობის ნეგატიურ ნიშნებზე  
ერთმანეთში ურევს სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმ-  
დეგობის დამაფუძნებელ და მის გამომრიცხველ გარემოე-  
ბებს“.<sup>34</sup> ამავე დროს, იგი, ერთი მხრივ, ამცირებს შემადგენ-  
ლობის ძირითად ფუნქციას — შემოხაზოს და აღწეროს ტიპუ-  
რი სისხლისსამართლებრივი უმართლობა, ხოლო, მეორე  
მხრივ, ივინყებს ნებადამრთველ გარემოებათა დამოუკიდებელ  
მნიშვნელობას. „აუცილებელი მოგერიების არსებობა, ამ  
მოძღვრების თანახმად, ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც  
შემადგენლობის ნიშნის არარსებობა: ადამიანის მოკვლა აუ-  
ცილებელი მოგერიების დროს სამართლებრივი თვალ-  
საზრისით იგივე გამოდის, რაც რწყილის მოკვლა!“<sup>35</sup>

<sup>34</sup> იხ. მაგალითად, **H. Schweikert**, Die Wandlungen der Tatbestandslehre seit Beling, 1957, s. 37.

<sup>35</sup> **H. Welzel**, Das neue Bild des Strafrechtssystems, Huttingen, 1957, s. 22.  
ამაზე ა. კაუფმანი უპასუხებს, რომ ადამიანის მკვლელობა და რწყილის  
მკვლელობა კი არ უთანაბრდება ერთმანეთს, არამედ ადამიანის მკვ-  
ლელობა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ისევე არ წარმოად-  
გენს აკრძალვის საგანს (მატერიას) და მაშასადამე, შემადგენლობას,  
როგორც რწყილის მოკვლა (იხ. **A. Kaufmann**, Schuld und Strafe, 1966, s. 129).  
მაგრამ ველცელიც სწორედ ამაზე მიუთითებდა. ადამიანის მკვლელობა,  
თუნდაც აუცილებელი მოგერიების დროს, მაინც ადამიანის მკვლელობაა,  
ამიტომ იმისათვის, რომ იგი არამართლწინააღმდეგოდ აღიარონ, საჭი-  
როა სპეციალურად იქნეს დადგენილი, რომ ეს მკვლელობა, ისეთ გარე-  
მოებაში იყო ჩადენილი, რომელიც ხსნის კაცის მოკვლის სამართლებრივ  
აკრძალვას. ხოლო რწყილის მიმართ ასეთი საკითხი არ ისმის, რადგან რწყი-  
ლის სიცოცხლეს მართლწინააღმდეგობა არ იცავს.

დაბოლოს, „მოძღვრებამ შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების შესახებ“ პრაქტიკულად იმ დასკვნამდე უნდა მიგვიყვანოს, რომ სისხლის სამართლის კანონით აღწერილი შემადგენლობის ნიშნების დამტკიცების შემდეგ მოსამართლემ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებლად უნდა დაამტკიცოს შემადგენლობის ნეგატიური ნიშნებიც. მაგალითად, მას შემდეგ, როდესაც მან დაამტკიცა, რომ ვინმემ მისაკუთრების მიზნით ფარულად მიიტაცა სხვისი ნივთი, ან რომ ვინმემ ვნება მიაყენა სხვა ადამიანის ჯანმრთელობას და ა. შ., სასამართლომ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაამტკიცოს ისიც, რომ არ არსებობს არც ერთი გარემოება, რომელიც გამორიცხავს მართლწინააღმდეგობას. მაშასადამე, ეს თეორია, რომელიც, ერთი შეხედვით, დიამეტრულად ეწინააღმდეგებოდა ბელინგის თეორიას, პრაქტიკულად იმავე დასკვნამდე მიდის, როგორც ეს უკანასკნელი.

#### **§5. მეცგერის მოძღვრება მართლწინააღმდეგობის შესახებ. შემდგომი განვითარება დებულებისა მართლწინააღმდეგობის სუბიექტური ნიშნების შესახებ**

ბელინგისა და მაიერის თეორიისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება აგრეთვე მეცგერის შეხედულება შემადგენლობის და მართლწინააღმდეგობის ურთიერთობის შესახებ. წინააღმდეგ აღნიშნული კრიმინალისტებისა, მეცგერი მართლწინააღმდეგობის დასაბუთებას თვით სისხლის სამართლის კანონში ეძებს. „დანაშაულის შემადგენლობის საკანონმდებლო დადგენის აქტი, ე. ი. კანონის მიერ ამა თუ იმ ქმედობის დანაშაულის შემადგენლობად გამოცხადება, თავისთავად შეიცავს ამ ქმედების მართლსაწინააღმდეგოდ — სპეციფიკურად და ტიპურად მართლსაწინააღმდეგოდ გამოცხადებას. თვით დანაშაულის შემადგენლობის ჩამოყალიბებით კანონმდებელი ქმნის სპეციფიკურ მართლწინააღმდეგობას“.<sup>36</sup>

<sup>36</sup> E. Mezger, Vom Sinn der strafrechtlichen Tatbestände, Berlin, 1926, s. 11. იხ. აგრეთვე მისი სახელმძღვანელო, სადაც წერია: „ის, ვინც მოქმედებს დანაშაულის მიზნით, მართლწინააღმდეგობის საკანონმდებლო დადგენის აქტი, ე. ი. კანონის მიერ ამა თუ იმ ქმედობის დანაშაულის შემადგენლობად გამოცხადება, თავისთავად შეიცავს ამ ქმედების მართლსაწინააღმდეგოდ — სპეციფიკურად და ტიპურად მართლსაწინააღმდეგოდ გამოცხადებას. თვით დანაშაულის შემადგენლობის ჩამოყალიბებით კანონმდებელი ქმნის სპეციფიკურ მართლწინააღმდეგობას“.

მეცგერი არ სჯერდება მართლწინააღმდეგობის მხოლოდ ფორმალური ცნების წამოყენებას, არამედ მასთან ერთად ცდილობს მოგვცეს „მატერიალური მართლწინააღმდეგობის“ ცნება. შემადგენლობა, მისი აზრით, არის „უმართლობის ტიპი“, შექმნილი სისხლის სამართლის მიზნებისათვის. სისხლის სამართლის კანონის მიზანია განსაზღვრული ინტერესის, უფრო სწორად, განსაზღვრული მატერიალური სიკეთის დაცვა. „უმართლობის მატერიალური შინაარსი სამართლებრივი სიკეთის დარღვევაში ან მისთვის საფრთხის შექმნაში მდგომარეობს“.<sup>37</sup> აი, ამ „მატერიალური“ შინაარსით არის განმსჭვალული, მეცგერის აზრით, დანაშაულის შემადგენლობა. მართლწინააღმდეგობას მეცგერი თეოლოგიური თვალსაზრისით უდგება: „თუ ჩვენთვის ცნობილია ის სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც დანაშაულის ესა თუ ის შემადგენლობა იცავს, ჩვენთვის ნათელია მაშინ ამ შემადგენლობის „არსი“ და მოცემულია მისი კატეგორიალური სინთეზი“.<sup>38</sup>

როგორც ცნობილია, ცნებათა თეოლოგიური წარმოშობის იდეამ, რომლის საფუძველს წარმოადგენდა რიკერტის სწავლება, მეტად რეაქციული როლი შეასრულა გერმანულ სამართალში, სადაც იგი ფაშიზმის პერიოდში გამოყენებული იყო ტოტალური სახელმწიფოს კონცეფციის გასამართლებლად და დასაცავად. სისხლის სამართლის სფეროში ეს იდეები განსაკუთრებით ვოლფმა, დამმა და სხვ. განავითარეს, მა-

---

აშაულის შესაბამისად, მოქმედებს მართლწინააღმდეგოდ, რამდენადაც არ არსებობს უმართლობის გამომრიცხველი საფუძველი. სისხლისსამართლებრივი შემადგენლობა, რომელშიც აღწერილია შემადგენლობის შესაბამისი ქმედება, მეტად დიდ მნიშვნელობას იძენს ქმედობის სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობისათვის: იგი არის მართლწინააღმდეგობის მნიშვნელოვანი და რეალური საფუძველი“ (E. Mezger, Strafrecht. Ein Lehrbuch, München und Leipzig, 1931, s. 189).

<sup>37</sup> E. Mezger, Strafrecht. Ein Lehrbuch, 1931, s. 199-200.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 201. როგორც აქედან ჩანს, მეცგერი ნეოკანტიანელ რიკერტის „ცნობათა თეოლოგიური წარმოშობის“ იდეის მომხრეა. „არ არსებობს არც ერთი სამართლებრივი ცნება, მაშასადამე, არ არსებობს არც სამართლებრივი ცნება შემადგენლობის შიგნითაც, რომელიც შეიძლება გაგებულ იქნეს „Telos“-ის, ე. ი. მისი მიზნის გარეშე“.

გრამ მათზე შემდგომ გვექნება საუბარი; ახლა კი ისევ მეცგერს მივუბრუნდეთ.

მეცგერის დამსახურებად ითვლება ის, რომ მან დაასაბუთა დებულება უმართლობის სუბიექტური ელემენტების შესახებ.<sup>39</sup>

მეცგერი არ უარყოფს იმას, რომ უმართლობა პრინციპულად ობიექტურ ხასიათს ატარებს, რომ იგი არის ობიექტური წინააღმდეგობა სამართლებრივი ნორმისადმი, სამართლით დაცული სიკეთის ობიექტური დაზიანება. ამის საწინააღმდეგოდ არამართლზომიერად მოქმედი პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედობისადმი, განზრახვა სამართლის საწინააღმდეგოდ მოქმედებისა, ეკუთვნის პირად შერაცხვას, ესე იგი მოძღვრებას ბრალის შესახებ. მაგრამ ამავე დროს, მეცგერის აზრით, „არასწორი იქნებოდა ეს დებულება ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე მიგველო და ყოველივე ობიექტური უმართლობისადმი მიგვეკუთვნებია, ხოლო ყოველივე სუბიექტური — მხოლოდ ბრალისათვის...“<sup>40</sup> მეცგერი მიუთითებს, რომ არის შემთხვევები, როდესაც გარეგნულად ერთნაირი მოქმედებანი ერთ შემთხვევაში ატარებენ მართლზომიერ, ხოლო მეორე შემთხვევაში — მართლსაწინააღმდეგო ხასიათს იმისდა მიხედვით, თუ რა მიზნით მოქმედებდა ან როგორი იყო პიროვნების სუბიექტური გულზრახვა თუ განწყობა ქმედობის ჩადენის დროს. „აღამიანთა ინტერესების დახვეწილი და რთული თამაში ისე უხეშად და გარეგნულად არ მიმდინარეობს, რომ უმართლობისა და მართლზომიერის საზღვრის დადგენისათვის ეს ფსიქიკური ფაქტორები საერთოდ საჭირო არ იყოს“.<sup>41</sup>

---

<sup>39</sup> ეს დებულება მეცგერმა პირველად განავითარა შრომებში "Die subjektiven Unrechtselemente (GS 89) და "Wom Sinn der strafrechtlichen Tatbestand", ხოლო შემდეგ საბოლოოდ ჩამოაყალიბა თავის 1931 წლის სახელმძღვანელოში და 1950 წელს გამოცემულ (ფინალური თეორიის წინააღმდეგ მიმართულ) ნაშრომში — "Moderne Wege der Strafrechtsdogmatik" Tübingen.

<sup>40</sup> Mezger, Strafrucht. Ein Lehrbuch, 1931, s. 170.

<sup>41</sup> იქვე.



იმისდა მიხედვით, ეკუთვნის თუ არა უმართლობის ტიპს, ე. ი. დანაშაულის შემადგენლობას სუბიექტური ელემენტები, მეცგერი შემადგენლობებს ორ კატეგორიად ჰყოფს; 1. ობიექტურად აგებული შემადგენლობანი, რომლებიც ასაბუთებენ ქმედობის მართლწინააღმდეგობას წმინდა ობიექტური ნიშნებით და 2. სუბიექტურად (ფინალურად) აგებული შემადგენლობანი, რომელთა მართლწინააღმდეგობის დასაბუთებისათვის აუცილებელია შემადგენლობის სუბიექტური ელემენტების მოშველიება.

„ობიექტურად“ გაგებული შემადგენლობანი, როგორც წესი, არსებობენ იქ, სადაც დასჯადად ითვლება როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებელი დანაშაული“.<sup>42</sup> ასეთია, მაგალითად, მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ნივთის დაზიანება და ა. შ. ამავე კატეგორიას მიეკუთვნებიან, მეცგერის აზრით, ისეთი დელიქტები, რომელთა გაუფრთხილებლობით ჩადენა პოზიტიური სამართლით თუმცა არ ისჯება, მაგრამ პრინციპულად დასაშვებია. ზოგადად ობიექტურად აგებულია ისეთი შემადგენლობანი, რომლებშიც ნორმა პრინციპულად კრძალავს შედეგის გამოწვევას.

ასეთი შემადგენლობებიდან მეცგერი განასხვავებს ფინალურ შემადგენლობებს, რომელთაც საფუძვლად უდევთ არა გარეგანი მოქმედება და შედეგი, არამედ მოქმედის ნება. ასეთ შემადგენლობებში მართლწინააღმდეგობას, ქმედობის ობიექტურ ელემენტებთან ერთად, განსაზღვრავენ სუბიექტური ელემენტებიც. თუ პირველი სახის შემადგენლობებისათვის „გადამწყვეტია შედეგის გამოწვევა, აქ — მოქმედის ნების წარმართვა შედეგზე“.<sup>43</sup>

ამ უკანასკნელ კატეგორიაში, რომლისთვისაც მართლწინააღმდეგობის საკითხის გადაჭრაში მონაწილეობას იღებენ შემადგენლობის სუბიექტური ნიშნებიც, მეცგერი განასხვავებს სამ ქვეჯგუფს:

---

<sup>42</sup> Mezger, *Moderne Wege der Strafrechtsdogmatik*, Berlin-München, 1950, s. 25.

<sup>43</sup> იქვე, გვ. 24-25.

1. გულზრახვის დელიქტები (die Absichtdelikte), რომლის დროსაც სუბიექტს სურს ქმედობა როგორც სუბიექტური საშუალება შემდგომი მიზნის განსახორციელებლად. ასეთი შემადგენლობის ტიპურ მაგალითია ყალბი ფულის გაკეთება, რომელიც აუცილებლობით გულისხმობს გასაღების მიზანს;

2. ტენდენციის დელიქტები, რომლის დროსაც მოქმედება წარმოადგენს სუბიექტური ტენდენციის დასაბუთებას. ამისათვის ტიპურია გარყვნილი მოქმედება, სადაც იგულისხმება სექსუალური ტენდენცია;

3. დელიქტები (die Ausdruckdelikte), რომლის დროსაც მოქმედება წარმოადგენს განსაზღვრული პროცესის ანარეკლს მოქმედის ფსიქიკაში. ამ ჯგუფისათვის მეცგერს მაგალითად მოჰყავს ყალბი ჩვენების მიცემა, რომლისთვისაც აუცილებელია სუბიექტმა იცოდეს, რომ მისი ჩვენება სინამდვილეს არ შეესაბამება.

ამასთან ერთად მეცგერი ისე შორს არ მიდის, რომ განზრახვაც მართლწინააღმდეგობის სუბიექტურ ელემენტად ჩათვალოს, როგორც ეს შემდგომ ფინალურმა თეორიამ გააკეთა. „უმართლობის სუბიექტური ელემენტები“ და „განზრახვა“, მეცგერის აზრით, ფაქტიურად სხვადასხვა რამეა: „განზრახვა წარმოადგენს უკვე არსებული ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის ანარეკლს, მაშინ როდესაც უმართლობის სუბიექტური ელემენტები უმატებენ ობიექტურ შემადგენლობას რაღაც ახალს. შემდეგ: საქმის ერთი და იგივე გარემოებანი... ერთსა და იმავე დროს შეიძლება იყვნენ სუბიექტური უმართლობაც და ბრალიც. მაგრამ ამით თვით უმართლობა და ბრალი იდენტურნი არ გახდებიან, ისევე როგორც არ არიან იდენტურნი ცხოველები და მცენარენი იმის გამო, რომ ერთი და იგივე ნივთიერება ხელს უწყობს მათ აგებულებას“.<sup>44</sup>

თუმცა მეცგერს მართლწინააღმდეგობის ცნებაში სუბიექტური ელემენტებიც შეაქვს, მაგრამ მაინც მისი შეხედულება დანაშაულის შესახებ ობიექტურ ნიადაგზე რჩება. მარ-

---

<sup>44</sup> Mezger, Moderne Wege der Strafrechtsdogmatik, Berlin-München, 1950, გვ. 27.

თლწინაალმდეგობა მისთვის მკვეთრად არის გამიჯნული განზრახვისა და გაუფრთხილებლობისაგან, როგორც ბრალის ფორმებისაგან. იგი ძირითადად ქმედობის ობიექტურ თვისებად რჩება, ხოლო ბრალი — ქმედობის სუბიექტური თვისებაა, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი არის ფსიქიკური დამოკიდებულება დანაშაულის შემადგენლობისა და ობიექტური მართლწინაალმდეგობისადმი.

გადამწყვეტი ნაბიჯი მართლწინაალმდეგობის ცნების საბოლოო სუბიექტივიზაციისაკენ და მართლწინაალმდეგობისა და განზრახვის იდენტიფიკაციისაკენ გადადგა ფინალურმა მოძღვრებამ დანაშაულის შესახებ. მაგრამ ვიდრე ფინალურ მოძღვრებაზე გადავიდოდეთ, საჭიროა გავეცნოთ თეორიებს, რომლებმაც მოამზადეს ნიადაგი უმართლობის სუბიექტური (პიროვნულ-ეთიკური) გაგებისათვის.

### **წნ. „კილის მიმართულების“ ძირითადი დებულებები უმართლობის შესახებ**

მეცგერის, ისევე, როგორც მის წინამორბედთა შრომებში დანაშაულის შემადგენლობის მნიშვნელობა უმართლობისათვის კიდევ უფრო განმტკიცდა და გაიზარდა, ვინაიდან შემადგენლობა აღიარებულ იქნა უმართლობის საფუძვლად. სულ სხვა სურათს ვხედავთ გერმანიაში ფაშისტური გადატრიალების შემდეგ. ეგრეთ ნოდებული „კილის მიმართულება“, რომლის მთავარი წარმომადგენლები არიან ვოლფი, დამი, შაფშტეინი და სხვ., ცდილობს გერმანული სამართლის მეცნიერება ნაციონალურ-სოციალისტურ იდეისადმი წარმართოს. როგორც უკვე აღნიშნული იყო ჩვენს ლიტერატურაში, ეს კრიმინალისტიები „უარყოფენ ზოგად, აბსტრაქტულ დებულებათა წარმოქმნის ყოველგვარ შესაძლებლობას და ამტკიცებენ, რომ ქმედობას სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით წარმოადგენს მხოლოდ ქმედობა, რომელიც სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგება“, რომ, მაშასადამე, „დანაშაულის შემადგენლობის შესაბამის ქმედობას შეიძლება ადგილი

ჰქონდეს მხოლოდ მაშინ, როცა დარღვეულია სახელმწიფოს ინტერესი".<sup>45</sup> აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ვეიშმარის რესპუბლიკის დროინდელმა უმაღლესმა სასამართლომ წამოაყენა დებულება, რომ „თუ სახელმწიფოს მაღალი ინტერესები ამართლებენ ამა თუ იმ ქმედობას, ხოლო ამ ქმედობის ჩამდენის სუბიექტური სწრაფვაც მიმართული იყო სახელმწიფოს უმაღლესი ინტერესების განხორციელებაზე, ქმედობა არ შეიძლება ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგოდ და, მაშასადამე, დანაშაულებრივად“.<sup>46</sup>

ამასთან ერთად, ფაშისტური პერიოდისათვის დამახასიათებელია დანაშაულის ცნების სულ უფრო მეტი სუბიექტივაცია, მისწრაფება სისხლის სამართლის სისტემის აგებისა არა დანაშაულებრივი ქმედობის, არამედ პიროვნების სუბიექტური თვისებების საფუძველზე. მაგალითად, ვოლფი ჯერ კიდევ 1932 წელს წინადადებას იძლეოდა „ქმედობის ტიპიზაციის“ მაგივრად შემოღებული ყოფილიყო „სამართლებრივი სულის დაშლის ტიპების“ ცნება. ცხადია, ასეთ კონცეფციაში დანაშაულის ობიექტური შემდგენლობის ცნება ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს. ამისათვის ყოველი დანაშაულის არსი მდგომარეობს სახელმწიფოს ერთგულების მოვალეობის დარღვევაში. პრინციპი — *nullum crimen sine lege* — უარყოფილია. დამკვიდრებულია ისტორიაში ჯერ არნახული თვითნებობა და უკანონობა.<sup>47</sup>

---

<sup>45</sup> ფაშისტების დროინდელი თეორიები გადმოცემულია კარლ პოლაკის წერილის მიხედვით, იხ. დასახ. წერილი, გვ. 78.

<sup>46</sup> იხ. დასახ. წერილი, გვ. 78.

<sup>47</sup> იქვე.

## §7. ფინალური თეორიის მოძღვრება მართლწინააღმდეგობის შესახებ

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის ლიტერატურაში წარმოიშვა და გაბატონებული მდგომარეობა დაიჭირა ეგრეთ წოდებულმა „ფინალურმა მოძღვრებამ მოქმედების შესახებ“, რომლის ფილოსოფიური საფუძველი ნიკოლაი ჰარტმანის ონტოლოგიურ მოძღვრებაში ძევს. ამ შეხედულების დამფუძნებლად და მთავარ წარმომადგენლად სისხლის სამართალში ითვლება ველცელი, ხოლო მისი მიმდევრები არიან მაურახი, ნიზე, ბუში, გალასი და სხვ.

ველცელის შეხედულება მართლწინააღმდეგობის შესახებ მის მიერ რამდენჯერმე იქნა გადამუშავებული. ჩვენ შევეცდებით გადმოვცეთ მისი შეხედულება უფრო მოგვიანო შრომების მიხედვით.

დანაშაულის სისტემა ველცელს შემდეგნაირად აქვს აგებული: 1. დანაშაულის შემადგენლობა, რომელშიც შედის მოქმედების ყველა ნიშანი. იგი აკრძალვის მატერიას წარმოადგენს, ე. ი. უპასუხებს იმ კითხვაზე, თუ როგორი მოქმედებაა აკრძალული; 2. მართლწინააღმდეგობა, რომელიც წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას მოქმედების შესახებ. ამ ცნებას ველცელი განსაზღვრავს როგორც მატერიის აკრძალავს და 3. ბრალი, ე. ი. მოქმედების გასაკიცხაობა ანუ შეფასებითი მსჯელობა პიროვნების შესახებ.

შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს ველცელი ისევე ნყვეტს, როგორც ბელინგი. პირის მოქმედებაში შემადგენლობის ნიშნების არსებობა შეიძლება გამოდგეს მხოლოდ როგორც ინდიცია (მითითება), რომ ქმედობა მართლწინააღმდეგია. იგი მართლაც რომ მხოლოდ ინდიციაა და სხვა არაფერი. შემადგენლობის არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ მოქმედება ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ნორმებს, ე. ი. ცალკეულ აბსტრაქტულ აკრძალვას, რომელიც კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის

მუხლშია მოცემული. ხოლო მართლწინააღმდეგობა სულ სხვა შინაარსის ცნებაა. იგი ნიშნავს იმას, რომ ქმედობა მიმართულია მართლწესრიგის როგორც მთლიანობის წინააღმდეგ. „ამკრძალავ ნორმებს განსაზღვრულ შემთხვევებში უპირისპირდებიან უფლებით აღმჭურველი დებულებანი, რომლებიც ხელს უშლიან იმას, რომ აბსტრაქტული (ზოგადი) სამართლებრივი ნორმა კონკრეტულ სამართლებრივ მოვალეობად გადაიქცეს, და ამიტომ ამართლებენ შემადგენლობის განხორციელებას. ასეთ, უფლებით აღმჭურველ დებულებებს ეწოდება „გამართლების საფუძველები“. ესენია აუცილებელი მოგერიება, თვითდახმარება, დაზარალებულის თანხმობა და ა. შ. მათი არსებობის შემთხვევაში შემადგენლობის განხორციელება არ არის მართლწინააღმდეგი. „გამართლების საფუძველი“ გამორიცხავს ამიტომ არა მოქმედების შესაბამისობას შემადგენლობისადმი, არამედ მხოლოდ მის მართლწინააღმდეგობას“.<sup>48</sup>

თუმცა დანაშაულის შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხში ველცელი ძირითადად ბელინგის მოძღვრებას ემხრობა, მაგრამ ველცელის შეხედულება მკვეთრად განსხვავდება ბელინგის შეხედულებისაგან როგორც შემადგენლობის ცნების შინაარსის, ისევე მართლწინააღმდეგობის არსის გაგებით.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ბელინგს შემადგენლობის ცნებაში მხოლოდ წმინდა ობიექტური ნიშნები შეჰქონდა, რის გამოც შეფასებითი მსჯელობა მართლწინააღმდეგობის შესახებ თანმიმდევრულად ობიექტურ მატერიას ემყარებოდა. ბურჟუაზიული სისხლის სამართლის მეცნიერების შემდგომი განვითარება იმ გზით წავიდა, რომ აღიარებულ იქნა შემადგენლობის სუბიექტური ნიშნების არსებობა. ველცელი ამ მიმართულებით კიდევ უფრო შორს წავიდა. შემადგენლობისა და ამით მართლწინააღმდეგობის ცნების უკიდურესი სუბიექტივიზაცია გამომდინარეობს მისი „ფინალური

---

<sup>48</sup> H. Welzel, Das neue Bild des Strafrechtssystems, Gottingen, 1957, ss. 20-21.

მოძღვრებიდან“ მოქმედების შესახებ. ველცელს მოქმედება ესმის არა როგორც კაუზალური ცნება, არამედ როგორც ფინალური, ე. ი. მიზანსწრაფული. „ფინალური საქმიანობა — ეს არის მიზნისაკენ შეგნებულად მიმართული მოქმედება, მაშინ, როდესაც წმინდა კაუზალური მოვლენა მიზნით წარმართული კი არ არის, არამედ რაიმე მიზეზობრივი კომპონენტების არსებობის შემთხვევითი შედეგია, ამიტომ, სახოვანი გამოთქმა რომ ვიხმართ, — ფინალურობა თვალხილულია, ხოლო კაუზალობა — ბრმაა“.<sup>49</sup> ამიტომ ფინალური თეორიისათვის მოქმედება სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, აუცილებლობით მოიცავს განზრახვას. სწორედ ეს მომენტიან განსაკუთრებით დამახასიათებელი ფინალური თეორიისათვის. „არაფინალურ მოძღვრებად ქმედობის შესახებ, — წერს ფინალური თეორიის ერთ-ერთი ძირითადი მიმდევარი რ. მაურახი, — უნდა ჩაითვალოს ყველა შეხედულება, რომელიც განზრახვას ბრალის შემადგენელ ელემენტად თვლის. თანამიმდევარი ფინალისტი მხოლოდ ის არის, ვინც გაზრახვას განიხილავს როგორც ბუნებრივ განზრახვას, ე. ი. როგორც ისეთ ფენომენს, რომელიც მხოლოდ ქმედობის შემადგენლობას ეკუთვნის, ხოლო არაფინალისტია ის, ვისაც განზრახვა ესმის ტრადიციულად როგორც *dolus malus*, შერაცხვის უნარი — როგორც განზრახვის წარმოშობის წინამძღვარი, რომელსაც სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, ხოლო მართლწინააღმდეგობის შეგნება — როგორც განზრახვის განუყრელი შემადგენელი ნაწილი“.<sup>50</sup>

მოქმედების ცნებაში განზრახვის გადატანის გამო, განზრახვა ველცელის მიერ აღიარებულია შემადგენლობის ელემენტად და ამრიგად, საფუძვლად მართლწინააღმდეგობის შესახებ მსჯელობისათვის. მაშასადამე, განზრახვი დანაშაულებრივი ქმედობებისათვის მსჯელობა მართლწინააღმდეგობის შესახებ გულისხმობს ქმედობის სხვა სუბიექტურ ელემენტების შესახებ.

<sup>49</sup> H. Welzel, *Das neue Bild des Strafrechtssystems*, Gottingen, 1957, ss. 20-21

<sup>50</sup> R. Maurach, *Deutsches Strafrecht Allgemeiner Teil*, Karlsruhe, 1965, s. 143.

მენტებთან (მიზანთან, მოტივთან და ა. შ.) ერთად, აგრეთვე განზრახვასაც. ველცელის აზრით, მართლწინააღმდეგობა არ შეიძლება წმინდა „ობიექტურად“ იქნეს განსაზღვრული: „ყველა განზრახვი ქმედობის დროს განზრახვა უმართლობის არსებით ელემენტს წარმოადგენს“.<sup>51</sup>

აქედან ველცელი ქმნის თეორიას უმართლობის პერსონალური ხასიათის შესახებ. უმართლობისათვის საკმარისი არ არის ზიანის ისეთი მიყენება, რომელიც მხოლოდ შინაგანად არ არის დაკავშირებული მოქმედის ფსიქიკასთან. „როგორი მიზანდასახულობა მისცა მოქმედმა თავის ქმედობას, რა განწყობიდან გამომდინარეობდა იგი მისი ჩადენის დროს, რა მოვალეობები ჰქონდა ამ დროს დაკისრებული, — ყოველი ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქმედობის უმართლობას, სამართლებრივი სიკეთის დაზიანებასთან ერთად. მართლწინააღმდეგობა არის ყოველთვის უარყოფითი შეფასება ქმედობისა, რომელიც განსაზღვრულ მოქმედს ეკუთვნის. უმართლობა არის ქმედობის „პერსონალური“ უმართლობა, დაკავშირებული მოქმედთან“.<sup>52</sup> ველცელი არ უარყოფს ობიექტური მომენტის (ზიანის მიყენებისა და საფრთხის შექმნის) მნიშვნელობას უმართლობისათვის, მაგრამ მას ეს მომენტი მიაჩნია მხოლოდ ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად პერსონალური უმართლობისა. „დელიქტების უმრავლესობისათვის სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას და მისი დაზიანების საფრთხის შექმნას არსებითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ როგორც პერსონალურად მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ნაწილობრივ მომენტს და არა იმ მნიშვნელობით, რომ სამართლებრივი სიკეთის დაზიანება საკმარისი იყოს ქმედობის უმართლობის დახასიათებისათვის. სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას (შედეგის უმართლობა, უვარგისობა) სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ პერსონალურ-მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისათვის (მოქმედების უმართლობის//

<sup>51</sup> H. Welzel, Das neue Bild des Strafrechtssystems, Gottingen, 1957, s. 27.

<sup>52</sup> იქვე.



უვარგისობის შიგნით). მოქმედების პერსონალური უმართ-  
ლობა//უვარგისობა არის ყველა სისხლისსამართლებრივი  
დელიქტის გენერალური უმართლობა//უვარგისობა. ფაქტე-  
ბის უმართლობა//უვარგისობა (დაზიანებული ან საფრთხე-  
ში ჩაყენებული სამართლებრივი სიკეთე) არის არადამოუკიდე-  
ბელი მომენტი მრავალრიცხოვანი დელიქტებისა (შედეგიანი  
დელიქტები და საფრთხის შემქმნელი დელიქტები). ფაქტების  
უმართლობა//უვარგისობა კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლე-  
ბა არ არსებობდეს და მოქმედების უმართლობა//უვარგისობა  
მაინც დარჩეს“.<sup>53</sup>

მაგრამ რაში მდგომარეობს უმართლობის სუბიექტური  
მომენტი გაუფრთხილებლობის დროს? ამ კითხვაზე ველცელი  
თავის სახელმძღვანელოს მე-8 გამოცემაში ასე უპასუხებს:  
მაშინ, როდესაც განზრახი მოქმედების დროს ნება ფინალურ-  
რად წარმართულია სოციალურად არასასურველ შედეგებზე,  
გაუფრთხილებელი დელიქტების დროს ფინალური მოქმედე-  
ბა ინვესს სოციალურად არასასურველ შედეგებს, რომელთა  
აცდენა ბრუნვაში მიღებული სათანადო წინადახედულების  
შემთხვევაში აცდენილი იქნებოდა.<sup>54</sup> ამგვარად, სათანადო  
წინადახედულების ვალდებულება, ველცელის აზრით, წარ-  
მოადგენს გაუფრთხილებლობითი დანაშაულის მართლ-  
წინააღმდეგობის ელემენტს.

ასეთია ფინალური თეორიის მოძღვრება პერსონალური  
უმართლობის შესახებ. როგორც დაინახეთ, ფინალურმა თეო-  
რიამ მოქმედების ცნებაში განზრახვის შეტანით, ხოლო მარ-  
თლწინააღმდეგობის შესახებ მსჯელობის საფუძვლად მო-  
ქმედების სუბიექტური შინაარსის, ე. ი. განზრახვის აღიარე-  
ბით მართლწინააღმდეგობა წმინდა სუბიექტურ ცნებად გამო-  
აცხადა, რითაც ნაშალა ნათელი და მკვეთრი ზღვარი, რომელ-  
იც საკითხის ხანგრძლივი მეცნიერული დამუშავების შედეგად  
დაიდო მართლწინააღმდეგობის ობიექტური შინაარსის ცნე-  
ბასა და ბრალის სუბიექტური შინაარსების ცნებას შორის.

<sup>53</sup> H. Welzel, Das neue Bild des Strafrechtssystems, Gottingen, 1957,

<sup>54</sup> H. Welzel, Das deutsche Strafrecht, 9. Aufl., 1965, s. 117.

სოციალისტურ სამართალში გაბატონებული შეხედულების თანახმად, მართლწინააღმდეგობა გულისხმობს ქმედობის ობიექტურ წინააღმდეგობას სამართლებრივი ნორმისადმი. მართლწესრიგი აფასებს მოქმედებას როგორც უარყოფითს იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს ან ქმნის ასეთი ზიანის მიყენების შესაძლებლობას, ე. ი. მაშინ, როდესაც მოქმედება საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს. ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება მართლწინააღმდეგობის მატერიალურ შინაარსს წარმოადგენს. ქმედობის ობიექტურ საზოგადოებრივ საშიშროებას დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. ეს მოთხოვნა მოქალაქის თავისუფლების გარანტიაა: სოციალისტური სახელმწიფო მხოლოდ მაშინ აძლევს თავის თავს უფლებას დასაჯოს ქმედობა, როდესაც იგი ნამდვილად ობიექტურად ემუქრება სისხლის სამართლის კანონით დაცულ ინტერესებს.

ფინალურ მოძღვრებას მოქმედებაზე მართლწინააღმდეგობის საკითხის გადაჭრის მთელი სიმძიმე მოქმედების სუბიექტურ მხარეზე გადააქვს. მართლწინააღმდეგობა, ამ თეორიის წარმომადგენელთა აზრით, არის არა შედეგის გასაკიცხაობა, არამედ მოქმედების გასაკიცხაობა. და რამდენადაც მოქმედების ცნების ცენტრს მისი ფინალურობა წარმოადგენს, ამდენად მართლწინააღმდეგობის ცნების საფუძველსაც მოქმედების სუბიექტური შინაარსი განსაზღვრავს. აქედან დასკვნა: მოქმედება შეიძლება არ შეიცავდეს არავითარ საშიშროებას სამართლით დაცული ინტერესებისათვის, მაგრამ თუ იგი ფინალური თვალსაზრისით გასაკიცხია, — მართლწინააღმდეგოდ უნდა ჩაითვალოს.

სუბიექტური მომენტის — კერძოდ, განზრახვის შეტანას მოქმედებისა და მართლწინააღმდეგობის ცნებებში განსაზღვრული კლასობრივი აზრი აქვს. ბურჟუაზიული მოსამართლე ბუნებრივად გამოიყენებს ფინალური თეორიით შექმნილ შესაძლებლობას და დამნაშავის დასჯადობისათვის გადამწყვეტ მომენტად ჩათვლის არა იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს

პირის ქმედობას ობიექტურ სინამდვილეში და როგორია ამ მოქმედებით შექმნილი საზოგადოებრივი საშიშროება, არამედ იმას, თუ როგორი იყო სუბიექტის მოქმედების მიზანი, მისი ფინალურობა. როგორც სამართლიანად მიუთითებს პროფ. ბ. მანკოვსკი, „ფინალური სისხლის სამართლის თეორიაში კანონით ზუსტად გათვალისწინებული და დასჯადი ქმედობის ადგილს იჭერს პასუხისმგებლობა პირის განწყობისათვის, მისი ისეთი აზრთა ნყოფისათვის, რაც მიუღებელია გაბატონებული ბურჟუაზიისათვის.<sup>55</sup> და მართლაც, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილ კრიმინალისტს ლექშასს თავის ერთ-ერთ შრომაში მოყავს დასავლეთ გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრაქტიკიდან მაგალითები, საიდანაც ჩანს, თუ როგორ იყენებენ „ფინალური მოძღვრების მოქმედების შესახებ“, ერთი მხრივ, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი გერმანელი პატრიოტების დასასჯელად, ხოლო, მეორე მხრივ, მძიმე დანაშაულთა ჩამდენი ფაშისტური დამნაშავეებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გასათავისუფლებლად.<sup>56</sup>

---

<sup>55</sup> Б.С. Маньковский, Реакционная неокантианская теория финального уголовного права, "Советское государство и право" 1959, №4, გვ. 102.

<sup>56</sup> И. Лекшас, Вина как субъективная сторона преступного деяния, М., 1954, გვ. 40-41.

საზოგადოებრივი საშიშროება, მართლწინააღმდეგობა  
და დანაშაულის შემადგენლობა

§1. სისხლის სამართლის კანონი  
და დანაშაულის შემადგენლობა

როგორც უკვე აღნიშნული იყო, სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია ცალკეულ დანაშაულთა აღწერა. ცხადია, კანონი ვერ ასახავს ყოველი ქმედობის ინდივიდუალურ თავისებურებებს ისე, როგორც ეს ქმედობა ცხოვრებაში მიმდინარეობს. კანონში განზოგადოებული სახითაა აღწერილი ის ტიპური ნიშნები, რომელთა ერთობლიობაც საერთოდ საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელია.<sup>57</sup> შემადგენლობაში კანონი აბსტრაქტული ფორმით იძლევა დანაშაულის ნიშნების აღწერას, ხოლო ის ინდივიდუალური, შემთხვევითი ნიშნები, რომლებიც ყოველი ცალკეული დანაშაულის დროს უხვად გვხვდება, კანონში არც შეიძლება და არც საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს. ასე, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია ქურდობის შემადგენლობის ასეთი განსაზღვრება: „ქურდობა, ე. ი. მოქალაქეთა პირადი ქონების ფარული გატაცება“. ამგვარად, კანონს ქურდობის შემადგენლობის ცნებაში შეაქვს შემდეგი ნიშნები: 1. მოქალაქეთა პირადი ქონება, 2. გატაცება, 3 ფარულად. იგულისხმება, რომ სწორედ ამ ნიშნების ერთობლიობაა საზოგადოებრივად საშიში და სწორედ ამიტომ გამოცხადდა ქურდობა დანაშაულად.

დანაშაულის შემადგენლობის აღწერა მოცემულია სისხ-

---

<sup>57</sup> როგორც ბულგარელი კრიმინალისტი ივანე ნენოვი აღნიშნავს, „ცალკეულ მკვლევლობაზე ან ჯამუშობაზე, დივერსიაზე ან ცილისწამებაზე შეიძლება მთელი რომანი დაიწეროს და მაინც ეს კონკრეტული მოვლენა მხოლოდ ნაწილობრივ და არასრულად იქნება აღწერილი (Иван ненов, Наказательно право. Обща част, София, 1963, გვ. 221, прим. 291).

ლის სამართლის კანონში, სახელდობრ, სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიციაში. ამიტომ სწორად უნდა ჩაითვალოს შეხედულება, რომ შემადგენლობა... კანონის შემადგენელი ნაწილია... შემადგენლობაში აღწერილია საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, მაგალითად, მკვლელობა, დივერსია, ქურდობა; ამ აღწერილობას (დისპოზიციას) კანონი უკავშირებს სამართლებრივ შედეგს. შემადგენლობისა და სამართლებრივი შედეგის (დისპოზიციისა და სანქციის) დაკავშირებით საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ცხადდება დასჯად ქმედობად. ამ შეხედულებას იზიარებს როგორც საბჭოთა, ისე სხვა სოციალისტური ქვეყნების კრიმინალისტთა უმრავლესობა.<sup>58</sup>

მაგრამ ცნობილია, რომ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიციაში დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი პირდაპირ როდია მითითებული. მაგალითად, კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლების უმრავლესობაში ვერ შევხვდებით მითითებას დანაშაულის სუბიექტზე. ზოგჯერ არ არის მითითებული დანაშაულის ობიექტის დამახასიათებელი ნიშნები. არის შემთხვევები, როცა განსაკუთრებული ნაწილის მუხლი არ შეიცავს მითითებას დანაშაულის სუბიექტურ მხარეზე და ა. შ.

ხომ არ არყევს ეს ფაქტი იმ დებულებას, რომ დანაშაულის შემადგენლობა აღწერილია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიციაში, რომ მაშასადამე, დანაშაულის შემადგენლობა ემთხვევა დისპოზიციას. ასეთ დასკვნამდე მივიდა პროფ. ვ. კუდრიაცვევი, რომელიც აკრიტიკებს დებულებას დისპოზიციისა და შემადგენლობის დამთხვევის შესახებ და მიუთითებს, რომ შემადგენლობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე დისპოზიცია,

---

<sup>58</sup> Я.М. Брайнин, К вопросу о составе преступления как основании уголовной ответственности, "Советское государство и право" 1954, №7, гв. 69; А.Н. Трайнин, Общее учение о составе преступления, М., 1957, гв. 82; Ф. Полячек, Состав преступления по чехословацкому уголовному праву, М., 1960, гв. 269, 271.

ვინაიდან შემადგენლობის ნიშნები მითითებულია არა მარტო სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიციაში, არამედ აგრეთვე მის ზოგად ნაწილშიც.<sup>59</sup>

ვ. ნ. კუდრიავეცევის კრიტიკა სამართლიანი იქნებოდა იმ შემთხვევაში, დისპოზიცია რომ კანონის მხოლოდ სიტყვიერი ტექსტით ამოიწურებოდა. მაგრამ დისპოზიცია არ ნიშნავს კანონის მხოლოდ სიტყვიერ ტექსტს. როგორც მართებულად მიუთითებს ჩეხოსლოვაკელი კრიმინალისტი ფ. პოლიაჩეკი, „დანაშაულის შემადგენლობის შინაარსის გარკვევისას არ შეიძლება კანონის მხოლოდ სიტყვას დავემყაროთ და დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად მხოლოდ ის ჩავთვალოთ, რაც კანონის ტექსტში სიტყვასიტყვითაა მითითებული“.<sup>60</sup>

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიცია არ შეიძლება ნაკითხულ იქნეს იზოლირებულად, კოდექსის ზოგადი ნაწილის ნორმებისაგან მოწყვეტით. სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილისა და განსაკუთრებული ნაწილის ნორმები ერთ ორგანულ მთლიანობას წარმოადგენენ და ერთმანეთის გარეშე გაუგებარი არიან. როგორც მართებულად მიუთითებს ა. სანტალოვი, „მრავალ შემთხვევაში იურიდიული ტექნიკის მოსაზრებებით დანაშაულის ცალკეული ნიშნების მითითება ხდება სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის არა განსაკუთრებულ ნაწილში, არამედ ზოგად ნაწილში. ეს შეეხება სუბიექტს, სუბიექტურ მხარეს, განსაზღვრული მნიშვნელობით — ობიექტსაც. არ წარმოადგენს გამონაკლისს ამ მხრივ, არც ობიექტური მხარე“.<sup>61</sup> ერთი სიტყვით, ეს შეეხება ისეთ ნიშნებს, რომლებიც საერთოა ყველა სახის დანაშაულისათვის. ამიტომ კანონმდებელი, იმის მაგივრად, რომ

<sup>59</sup> В.Н. Кудрявцев, Теоретические основы квалификации преступлений, М., 1903, гл. 82.

<sup>60</sup> Ф. Полячек, Состав преступления по чехословацкому уголовному праву, М., 1960, гл. 69, 271.

<sup>61</sup> об. А.Н. Санталов, Состав преступления и некоторые вопросы общей части уголовного права, "Правоведение" 1960, №1, гл. 102.

მიუთითოს, ამ ნიშნებზე თითოეულ ცალკეულ შემადგენლობის აღწერის დროს, ქმნის საერთო ნორმას, რომელსაც ზოგად ნაწილში ათავსებს და ამით ზოგად მნიშვნელობას ანიჭებს.<sup>62</sup>

განსაკუთრებული ნაწილის მუხლში იშვიათად შევხვდებით მითითებას, დანაშაულის სუბიექტზე, მაგრამ ყოველმა იურისტმა იცის, რომ თუ მუხლის დისპოზიციაში სუბიექტის ნიშანი სპეციალურად არ არის მითითებული, მან უნდა მოიშველიოს მე-12 მუხლი, სადაც განსაზღვრულია დანაშაულის სუბიექტის ნიშნები.

განსაკუთრებული ნაწილის ზოგიერთ მუხლში დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებას, რაც უფრო მკაცრ სასჯელს იწვევს, წარმოადგენს მძიმე შედეგის განხორციელება, თანაც მუხლის დისპოზიციაში ჩვეულებრივად არ არის მითითებული, თუ როგორი ბრალია საჭირო ამ უფრო მძიმე შედეგის მიმართ ან საერთოდ საჭიროა თუ არა ბრალი. ასეთია, მაგალითად, 110-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა — სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, თუ მას დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვება. იმის დასადგენად, თუ რა სახის ბრალია საჭირო ამ მძიმე შედეგის მიმართ, უნდა მოვიშველიოთ ზოგადი ნაწილიდან მუხლი 11, რომელიც ზოგადი ფორმით ითვალისწინებს: „თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას იმ მძიმე შედეგის დადგომის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშავის განზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირს უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ამ შედეგის დადგომა“.

---

<sup>62</sup> გასაგებია ამიტომ, რომ „დანაშაულის შემადგენლობის გასარკვევად საკმარისი არ არის კოდექსის მხოლოდ განსაკუთრებული ნაწილის ცოდნა, არამედ აუცილებელია ვიცოდეთ მის ზოგადი ნაწილიც. მარტოდენ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილების ცოდნა წარმოადგენს გარანტიას დანაშაულის შემადგენლობის სწორი გაგებისა და გამოყენებისათვის, ვინაიდან შემადგენლობის შინაარსი ირკვევა არა მარტო სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილიდან, არამედ მისი ზოგადი ნაწილიდანაც“ (ფ. პოლიაჩეკი, დასახ. ნაშრ., გვ. 160; იხ. აგრეთვე, **А.А. Пионтковский, Понятие преступления, М., 1961, გვ. 111-112.**)

იგივე შეეხება ნორმებს დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის შესახებ. კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში დანაშაულის შემადგენლობანი ისეა აღწერილი, რომ მათი სიტყვიერი ტექსტი მოიცავს მხოლოდ დამთავრებულ დანაშაულს როგორც შემადგენლობის მთავარ, ძირითად ფორმას, ხოლო დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობაზე აქ არაფერია ნათქვამი. კანონმდებელს შეეძლო, რა თქმა უნდა, დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობასთან ერთად თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში გაეთვალისწინებინა მისი მომზადება და მცდელობაც, მაგრამ ეს მნიშვნელოვნად დაამძიმებდა და გაზრდიდა კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მოცულობას. ამიტომ საკანონმდებლო-ტექნიკური მოსაზრებებით მან ამჯობინა ზოგად ნაწილში მიეთითებინა, რომ დამთავრებულ დანაშაულთან ერთად ისჯება აგრეთვე ისეთი ქმედობაც, რომელიც ამ დანაშაულის შესრულებისკენაა მიმართული.

დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ასეთივე შევსება ხდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმე შეეხება თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას. თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლების სიტყვიერი ტექსტი ისეა ფორმულირებული, თითქოს იგი მხოლოდ დანაშაულის უშუალო ამსრულებელს შეეხებოდეს, მაგრამ ჩვენ ვავსებთ ამ მუხლების დისპოზიციას ზოგადი ნაწილის მე-19 მუხლით, რომელიც ითვალისწინებს ორგანიზატორის, ნამქეზების და დამხმარის პასუხისმგებლობას.<sup>63</sup>

---

<sup>63</sup> ამიტომ ჩვენ არამართებულად მიგვაჩნია ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, თითქოს მომზადება და მცდელობა, აგრეთვე თანამონაწილეობა დანაშაულის შემადგენლობას არ შეიცავენ (იხ. **З.А. Вышинская, А.П. Кузнецов**, Некоторые замечания к проекту основ уголовного законодательства Союза ССР и союзных республик, "Советское государство и право" 1958, №8, გვ. 75; **В. Солнарж**, Соучастие по уголовному праву Чехословацкой Социалистической Республики, М., 1962, გვ. 36). აღნიშნული შეხედულების კრიტიკა იხ. **А. Сонталов**, Состав преступления... "Правоведение" 1960, №1, გვ. 110; **А.А. Пионтковский**, Учение о преступности, 1961, გვ. 110; თ. ნერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961, გვ. 62-66; თ. ნერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 63-70.



დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების შეესება ხდება არა მარტო სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილიდან, არამედ აგრეთვე სისხლის სამართლის კანონის განმარტების მეშვეობით. სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში ზოგჯერ პირდაპირ შეტანილი არ არის დანაშაულის შემადგენლობის ესა თუ ის ნიშანი, რომელიც ამ შემადგენლობაში მაინც იგულისხმება. ასეთ შემთხვევაში მოსამართლე კანონის მიყენების დროს ავსებს დისპოზიციის ხარვეზს მისი განმარტების მეშვეობით. ასე, მაგალითად, 150-ე მუხლის დისპოზიციაში, როგორც დავინახეთ, ქურდობა განსაზღვრულია როგორც „მოქალაქეთა პირადი ქონების ფარული გატაცება“ და არ არის მითითებული, რომ ამ დანაშაულის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ „სხვისი“ ქონება. მაგრამ არც ერთ მოსამართლეს არ მოუვა აზრად დააკვალიფიციროს როგორც ქურდობა საკუთარი ქონების თუნდაც მართლსაწინააღმდეგოდ და ფარულად გატაცება. სასამართლო პრაქტიკიდან შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი, როდესაც სასამართლომ არ სცნო ქურდობად ერთ-ერთი თანამესაკუთრის მიერ საერთო ქონების ფარულად გატაცება და მიუთითა, რომ აქ საქმე მხოლოდ სამოქალაქო სარჩელის წესით უნდა გადაწყვეტილიყო.<sup>64</sup> ამავე მუხლში არ არის პირდაპირ მითითებული, რომ სხვისი ქონების ფარულად გატაცება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ქურდობად, როდესაც იგი მოხდა ნივთის მისაკუთრების და არა დროებითი სარგებლობის მიზნით. მაგრამ როგორც სისხლის სამართლის მეცნიერებაში, ისე სასამართლო პრაქტიკაში მტკიცედ არის დადგენილი, რომ მისაკუთრების მიზნის გარეშე ქურდობის და საერთოდ ქონების გატაცების შემადგენლობა არ არსებობს.<sup>65</sup>

<sup>64</sup> იხ. "Биulletень Верховного Суда РСФСР" 1962, №4, გვ. 11.

<sup>65</sup> ნათქვამთან დაკავშირებით გაკვირვებას იწვევს ვ. ნ. კუდრიავცევის მტკიცება, რომ თუმცა შემადგენლობის ნიშნები მითითებულია კოდექსის განსაკუთრებული და ზოგადი ნაწილის მუხლებში ან სისხლის სამართლის ნორმის განამარტებიდან გამომდინარეობენ, მაგრამ ამასთანავე საქმე შეეხება განმარტებას მხოლოდ იმ ორგანოს მიერ, ვისაც ამი-

## §2. ქმედობის შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობისადმი, მისი მართლწინააღმდეგობა და საზოგადოებრივი საშიშროება

როგორც უკვე აღნიშნული იყო, დანაშაულის შემადგენლობის აღწერა მოცემულია სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში. დანაშაულის შემადგენლობის აღწერით და მასთან სასჯელის დაკავშირებით სისხლის სამართლის კანონი გარკვეულ ქმედობას მართლწინააღმდეგო ქმედობად აღიარებს. თანაც, იმისდა მიუხედავად, იყო თუ არა ესა თუ ის ქმედობა წინათ აკრძალული სამართლის რომელიმე სხვა დარგში (მაგალითად, სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სამართალში და სხვ.), თუ პირიქით, ეს ქმედობა სისხლის სამართლის კანონის გამოცემამდე სამართლის არც ერთი სხვა დარგის მიერ წინასწარ არსად არ იყო აკრძალული, კანონმდებელი დანაშაულის შემადგენლობის შექმნით ქმნის განსაზღვრული სახის უმართლობას, სისხლისსამართლებრივ უმართლობას, თანაც ზუსტად მიჯნავს სისხლისსამართლებრივ უმართლობას ყველა დანარჩენი მოქმედებისაგან, რომელსაც სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა არ ახასიათებს. აქედან ნათელია, რომ დანაშაულის შემადგენლობა არის სისხლის მართლწინააღმდეგობის საფუძველი. მოქმედების შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობისადმი ნიშნავს იმავდროულად ამ მოქმედების მართლწინააღმდეგობასაც. ქმედობა ეწინააღმდეგე-

---

სი უფლება აქვს — სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ან უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს. პირს, რომელიც იყენებს კანონს, არ შეუძლია თვით განსაზღვროს მისი შინაარსი" (იხ. **В.Н. Кудрявцев**, Теоретические основы квалификации преступлений, М., 1963, გვ. 82). თუ კანონის განმარტება ნიშნავს კანონის ნამდვილი აზრის დადგენას, ხოლო სხვაგვარად ეს ცნება შეიძლება იქნეს გაგებული, მაშინ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ კანონის გამოყენება მისი განმარტების გარეშე. ვ. ნ. კუდრიავეცევის მტკიცება მით უფრო საკვირველია, რომ თვით მას მოჰყავს მშვენიერი მაგალითები შემადგენლობის ნიშნების დაზუსტებისა და შევსებისა სასამართლოს მიერ კანონის განმარტების მეშვეობით (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 76-77).

ბა სისხლისსამართლებრივ ნორმას, თუ იგი შეესაბამება სისხლის სამართლის კანონში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს და თუ ამავე დროს არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რაიმე განსხვავებული გარემოება. გასაგებია ამიტომ, რომ დანაშაულის შემადგენლობის განსაკუთრებული ნიშნების ზუსტად დადგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური კანონიერების განხორციელებისა და მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის.

ვინაიდან მართლწინააღმდეგობა ემთხვევა ქმედობის შესაბამისობას დანაშაულის შემადგენლობისადმი, ამიტომ მართლწინააღმდეგობას ცალკე სპეციალური დამტკიცება არ სჭირდება. თუ, მაგალითად, სასამართლომ დაამტკიცა, რომ პირმა ფარულად, მითვისების მიზნით გაიტაცა სხვისი ქონება, ე. ი. დაამტკიცა, რომ პირის ქმედობა ზუსტად შეესაბამება ქურდობის შემადგენლობის ნიშნებს, მას სულაც არ სჭირდება მეორე საკითხის გადაჭრა: ე. ი. არის თუ არა ეს მოქმედება მართლწინააღმდეგო, ვინაიდან პირველ კითხვაზე დადებითი პასუხი ნიშნავს თავისთავად დადებით პასუხს მეორე კითხვაზედაც.

აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით დანაშაულის მხოლოდ ფორმალურ მხარეზე — მის მართლწინააღმდეგობაზე, მაგრამ არაფერი გვითქვამს მართლწინააღმდეგობის მატერიალურ შინაარსზე — საზოგადოებრივ საშიშროებაზე და მის ურთიერთობაზე დანაშაულის შემადგენლობასთან.

თავში დანაშაულის ცნების შესახებ აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა კანონმდებელი კრძალავს რაიმე მოქმედებას სასჯელის მუქრით იმის გამო, რომ ეს ქმედობა წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას. ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება, უფრო სწორად, საზოგადოებრივი საშიშროების გარკვეული ხარისხი მისი დანაშაულად გამოცხადების საფუძველია.

აქედან ცხადია, რომ თუ მოქალაქემ ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობა, იგი ამავე

დროს მოქმედებდა საზოგადოებრივად საშიშად. მაგალითად, თუ სასამართლომ დაადგინა, რომ სუბიექტის მოქმედება შეესაბამება კანონში აღწერილი ქურდობის ნიშნებს (1. სხვისი, 2. ქონების, 3. გატაცება, 4. ფარულად, 5. მითვისების მიზნით), ამით იგი ამტკიცებს, ქმედობის მართლწინააღმდეგობასთან ერთად, მის საზოგადოებრივ საშიშროებასაც.

სასამართლოსათვის იმის დაკისრება, რომ მას ბრალდებულის ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობასთან ერთად, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, დაემტკიცებინა მართლწინააღმდეგობისა და საზოგადოებრივი საშიშროების არსებობა, არა მარტო ზედმეტი იქნებოდა, არამედ აგრეთვე სახიფათოც. ვინაიდან ფაქტიურად ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ჩვენ უფლებას ვაძლევთ სასამართლოს რევიზია გაუკეთოს სისხლის სამართლის კანონის დადგენილებებს და დამოუკიდებლად შეაფასოს, ნამდვილად არის თუ არა სისხლის სამართლის კანონში გათვალისწინებული ქმედობა ამავე დროს მართლწინააღმდეგი და საზოგადოებრივად საშიში. ამას კი მოყვებოდა კანონით ზუსტად მოხაზული მკვეთრი შემადგენლობებისათვის ძირის გამოთხრა და კანონმდებლის მიერ დადგენილი ნათელი და მტკიცე კრიტერიუმების შეცვლა მოსამართლის სუბიექტური შეხედულებებით და აზრებით.

მაგრამ არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე. ხოლო გამონაკლისის სახით შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ესა თუ ის ქმედობა ფორმალურად შეესაბამება დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, რომლებიც აღწერილია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლში, მაგრამ არ არის საზოგადოებრივად საშიში, ვინაიდან არსებობს განსაკუთრებული გარემოება, რომელიც გამორიცხავს საზოგადოებრივ საშიშროებას.

„...კანონი, რომელიც აღწერს დანაშაულის შემადგენლობას, ნავარაუდევია განსაზღვრულ გარემოებებზე, განსაზღვრულ კონკრეტულ ისტორიულ პირობებზე, ხოლო ცხოვრებაში შეიძლება შეგვხვდეს ისეთი სიტუაცია, როდესაც იმა-

ვე ქმედობას (ე. ი. დისპოზიციით გათვალისწინებული ნიშნების მქონე ქმედობას) არ ახასიათებს საზოგადოებრივი საშიშროება“.<sup>66</sup> ასეთი შემთხვევები გათვალისწინებულია, უპირველეს ყოვლისა, თვით სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, სახელდობრ, საფუძვლების მე-7 მუხლის მეორე ნაწილში, მე-13 მუხლსა და მე-14 მუხლში.

მე-7 მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამია, რომ „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული რაიმე ქმედობის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო, არ წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშს“.

მე-12 მუხლის თანახმად, „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში...“.

ამგვარადვე, მე-13 მუხლი ადგენს: „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც, თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში...“.

ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვები კანონისა იმ აზრს გამოხატავენ, რომ ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევაში ქმედობა, თუმცა ფორმალურად შეესაბამება სისხლის სამართლის კანონში აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, მაგრამ ვინაიდან არსებობს მართლწინააღმდეგობისა და საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოება, ასეთი მოქმედება დანაშაულად არ ჩაითვლება.

ამ დებულებამ ნათელი გამოხატულება ჰპოვა რსფსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და უმაღლეს სასამართლოს 1927 წლის 15 იანვრის სადირექტივო წერილში რსფსრ-ის 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის შენიშვნის გამოყენების შესახებ. ამ წერილში ნათქვამია: „მე-6 მუხ-

---

<sup>66</sup> ვ. კუდრიავცევი, დასახ. ნაშრ., გვ. 89-90.

ლის შენიშვნის გამოყენების დროს, სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც საერთო ფაქტიური გაუქმება დანაშაულის ფორმალური ნიშნებისა, რომლებიც მითითებულია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში. სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში აღწერილ დანაშაულთა შემადგენლობის ნიშნები სავალდებულოა სასამართლოსათვის, და სასამართლოებმა ამ ნიშნებით უნდა იხელმძღვანელონ ბრალდებულისათვის ინკრიმინირებულ მოქმედებათა დანაშაულებრიობის განსაზღვრისას, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში დანაშაულის ფორმალური შემადგენლობა კარგავს თავის სოციალურად საშიშ შინაარსს იმის გამო, რომ ქმედობა აშკარად მცირემნიშვნელოვანია და მას მავნე შედეგები არ მოჰყოლია".<sup>67</sup>

ავილთ ამ აზრის საილუსტრაციოდ გარკვეული მაგალითი.

ვთქვათ, ვინმემ მოიპარა ერთი კოლოფი ასანთი. ფორმალურად ამ მოქმედებაში მოცემული გვაქვს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები 1. სხვისი, 2. ქონების, 3. ფარულად, 4. გატაცება, 5. მითვისების მიზნით. მაგრამ მოქმედებათა მცირემნიშვნელობის გამო ამ ნიშნების ერთობლიობა აღნიშნულ კონკრეტულ შემთხვევაში მოკლებულია საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს, რაც გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ მართლწინააღმდეგობას და მაშასადამე, ქმედობის დანაშაულებრიობას. ამგვარად, ჩარჩო დარჩა, მაგრამ მისი არსი, მისი გული კი აღარ არის. ამავე მდგომარეობას ადგილი აქვს უკიდურესი აუცილებლობის დროს. ავილთ ასეთი მაგალითი: ტუნდრაში დაკარგული მწყემსები, რომლებიც გაფანტული ირმების ჯგოფს ეძებენ, რამდენიმე დღის შიმშილის შემდეგ ნააწყდებიან გეოლოგიური პარტიის საწყობს და შიმშილით სიკვდილისაგან თავის გადასარჩენად მოიპარავენ ამ საწყობიდან ხორცს. აქაც ფორმალურად ჩვენ გვაქვს სისხლის სა-

<sup>67</sup> იხ. "Еженедельник советской юстиции" 1927, №2, გვ. 14.

მართლის კანონით გათვალისწინებული ნიშნები სხვისი ქონების ფარულად გატაცებისა, ე. ი. ქურდობისა. მაგრამ განსაკუთრებული გარემოების არსებობსი გამო, ეს ქმედობა არ არის საზოგადოებრივად საშიში და მართლწინააღმდეგი.

ამგვარად, დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც სისხლის სამართლის კანონშია აღწერილი, ტიპიზირებულ სისხლისსამართლებრივ უმართლობას წარმოადგენს. მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში ქმედობა, რომელიც სისხლის სამართლის კანონში აღწერილი ქმედობის ტიპს ფორმალურად შეესაბამება, მატერიალურად არ არის დანაშაული. ვინაიდან განსაზღვრულმა კონკრეტულმა გარემოებამ, რომელიც შეიძლება გათვალისწინებული იყოს თვით სისხლის სამართლის კანონში, გამორიცხა ასეთი ქმედობის მართლწინააღმდეგი და დანაშაულებრივი ხასიათი. სისხლისსამართლებრივი უმართლობის გამომრიცხველი გარემოებების ასეთი განსაკუთრებული ხასიათი კარგად იყო ხაზგასმული ზემოაღნიშნულ სადირექტივო წერილში, რომელშიც ნათქვამია, რომ „...სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის შენიშვნა არის მხოლოდ გამოსავალი ზოგიერთი შემთხვევისათვის, როდესაც ფორმალურმა მიდგომამ დანაშაულის შემადგენლობისადმი შეიძლება გადააქციოს სასამართლოს განაჩენის კანონზომიერი აქტი თავის წინააღმდეგობად, ე. ი. აქტად, რომელიც, საბჭოთა სისხლის სამართლის პოლიტიკის თვალსაზრისით, არსებითად აშკარად მიზანშეუწონელი იქნებოდა“.<sup>68</sup>

ამგვარად, მივედით შემდეგ დასკვნამდე:

1. დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ჩამოყალიბება ხდება ამ ნიშნების ერთობლიობის საზოგადოებრივი საშიშროების გამო;

2. დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ჩამოყალიბება ასაბუთებს ამ ქმედობის სისხლისსამართლებრივ მართლწინააღმდეგობას;

3. საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა დანაშაულის შემადგენლობის დამოუკიდებელ ნიშნებს კი

---

<sup>68</sup> იხ. "Ежнедельник советской юстиции" 1927, №2, გვ. 14.

არ წარმოადგენს, არამედ ისინი ახასიათებენ დანაშაულის შემადგენლობას მთლიანად. „ამაში მდგომარეობს საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის თავისებური ხასიათი, ყველა სხვა ნიშნისაგან განსხვავებით, რაც დანაშაულის შემადგენლობის ობიექტსა და ობიექტურ მხარეს, სუბიექტსა და სუბიექტურ მხარეს ახასიათებს“;<sup>69</sup>

4. დანაშაულის შემადგენლობა ტიპურად, ზოგადად ასაბუთებს ქმედობის მართლწინააღმდეგობას და საზოგადოებრივ საშიშროებას, ე. ი. თუ არ არსებობს განსაკუთრებული საფუძველი, რომელიც გამორიცხავს მართლწინააღმდეგობას და საზოგადოებრივ საშიშროებას;

5. საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოების არსებობის შემთხვევაში, დანაშაულის შემადგენლობა არსებობს მარტოოდენ ფორმალურად, ხოლო არსებითად დანაშაულის შემადგენლობა მისი მატერიალური მნიშვნელობით არ არსებობს, ვინაიდან შემადგენლობას გამოეცალა ის საფუძველი, რის გამოც გარკვეული ნიშნების მქონე ქმედობა დანაშაულად იყო გამოცხადებული, სახელდობრ — საზოგადოებრივად საშიში ხასიათი.

6. პრაქტიკულად მართლწინააღმდეგობის და საზოგადოებრივი საშიშროების საკითხების განსაკუთრებული გამოკვლევა საბჭოთა სასამართლოს უხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი შეეხება მათ გამომრიცხველ გარემოებას, ვინაიდან დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების დამტკიცება, ამ განსაკუთრებულ გარემოებათა გარეშე, სასამართლოსათვის ნიშნავს იმავდროულად მართლწინააღმდეგობისა და საზოგადოებრივი საშიშროების არსებობის დამტკიცებას.

---

<sup>69</sup> В.М. Чхиквадзе, Понятие и значение состава преступления, "Советское государство и право" 1955, №4, გვ. 59.



### §3. დანაშაულის ცნება და დანაშაულის შემადგენლობის ცნება

დანაშაულის ცნებისა და დანაშაულის შემადგენლობის ცნების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ერთსულოვანი შეხედულება ჯერ კიდევ არ არის გამომუშავებული.

საკმაოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, დანაშაული და დანაშაულის შემადგენლობის ცნებები ისეთ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან, როგორც გვარეობითი ცნება სახეობით ცნებასთან. მაგალითად, პროფ. პიონტკოვსკის აზრით, „დანაშაულის მატერიალური ცნება მიზნად ისახავს მოგვცეს დანაშაულის ცნების ზოგადი განსაზღვრება... მისი სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის გახსნით...“<sup>70</sup> „დანაშაულის ზოგადი მატერიალური ცნება როგორც საზოგადოებრივად საშიში ქმედობა განმარტავს საბჭოთა სისხლის სამართლისათვის ცნობილი ყველა დანაშაულის არსს“.<sup>71</sup> ამის საპირისპიროდ „დანაშაულის ყოველი შემადგენლობა როგორც იმ ნიშნების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრულ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას ახასიათებენ, არის იურიდიული ცნება ცალკეული დანაშაულის შესახებ“.<sup>72</sup>

ამ ციტატებიდან ნათლად ჩანს, რომ პროფ. პიონტკოვსკის აზრით: 1. დანაშაულის ცნება არის ზოგადი ცნება ყოველი დანაშაულის შესახებ, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, ხოლო შემადგენლობის ცნება – ეს არის ცნება განსაზღვრული, ცალკეული დანაშაულის შესახებ; 2. დანაშაულის ზოგადი ცნება განისაზღვრება მატერიალურად, მისი სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის მიხედვით, ხოლო შემადგენლობის ცნება — ცალკეული დანაშაულის იურიდიულ დახასიათებას წარმოადგენს.

ვფიქრობთ, ეს მსჯელობა ლოგიკურად სწორი არ უნდა

<sup>70</sup> А.А. Пионтковский, Учение о преступлении, 1961, гл. 114.

<sup>71</sup> იქვე, გვ. 115.

<sup>72</sup> იქვე.

იყოს. უპირველეს ყოვლისა, დანაშაულის შემადგენლობა არ შეიძლება წარმოადგენდეს დანაშაულის ზოგადი ცნების სახეობით ცნებას. დანაშაულის ზოგადი ცნების სახეობითი ცნება იქნება ცალკეული დანაშაულის (მაგალითად, მკვლელობის, ქურდობის, ყაჩაღობის და სხვ.) და არა შემადგენლობით (ე. ი. განსაზღვრული დანაშაულის აღწერის) ცნება. მეორე მხრით, ცალკეულ შემადგენლობათა (მაგალითად, ქურდობის შემადგენლობის, მკვლელობის შემადგენლობის და სხვ.) გვარეობითი ცნება იქნება დანაშაულის შემადგენლობის ზოგადი ცნება.<sup>73</sup> მეორე, დანაშაულის ზოგადი ცნება არ ამოიწურება მისი მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკური დახასიათებით. როგორც დავინახეთ, სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-7 მუხლში დანაშაული განსაზღვრულია არა მარტო როგორც საზოგადოებრივად საშიში, არამედ აგრეთვე როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული, ე. ი. მართლსაწინააღმდეგო ქმედობა, მაშასადამე, დანაშაულის ზოგად განსაზღვრებაში მოცემულია როგორც მისი მატერიალური, ისე ფორმალური ნიშანი.<sup>74</sup> მეორე მხრივ, დანაშაულის შემადგენლობის ცნება თუმცა თავისი ბუნებით ფორმალური, იურიდიული ცნებაა, მაგრამ მასში, როგორც დავინახეთ, ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებაც იგულისხმება. იმდენად, რამდენადაც საზოგადოებრივი საშიშროება კანონმდებლისათვის შემადგენლობის შექმნის საფუძველია.<sup>75</sup>

ძირითადი განსხვავება დანაშაულის ცნებასა და შემადგენლობის ცნებას შორის იმაში მდგომარეობს, რომ დანაშაულის ცნება ასახავს ადამიანის ქმედობის როგორც რეალურ,

---

<sup>73</sup> და არა დანაშაულის ზოგადი შემადგენლობა. დანაშაულის ზოგადი შემადგენლობა ისეთივე უაზრობაა, როგორც ზოგადი დანაშაული.

<sup>74</sup> თვით პროფ. ა. პიონტიკოვსკი განსაზღვრავს დანაშაულის ცნებას როგორც „საზოგადოებრივად საშიშ, მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ და დასჯად ქმედობას...“ (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 29).

<sup>75</sup> სხვათა შორის, თვით პროფ. ა. პიონტიკოვსკი დაჟინებით მოითხოვს, რომ შემადგენლობის ცნებაში საზოგადოებრივი საშიშროების ნიშანი შეიტანონ (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 115-116).

თვით ცხოვრების მოვლენას, როგორც რეალურ პროცესს, მაშინ როდესაც შემადგენლობა სისხლის სამართლის კანონის განსაზღვრულ ნაწილში (დისპოზიციაში) ფიქსირებულ ნიშნების აღწერას წარმოადგენს. როგორც სწორად მიუთითებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს ავტორები, „შემადგენლობა არის კანონით ფიქსირებული ცნება განსაზღვრული დანაშაულისა... და არა თვით დანაშაული“. ისევე, როგორც დანაშაულის ცნება არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს დანაშაულის შემადგენლობის ცნებასთან, არც დანაშაულის ელემენტები არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს შემადგენლობის ნიშნებთან, რომლებიც ამ ელემენტებს აღწერენ. ეს მომენტი კარგად აქვს ნაჩვენები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კრიმინალისტს ჰ. ჰერაცს. დანაშაული, — წერს იგი, — არ არის შემადგენლობის ნაწილი და არც იდენტურია შემადგენლობისა. განა შეიძლება იმის მტკიცება, რომ ადამიანი, რომელიც დანაშაულებრივი ქმედობის სუბიექტია, შემადგენლობის ნიშანს წარმოადგენდეს? ან სახალხო საკუთრება, რომელიც სოციალისტური სექტორის საფუძველს წარმოადგენს, შემადგენლობის ნიშანია?... იგივე უნდა ითქვას თვით ქმედობაზე. მკვლელობა (განსაზღვრულმა ადამიანმა მოკლა მეორე ადამიანი) არ არის შემადგენლობის ნიშნების ჯამი, არამედ რეალური საზოგადოებრივი პროცესი თავისი საკუთარი საზოგადოებრივი მიზეზებითა და შედეგებით, მაშინ როდესაც შემადგენლობა კანონის შემადგენელ ნაწილსა და ამით ჩვენი ზედნაშენის იურიდიულ დაწესებულებას წარმოადგენს. შემადგენლობა ამიტომ არ უნდა იქნეს გაიგივებული დანაშაულთან“.

ეს შეხედულება თავისთავად სწორია, მაგრამ, ჩვენი აზრით, საკმარისი არ არის დანაშაულის ცნებისა და შემადგენლობის ცნების ურთიერთგამიჯვნისათვის. საჭიროა შემდგომში საკითხი გაირკვეს. შემადგენლობა — სისხლის სამართლის კანონია, მაგრამ მოქმედება, რომელიც შემადგენლობას შეესაბამება, ე. ი. შეიცავს სისხლის სამართლის კანონით აღწერილ ნიშნებს, — ეს უკვე სისხლის სამართლის კანონი კი აღარ არის, არამედ წარმოადგენს რეალურ საზოგადოებრივ პროც-

ესს რეალური მიზეზებითა და შედეგებით. ამიტომ საჭიროა გარკვეულ იქნეს: იდენტურია თუ არა შემადგენლობის შესაბამისი ქმედობის ცნება დანაშაულებრივი ქმედობის ცნებასთან. თუ იდენტურია, მაშინ რალა საჭიროა შეიქმნას ორი ცნება: დანაშაულებრივი ქმედობისა და შემადგენლობის შესაბამისი ქმედობისა. — ჩვენი აზრით, ეს ცნებები იდენტური არ არის.

თუმცა საზოგადოებრივი საშიშროება წარმოადგენს (კანონმდებლისათვის) საფუძველს შემადგენლობის შესაქმნელად, ხოლო შემადგენლობა — (მოსამართლისათვის) საფუძველს საზოგადოებრივი საშიშროების დადგენისათვის. მაგრამ მაინც შემადგენლობას ვერ გავაიგივებთ საზოგადოებრივ საშიშროებასთან. ქმედობის შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობასთან — დანაშაულის ფორმალური ნიშანია, საზოგადოებრივი საშიშროება — მისი მატერიალური ნიშანი. დანაშაული — ფორმალური და მატერიალური ნიშნების ერთობლიობას წარმოადგენს. მაშასადამე, დანაშაულის შემადგენლობა — დანაშაულის ისეთივე აუცილებელი ელემენტია, როგორც საზოგადოებრივი საშიშროება. დანაშაულის შემადგენლობა რომ დანაშაულის აუცილებელი ელემენტია, ეს გამომხატულია თვით კანონის სიტყვებით, რომელიც ლაპარაკობს „სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედობაზე“.

#### **§4. დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები**

ყოველი დანაშაულის შემადგენლობა შედგება ცალკეული ნიშნებისაგან, რომელთა ერთობლიობა ზუსტად აღწერს განსაზღვრული ტიპის დანაშაულებრივ ქმედობას. ადამიანის მოქმედება შეესაბამება დანაშაულის შემადგენლობას, თუ მასში არის შემადგენლობის ყველა ნიშანი. ერთ-ერთი ნიშნის არარსებობაც კი გამორიცხავს შემადგენლობას. მაგალითად, 150-ე მუხლში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობა არ არსებობს, თუ პირმა ფარულად გაიტაცა არა სხვისი, არამედ

საკუთარი ქონება, ე. ი. თუ არ არსებობს ქურდობის ის ნიშანი, რომ ქონება სხვისი უნდა იყოს.

შემადგენლობის ნიშნები შეიძლება დავყოთ ორ ძირითად კატეგორიად; აღწერილობით და შეფასებით ნიშნებად. აღწერილობითი ისეთ ნიშნებს ეწოდება, რომლებიც დანაშაულის ფაქტიურ მხარეს აღწერენ, რომლებიც, მაშასადამე, დროსა და სივრცეში არსებობენ და შეიძლება აღქმული იქნენ ჩვენი გრძნობების მეშვეობით. ეს ნიშნები, ჩვეულებრივად, მიზეზობრივად არიან დაკავშირებულნი. ასეთი ნიშნებია, მაგალითად, ადამიანის სიკვდილი (მკვლელობის დროს), ქონების გატაცება (გატაცების შემადგენლობებში), ქონების დაზიანება (ქონების დაზიანების შემადგენლობებში), გამანზილვებელი ცნობების გავრცელება (ცილისწამების დროს) და ა. შ. არსებობენ შემადგენლობის ისეთი ნიშნებიც, რომლებიც თუმცა მიზეზობრივად არ არიან დაკავშირებული მოქმედებასთან, მაგრამ მაინც ფაქტების სფეროს ეკუთვნიან, ე. ი. ჩვენი გრძნობების მეშვეობით აღიქმებიან. ასეთია: მაგალითად, ნიშანი „ნივთის ქონების გატაცების შემადგენლობებში, ქალის ორსულობა — ორსული ქალის მკვლელობის შემადგენლობაში და ა. შ.

აღწერილობით ნიშნების მიმართ მოსამართლეს ევალება მხოლოდ დაადგინოს, ნამდვილად არსებობს თუ არა ეს ნიშანი. მაგალითად, ნამდვილად გატაცებულია თუ არა ქონება ან ნამდვილად მოკლულია თუ არა კაცი, ნამდვილად ორსულად იყო თუ არა ქალი და სხვ.

აღწერილობითი ნიშნებისაგან განსხვავებით, შეფასებითი ნიშნები ეწოდება შემადგენლობის ისეთ ნიშნებს, რომლებიც არ შეიძლება აღქმული იქნენ ჩვენი გრძნობების მეშვეობით და რომელთა პირის დადგენა შეიძლება მხოლოდ ნორმის შემფარდებლის შეფასებითი მსჯელობის მეშვეობით, ე. ი. აზრის გარკვეული ოპერაციის შედეგად, ანუ „გონების თვალთ“. ასეთი ნიშნებია, მაგალითად: ნიშანი „სხვისი“ 147-ე მუხლში (სხვისი ნაწარმოების გამოშვება საკუთარი სახელით), ნიშანი „განსაკუთრებული სისასტიკე“ 104-ე მუხლში (განზრახი მკვლელობა), ნიშანი წვრილმანი 95-ე მუხლში სოციალისტუ-

რი ქონების წერილმანი გატაცება, ნიშანი „გარყვნილი“ 120-ე მუხლში (გარყვნილი ქმედობა), ნიშანი „სახელის გამტეხი ცნობები“ 137-ე მუხლში (ცილისნამება) და ა. შ. ის საკითხი, არის თუ არა ნაწარმოები „სხვისი“, შეიძლება დადგენილ იქნეს იმ სამართლებრივი ნორმების მეშვეობით, რომლებიც აწესრიგებენ განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობებს (საავტორო ურთიერთობებს); საკითხი, ჩადენილია თუ არა მკვლელობა „განსაკუთრებული სისასტიკით“, არის თუ არა ქმედობა „გარყვნილი“, აქვს თუ არა დამნაშავის მიერ გავრცელებულ ხმებს სახელგამტეხი ხასიათი, — ყოველივე ეს შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ სოციალისტური ზნეობის თვალსაზრისით შეფასების მეშვეობით; საკითხი, არის თუ არა გატაცებული ქონება წერილმანი, შეიძლება გადავჭრათ მხოლოდ სამეურნეო (ეკონომიკური) კრიტერიუმის მოშველიებით.<sup>76</sup>

როგორც ამ მცირეოდენი მაგალითებიდანაც ჩანს, შემადგენლობის „შეფასებითი“ ნიშნები ნაკლებად ზუსტნი, ნაკლებად განსაზღვრული არიან. ამიტომ მათი დადგენა არ ხდება მათი არსებობის უბრალო კონსტიტუციის მეშვეობით, არამედ მოსამართლეს უხდება გარკვეული ნორმების (სამართლებრივი თუ ზნეობრივი) ან ეკონომიკური თუ სხვაგვარი კრიტერიუმის მოშველიება მათი არსის გასარკვევად. მაშასადამე, ამ ნიშნების დადგენისას მოსამართლის თავისუფალ მიხედულებას ერთგვარი გასაქანი ეძლევა. ამიტომ საბჭოთა კანონმდებელს ასეთი ნიშნები მხოლოდ მაშინ შეაქვს დანაშაულის შემადგენლობაში, როცა შემადგენლობის დახასიათება წმინდა აღწერილობითი ნიშნებით შეუძლებელი ან მეტად ძნელია.

საზღვარი დანაშაულის აღწერილობით და შეფასებით ნიშნებს შორის ხშირად მერყევა. ერთი და იგივე ნიშანი შეი-

---

<sup>76</sup> მაგალითად, სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში ხ.-სა და მ.-ს საქმეზე ნათქვამია: „ყველა შემთხვევაში ის საკითხი, შეიძლება თუ არა ესა თუ ის გატაცება ჩაითვალოს წერილმანად..., სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს თითოეული საქმის კონკრეტულ გარემოებათა მიხედვით“ (Бюллетень Верховного Суда СССР" 1959, №1, გვ. 10).

ძლება აღწერილობითი იყოს და შეფასებითიც. ამის მაგალითი მოჰყავს ვ. მაყაშვილს, რომელიც მიუთითებს „...ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობაში ხელყოფის საგნად აღნიშნულია „დოკუმენტი“ (იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 211-ე მუხლი, სადაც ლაპარაკია დოკუმენტის გატაცების ან დაზიანების შესახებ). დოკუმენტის ისეთი ნიშნები, როგორიცაა ქალაღი, შტამპი, ხელმოწერა, ბეჭედი და სხვ., ფაქტიურნი არიან, ისინი შეიძლება აღქმულ იქნენ გრძნობების მეშვეობით. ხოლო დოკუმენტის ის თვისება, რომ მას შეუძლია იურიდიული ფაქტების დადასტურება, აღიქმება მხოლოდ გონების თვალთ“.<sup>77</sup>

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი კრიმინალისტი უარყოფს შემადგენლობის „შეფასებითი“ ნიშნების არსებობას. მაგალითად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს ავტორების აზრით, შემადგენლობის ყველა ნიშანი აღწერილობითი (დესკრიფციული) ბუნებისაა, მაშასადამე, არ არსებობენ არავითარი ეგრეთ წოდებული ნორმატიული ნიშნები, ე. ი. ისეთი ნიშნები, რომლებსაც „შეფასება“ ესაჭიროებათ... ამავე დროს აღნიშნული სახელმძღვანელოს ავტორები არ უარყოფენ იმასაც, რომ დანაშაულის შემადგენლობებში გვხვდება შედარებით განუსაზღვრელი ნიშნები, ისეთი, მაგალითად, როგორიცაა სასტიკი მოპყრობა. მაგრამ, მათი აზრით, „ასეთი ნიშნების შინაარსი იმით კი არ დგინდება, თუ რა აზრს ჩააქსოვს მათში ცალკეული ინტერპრეტატორი (მოსამართლე, პროკურორი ან მეცნიერი), არამედ, უპირველეს ყოვლისა, კანონმდებლის ნებინდან და მის საფუძვლად მდებარე სპეციფიკური საზოგადოებრივი რეალობიდან ჩვენს დემოკრატიულ წყობილებაში, ე. ი. ეკონომიკური, პოლიტიკური და ზნეობრივი ურთიერთობებიდან, რომლებიც აღწერილი არიან შემადგენლობის სხვადასხვა ნიშნების მეშვეობით“.<sup>78</sup>

<sup>77</sup> В. Макашвили, Понятие умысла в уголовном праве, „მაცნე“, 1966, №6, გვ. 77.

<sup>78</sup> იქვე, გვ. 283.

ჩვენი აზრით, ეს მოსაზრებები შემადგენლობის შეფასებითი ნიშნების წინააღმდეგ მოკლებულია საფუძველს. უკვე თვით აღიარება შედარებით განუსაზღვრელი ნიშნების არსებობისა მიგვიჩივებს, რომ შემადგენლობის ყველა ნიშანი როდი ატარებს წმინდა ფაქტიურ, აღწერილობით ხასიათს, რომ ზოგიერთი ნიშნის არსებობის დადგენისათვის შეუძლებელია დავჯერდეთ მხოლოდ ფაქტების დადასტურებას, არამედ უნდა მივმართოთ მათ შეფასებას სოციალისტური სამართლებრივი თუ ზნეობრივი ნორმების თვალსაზრისით, სოციალისტური მართლშეგნების საფუძველზე. თავისთავად ცხადია, რომ შეფასებითი ნიშნების დადგენა სრულიადაც არ გულისხმობს კანონის შემფარდებლის თვითნებობას. ამ პროცესს და მისი მეშვეობით გამორკვეულ ცნებას ობიექტური საფუძველი აქვს. „როგორც ყოველი სხვა მსჯელობა, შეფასებითი მსჯელობაც შეიძლება შემონმებულ იქნეს შესაბამისი მოვლენის ან საგნის ობიექტური თვისებების გარკვევით“.<sup>79</sup> არსებობს განსაზღვრული ობიექტური კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს საბჭოთა მოსამართლემ კანონის ინტერპრეტაციის დროს: ეს არის საბჭოთა კანონმდებლობის ზოგადი პრინციპები და სოციალისტური მართლშეგნება, რომელთა მეშვეობით მოსამართლემ უნდა გამოარკვიოს კანონის ნამდვილი აზრი კონკრეტულ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში. გასაგებია ამიტომ, რომ უკანასკნელ წლებში საბჭოთა კრიმინალისტიკები აღიარებენ შემადგენლობის „შეფასებითი ნიშნების არსებობას“.<sup>80</sup>

---

<sup>79</sup> В.Н. Кудрявцев, Теоретические основы квалификаций преступлений, М., 1963, გვ. 122.

<sup>80</sup> იხ., მაგალითად, В.Н. Кудрявцев, Теоретические основы квалификаций преступлений, М., 1963, გვ. 120-129; В. Макашвили, Понятие умысла в уголовном праве, „მაცნე“, 1960, №5. ბ. ს. ნიკიფოროვი შემადგენლობის „შეფასებითი ნიშნების“ მაგივრად ლაპარაკობს შემადგენლობის „სოციალურ ნიშნებზე“ (იხ. Б.С. Никифоров, Об умысле по действующему уголовному законодательству, „Советское государство и право“ 1965, №6, გვ. 30-32). ბ. ს. ნიკიფოროვის ამ შეხედულების კრიტიკა იხ. ვ. მაყაშვილის დასახელებულ ნაშრომში („მაცნე“, 1966, №6, გვ. 76-77).



2. დანაშაულის შემადგენლობაში აღწერილი ნიშნები შეეხებიან დანაშაულის ობიექტს, ობიექტურ მხარეს, სუბიექტს და სუბიექტურ მხარეს.

საბჭოთა სისხლის სამართლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სოციალისტურ ურთიერთობათა დაცვა. „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ამოცანაა, — ნათქვამია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 1-ლ მუხლში, — დაიცვას საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წეს-წყობილება, სოციალისტური საკუთრება, მოქალაქის პიროვნება და უფლებანი და მთელი სოციალისტური მართლწესრიგი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან“.

დანაშაულის ობიექტად საზოგადოდ ითვლება ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელსაც იცავს სისხლის სამართლის კანონი. დანაშაულის ცალკეული შემადგენლობის შექმნით კანონმდებელი მიზნად ისახავს სავესებით განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობის დაცვას. მაგალითად, 91-ე, 92-ე, 93-ე და სხვა მუხლები იცავენ სოციალისტურ საკუთრებას, 104-ე, 105-ე და სხვა მუხლები — ადამიანის სიცოცხლეს, 11-ე, 112-ე, 113-ე და სხვა მუხლები — ადამიანის ჯანმრთელობას, 137-ე და 138-ე მუხლები — ადამიანის პატივსა და ღირსებას და ა. შ.

მითითება დანაშაულის ობიექტზე ხშირად პირდაპირ მოცემულია დანაშაულის შემადგენლობაში. მაგალითად, 65-ე მუხლში (სამშობლოს ღალატი) დანაშაულის ობიექტად მითითებულია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ტერიტორიული ხელშეუხებლობა და სამხედრო ძლიერება; პირიქით, არის შემთხვევები, როდესაც განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობა შეიძლება დადგენილ იქნეს როგორც დანაშაულის ობიექტი მხოლოდ სისხლის სამართლის კანონის განმარტების მეშვეობით.

ზოგი დანაშაულის შემადგენლობას ორი ობიექტი აქვს. მაგალითად, 152-ე მუხლის (ყაჩაღობის) შემადგენლობის ობიექტს წარმოადგენს როგორც საკუთრება, ისე პიროვნება.

ასეთი შემადგენლობებისაგან უნდა განვიასხვავოთ შემადგენლობები, რომელთაც ალტერნატიულად ორი ან მეტი ობიექტი აქვთ. მაგალითად, 65-ე მუხლის (სამშობლოს ღალატის) ობიექტი არის: 1. ან სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება, 2. ან ტერიტორიული ხელშეუხებლობა, 3. ან სამხედრო ძლიერება.

დანაშაულის შემადგენლობის აღწერისას განსაკუთრებული ყურადღება დანაშაულის ობიექტური მხარის ნიშნებს ექცევა, ხოლო მათ შორის — შემადგენლობის ძირითად ბირთვს — ქმედობას, რომლის გარშემო თავმოყრილია ყველა სხვა ნიშანი. ქმედობა გაგებულ უნდა იქნეს როგორც ადამიანის ნებელობითი აქტი, გამოსატული როგორც პოზიტიური (მოქმედების), ისე ნეგატიური (უმოქმედობის) ფორმით. შემადგენლობის ობიექტურ მხარეს ეკუთვნის აგრეთვე დანაშაულებრივი ქმედობის შედეგი და მიზეზობრივი კავშირი დანაშაულებრივ ქმედობასა (უმოქმედობასა) და შედეგს შორის.

იმისდა მიხედვით, შეტანილია თუ არა მითითება განსაზღვრულ შედეგზე დანაშაულის შემადგენლობაში, შემადგენლობანი ორ სახედ განიყოფებიან: შედეგიანი და შედეგგარეშე შემადგენლობანი. შედეგიან დანაშაულთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიზეზობრივი კავშირის საკითხის გადაჭრას.

დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს ეკუთვნის აგრეთვე ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ მოქმედების საშუალებას, დანაშაულის ჩადენის დროს, ადგილს და გარემოცვას.

როგორც წესი, დანაშაულის შემადგენლობის არსებობა არ არის დამოკიდებული იმ საშუალებაზე, რომლითაც დანაშაულია ჩადენილი. მკვლელობა მკვლელობად ითვლება იმისდა მიუხედავად, დანიტ მოკლეს ადამიანი თუ სანამლაგით, ფიზიკური თუ ფსიქიკური საშუალებით, დადებითი მოქმედებით თუ უმოქმედობით. მაგრამ გამონაკლისის წესით არსებობენ ისეთი შემადგენლობანი, რომელნიც მოქმედების განსაზღვრულ საშუალებას მოითხოვენ. ასე, მაგალითად, 135-ე

მუხლის (იძულება) შემადგენლობა არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩადენილია ფიზიკური ძალადობის ან დასჯადი მუქარის (ე. ი. მოკვლის, სხეულის მძიმე დაზიანების ან საყოველთაო საშიში საშუალებით ქონების დაზიანების მუქარის) მეშვეობით. ზოგჯერ დანაშაულის ჩადენის საშუალება თუმცა შემადგენლობის აუცილებელი ელემენტი არ არის, მაგრამ აკვალიფიცირებს (ამძიმებს) დანაშაულს. მაგალითად, მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით ან მრავალი ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში საშუალებით წარმოადგენს მკვლელობას, ჩადენილს დამამძიმებელ გარემოებებში (მუხლი 104-ე, პ. 61).

იგივე უნდა ითქვას დანაშაულის ჩადენის ადგილის, დროისა და პირობების შესახებ.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი პირი, რომელიც მიღწეულია 16 წლის ასაკს (ხოლო ზოგი სახის დანაშაულისათვის — 14 წლის ასაკს). მითითება დანაშაულის სუბიექტის თვისებებზე მოცემულია სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში (მუხლები 12-13). განსაკუთრებული ნაწილის მუხლებში, როგორც წესი, არაფერია ნათქვამი დანაშაულის სუბიექტზე. ამიტომ იგულისხმება, რომ ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს ყოველი იმ პირის მიერ, რომელიც საზოგადოდ აღჭურვილია დანაშაულის სუბიექტის თვისებებით. მაგრამ არის ზოგიერთი დანაშაული, რომლის სუბიექტი (უფრო სწორად — რომლის ამსრულებელი) შეიძლება იყოს მხოლოდ განსაზღვრული თვისებებით აღჭურვილი პირი. ასეთია — თანამდებობის დანაშაული, რომლის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობის პირი, სამხედრო დანაშაული, რომლის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ სამხედრო მსახური; იგივე უნდა ითქვას სამშობლოს ღალატზე. ეს დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს მხოლოდ საბჭოთა მოქალაქემ, რომელსაც აქვს სპეციალური მოვალეობა სამშობლოს წინაშე. შეიძლება მოვიყვანოთ სხვა მაგალითები: 117-ე მუხლის (გაუპატიურების) ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ მამაკაცი. რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს დანაშაულის ამსრულებელი. თანამონაწილე აღ-

ნიშნულ დანაშაულებრივ ქმედობებში შეიძლება იყვნენ ის პირებიც, რომლებიც სუბიექტის ამ განსაკუთრებული ნიშნებით არ ხასიათდებიან.

დანაშაულის შემადგენლობა შეიცავს მითითებას აგრეთვე ნიშნებზე, რომლებიც სუბიექტურ მხარეს ახასიათებენ.

შემადგენლობის სუბიექტურ მხარეს მიეკუთვნება, პირველ ყოვლისა, ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ ბრალს და მის ფორმებს — ე. ი. განზრახვას და გაუფრთხილებლობას. ამასთან ერთად დანაშაულის შემადგენლობაში შეიძლება გათვალისწინებული იქნეს დანაშაულის სუბიექტური მხარის ნიშნები, რომლებიც ქმედობის ობიექტურ ნიშნებთან ერთად მის საზოგადოებრივ საშიშროებას და მართლწინააღმდეგობას განსაზღვრავენ. ასეთია, კერძოდ, მოქმედების ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობის არსებით ელემენტს წარმოადგენს. მაგალითად, ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა გულისხმობს საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების ან განსაკუთრებული საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენის მიზანს (მუხლი 71-ე). ტერორისტული აქტის აუცილებელი ელემენტია საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზანი (მუხლი 67-ე), უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტის შემადგენლობაში შედის ომის პროვოკაციის ან საერთაშორისო გართულების მიზანი (მუხლი 68-ე), ყალბი ფულის დამზადების შემადგენლობაში — გასაღების მიზანი, ქალის მოტაცების შემადგენლობაში — ქორწინების მიზანი (მუხლი 134-ე), გამორჩენის მიზანი — სპეკულაციის შემადგენლობაში (მუხლი 165-ე) და ა. შ.

არიან შემადგენლობანი, რომელთა აუცილებელ ელემენტად კანონი ითვალისწინებს განსაზღვრულ მოტივს, ანუ შინაგან მამოძრავებელ მიზეზს. მაგალითად, მეურვეობის გამოყენება სამეურვეო პირის საზიანოდ დანაშაულია მაშინ, როცა ეს ხდება ანგარების მოტივით (მუხლი 125-ე) და ა. შ.

ზოგჯერ სუბიექტური მხარის ნიშანი (განსაზღვრული მიზანი, მოტივი, გრძნობა) თუმცა შემადგენლობის არსებით,

კონსტიტუციურ ელემენტს არ წარმოადგენს, მაგრამ საფუძველი ხდება ე. წ. კვალიფიციური შემადგენლობის შექმნისა. მაგალითად, მკვლევლობა ანგარებით ან ხულიგნური ქვენა გრძნობით, წარმოადგენს მკვლევლობას, ჩადენილს დამამძიმებელ გარემოებებში (მუხლი 104-ე), ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, ჩადენილი ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, გვაძლევს ამ დანაშაულის კვალიფიციურ შემადგენლობას (მუხლი 186-ე) და ა. შ. არის შემთხვევები, როდესაც დანაშაულის სუბიექტური მხარის ნიშნის მიხედვით გამოყოფენ შემადგენლობას შემამსუბუქებელი გარემოებებით.

3. დანაშაულის შემადგენლობები შეიძლება კლასიფიცირებული იქნეს ერთი და იმავე ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით. ასეთი კლასიფიკაციისას მხედველობაში მიიღება ხელყოფის ობიექტის, ობიექტური მხარის, სუბიექტისა და სუბიექტური მხარისათვის დამახასიათებელი ნიშნები. კანონმდებელი ერთ ან რამდენიმე ნიშანს საგანგებო მნიშვნელობას აძლევს და ამის საფუძველზე დანაშაულის მარტივი, ძირითადი შემადგენლობიდან ცალკე გამოყოფს ისეთ შემადგენლობას, რომელიც დამამძიმებელ ან შემამსუბუქებელ გარემოებებს ასახავს.

ამისდა მიხედვით, განასხვავებენ დანაშაულის შემადგენლობის სამ სახეს: ა) დანაშაულის შემადგენლობის მარტივი ანუ ძირითადი სახე. ასეთი შემადგენლობა არ ითვალისწინებს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებებს. ასეთია, მაგალითად, მკვლევლობის მარტივი შემადგენლობა, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლში; ბ) დანაშაულის შემადგენლობის კვალიფიციური სახე. ასეთ შემადგენლობაში ასახულია იგივე ქმედობა, მაგრამ ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში. მაგალითად, 104-ე მუხლი ითვალისწინებს განზრახ მკვლევლობას, ჩადენილს დამამძიმებელ გარემოებებში. გ) დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც შემამსუბუქებელ გარემოებებს ითვალისწინებს. ასეთია, მაგალითად, 106-ე მუხლი, რომლითაც დაწესებულია პასუხისმგებლობა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი განზრახი მკვლევლობისათვის.

ზემოაღნიშნული იმას არ ნიშნავს, თითქოს ყველა დანაშაულის შემადგენლობა სამ სახედ იყოფოდეს. მრავალი დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მხოლოდ ერთ შემადგენლობაშია გათვალისწინებული (მაგალითად, საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება — მუხლი 188-ე, დახმარების აღმოუჩენლობა — მუხლი 130-ე, შრომის კანონმდებლობის დარღვევა — მუხლი 144-ე და სხვ.). გარდა ამისა, ზოგიერთი დანაშაული შეიძლება ორ ძირითად და კვალიფიციურ შემადგენლობაში იყოს გათვალისწინებული (მაგალითად, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გამოძალვა — მუხლი 97-ე, გამოძალვა — მუხლი 154-ე, პირადი ქონების განადგურება ან დაზიანება — მუხლი 157-ე და სხვ.). დასასრულ, დანაშაულთა გარკვეული ჯგუფი ასახულია ძირითად შემადგენლობასა და ისეთ შემადგენლობაში, რომელიც შემამსუბუქებელ გარემოებებს ითვალისწინებს (მაგალითად, ბავშვის მოტაცება ან შეცვლა — მუხლი 127-ე), მიმონერის საიდუმლოების დარღვევა — მუხლი 143-ე და სხვ.).

ზოგჯერ ძირითადი შემადგენლობისაგან ნაწარმოები შემადგენლობის დამოუკიდებლობა იმდენად მაღალი ხარისხისაა, რომ ზემოაღნიშნული სამწვეროვანი კლასიფიკაცია თავის მნიშვნელობას კარგავს. აქ იგულისხმება ის შემთხვევა, რომელიც სისხლის სამართლის ლიტერატურაში ცნობილია ე. წ. სპეციალობის პრინციპის სახელწოდებით. სპეციალობის პრინციპი ნიშნავს იმას, რომ ორი სისხლისსამართლებრივი ნორმა ერთმანეთთან იმყოფება ზოგადი და სპეციალური ნორმების მიმართებაში. სპეციალურ სისხლისსამართლებრივ ნორმას უპირატესობა ეძლევა ზოგად სისხლისსამართლებრივ ნორმასთან (*lex specialis derogat legi generalis*) შედარებით. სპეციალური სისხლისსამართლებრივი ნორმა ითვალისწინებს განსაზღვრული ქმედობის სპეციფიკურ საზოგადოებრივ საშიშროებას. ზოგადი და სპეციალური ნორმების დამოკიდებულების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ დამოკიდებულება 196-ე მუხლისა (ხელისუფლების ან სამსახურებრივი დამოკიდებულების ბოროტად გამოყენება) და სხვა თანამდე-

ბობრივ დანაშაულთა შორის, დანაშაულის დაფარვისა (მუხ-  
ლი 205-ე) და შეგნებულად ცრუ ჩვენებას შორის (მუხლი  
197-ე და სხვ.

გარდა საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა დანა-  
შაულის შემადგენლობები შეიძლება კლასიფიცირებული იქნენ  
მათი სტრუქტურის მიხედვით. ამ თვალსაზრისით, დანაშაუ-  
ლის შემადგენლობები შეიძლება დაეყოს მარტივ დანაშაულად  
და რთული დანაშაულის ისეთ სახედ, როგორცაა შენადგენი  
დანაშაული. მარტივი შემადგენლობა პირველად აფუძნებს  
საზოგადოებრივად საშიში ქმედობის დანაშაულებრიობას.  
მოცემული შემადგენლობის გარეშე შესაბამისი ქურდობა დან-  
აშაული არ იქნებოდა. ეს არ ითქმის შენადგენ დანაშაულზე.  
შენადგენი დანაშაული არსებობს მაშინ, როდესაც ორი ან მეტი  
თავისთავად დანაშაულებრივი ქმედობა ერთმანეთთან ისეა  
დაკავშირებული, რომ სხვა, მესამე ერთიან დანაშაულს ქმნი-  
ან. შენადგენი დანაშაულია, მაგალითად, ყაჩაღობა. ყაჩაღო-  
ბის შემადგენლობა აერთიანებს ორი სხვადასხვა დანაშაულის  
შემადგენლობის ნიშნებს. ესენია: 1. პიროვნების წინააღმდეგ  
მიმართული ძალადობა, 2. მოქალაქის პირადი ქონების ან  
სახელმწიფო სოციალისტური ქონების წინააღმდეგ მიმართუ-  
ლი დანაშაული.

რთული დანაშაულის შემადგენლობის სახეებია აგრეთვე  
ალტერნატიული შემადგენლობა და კუმულაციური შემადგენ-  
ლობა. ალტერნატიული შემადგენლობა ხასიათდება იმით, რომ  
პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის  
საკმარისია კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი ნიშნის  
არსებობა. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართ-  
ლის კოდექსის 69-ე მუხლით დაწესებულია პასუხისმგებლობა  
საწარმოთა, ნაგებობათა, გზათა და მიმოსვლის საშუალება-  
თა, კავშირგაბმულობის საშუალებათა ან სხვა სახელმწიფო  
ან საზოგადოებრივი ქონების დანგრევა ან დაზიანება აფეთქე-  
ბით, ცეცხლის ნაკიდებით ან სხვა გზით, მასობრივი მონამე-  
ლა ან ეპიდემიებისა და ეპინოტიების გავრცელება საბჭოთა  
სახელმწიფოს შესუსტების მიზნით. ამ დანაშაულისათვის  
საკმარისია, თუ სუბიექტი ერთ-ერთ აღნიშნულ მოქმედებას  
ჩაიდენს.

კუმულაციური შემადგენლობა ხასიათდება ან ორი მოქმედებით, ან ბრალის ორი ფორმით, ან ორ ობიექტზე ხელყოფით. მაგალითად, ორი მოქმედება გათვალისწინებულია სპეკულაციის შემადგენლობაში. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის თანახმად, დამთავრებული სპეკულაციის შემადგენლობისათვის აუცილებელია საქონლის ან საგნების შესყიდვა და გადაყიდვა გამორჩენის მიზნით. ბრალის ორი ფორმის არსებობა აუცილებელია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის მე-2 ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულისათვის (სხეულის მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიკვდილი). ამ შემადგენლობისათვის თავდაპირველად უნდა დადგინდეს განზრახი ბრალი სხეულის მძიმე დაზიანებისადმი, ხოლო შემდეგ გაუფრთხილებელი ბრალი დაზარალებულის სიკვდილისადმი. ერთდროულად ორ ობიექტს — საბჭოთა იუსტიციის ორგანოების სწორ, კანონიერების შესაბამის საქმიანობასა და პიროვნების ინტერესებს აზიანებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაული (უდანაშაულო პირის შეგნებულად მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში).



## მესამე ნაწილი

### პირველი თავი

#### საფრთხის შემქმნელი დანაშაულის მართლწინააღმდეგობა კანონმდებლობაში

სისხლის სამართლის დანაშაულის ძირითად ფორმად გვევლინება შემადგენლობა, რომლითაც სამართლით დაცული ინტერესის დაზიანებაა გათვალისწინებული. მოქმედება, რომელიც ობიექტურად და სუბიექტურად რაიმე სიკეთის დაზიანებისკენ იყო მიმართული, მაგრამ შემადგენლობით გათვალისწინებული საზიანო შედეგი არ გამოუწვევია, დაიხსნება, როგორც მცდელობა. მაგრამ დანაშაულის იმ შემადგენლობათა გვერდით, რომლებიც სიკეთის დაზიანებას ითვალისწინებენ, მსოფლიოს ყველა ქვეყნის კანონმდებლობა იცნობს აგრეთვე დანაშაულის ისეთ შემადგენლობებს, რომლებიც ზიანის საფრთხეს ქმნიან. ასეთ შემადგენლობათა რიცხვი ამ ბოლო წლებში განუწყვეტლივ იზრდება. ეს არცაა გასაკვირი. ტექნიკის მძლავრი განვითარება, პრაქტიკული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ახალი ძალების გამოყენება, რომლებსაც მოქმედების უჩვეულოდ ფართო დიაპაზონი აქვთ, პიროვნულ და საზოგადო ინტერესთა არსებობისათვის ახალი საფრთხის წყაროს წარმოქმნასთანაა დაკავშირებული.

მართლაც, ადამიანს, ვინც ტექნიკას იყენებს, პროფესიული წესები ავალდებულებენ, მიიღოს ზომები საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ამავე დროს, სისხლის სამართალიც დასჯის მუქარით ავალდებულებს ადამიანს ამ წესების დაცვას და, მაშასადამე, მნიშვნელოვანი კოლექტიური და ინდივიდუალური სიკეთის დასაცავად თავისი ხასიათის შესაბამისად მასაც სერიოზული წვლილი შეაქვს.<sup>1</sup> ამასთანავე, შესაძლებლობა უთვალავი საზიანო შედეგებისა, მათი სხვადასხვაობა და სირ-

<sup>1</sup> *ob. L. Viski, Rechtswidrigkeit beiden Gefährdungsdelikten, "Acta Juridica Academiae scientiarum Jungaricas"*.

თულე დაკონკრეტებისა, შესაძლებელი შედეგის დიდი მოცულობა და ზოგიერთი ინტერესის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომლებსაც შეიძლება საფრთხე შეექმნას, ხშირად კანონმდებელს აიძულებს სიმძიმის ცენტრის გადატანას საზიანო შედეგიდან უფრო ადრეულ საფეხურზე, როცა ადამიანის მოქმედებამ მხოლოდ დაზიანების შესაძლებლობის საფრთხე შექმნა, ანდა უფრო ადრეულ სტადიაზე, როცა თვითონ ისეთი მოქმედება იყო ჩადენილი, რომელსაც ზოგადად ახასიათებდა საშიში თვისებები. ამის საფუძველზე ამ ბოლო წლებში საფრთხის შემქმნელი დელიქტი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოდურ თემად იქცა. ამ თემას ბევრი სტატია თუ მონოგრაფია მიეძღვნა. უფრო მეტიც. საფრთხის შემქმნელი დელიქტის პრობლემა სისხლის სამართლის მე-10 საერთაშორისო კონგრესის დღის წესრიგში იდგა, რომელიც წლევიანდელი წლის სექტემბრის დასასრულსა და ოქტომბრის დასაწყისში რომში გაიმართა.<sup>2</sup>

### **§1. საფრთხის შემქმნელი დანაშაულის შემადგენლობის სამართლებრივი ბუნება**

საფრთხის შემქმნელი დელიქტები, მათი საკანონმდებლო კონსტრუქციის მიხედვით, ორ სახედ იყოფა: აბსტრაქტულ და კონკრეტულ საფრთხის დელიქტებად.

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი ისეთ დელიქტს ეწოდება, რომელიც სისხლის სამართლის კანონის შესაბამისად, ტიპურად საშიში მოქმედების ჩადენის მომენტიდან ითვლება დამთავრებულად. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის შემადგენლობას რომ ქმნის, კანონმდებელი ვარაუდობს მოქმედების საშიშროებას, ესე იგი აღიარებს, რომ მას საზოგადოდ, თავისი გვარეობითი წარმომავლობით, ცხოვრებისეუ-

---

<sup>2</sup> იგულისხმება რომის 1969 წლის საერთაშორისო კონგრესი (მთარგმნელი).

ლი გამოცდილების შესაბამისად, სამართლით დაცული კონკრეტული ინტერესის დაზიანება შეუძლია.

კონკრეტული საფრთხის დელიქტი ისეთი დანაშაულია, რომლის დასჯადობას კანონმდებელი ხელყოფის განსაზღვრული ობიექტისათვის კონკრეტული საფრთხის შექმნას უკავშირებს. საფრთხეს კანონმდებელი აქ არ უშვებს ზოგადი, აბსტრაქტული ფორმით, არამედ ეს საფრთხე სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაადგინოს.

დელიქტის პირველი კატეგორია, რამდენადაც ის დაკავშირებულია მხოლოდ კანონით აღწერილი საშიში ქმედების დადგენასთან, ფორმალური დელიქტის კატეგორიას მიეკუთვნება. ამიტომ მას არანამდვილი, არარსებული საფრთხის დელიქტს უწოდებენ. პირიქით, კონკრეტული საფრთხის დელიქტს, რამდენადაც მისი დასჯადობისათვის სასამართლომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხელყოფის ობიექტის დაზიანების საფრთხე უნდა დაადგინოს, გაბატონებული აზრი მატერიალურ, ესე იგი „შედეგიან“ დელიქტებს მიაკუთვნებს.

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ: 123-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები (ექიმის მიერ უკანონო აბორტის გაკეთება საავადმყოფოს ან სამშობიარო სახლის გარეთ, ანდა ანტისანიტარულ პირობებში; აბორტის გაკეთება იმის მიერ, ვისაც უმაღლესი სამედიცინო განათლება არ მიუღია), 131-ე მუხლი (ავადმყოფისათვის დაუხმარებლობა საპატიო მიზეზის გარეშე), 241<sup>1</sup> მუხლი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისა (ავტომოტოტრანსპორტის, ტრაქტორის ან სხვა თვითმავალი მანქანის მართვა მთვრალის მიერ, ან იმის მიერ, ვისაც მართვის უფლება აქვს ჩამორთმეული ასეთი მოქმედებისათვის, ანდა დასახელებული ტრანსპორტის მართვა მთვრალის მიერ, რომელსაც მართვის უფლება არ აქვს, რომლის მიმართაც წლის განმავლობაში გამოყენებული იყო ადმინისტრაციული სახდელი ასეთივე დარღვევისათვის), 247-ე მუხლის პირველი ნაწილი (საწარმოო-ტექნიკური დისციპლინის ან იმ წესების დარღვევა, რომლებიც აფეთქებასაშიშ საამქროში წარმოების

უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა, თუ ეს ჩადენილია ასეთივე დარღვევისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შემდეგ) და სხვ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა ეგრეთ წოდებული ფორმალური დელიქტი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია, რამდენადაც ის რაიმე ზიანის აბსტრაქტულ შესაძლებლობას ქმნის.

კონკრეტული საფრთხის დელიქტის ნიმუშებია: 86-ე მუხლის პირველი ნაწილი (ტრანსპორტის მუშაკის მიერ ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა, თუ მას არ გამოუწვევია, მაგრამ წინასწარ ქმნიდა ადამიანის უბედური შემთხვევის, ავარიის და ა. შ. საფრთხეს), 87-ე მუხლი (მიმოსვლის გზების, მათი ნაგებობის, მოძრავი შემადგენლობის ან გემის და ა. შ., რასაც მოჰყვება ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა მატარებლის მარცხი, ხომალდის ავარია ან ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაობის დარღვევა), 128-ე მუხლი (შეგნებულად ჩაყენება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში პირისა, რომელსაც შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად), 227-ე მუხლი (ტელეგრაფის საზღვაო კაბელის დაზიანება გაუფრთხილებლობით, თუ მან გამოიწვია ან შეეძლო გამოეწვია სატელეგრაფო კავშირის განწყვეტა), 241-ე მუხლის პირველი ნაწილი (მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესის დარღვევა, თუ ეს დარღვევა დამნაშავეისათვის წინასწარ შეცნობით ადამიანთა უბედური შემთხვევის დადგომის სერიოზულ საფრთხეს ქმნიდა და თუ ეს ჩადენილი იყო ერთი წლის განმავლობაში ასეთივე ქმედებისათვის ადმინისტრაციული სასჯელის გამოყენების შემდეგ), 248-ე მუხლი (ფეთქებად ან რადიოაქტიურ ნივთიერებათა შენახვის, გამოყენების, აღრიცხვის ან გადაგზავნის დადგენილი წესის დარღვევა, თუ ამ მოქმედებას შეიძლებოდა მძიმე შედეგი მოჰყოლოდა), 251-ე მუხლი (ეპიდემიასთან ბრძოლის წესის დარღვევა, თუ მას მოჰყვება ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა გადამდებ დაავადებათა გავრცელება) და სხვ.

საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში ის საკითხი, კონკრეტული საფრთხის დელიქტი ფორმალურ დელიქტთა რიცხვს მიეკუთვნება თუ მატერიალურს (შედგეიანს), სადავოა.

პროფ. ნ. დ. დურმანოვისა და ა. ს. მიხლინის აზრით, დასახელებული კატეგორიის შემადგენლობა არ შეიძლება „მატერიალურ“ შემადგენლობათა რიცხვს მივაკუთვნოთ, რადგანაც კანონი ამ სახის დანაშაულის დამთავრებისათვის საზიანო შედეგის ნამდვილად დადგომას კი არა, მისი განხორციელების შესაძლებლობას მოითხოვს. ვინაიდან დასახელებული დელიქტის შემადგენლობა არ შეიცავს მატერიალური შემადგენლობისათვის აუცილებელ ნიშანს — საზიანო შედეგის რეალიზაციას, ამდენად ეს შემადგენლობა „ფორმალურ“ შემადგენლობათა კატეგორიას მიეკუთვნება.<sup>3</sup> დანაშაულებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობა, — ამტკიცებს პროფ. ნ. დურმანოვი, — დანაშაულებრივი შედეგის სახესხვაობას კი არა, თვითონ ქმედების თვისებას წარმოადგენს.<sup>4</sup>

საბჭოელ კრიმინალისტთა სხვა ნაწილი ამ თვალსაზრისს არ ეთანხმება. მაგალითად, ნ. კუზნეცოვას აზრით, ხელყოფის ობიექტის დაზიანების საფრთხე დანაშაულებრივი შედეგის ყველა ნიშანს შეიცავს. ამ დებულების დასაბუთებისათვის საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ ხელყოფის ობიექტის მდგომარეობა დანაშაულის ჩადენამდე და მისი ჩადენის შემდეგ. „უკანასკნელ შემთხვევაში გარეშე ვითარება იცვლება. ჩნდება რეალური, სრულიად კონკრეტული პირობების ძალები, რომლებიც შემდგომი დაუბრკოლებელი განვითარების შედეგად პირდაპირ ზარალში უნდა გადაიზარდონ. დანაშაულებრივი ქმედების ჩადენამდე ასეთი ხარისხობრივად ახალი მდგომარეობა საზოგადოებრივი ურთიერთობებისა არ იყო“.<sup>5</sup>

<sup>3</sup> Н.Д. Дурманов, Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, Госюриздат, М., 1955, გვ. 40; А.С. Михлин, Понятие и виды последствий преступления, "Вопросы уголовного права и процесса", ВЮИОН, М., 1958, გვ. 69-71; его-же, Значение последствий преступления для квалификации содеянного виновным, "Ученые записки ВЮИОН, вып. 12, М., 1961, გვ. 77-80.

<sup>4</sup> Н.Д. Дурманов, Мотивированный намерением, гв. 40.

<sup>5</sup> Н.Ф. Кузнецова, Значение преступных последствий, М., 1958, გვ. 24.

საფრთხის შემქმნელი დელიქტის იურიდიული ბუნების საკითხზე ასეთსავე მოსაზრებას იზიარებს ვ. კუდრიავცევიც. მატარებლის მემანქანის წინადაუხედავი მოქმედების მაგალითის მოხმობით იგი ამტკიცებს, რომ „სინამდვილეში მატარებლის მარცხის საფრთხის შექმნა თავისებური შედეგიცაა და ის სრული რეალობაა. წინადაუხედავმა მოქმედებამ მემანქანისა ახალი ვითარება შექმნა, ვიდრე ეს დანაშაულამდე იყო... საგანთა კომპლექსი, მოვლენები და პროცესები, რომლებიც მიმდინარეობდნენ გარე სამყაროში, ...იმგვარად შეიცვალა, რომ კატასტროფის რეალური შესაძლებლობა წარმოიქმნა.“<sup>6</sup> აქედან, ვ. კუდრიავცევი ასკვნის, რომ „ფიზიკური თვალსაზრისით, საზიანო შედეგის დადგომის შესაძლებლობა ქმედებას არ ემთხვევა, არამედ ის ადამიანური ქცევის განსაზღვრულ რეზულტატს, შედეგს წარმოადგენს“.<sup>7</sup>

განსხვავებული აზრისაა ამ საკითხზე პროფ. ა. პიონტკოვსკი. მისი აზრით, საფრთხე, ესე იგი დანაშაულებრივი შედეგის დადგომის რეალური შესაძლებლობა ზოგჯერ შეიძლება განვიხილოთ როგორც დანაშაულებრივი მოქმედების თვისება, ზოგჯერ კი დანაშაულებრივი შედეგის განსაზღვრული სახე დანაშაულის კონკრეტული თავისებურებების მიხედვით. ამავე დროს ა. პიონტკოვსკი აღიარებს, რომ „არ არის გამორიცხული, სისხლის სამართლის კანონშიც განვიხილოთ ზოგიერთ შემთხვევაში საზიანო შედეგის დადგომის რეალური შესაძლებლობა როგორც თავისებური დანაშაულებრივი შედეგი“.<sup>8</sup>

მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, სისხლის სამართლის კანონს იმითომ აქვს შესაძლებლობა საფრთხე განიხილოს როგორც თავისებური დანაშაულებრივი შედეგი, რომ იგი, ესე იგი საფრთხე, სინამდვილეში სისხლის სამართლის კანონისაგან დამოუკიდებლად, გარე სამყაროს ერთგვარ ცვლილებას წარმოადგენს. იგი გულისხმობს ერთგვარ ცვლილებას ობიექტურ გარე სამყაროში, ესე იგი პირობების შექმნას, რომლებსაც გან-

<sup>6</sup> В.Н. Кудрявцев, Объективная сторона преступления, М., 1960, гл. 172.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 172.

<sup>8</sup> Ф.Ф. Пионтковский, Учение о преступлении, 1961, гл. 167.

საზღვრული მდგომარეობის ზოგადი კანონზომიერების განვითარების შესაბამისად, შეუძლიათ გამოიწვიონ საზიანო შედეგი. რამდენადაც ეს პირობები შექმნილია, რამდენადაც, მაშასადამე, ერთგვარი ცვლილებები ობიექტურ გარე სამყაროში უკვე მოხდა, ამდენად საფრთხე თვითონაა ობიექტური კატეგორია და ამიტომაც ის დანაშაულებრივი შედეგის ერთგვარ სახესხვაობად ითვლება. თანაც ის, რასაკვირველია, რეალურ ზიანთან არ შეიძლება გავაიგივოთ.

მეორე მხრივ, ვერც იმას უარვყოფთ, რომ „საშიში მოქმედების“ ცნებაც არსებობს, ესე იგი მხედველობაშია საფრთხე, როგორც თვისება ადამიანური ქცევისა. მაგრამ, როცა ვლავარაკობთ საფრთხეზე, როგორც დანაშაულებრივ შედეგზე, ჩვენ გვაინტერესებს არა მოქმედების თვისება, არამედ ობიექტური „მდგომარეობა საფრთხისა“, რომელიც მოქმედებით შეიქმნა. ამ ორ შემთხვევაში გამოთქმას „საფრთხის შექმნა“ ვიყენებთ ორი სხვადასხვა გრამატიკული აზრით. ზუსტად ისევე, როგორც გამოთქმას „სიცოცხლის მოსპობა“ (არსებითი სახელიდან გამომდინარე) ვიყენებთ ერთხელ, როგორც ზმნას და მაშინ სიცოცხლის მოსპობა ადამიანის მოქმედებას გულისხმობს, ხოლო სხვა შემთხვევაში — არსებითი სახელია და მაშინ იგი ნიშნავს, რომ ადამიანი უკვე აღარ არის ცოცხალი და გამოთქმა „საფრთხის შექმნა“ შეიძლება გამოვიყენოთ როგორც სიტყვის აღმნიშვნელი — ესე იგი ადამიანის მოქმედება, რომელმაც საფრთხე შექმნა, და როგორც საფრთხის მდგომარეობის აღმნიშვნელი, ესე იგი ამ მოქმედების შედეგი. ამიტომაც შეიძლება მთლიანად დავეთანხმოთ ნ. კუზნეცოვას, რომ საფრთხე „ეს განსაზღვრული მდგომარეობაა ობიექტისა მასში საზოგადოებრივად საზიანო ცვლილების შედეგად, რომელიც სუბიექტის დანაშაულებრივი მოქმედებითაა გამოწვეული... საფრთხე შექმნილია მოქმედებით, მაგრამ მოქმედების ფარგლებს გარეთაა.“<sup>9</sup>

ამ თავის დასაწყისში უკვე ვამბობდით, რომ საფრთხის

---

<sup>9</sup> Н. Ф. Кузнецова, Значение преступных последствий, М., 1958, გვ. 25.

შექმნის ზოგიერთ შემადგენლობაში საფრთხე თვითონ კანონმდებელს აქვს ნავარაუდები და ამიტომ სასამართლო არ არის ვალდებული ამტკიცოს ის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. სასამართლოს არ სჭირდება ქმედების ჩადენის ადგილისა და დროის პირობებში საფრთხის არც დადგენა და არც უარყოფა. სასამართლოსათვის ასეთი უფლების მიცემა არსებითად კანონის რევიზია და კანონმდებლის ნების საწინააღმდეგო იქნებოდა. სასამართლოს არ შეუძლია დასაჯოს მოქმედება, რომლის საშიშროება თვითონ კანონმდებელს არ დაუდგენია. ერთადერთი, რაზედაც მსგავს შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ — ის გარემოებებია, რომლებიც ქმედების მართლწინააღმდეგობას საერთოდ გამორიცხავენ (უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა და ა. შ.).

სხვა საქმეა, როცა საკითხი ეხება კონკრეტული საფრთხის დელიქტს, ესე იგი ისეთ შემადგენლობებს, რომელთა აღწერისას კანონმდებელი შემადგენლობის აუცილებელ ნიშნად ზიანის საფრთხეს პირდაპირ ითვალისწინებს. ცხადია, რომ ასეთ შემადგენლობაში, რომლითაც გათვალისწინებული მოქმედება საფრთხეს უქმნის სამართლით დაცულ ამა თუ იმ სიკეთეს, სასამართლოს უფლება არა აქვს დაადგინოს მხოლოდ შემადგენლობით აღწერილი მოქმედება ან უმოქმედობა, არამედ ვალდებულია დაადგინოს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაზიანების რეალური შესაძლებლობა იყო, ე. ი. ადამიანის ნებელობითმა მოქმედებამ ისეთი პირობები შექმნა, რომელიც კანონით მითითებული შედეგის რეალიზაციის პოტენციურ შესაძლებლობას შეიცავს. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ უნდა დაამტკიცოს, რომ დამნაშავემ ნამდვილად, რეალურად შეუქმნა საფრთხე იმის სიცოცხლეს, ვისაც თავის დაცვის შესაძლებლობა არ ჰქონდა. ასევე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების დროს სასამართლო ვალდებულია დაამტკიცოს, რომ თანამდებობის პირის მიერ უსაფრთხოების ტექნიკის წესის დარღვევის შედეგად მუშების ან



მოსამსახურეების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ნამდვილად შეექმნა საფრთხე. სწორედ ეს აუცილებლობა, დამტკიცდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირი ადამიანის მოქმედებასა და საფრთხის მდგომარეობას შორის, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დასახელებული შემადგენლობები „მატერიალურ“ ანუ „რეზულტატურ“ დანაშაულებს მივაკუთვნოთ.<sup>10</sup>

კონკრეტული საფრთხის დელიქტების ბუნების საკითხი სხვა სოციალისტური ქვეყნების სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაშიც სადავოა. მაგალითად, ცნობილი პოლონელი კრიმინალისტიკის ვ. ვოლტერის აზრით, კონკრეტული საფრთხის დელიქტი არ შეიძლება მივაკუთვნოთ „მატერიალურ“, ე. ი. შედეგიან დელიქტებს, ვინაიდან საფრთხე ფაქტია, რომლის რეალიზაცია ქცევის ჩადენის მომენტში ხდება და მისგან დამოუკიდებლად არ არსებობს.<sup>11</sup>

ძნელია დავეთანხმოთ ამ მოსაზრებას. ჯერ ერთი, საფრთხე დროში სუბიექტის ქცევას ყოველთვის არ ემთხვევა და შეიძლება შემდეგ წამოიშვას. მეორეც, უკვე ის ფაქტი, რომ საფრთხის მდგომარეობა სასამართლომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა დაამტკიცოს, მიუთითებს საფრთხის დამოუკიდებლობაზე იმ მოქმედებისაგან, რომელმაც ის გამოიწვია.

სხვა მოსაზრებისანი არიან ამ საკითხზე უნგრელი კრიმინალისტიკები ი. პინტერი და ლ. ვიშკი მოხსენებაში, რომელიც მათ რომის 1969 წ. 29 სექტემბრისა და 5 ოქტომბრის სისხლის

---

<sup>10</sup> ამიტომ მართალია პროფ. ვ. კუდრიავეცივი, რომელსაც მიაჩნია, რომ საფრთხის შემქმნელ დელიქტებშიც არსებობს დაყოფა შემადგენლობებისა „მატერიალურ“ და „ფორმალურ“ დელიქტებად. ა. ს. მიხლინთან პოლემიკის დროს, რომელიც ყველა საფრთხის დელიქტს მხოლოდ „ფორმალურ“ შემადგენლობებს მიაკუთვნებს, ვ. კუდრიავეცივი სამართლიანად აღნიშნავს: „მაგრამ არ შეიძლება უარყოფით არსებითი განსხვავება იმ შემთხვევებს შორის, როცა კანონი მოითხოვს ზიანის რეალური შესაძლებლობის დადგენას მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში და იმ შემთხვევებს შორის, როცა ეს მოცემული განსაზღვრულია კანონმდებლის მიერ და, საერთო წესით, არ უნდა დადგინდეს“ (В.Н. Кудрявцев, Объективная сторона преступления, М., 1960, გვ. 170, შენიშ. 1).

<sup>11</sup> W. Wolter, Zoris systemi prawa karnego, Ozesk ogelca, t. I, 1953, p. 58.

სამართლის მე-10 საერთაშორისო კონგრესზე წარადგინეს.<sup>12</sup> დასახელებული უნგრელი მეცნიერების აზრით, განსხვავება „მატერიალურ“ და „ფორმალურ“ დელიქტებს შორის იმას ეფუძნება, არსებობს თუ არა დელიქტის შემადგენლობაში მოქმედების ობიექტიც დანაშაულის ობიექტთან ერთად.<sup>13</sup> ამ შემადგენლობებს, რომლებსაც უნგრელი მეცნიერები იმ დელიქტების სახელწოდებით აერთიანებენ, რომელთა დამთავრებისათვის აუცილებელია სამართლებრივი სიკეთის ეფექტური დაზიანება, ისინი, თავის მხრივ, ორ კატეგორიად ყოფენ: დელიქტებად, რომლებისთვისაც აუცილებელია მოქმედების ობიექტის კონკრეტული დაზიანება (სიკვდილი, დაზიანება, განადგურება) და დელიქტებად, რომლებიც ფაქტიურ საფრთხეს ქმნიან მოქმედების კონკრეტული ობიექტისათვის. საფრთხის ნამდვილ დელიქტებად უნგრელ მეცნიერებს ეს უკანასკნელი დელიქტები მიაჩნიათ, ე. ი. შემადგენლობები, რომლებშიც საფრთხის შექმნა მოქმედების კონკრეტული ობიექტისათვის შედეგის სახითაა წარმოდგენილი, ე. ი. საფრთხის შექმნის მატერიალური დელიქტები... რაც შეეხება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს, მათ ფორმალურ დელიქტებს მიაკუთვნებენ და იმ აზრამდე მიდიან, რომ საბჭოელი მეცნიერებიც ამ უკანასკნელ დელიქტებს საფრთხის ნამდვილ დელიქტებად არ მიიჩნევენ.

პირიქით, პოლონელი კრიმინალისტი ლ. ლერნელი კონკრეტული საფრთხის დანაშაულებს საერთოდ უარყოფს. იქიდან გამომდინარე, რომ საფრთხე არასოდეს არ შეიძლება იყოს კონკრეტული და ყოველთვის გულისხმობს გენერალიზაციას, ე. ი. განზოგადებას გამოცდილების მიხედვით, ლ. ლერნელი დაასკვნის: ყველა საფრთხის დელიქტი აბსტრაქტულია და

---

<sup>12</sup> იხ. **Jeno Pinter et Laslo Viski**, *Les délits de mise danger*, *Revue international de droit penal*, 1969, №1-2, p. 151-178.

<sup>13</sup> ავტორები არ ხსნიან „მოქმედების ობიექტის“ ცნებას, თუმცა, ეტყობა, ეს ცნება ემთხვევა „დანაშაულის საგნის“ ცნებას, რომელიც საბჭოურ სამართალში გაგებულია როგორც ის მატერიალური საგანი, რომელშიც განივთებულია დანაშაულის ობიექტი და რომელზედაც ხელყოფა უშუალოდაა მიმართული.

ამიტომ მათი დაყოფა აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის დელიქტებად აზრს მოკლებულია და ბევრ გაუგებრობას ქმნის. «სინამდვილეში, — ამბობს იგი, — „კონკრეტული“ ხასიათისაა ის ფაქტი, მიზეზობრივი ფაქტორი, რომელსაც საფრთხის მდგომარეობამდე მივყავართ, მაშინ, როცა თვითონ საფრთხე, რამდენადაც „შესაძლებლობა“ ყოველთვის აბსტრაქტულია, განზოგადებული ფაქტია, რომელიც ვიხილეთ რეალურ სინამდვილეში».<sup>14</sup>

სანამ ლ. ლერნელის იმ მსჯელობის კრიტიკას დავინყებდეთ, რომლითაც ის უარყოფს კონკრეტულ საფრთხეს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დანაშაულის შემადგენლობების დაყოფა საფრთხის დელიქტებად მსოფლიოს ყველა ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ფაქტს წარმოადგენს. ზოგ შემთხვევაში, როგორც უკვე ვთქვით, სისხლის სამართლის კანონის დისპოზიცია აღწერს მხოლოდ თვითონ ქმედებას, რომელიც საზოგადოდ საშიშია და არ მოითხოვს, რომ სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაამტკიცოს განსაზღვრული სამართლებრივი სიკეთისათვის საფრთხის არსებობა; სხვა შემთხვევაში შემადგენლობა აღწერს ისეთ მოქმედებას, რომელმაც განსაზღვრული სამართლებრივი სიკეთის დაზიანების საფრთხე შექმნა (სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების) და მაშინ სასამართლო ვალდებულია დაამტკიცოს საფრთხის არსებობა. საფრთხის შექმნის შემადგენლობების განსხვავების უარყოფა ამ ფაქტს ეწინააღმდეგება და ამას სხვადასხვაგვარი გაუგებრობის წარმოქმნა შეუძლია.

## §2. საფრთხის ცნება

სისხლისსამართლებრივი პრობლემები, რომლებიც კონკრეტული და აბსტრაქტული საფრთხის დანაშაულებად დაყოფისას წარმოიშობა, ნაწილობრივ იდენტურია, მაგრამ

---

<sup>14</sup> L. Lernel, Les délits de misccn danger, Revue international de droit penal, 1969, №1-2, p. 224.

ნაწილობრივ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ყველა სახის საფრთხის შექმნის დელიქტისათვის საერთოა საკანონმდებლო პრობლემა, რომლის მიხედვით სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში რაც შეიძლება ზუსტად უნდა იყოს აღწერილი იმ მოქმედების ნიშნები, რომელთანაც შეიძლება საფრთხე იყოს დაკავშირებული. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებისათვის, პირდაპირ რომ ვთქვათ, ეს ძირითადი პრობლემაა. მისი პრაქტიკული გამოყენება დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს: სასამართლომ მხოლოდ უნდა დაამტკიცოს, რომ ჩადენილი ქმედება ზუსტადაა აღწერილი სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციით, ანდა, პირიქით, არ არის ჩადენილი ისეთი ქმედება, რომელიც სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაშია აღწერილი.

სხვაგვარად დგება საკითხი, როცა კონკრეტული საფრთხის დელიქტთან გვაქვს საქმე. ამ შემთხვევაში იმ პრობლემასთან ერთად, თუ როგორი სიზუსტითაა კანონში აღწერილი ქმედება, რამდენად დეტალიზებულია მისი ნიშნები, არსებობს კიდევ სპეციფიკური პრობლემებიც, რომლებიც დაკავშირებულია საქმის სასამართლო განხილვასთან, როგორ ადგენს სასამართლო კანონში აღწერილი ობიექტის ხელყოფისათვის კონკრეტული საფრთხის შექმნას.

პირველი საკითხი, რომელიც სასამართლომ უნდა გადანყვიტოს, უკანასკნელი კატეგორიის დელიქტის განხილვისას, ეს არის მიზეზობრივი კავშირის დადგენა შემადგენლობის შესაბამის მოქმედებასა და განსაზღვრული ობიექტის დაზიანების საფრთხის შექმნას შორის.

ეს საკითხი იმავე საფუძველზე უნდა გადანყდეს, რა საფუძველზეც ხდება მიზეზობრივი კავშირის დადგენა ადამიანის მოქმედებასა და რეალურად დამდგარ შედეგს შორის. რამდენადაც ყოველგვარი მოვლენა სხვადასხვა ფაქტორთა ურთიერთგადაჯახვისა და ურთიერთკავშირის შედეგია. ამდენად ადამიანის მოქმედებაც დამდგარი შედეგის ერთადერთი მიზეზი არასდროს არ შეიძლება იყოს. ჩვენ იმ თვალსაზრისს ვემხრობით, რომელიც მოქმედებასა და დამდგარ შედეგს, ამ

შემთხვევაში საშიშ მდგომარეობას შორის მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როცა ეს მოქმედება ამ შედეგის აუცილებელი პირობაა. თვითონ საშიში მდგომარეობა იმ მომენტიდან უნდა იყოს დამდგარი, როცა ხელყოფის ობიექტი საშიში ძალების მოქმედების სფეროში აღმოჩნდა, როცა ეს ობიექტი შემადგენლობით აღწერილი მოქმედების ზემოქმედების ზონაშია. სწორედ ამ მომენტს მიესადაგება სამართლებრივი სიკეთისათვის კონკრეტული საფრთხის შექმნის მსჯელობა.

მაგრამ, რამდენადაც კონკრეტული საფრთხის დელიქტის ჩადენის დროს საქმე განსაკუთრებული სახის შედეგს — ხელყოფის ობიექტის დაზიანების საფრთხეს — ეხება, საფრთხის ცნების შინაარსის ზუსტად დადგენა აუცილებელია.

საფრთხის ცნება შესაძლებლობის კატეგორიას მიეკუთვნება და ისეთ მდგომარეობას ნიშნავს, რომელიც განსაზღვრულ დროსა და განსაზღვრულ კონკრეტულ ვითარებაში ზიანის წარმოშობის შესაძლებლობას შეიცავს. საფრთხის ცნება რომ შესაძლებლობის კატეგორიის სახეს წარმოადგენს, ეს ზოგჯერ თვითონ სისხლის სამართლის კანონმდებლობითაც მტკიცდება, რომელიც არცთუ იშვიათად ტერმინ „საფრთხის შექმნის“ ნაცვლად, ზიანის „შესაძლებლობის შექმნაზე“ ლაპარაკობს (მაგალითად, რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 85-ე მუხლში ლაპარაკია მოქმედებაზე, რომელსაც „შეძლო გამოეწვია მატარებლის მარცხი, გემის ავარია“ და სხვ. 246-ე მუხლში ნათქვამია: „ფეთქებად ან რადიოაქტიური ნივთიერებების შენახვის, სარგებლობის, აღრიცხვის ან გადატანის წესის დარღვევა, თუ ამ მოქმედებებს შეეძლო გამოეწვია მძიმე შედეგები“ და სხვ.).

ბურჟუაზიულ კრიმინალისტთა უმრავლესობა საფრთხის ცნების განსაზღვრისას შესაძლებლობის სუბიექტურ-იდეალისტურ გაგებას ეყრდნობა. ამგვარი გაგების მიხედვით, შესაძლებლობა ობიექტურად, რეალურად არ არსებობს. ის არსებობს მხოლოდ მოაზროვნე ადამიანის წარმოდგენაში. ის არ წარმოადგენს მოსალოდნელი მოვლენის თვისებას, არამედ ჩვენი მოლოდინის ხარისხს გამოხატავს. ფაქტის განსაზღვრუ-

ლი ცოდნის საფუძველზე ანდა ცოდნის გამოცდილებით ინდივიდი დიდი ან მცირე დარწმუნებით რაიმე მოვლენის დადგომას ელოდება. თავისთავად გასაგებია, რომ ამ ცოდნის ზომაზე დამოკიდებულებით იცვლება ალბათობის ხარისხიც, რომელზე დაყრდნობითაც ვინმე მოცემული მოვლენის დადგომას ელოდება. მაგალითად, როცა ალბათობის გამოთვლაზე ლაპარაკობს, ზიგვარტი შენიშნავს: „ის, რაც ამის მიხედვით შეიძლება გამოითვალოს, ეს მხოლოდ სუბიექტური მოსალოდნელობის ზომაა, რომელიც მართლზომიერია მაცალკეებელი მსჯელობის საფუძველზე, რაც ცოდნასა და უცოდინარობას შორის ურთიერთობას უდევს საფუძვლად“.<sup>15</sup> ამ თვალსაზრისის თანახმად, სინამდვილეს საქმე აქვს მხოლოდ აუცილებელ მიზეზობრიობასთან, შესაძლებლობის ცნება მასთან შეუთავსებელია. მოქმედება in concreto ან კაუზალობა შედეგისათვის ან არაკაუზალობა, tertium non datur.

თუკი ამ მსჯელობას საფრთხის ცნების მიმართ გამოვიყენებთ, მაშინ შემდეგ ალტერნატივას მივიღებთ: იმ კაცისათვის, ვინც ნათლად აღიქვამს კონკრეტული პირობების მთელ ერთობლიობას, საშიში მოქმედება არ არსებობს, მისთვის არის მხოლოდ საზიანო მოქმედება ან მოქმედება, რომელსაც ზიანი არ გამოუწვევია. თუკი ზიანი ნამდვილად განხორციელდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი დადგომის აუცილებლობა ამ მოქმედების ჩადენის მომენტში არსებულ პირობებში უკვე იყო მოცემული; აუცილებლობა კი შესაძლებლობას გამორიცხავს. თუ საზიანო შედეგი არ დამდგარა, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი დადგომის შეუძლებლობა თავიდანვე იყო განსაზღვრული; ამიტომ არავითარი საფრთხე თავიდან არ ყოფილა. მაგრამ თუ ჩვენ მაინც ვლაპარაკობთ საზიანო შედეგის დადგომის საფრთხეზე, ეს ჩვენი მსჯელობა ადამიანური ცოდნის შეზღუდულობაზეა დაფუძნებული, იგი ადამიანური შეცდომის, გაუგებრობის ან უბრალოდ შიშის ნაყოფია. ასეთი მსჯელობისას ჩვენ აუცილებლობით ვცილდებით იმ გარემოე-

<sup>15</sup> ზიგვარტ, *ლოგიკა*, ტ. II, *Вып. I, Учение о методе*, Перевод с 3 немецкого издания Давидова, 1908, გვ. 265; იხ. აგრეთვე გვ. 273.

ბებს, რომლებიც ჩვენთვის ცნობილი არ იყო, ანდა მხედველობიდან გამოგვრჩა და, ამრიგად, ჩვენი მსჯელობა არასრულ მონაცემებზე დავამყარეთ. მაგრამ ეს მსჯელობა სინამდვილის არაადეკვატურია. „ვინც ამას უგულებელყოფს, — ამბობს ბურჟუაზიული იურისტი Hertz, — და საზიანო შედეგის მხედველობაში მიუღებლად საფრთხეს ობიექტურ ხასიათს მიანერს, ის რეალურ საგნად მიიჩნევს იმას, რაც თავში მოუვა“.<sup>16</sup>

თავისთავად ნათელია, რომ საფრთხე, რომელიც ასე წმინდა სუბიექტურადაა გაგებული, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენისათვის არ შეიძლება გამოვიყენოთ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ შეიძლება დავაფუძნოთ ისეთ ცნებაზე, რომელიც ყოველგვარ რეალურ შინაარსსაა მოკლებული. საფრთხე სუბიექტური აზრით ეფუძნება ფორმალური შესაძლებლობის ცნებას, რომლის ნამდვილი არსი ჯერ კიდევ ჰეგელმა დაადგინა.

შესაძლებლობა, ამ აზრით, არის ფორმალური იგივეობა თავის თავთან, ე. ი. ფორმალური თავისუფლება წინააღმდეგობისაგან. „ყველაფერი შესაძლებელია, რაც გაიგივებულია თავის თავთან და არ ეწინააღმდეგება თავის თავს, ე. ი. შესაძლებელია ყველაფერი, რასაც მოვიაზრებთ, ხოლო მოიაზრება ყველაფერი, რაც არ შეიცავს თავის თავში ისეთ წინააღმდეგობას, როგორიცაა ხის რკინა, ყველაფერი თუნდაც სრული უაზრობა“.<sup>17</sup> აი, სწორედ ფორმალურ-სუბიექტური შესაძლებლობის ამ ცნებას სასტიკად დასცინის ჰეგელი, როცა ამბობს: „არ არის... უფრო ცარიელი სიტყვები, ვიდრე შესაძლებლობისა და შეუძლებლობის სიტყვებია. ფილოსოფიაში, განსაკუთრებით, არ უნდა იყოს ლაპარაკი იმის საჩვენებლად, იმის საჩვენებლად, რომ რაღაც შესაძლებელია ანდა, რაღაც, როგორც ამას გამოთქვამენ, მოიაზრება“.<sup>18</sup> და შემდეგ: „ყველაზე უფრო აბსურდული და უაზრო საგნები შეიძლება გან-

---

<sup>16</sup> ციტირებულია: Мокринский, "Наказание, его цели и предположения", т. II, 1901, გვ. 235.

<sup>17</sup> Куно Фишер, Гегель, его жизнь, сочинения и учение. 1933, გვ. 356.

<sup>18</sup> Гегель, Сочинения, т. I, Логика, 1930, გვ. 240.

ვიხილოთ, როგორც შესაძლებელი. შესაძლებელია, რომ დღეს სწამოს მთვარე დედამიწას დაეცეს, ანდა მთვარე სხეულია, დედამიწისაგან ჩამოცილებული, და ამიტომ შესაძლებელია ასევე ძირს დაეცეს, როგორც ჰაერში ასროლილი ქვა; შესაძლებელია, რომ თურქეთის სულთანი პაპად იქცეს, ანდა ის ადამიანია, რომელიც, როგორც ასეთი, ქრისტიანულ რწმენას მიიღებს, კათოლიკურ მღვდლად იქცევა და ა. შ.<sup>19</sup> ასეთსავე აზრს გამოხატავს ლენინი: „ყოველგვარი გარდაქმნა შესაძლებელი. ისიც, რომ სულელი იქცეს ჭკვიანად..., მაგრამ ასეთი გარდაქმნა სინამდვილედ იშვიათად იქცევა“.<sup>20</sup>

ზოგიერთი ბურჟუაზიული იურისტი მაინც ცდილობს აღმოაჩინოს საფრთხის ასეთ სუბიექტურ და აბსტრაქტულ ცნებაში რომელიღაც რეალური ელემენტი და, ამრიგად, ეს ცნება მცდელობისათვის პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად გამოიყენოს. ასეთ რეალურ ელემენტად ისინი იმ ფსიქიკურ რეაქციას, შიშის ან შეშფოთების იმ შეგრძნებას მიიჩნევენ, რომელიც საზოგადოებაში ან დაზარალებულში რაიმე შედეგის დადგომის მოლოდინს იწვევენ. მაგრამ სუბიექტური საფრთხის ცნების გამოყენება მცდელობის განსაზღვრის და მისი დასჯადობის დასაბუთებისათვის სერიოზულ ეჭვებს იწვევს და არაა გასაკვირი ამიტომაც, რომ მეორე, უფრო მრავალრიცხოვანი ნაწილი ბურჟუაზიული იურისტებისა ამის სანინაალმდეგო აზრს გამოთქვამდა.

სინამდვილეში საფრთხის ცნების სუბიექტურმა განსაზღვრამ ჩვენ იქამდე უნდა მიგვიყვანოს, რომ მოქმედების, როგორც საშიშის შეფასება დამოკიდებული იქნება იმაზე, შენიშნა თუ არა მოქმედება იმან, ვის წინააღმდეგაც იყო ის მიმართული, ან შენიშნეს ის სხვებმა. თუ მოქმედება ცნობილი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასახელებულმა პირებმა უკვე გააცნობიერეს, რომ მან საზიანო შედეგი არ გამოიწვია, ის უვნებელ მოქმედებად უნდა მივიჩნიოთ; და პირიქით, არსე-

<sup>19</sup> Гегель, Сочинения, т. I, Логика, 1930, გვ. 241.

<sup>20</sup> Ленин, Сочинения, т. XIX, გვ. 237.



ბითად, ე. ი. ობიექტურად ყველაზე უსაფრთხო მოქმედება შეიძლება მივიჩნიოთ საშიშად, თუკი მან შიშის გრძნობა გამოიწვია. ერთი და იგივე მოქმედება წარმოგვიდგება უსაფრთხოდ, თუკი იგი მიმართულია მამაცი, გონიერი და მშვიდი ადამიანის წინააღმდეგ და, პირიქით, საშიშად, თუკი ის ლაჩრის ან ლენჩის წინააღმდეგ იქნება მიმართული. აქ სრულიად დროულია, მოვიშველიოთ ჰეგელის სიტყვები, რომლითაც ის აბსტრაქტული ან ფორმალური საფრთხის მდგომარეობას გამოხატავს: „რაც უფრო გაუნათლებელია ადამიანი, მით უფრო ნაკლებად ერკვევა ის იმ საგნების განსაზღვრულ ურთიერთობებში, რომლებიც მას სურს განიხილოს, მით უფრო აქვს მას მიდრეკილება განიხილოს არარეალური შესაძლებლობები, როგორც ეს, მაგალითად, პოლიტიკურ ვითარებაში ე. წ. ლუდხანის პოლიტიკოსებში ხდება“.<sup>21</sup> სისხლისსამართლებრივი ქმედების, როგორც საზოგადოებრივად საშიშის ასეთ მერყევ საფუძველზე დაფუძნება დამოკიდებული იქნება არა დანაშაულებრივი ქმედების თვისებაზე, არამედ იმის სუბიექტურ თვისებებსა და ფსიქიკურ განცდებზე, ვისაც ამ ქმედებით საფრთხე შეექმნა ან იმათ განწყობაზე, ვინც თვალყურს ადევნებდა ან აფასებდა ჩადენილ ქმედებას. ბოლოს, თუკი საფრთხე რეალურ სინამდვილეში არ არსებობს, თუკი იგი მხოლოდ ადამიანური აღქმის პროდუქტი, მისი შეცდომის ან ილუზიის ნაყოფია, მაშინ, როგორც კი ეს შეცდომა გამოაშკარავდა და, ამრიგად, გაირკვა, რომ სინამდვილეში არავითარი საფრთხე არ ყოფილა, მოქმედის დასჯადობის ყოველგვარი გონივრული საფუძველიც ქრება. ეს მოსაზრებები, რომლებსაც თვითონ ბურჟუაზიული იურისტები დასჯადი მცდელობის საშიშროების სუბიექტური გაგების წინააღმდეგ ავითარებენ, გვარწმუნებს,<sup>22</sup> რომ მსგავსი კრიტერიუმების სისხლის სამართლის სფეროში შემოტანა სასამართლო თვითნებობას ფართო გზას გაუხსნის.

<sup>21</sup> Гегель, Логика, გვ. 241 (ხაზგასმა ჩემია. — თ. წ.).

<sup>22</sup> იხ. მაგალითად, Germann, Ueber den Grund der Strafbarkeit des Versuchs, 1914, s. 26-27.

მეორე, უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფი ბურჟუაზიული იურისტებისა იმ აზრს იზიარებს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საზოგადოდ და, კერძოდ, პასუხისმგებლობა საფრთხის შემქმნელი დანაშაულისათვის არ შეიძლება მხოლოდ სუბიექტური ნიშნებით იქნეს დასაბუთებული.

განსაკუთრებით გავრცელდა ბურჟუაზიულ სისხლისსამართალში ზოგადი ანუ აბსტრაქტული საფრთხის თეორია, რომელიც მარბურგელმა ფიზიოლოგმა კრისმა განავითარა. ამ ნაშრომის ზეგავლენა ბურჟუაზიულ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაზე იმდენად დიდი იყო, რომ ზოგიერთი იურისტი მას „ემოქალური მნიშვნელობის“ ნაშრომადაც კი მიიჩნევს.<sup>23</sup> კრისის ძირითადი დებულებები არა მარტო საფრთხის ცნების ახსნის, არამედ მიზეზობრივი კავშირის ე. წ. ადეკვატური თეორიის აგებისათვის იყო გამოყენებული, რომელიც ამჟამად წარმატებით უწევს კონკურენციას მანამდე გაბატონებულ პირობათა თეორიას.<sup>24</sup>

აბსტრაქტული საფრთხის თეორია არსებითად იმავე ფილოსოფიურ წანამძღვრებს ეყრდნობა, რომლებსაც ზემოთ განვითარებული საფრთხის სუბიექტური გაგება. კრისი და მისი მომხრეები სავსებით ემხრობიან ბურჟუაზიულ ფილოს-

<sup>23</sup> იხ. **Rumelin**, Die Verwendung der Kusallbegriffe im Stf- und Ziwilrecht, 1900, s. 19.

<sup>24</sup> კრისის მიზეზობრივი კავშირის თეორიის მიმდევრები არიან ისეთი გამოჩენილი ბურჟუაზიული მეცნიერები, როგორებიც იყვნენ რიუმელინი, ტრეგერი, ლიმანი, ტარნოვსკი, ენეკერუსი და სხვ. რევოლუციამდელ რუსულ ლიტერატურაში ამ თვალსაზრისს იზიარებდა მოკრინსკი, საბჭოურ ლიტერატურაში: კანტოროვიჩი, ფრანკი და სხვ. ადეკვატურ მიზეზობრიობას ემხრობა აგრეთვე 1938 წ. სამოქალაქო სამართლის სახელმძღვანელო. მაგრამ კრისის ზეგავლენა არ ამოინურება მხოლოდ სამართლის სფეროთი. ამის დასტურად მივმართავთ ზიგვარტს, რომელიც თავის ლოგიკაში მიუთითებს, რომ კრისის თხზულებებში განვითარებულ მოსაზრებებს ის იყენებდა ალბათობის გამოთვლის თავისი ზოგიერთი დებულების უფრო ზუსტი ფორმულირებისათვის. იხ. მისი „ლოგიკა“, II ტ. გვ. 370, 68-ე შენიშვნა. სტატისტიკაზე კრისის ზეგავლენის საკითხზე იხ. ჩუპროვის წერილი „ზნეობრივი სტატისტიკა“ ბროკჰაუსისა და ეფრონის ენციკლოპედიურ ლექსიკონში: ალბათობის თეორიის სტატისტიკისადმი მისადაგების საფუძვლად, — ამბობს ჩუპროვი, — ობიექტური შესაძლებლობის წარმოდგენად, რომელიც ზიგვარტმა შემოიტანა და კრისმა განავითარა“ (XIX ტ. გვ. 407).

ოფიაში გაბატონებულ თვალსაზრისს, რომ ალბათობა არ წარმოადგენს რომელიღაც მოსალოდნელი მოვლენის თვისებას და ამიტომაც ობიექტური რეალობა არ გააჩნია. და თუ კრისი, ამის მიუხედავად, შესაძლებლობის ობიექტურ ხასიათზე მაინც ლაპარაკობს, ის ამ გამოთქმას იყენებს არა კონკრეტული, არამედ აბსტრაქტული ობიექტურობის აზრით.<sup>25</sup> ობიექტური შესაძლებლობის მსჯელობას, კრისის აზრით, შეიძლება მაშინ მივალნით, როცა მოცემული განსაზღვრული მოვლენის სპეციფიკურ თავისებურებებიდან ყურადღება გადაგვაქვს და ამ მოვლენას მის აბსტრაქტულ ფორმაში ვიღებთ ან „როცა ჩვენ მხედველობაში ვიღებთ შედეგის დამოკიდებულებას რომელიღაც ზოგად, განზოგადებულად აღნიშნულ პირობებთან. ის, რომ განსაზღვრულ პირობებში მოვლენა შეიძლება განხორციელებულიყო, ან შეიძლება არ განხორციელებულიყო, არის მტკიცება, რომელიც იძენს სრულიად ზუსტ და გონივრულ აზრს, როცა განმაპირობებელი გარემოებების აღნიშვნა ზოგადია, არაზუსტია, რომლებიც მრავალი სხვადასხვა სახის ურთიერთობებს მოიცავს“.<sup>26</sup> ეს აზრი რომ უფრო გასაგები გავხადოთ, მოვიტანოთ მაგალითი, რომელსაც ჩვეულებრივ კრისი და მისი მიმდევრები იყენებენ. ავიღოთ კამათელი, რომლის სიმძიმის ცენტრი ემთხვევა გეომეტრიულ საშუალო პუნქტს და რომლის ექვსივე გვერდზე რიგრიგობით აღნიშნულია რიცხვები 1, 2, 3, 4, 5, 6. თუ ჩვენ განვიხილავთ ამ კამათლის გაგორებას, მივიღებთ რა მხედველობაში გაგორების ყველა კონკრეტულ თავისებურებას, მაგალითად, გაგორებისას ხელის განსაზღვრულ თავისებურებას, კამათლის ხელში ჭერის განსაზღვრულ წესს, გაგორების ძალას და ა. შ., მაშინ რომელიმე რიცხვის კამათელზე გამოჩენა, მაგალითად, 6 რიცხვისა ამ კონკრეტულ ვითარებაში აუცილებლად უნდა ჩაითვალ-

<sup>25</sup> ასევე ზიგვარტი: „...ცალკეული შემთხვევისათვის ალბათობა... ნმინდა სუბიექტური ხასიათისაა, რასაც ამავე დროს აძლიერებს ფაქტიურად განმსაზღვრელი საფუძვლების უცოდინარობა“. Логика, т. II, Вып. II, Учение о методе, 1909, გვ. 265.

<sup>26</sup> Kries, op. cit, p. 5.

ოს. „ყველაფრისმომცველი, ე. წ. ლაპლასური გონი, — ამბობს ტრეგერი, — თუნდაც ნარდის თამაშის მაგალითიც რომ ავილოთ, გვეტყოდა არა 6 რიცხვის მიღწევას განსაზღვრული გაგორებისას, არამედ იმის აუცილებლობას, რომ ასე გაგვეკეთებინა“. <sup>27</sup> მაგრამ საქმე სხვაგვარადაა, როცა ჩვენ ვიღებთ კამათლის გაგორების შემთხვევას, თუკი მხედველობაში არ მივიღებთ გაგორების სპეციფიკურ თავისებურებებს, ე. ი. როცა მხედველობაში ვიღებთ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ვილაცა კამათელს აგორებს. ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია გამოვთქვათ აზრი, რომ 6 ციფრიდან ობიექტურად რომელიმეს გამოსვლა თანაბრად შესაძლებელია.

ეს მსჯელობა იმ მაგალითების მოხმობით, რომლებსაც ციფრული აღნიშვნა გააჩნიათ, შემდეგ სოციალური ცხოვრების ფაქტების სფეროში გადააქვთ. ასეთ შემთხვევაში ობიექტური შესაძლებლობის განსჯა მიიღწევა შეგნებული აბსტრაგირების გზით განსაზღვრული ფაქტებისაგან მხოლოდ იმ დარჩენილი ფაქტების ჯგუფის საფუძველზე, რომლებსაც ზოგადი მნიშვნელობა აქვთ. „ეს მხოლოდ ნაწილობრივი აღნიშვნაა იმ პირობებისა, — ამბობს ტრეგერი, — რომლებიც ზოგიერთ ურთიერთობაში გულისხმობს თავისთავად აგრეთვე იმ ურთიერთობათა ერთობლიობას, განუსაზღვრელად დარჩენილ მხარეებამდე რომ შეიძლება მივიდეს... ამ აზრით შეიძლება ვილაპარაკოთ საზოგადოდ ობიექტურ შესაძლებლობაზე, როგორც ობიექტურ ზოგადმნიშვნელოვან ცნებაზე. მაგრამ შესაძლებლობის ასეთი განსჯა არის რალაც ისეთი, როგორიცაა ზოგადი ანუ ალბათობის ობიექტური განსჯა, რამდენადაც იგი ალბათობის გამოთვლის საგანია“. <sup>28</sup>

ობიექტური შესაძლებლობის მსგავსი განსჯის საფუძველია არსებული გამოცდილება, განსაზღვრული გამოცდილების ცოდნა, მოვლენათა კანონზომიერი კავშირის ცოდნა (ნომოლოგიური ცოდნა), ხოლო, მეორე მხრივ, სინამდვილის ფაქტების ცოდნა (ონტოლოგიური ცოდნა).

<sup>27</sup> Traeger, Der Kausalbegriff im Staf- und Ziwilrecht, Marburg, 1929, გვ. 120.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 120-121.

აბსტრაქტული შესაძლებლობის განსჯის განსხვავება ალბათობის სუბიექტური განსჯისაგან იმაში მდგომარეობს, რომ პირველი გამოითქმება საშუალო ნომოლოგიური ცოდნის, მათ შორის როგორც — ბოლო — მოცემული სუბიექტის ნომოლოგიური ცოდნის საფუძველზე. ამ და მხოლოდ ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ ალბათობა სუბიექტურია, ბოლო შესაძლებლობა — ობიექტური. ამრიგად, როცა შესაძლებლობის ობიექტურ ხასიათზე ლაპარაკობს, კრისს ეს ესმის არა იმ აზრით, რომ ობიექტურობა თვისებაა „ნივთისა თავისთავად“, როგორც ასეთის, არამედ მხოლოდ იმ აზრით, რომ ობიექტური შესაძლებლობის განსჯა საყოველთაო ხასიათისაა, ყველასათვის სავალდებულო. მაგრამ არსებითად ეს განსჯაც სუბიექტური წარმოშობისაა, რასაც თვითონ ბურჟუაზიული იურისტებიც აშკარად აღიარებენ.

„ვინაიდან ეს საშუალო განსჯაა, — აღნიშნავს, მაგალითად, მირჟიჩკა, — აშკარად სუბიექტური ბუნებისაა, ამიტომ ის სწორია სახელდობრ, იმ დონემდე, რომელიც საფრთხის ცნების ამ სუბიექტურ ხასიათზე მიუთითებს. მეორე მხრივ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ეს საშუალო განსჯა დროთა განმავლობაში სტაბილური ხდება, რომ წარმოდგენა საფრთხის ელემენტზე, რომელიც საკუთრივ მხოლოდ ჩვენს წარმოდგენაში არსებობს, გადაიტანება მოცემულ ვითარებაზე და რომ საშუალო განსჯა ამ აზრით განსაზღვრული ხარისხით ობიექტურდება“.<sup>29</sup>

ამრიგად, კრისის თეორიის ძირითადი იდეები შეიძლება შემდეგ დებულებებში გამოიხატოს:

1. იმ განსაზღვრული მოვლენის მიმართ, რომელიც მის კონკრეტულ, ინდივიდუალურ ვითარებაშია აღებული, შესაძლებლობის განსჯა *in concreto* არ გამოითქმება;

2. შესაძლებლობის განსჯის წარმოთქმისათვის აუცილებელია მოცემული მოვლენის კონკრეტული თავისებურებისაგან ყურადღების ჩამოცილება და მხედველობაში უნდა მივი-

<sup>29</sup> A. Mišinika, Die Formen des Strafschuld und ihre gesetzliche Regelung, 1903, გვ. 147.

ლოთ მხოლოდ ზოგიერთი მისი ის თვისება, რომელსაც ზოგადი ხასიათი აქვს;

3. თუკი ასეთი წანამძღვრის დროს აღმოჩნდება, რომ ადამიანის ცოდნის საშუალო გამოცდილების მოცემული ზოგადი პირობა ყოველთვის მიახლოებით ერთნაირი რეგულარულობით ინვევედა განსაზღვრულ შედეგს, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ველოდოთ მის განხორციელებას მომავალში მეტი ან ნაკლები ალბათობით.

4. ამის შესაბამისად ზემოთქმული ობიექტური შესაძლებლობა ესადაგება ჩვენი მოლოდინის თანხვედრას ბუნების კანონებთან, ე. ი. გამოიხატება „იმით, რომ იგი შეიძლება ჩავრთოთ მეცნიერულად დადგენილ მიზეზობრივ კავშირში“.<sup>30</sup>

აბსტრაქტული შესაძლებლობის ცნება გამოიყენა როგორც თვითონ კრისმა, ისე მისმა მიმდევრებმაც საფრთხის ცნების განსაზღვრისათვის. საფრთხე არ არის რაღაც ნამდვილი, რეალური, ანდა რაღაც ნაწილობრივ ნამდვილი, რადგანაც ფაქტიურ სინამდვილეში ჯერ კიდევ არაფერი განხორციელებულა. „იგი წარმოადგენს უფრო მეტად მიზეზობრიობის განიხლვისას სინამდვილისაგან განსხვავებულის, აბსტრაგირებულის დასკვნას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია კონკრეტული მიზეზობრიობისაგან და მის გვერდით დგას“.<sup>31</sup> საფრთხე ობიექტურია მხოლოდ იმ აზრით, რომ მას განსჯის საფუძველად ადამიანის საშუალო გამოცდილების ცოდნა უდევს, რომელიც განსაზღვრულ პრაქტიკულ სარწმუნოებას ფლობს.

კონკრეტული საფრთხის ცნებას უარყოფს ცნობილი თანამედროვე პოლონელი კრიმინალისტი ლ. ლერნელიც თავის მოხსენებაში, რომელიც მან კრიმინალისტთა მე-10 საერთაშორისო კონგრესზე წაიკითხა რომში. ერთი მხრივ, იგი უარყოფს ადეკვატურობის თეორიის გამოყენების შესაძლებლობას მიზეზობრივი კავშირისათვის ადამიანის ქცევასა და დამდგარ დანაშაულებრივ შედეგს შორის, რომელმაც სამართლით და-

<sup>30</sup> M. Liepmann, Einleitung in das Strafrecht, 1900, გვ. 70.

<sup>31</sup> Henke, Der Gefahrbegriff im Strafrecht, 1900, გვ. 70.

ცული ობიექტი რეალურად დააზიანა. მაგრამ, მეორე მხრივ, იგი მიიჩნევს, რომ „ეს თვალსაზრისი სასარგებლო და აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის პრობლემის გადაწყვეტისათვის, როცა საქმე საფრთხის შექმნას ეხება“.<sup>32</sup> უდავო პოსტულად იგი იღებს გენერალიზაციის პრინციპს და მიიჩნევს, რომ საფრთხის არსებობის დადგენისას მხედველობაში უნდა მივიღოთ მხოლოდ იმ მოვლენათა მიმდინარეობა, რომლებსაც განზოგადების უნარი გააჩნიათ, „რამდენადაც ჩვენთვის შესაძლებელია აბსტრაგირება კონკრეტული ვითარებისაგან და ვიკითხოთ არა ის, გამოიწვია თუ არა მოვლენათა ამ მსვლელობამ უარყოფითი შედეგი, არამედ ის, მიჰყავს თუ არა საზოგადოდ ასეთ მოვლენას ასეთ შედეგამდე“.<sup>33</sup> კრისისაგან შემოთავაზებული კრიტერიუმები, ლერნელის აზრით, „შეიძლება და უნდა გამოვიკვლიოთ იმისათვის, რათა იმ აქტების მიზეზობრივი ღირებულება შევაფასოთ, რომლებსაც საფრთხის შექმნის უნარი აქვთ. ამ აზრით, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ საფრთხე ყოველთვის აბსტრაქტულია“.<sup>34</sup>

აბსტრაქტული საფრთხის თეორიის გადმოცემამ თვალსაჩინოდ დაგვანახა, რომ ამ თეორიის წარმომადგენლები საბოლოო ანგარიშით იმავე ფილოსოფიურ წანამძღვრებს ეყრდნობიან, რომლებითაც საფრთხის სუბიექტური თეორიის წარმომადგენლები სარგებლობენ. ერთნიც და მეორენიც აღიარებენ, რომ საფრთხის განსჯას მკვეთრად სუბიექტური ბუნება აქვს, ერთნიც და მეორენიც საფრთხის განსჯას რეალური სინამდვილისაგან აბსტრაქციაზე აფუძნებენ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ საფრთხის სუბიექტური განსჯისას ხდება აბსტრაგირება იმ გარემოებებისაგან, რომლებიც მოქმედმა არ იცოდა ანდა შემთხვევით გამორჩა მხედველობიდან. სხვათა შორის, საფრთხის „ობიექტური“ გაგების დროს განზრახ და შეგნებულად ხდება აბსტრაგირება იმ განსაზღვრული კონკრეტული გარემოებებისაგან, რომლებსაც ზოგადი ხასიათი არა აქვთ.

<sup>32</sup> იხ. *Revue internationale de droit pénal*, 1969, №1-2, გვ. 222.

<sup>33</sup> იქვე, გვ. 223-224.

<sup>34</sup> იქვე, გვ. 224.

რით აიხსნება ასეთი უცნაური თანხვედრა ამ ორი თეორიისა, რომლებიც პირველივე შეხედვით შეიძლება ურთიერთსაწინააღმდეგოდ მოგვეჩვენოს? რით აიხსნება ის გარემოება, რომ საფრთხისათვის ობიექტური ხასიათის მიცემის ცდის დროსაც კი, ბურჟუაზიულ იურისტებს არ შეუძლიათ გვერდი აუარონ სუბიექტურ თვალსაზრისს და ისინი „ობიექტურობას“ მხოლოდ აბსტრაქციის გზით აღწევენ? ეს, რასაკვირველია, არ არის შემთხვევითი მოვლენა. საფრთხის სუბიექტურ გაგებამდე ისინი აუცილებლობით მიიყვანა მიზეზობრივი კავშირის იმ წარმოდგენამ, რომელსაც ბურჟუაზიული იურისტები იზიარებენ. სისხლის სამართლის ბურჟუაზიულ მეცნიერებაში მიზეზობრივი კავშირის გაბატონებული მოძღვრება მიზეზობრიობის სუბიექტურ-იდეალისტურ გაგებას ემყარება. იმისაგან დამოუკიდებლად, გამოდიან თუ არა ბურჟუაზიული იურისტები მიზეზობრივი კავშირის ისეთი გაგებიდან, რომლის მიხედვით იგი ცდისეული წარმოშობისაა და წარმოადგენს ჩვეულების შედეგს მისი წარმომშობი რწმენისა (იუმის), ანდა ისინი მიიჩნევენ მას წმინდა განსჯად ცნებად, კატეგორიად შემეცნებისა, რომელიც შესაძლებელს ხდის თვითონ გამოცდილებას (კანტის), ყველა ისინი თანხმდებიან იმაში, რომ ადამიანის შემეცნებისაგან დამოუკიდებელი გარე სამყაროს ობიექტური კანონზომიერება არ არსებობს. „განსხვავება იუმისა და კანტის მიზეზობრიობის თეორიებს შორის, — ამბობს ლენინი, — მეორეხარისხოვანი განსხვავებაა იმ აგნოსტიკოსთა შორის, რომლებიც ერთმანეთს ეთანხმებიან ძირითადად: ბუნების ობიექტური კანონზომიერების უარყოფაში, რითაც აუცილებლობით ავლენენ თავის თავს ამა თუ იმ იდეალისტური დასკვნების მომხრედ“.<sup>35</sup> ერთ-ერთ ამ დასკვნას წარმოადგენს შესაძლებლობის ობიექტური ბუნების უარყოფა. როცა უარყოფენ ბუნებრივ ურთიერთობათა ობიექტურობას, მათ, რასაკვირველია, უნდა აღიარონ, რომ შესაძლებლობა არასდროს არ წარმოადგენს რომელიმე მოსალოდნელი მოვლენის

---

<sup>35</sup> Ленин, Сочинения, т. XIII, гл. 134.



თვისებას, არამედ ის არის მხოლოდ სუბიექტური მდგომარეობა ჩვენი აზროვნებისა, რომელიც მხოლოდ ჩვენი მოლოდინის ხარისხს გამოხატავს. ვინაიდან რეალური შესაძლებლობის არსებობის მტკიცება შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც მიზეზობრივი ურთიერთობების ობიექტურობას ამტკიცებს, ვინც მიზეზობრივი ურთიერთობების ობიექტურობას აღიარებს და განსაზღვრულ პირობათა ზოგადი ერთობლიობიდან გამოყოფს ყველაზე უფრო არსებით ან ძირითად პირობებს, რომლებსაც შედეგის აქტიური წარმომქმნელი ძალის მნიშვნელობას ანიჭებს.

მაგრამ თუ საფრთხის „ობიექტური თეორიაც“ კი არსებითად საზიანო შედეგის დადგომის შესაძლებლობის სუბიექტურ წარმოდგენამდე მიდის, მაშინ ჩვენ ამ თეორიასაც შეგვიძლია ყველა ის მოსაზრება დაუჟღეროთ, რომლებიც საფრთხის სუბიექტური ცნების წინააღმდეგ გამოვთქვით. დასჯა ხომ შეიძლება მხოლოდ იმის გამო, რაც სინამდვილეა და არა იმის გამო, რაც მხოლოდ ჩვენს წარმოდგენაშია. ამიტომაც სრულიად მართალია გერმანი, როცა ამბობს: „ამ თეორიაში გვანცვიფრებს, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ აბსტრაქტულ მომენტს, როგორც ასეთს, კონკრეტული სინამდვილისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მისთვის დასჯის და დაუსჯელობის საკითხს ქმედება წყვეტს... როგორი კონკრეტული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა ასეთ შემთხვევაში in abstracto საშიშ მოქმედებას იმისათვის, რომ დავასაბუთოთ დასჯადობა? ყველაზე მეტი — „საზოგადოების შეშფოთება“.<sup>36</sup> მაგრამ ეს ნიშანი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის არ გამოდგება.

ერთი სიტყვით, აბსტრაქტული საფრთხის ცნების სიყალბისა და შინაგანი წინააღმდეგობის მიუხედავად, ეს ცნება წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით საშიში მოქმედების არასაშიში მოქმედებისაგან გამიჯვნისათვისაც არ გამოდგება. დაბეჯითებითი მოთხოვნა ადეკვატური თეორიისა იმაში

---

<sup>36</sup> Germann, op. cit., იქვე, გვ. 25-26.

მდგომარეობს, რომ მხედველობაში არ მივიღოთ არატიპური კავშირები მიზეზობრივი განვითარებისა და ისინი პასუხისმგებლობის სფეროდან გამოვრიცხოთ, რათა ადამიანს მხოლოდ ის შევარაჯხოთ, რაც საზოგადო გამოცდილების საფუძველზე ჩვეულებრივ ამგვარ მოქმედებას მოსდევს. თუ საფრთხის შემქმნელ დელიქტებს ამ პრინციპს მივუსადაგებთ, მაშინ ეს ნიშნავს, რომ არ უნდა მივიღოთ მხედველობაში განსაზღვრული ინდივიდუალური პირობები ქმედების ან ვითარებისა განმაზოგადებელი მსჯელობის სასარგებლოდ და მაშინ, როცა მათი ზეგავლენა კონკრეტული ხდომილების მიმართ დადგენილია.

მაგრამ ეს შეუთავსებელია კონკრეტული საფრთხის შექმნის დელიქტების ძირითად იდეასთან. მოსამართლეზე საფრთხის დადგენის მოვალეობის დაკისრების დროს კანონმდებელი იმ თვალსაზრისს ეყრდნობა, რომ კონკრეტული საფრთხის სასამართლოს მიერ დადგენის წყალობით სამართლიანობა ცალკეული შემთხვევის შეფასების დროს უფრო მეტად იქნება დაცული, ვიდრე მაშინ, თუ თვითონ კანონმდებელი საფრთხის კრიტერიუმებს დაადგენდა. მაგრამ ამ გზაზე უკან გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, თუკი დავავალდებულებდით მოსამართლეს ყურადღება არ მიექცია ცალკეული შემთხვევის განსაზღვრული გარემოებისათვის იმის გამო, რომ ეს გარემოება ატიპურია: ასეთ შემთხვევაში კონკრეტული საფრთხის დელიქტი ისევე გადაიქცეოდა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად და, ამრიგად, ფორმალურ შემადგენლობად. პირიქით, ნებისმიერი კონკრეტული საფრთხის დელიქტი მოსამართლისაგან მოითხოვს, გამოიყენოს მასზე დამოკიდებული ყველა საშუალება განსჯისა, ე. ი. ფაქტიურად გამოიყენოს და მხედველობაში მიიღოს ატიპური გარემოებანიც, ე. ი. ის გარემოებანიც, რომლებიც საერთო გამოცდილების გარეთაა. ამ საფუძველებიდან გამომდინარე, დაუშვებელია დაყრდნობა ზოგად გამოცდილებაზე და განსაზღვრული გარემოებების ბრალდებულის სასარგებლოდ ან საზიანოდ მხედველობაში მიღება. არ იქნებოდა დასაბუთებული დაგვეკისრებინა ბრალდებულისა-

თვის პასუხისმგებლობის ტვირთი საფრთხისათვის, როცა საფრთხე, თუმცა ატიპიური კავშირების საფუძველზე, ფაქტიურად არ დამდგარა. ზუსტად ასევე დაუშვებელი იქნებოდა არ გველიარებინა საფრთხის არსებობა იმის გამო, რომ ვითარების შეფასებამ საერთო მასშტაბით მიგვიყვანა საფრთხის არარსებობის დასკვნამდე, თუმცა ამ კონკრეტული შემთხვევისათვის საფრთხის არსებობა დადგენილია.

აბსტრაქტული საფრთხის ცნების უვარგისობას სისხლის სამართლის მიზნებისათვის გრძნობდა ბურჟუაზიული სამართალმცოდნეობის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომლებიც აბსტრაქტული საფრთხის ცნებას კონკრეტული საფრთხის ცნებას უპირისპირებდნენ. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ ბინდინგის მსჯელობა, რომელიც იყენებს მის მიერვე შემუშავებულ საფრთხის ცნებას კონკრეტული საფრთხის დელიქტისადმი. და თუმცა ბინდინგი მცდელობისათვის პასუხისმგებლობის დაფუძნებას საფრთხის ცნებაზე საჭიროდ არ მიიჩნევს, მაგრამ თავისთავად საფრთხის მისეული განსჯა იმდენად საინტერესოა, რომ მას დუმილით გვერდს ვერ ავუვლით.

ბინდინგის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი საფრთხის სუბიექტურ გაგებას მთელი ძალით ესხმის თავს. რასაკვირველია, — ამბობს ის, — საფრთხე ბადებს შიშს, მაგრამ მისი შიშთან გაიგივება არ შეიძლება. შესაძლებელია, რომ ყალბმა შიშმა ზოგჯერ გვაიძულოს ჩვენ უსაფრთხო მდგომარეობა საშიშად მივიჩნიოთ, მაგრამ შიშს ნამდვილად არ შეუძლია უსაფრთხო მდგომარეობა საშიშად აქციოს. „საფრთხის ცნება ჩვენი შეცდომის, ჩვენი უმეცრების ნაყოფი როდია, არამედ დადგენა და აღქმა მისი სხვადასხვაგვარი განხორციელებისა ადამიანის პროგრესირებული ცოდნის სრულფასოვან ნაყოფს წარმოადგენს“.<sup>37</sup> ცხოვრება ყოველ ნაბიჯზე გვიმტკიცებს ამ დებულების სისწორეს, „ის ყოველდღიურად გვინვევს ჩვენი ენერგიით მონანილეობა მივიღოთ საფრთხ-

---

<sup>37</sup> K. Binding, Die Normen und ihre bbertragung, B. I, 1922, გვ. 377.

ესთან ყოველდღიურად გამწვავებულ ბრძოლაში... და ნუთუ ეს უდიდესი ბრძოლა მოჩვენებაა!"<sup>38</sup>

ბინდინგი შემდეგ მსჯელობას ასე აგრძელებს: თუკი სიკეთე ნამდვილად დაზიანდა, მაშინ ეს მოცემული სიკეთის დაზიანების შესაძლებლობის ჩვენს წინაშე მსჯელობას ამართლებს. მაგრამ, თუ სიკეთე არ დაზიანდა, მაშინ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საფრთხე საერთოდ არ არსებობდა. უკვე თვითონ ფაქტი, რომ ჩვენ მოსალოდნელი ზიანის აცილებისათვის განსაზღვრული სულიერი ან ფიზიკური ენერგია დავხარჯეთ, ამ საფრთხის არსებობას მიუთითებს. თავისი აზრის დასაბუთებისათვის ბინდინგს სრულიად ნათელი მაგალითები მოჰყავს: თუკი გემის დალუპვის დროს ფიცარზე შერჩენილი მეზღვაურები რამდენიმე დღის განმავლობაში უსმელ-უჭმელი დაქანაობდნენ ზღვის ტალღებზე, ვიდრე ისინი, სრულიად ღონემიხდილნი, თითქმის უგონო მდგომარეობაში შემთხვევით შემხვედრმა გემმა აიყვანა, — ვინ გაბედავს ამტკიცოს, რომ მათი სიკვდილის არავითარი საფრთხე არ არსებობდა? ანდა სხვა მაგალითი, რომელიც ცხოვრებიდანაა აღებული. როცა ორი ტურისტი გამცილებელთან ერთად, თოკით ერთმანეთთან მიბმული, თოვლის ზედავის ჩამონოლის გამო უფსკრულის თავზე ჩამოეკიდა, თანაც დიდი ხნის განმავლობაში მათ იჭერდა უკან მიმავალი მეორე გამცილებელი, რომელმაც საშინელი დაძაბულობისაგან კინალამ ხერხემალი გადაიმსხვრია. ყველანი მხოლოდ უჩვეულო სულიერი გამძლეობის, სიმშვიდის, მამაცობის, გონიერებისა და მოხერხებულობის წყალობით გადარჩნენ. მოდით, შეეცადოს ვინმე დაგვიმტკიცოს, რომ მათი გადარჩენის ფაქტი იმის მიმანიშნებელია, თითქოს არავითარი საფრთხე არ არსებობდა და მათი გადარჩენა წინასწარ განსაზღვრული იყო. „ამ წმინდა კაბინეტურ სიბრძნეს, — აღმოხდება ბინდინგს, — მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმისათვის, ვინც საფრთხეში არასოდეს ჩავარდნილა, ვისაც არასოდეს დაუცავს თავი მთელი დაძაბ-

---

<sup>38</sup> K. Binding, Die Normen und ihre bbertretung, B. I, 1922, გვ. 378.

ულობით და ასეთ ცხოვრებისეულ მდგომარეობაში სხვა არასოდეს უნახავს".<sup>39</sup>

თვითონ ბინდინგი საფრთხეს მიზეზობრივი კავშირის თავისი თეორიის საფუძველზე განსაზღვრავს. ამ თეორიის მიხედვით, ცვლილების მიზეზია ის პირობა, რომელიც შედეგის ხელშემწყობ (პოზიტიურ) პირობებს მისი ხელშემშლელი (ნეგატიური) პირობების სანიხაალმდეგოდ გადაძალავს.<sup>40</sup> მიზეზის ასეთი განსაზღვრებიდან გამომდინარე, ბინდინგი მიიჩნევს, რომ საფრთხე მაშინ არსებობს, როცა პირობათა მანამდე ხელსაყრელი შეფარდება არახელსაყრელი მიმართულებით შემობრუნდება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, როცა სიკეთის სარწმუნო არსებობა მერყეობას იწყებს და მისი დაუზიანებლობა მომავალში საეჭვოა. პოზიტიურ და ნეგატიურ პირობათა მასის წონასწორობაში ბინდინგი საფრთხის მაქსიმუმს ხედავს. როგორც კი ამ ზღვარს დაძლევეს, საფრთხე უკვე სიკეთის ნამდვილ დაზიანებაში გადადის.<sup>41</sup>

ბინდინგმა სამართლიანად იგრძნო, რომ სისხლისსამართ-

---

<sup>39</sup> K. Binding, Die Normen und ihre bbertragung, B. I, 1922, გვ. 379. ზუსტად ასევე ფიქრობს ტაგანცევიც, რომლის აზრით, საფრთხის აცილება საერთოდ არ მოწმობს მის არარსებობას და რომ საფრთხე სინამდვილეში ობიექტურად არსებობს. ამის დასამტკიცებლად მას რამდენიმე ანალოგიური მაგალითი მოჰყავს. მაგრამ ტაგანცევის მთლად ნათლად როდი წარმოუდგენია განსხვავება კონკრეტულ და აბსტრაქტულ საფრთხეს შორის. ერთი მხრივ, იგი აღიარებს კონკრეტული საფრთხის არსებობას, მაგრამ, მეორე მხრივ, მის ფილოსოფიურ დასაბუთებას ეძებს კრისტან, რომელიც, როგორც უკვე ვაჩვენეთ, საფრთხის ობიექტურ ხასიათს ხედავს არა მის რეალურ არსებობაში, არამედ იმაში, რომ მსგავს ვითარებას საზოგადოდ შეუძლია გამოიწვიოს სამართლებრივი სიკეთის დაზიანება. იხ. Таганцев, Русское уголовное право, Лекции, ч. общая, т. I, 1902, გვ. 658, примечание. ანალოგიური შეცდომა მოსდის ლისტს, რომელიც ასევე ამტკიცებს, რომ საფრთხე კონკრეტული ხასიათისაა, მაგრამ ამ ცნებას კონკრეტული შემთხვევის, კერძოდ, უვარგისი მცდელობის მიმართ იყენებს. იხ. F. Liszt, Lehrbuch des Deutschen Strafrechts, Allg. Teil, 1911, გვ. 214. რუსულ ლიტერატურაში საფრთხის კონკრეტულ ობიექტურობას იცავდა პუსტოროსლევი აუცილებელი მოგერიების საკითხთან დაკავშირებით, Русское уголовное право, ч., Вып. I, 1912, გვ. 270-271.

<sup>40</sup> Binding, op. cit., ტ. I, გვ. 115-116.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 120-121.

ლებრივი პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაეყრდნოს ისეთ მერყევ ნიადაგს, როგორცაა „სუბიექტური საშიშროება“ ან „აბსტრაქტული საფრთხე“. მისი კრიტიკა, რომელიც საფრთხის სუბიექტური გაგების წინააღმდეგაა მიმართული, ერთობ გონებამახვილურია, იგი დიდი პათოსით და ტემპერამენტითაა გაჟღერებული. მის მიერ მოყვანილი მაგალითები უჩვეულოდ ნათელი და დამაჯერებელია. მაგრამ ბინდინგი საფრთხის საკუთარი თეორიის დასაბუთების დროს გაცილებით უფრო სუსტი აღმოჩნდა. ამის მიზეზი ისაა, რომ ბინდინგს ბუნების პროცესების მოძრაობა და განვითარება არასწორად წარმოედგინა. მიზეზობრიობის მისეულ მოძღვრებას ყოველი მოვლენის განვითარებაში დადებითი და უარყოფითი ძალების არსებობის წარმოდგენა უდევს საფუძვლად. მაგრამ ეს ძალები, ბინდინგის მიხედვით, ჩვეულებრივ მშვიდ, განონასწორებულ მდგომარეობაში არიან. მოძრაობა და განვითარება მაშინაა შესაძლებელი, როცა ეს წონასწორობა ირღვევა გარედან მოსული მოვლენით, რომელიც პოზიტიურ პირობებს ნეგატიურისაკენ გადაძლევს. ბინდინგის ეს მოჩვენებითი დიალექტიკა არსებითად ცარიელი დიალექტიკური ფრაზაა, რომელსაც მატერიის განვითარების კანონების დიალექტიკური მატერიალიზმისეულ მოძღვრებასთან არავითარი საერთო არა აქვს.

ბინდინგს მოძრაობა მექანიკურად ესმის. სწორედ ასეთი გაგებისათვისაა დამახასიათებელი მოძრაობის თანაბრად, უძრაობის, როგორც ბუნების ისეთი მოვლენისათვის, რომელიც მოძრაობას უთანაბრდება, შინაგანი მოძრაობის ანუ მატერიის „თვითმოძრაობის“ უარყოფა და გარეგანი ბიძგის, როგორც მოძრაობის წყაროს აუცილებლობის აღიარება. ეს ძირშივე ეწინააღმდეგება განვითარების დიალექტიკური მატერიალიზმისეულ მოძღვრებას, მოძღვრებას, რომელიც ემყარება მატერიის „თვითმოძრაობას“ და თავისთავად „როგორც ჯამს“, ისე „წინააღმდეგობათა ერთიანობასაც“.<sup>42</sup> მოძრაობა და განვითარება დიალექტიკური მატერიალიზმის

---

<sup>42</sup> Ленин, Философские тетрады, გვ. 212.

თანახმად, შეიძლება გაგებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ბუნებაში მიმდინარე პროცესებს გავიაზრებთ არა როგორც მარტივ და ერთსახოვანს, არამედ რთულს. ეს სირთულე განპირობებულია არა მარტო იმით, რომ ყოველი მოვლენა სხვა მოვლენასთანაა დაკავშირებული, არამედ იმითაც, რომ ყოველი მოვლენა თავისთავად, შინაგანად რთულია, ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეები გააჩნია, რომელთა ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულებაც მატერიის „თვითმოძრაობას“ ბადებს. აი, მოვლენის მხარეთა ურთიერთკავშირისა და ურთიერთმოქმედების ეს კანონები არ აქვს გაგებული ბინდინგს. ამიტომაც მიზეზობრივი კავშირის მთელ მის მოძღვრებას და მასზე დამყარებულ საფრთხის გაგებას არ შეუძლია ბუნების მოვლენათა განვითარების ნამდვილი პროცესების ასახვა.

საფრთხის ჭეშმარიტი არსი მხოლოდ რეალური შესაძლებლობის კატეგორიის ახსნის შედეგად შეიძლება გავიგოთ. რეალური შესაძლებლობა, დიალექტიკური მატერიალიზმის თანახმად, არ არის წმინდა ლოგიკური, აბსტრაქტული ცნება, არამედ ის რეალურ სინამდვილეში არსებული ცნებაა, რომელსაც ამ სინამდვილეში აქვს თავისი ფესვები. ჯერ კიდევ ჰეგელმა დაადგინა, რომ შესაძლებლობა სინამდვილის შინაგანი მომენტი, რომ ის შინაგანი ან პოტენციური სინამდვილეა. „შესაძლებელია თუ არა ესა თუ ის ან არ არის შესაძლებელი, ეს დამოკიდებულია შინაარსზე, ე. ი. სინამდვილის სრულყოფის მომენტზე, რომელიც თავისი შინაგანი ბუნებით თავს აუცილებლობით ავლენს“.<sup>43</sup>

დიალექტიკური მატერიალიზმი შესაძლებლობისა და სინამდვილის ცნებებს ერთმანეთისაგან მიჯნავს. ეს გამიჯვნა მას გამოჰყავს წარმოებული საქმიანობის ცნებიდან, რომელშიც ორი მომენტი გამოირჩევა: ქმედითი პირობა, ე. ი. ის, რაც განსაზღვრულ შედეგს წარმოქმნის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესაძლებლობა და წარმოებული პროცესის მეშვეობით დამ-

---

<sup>43</sup> Гегель, Логика, გვ. 242.

დგარი შედეგი ან განსაზღვრული ფაქტი, ერთი სიტყვით, გარეგანი სინამდვილე. შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის სინამდვილე, ე. ი. გარეგანი, ფაქტიური სინამდვილე. ვინაიდან, თუკი ეს უკანასკნელი წარმოებული საქმიანობის პროდუქტია, მაშინ მისი აუცილებელი ვარაუდი ისეთი მდგომარეობა იქნება, რომელშიც განსაზღვრული მოვლენა ჯერ კიდევ არ დამდგარა, ე. ი. არანამდვილი მდგომარეობაა.

მეორე მხრივ, შესაძლებლობა თავის თავში სინამდვილედ გარდაქმნის მთელ რიგ პირობებს მოიცავს. ის არსებობს მაშინ, როცა ფაქტიურ სინამდვილეში არსებობს ქმედითი პირობები, რომლებსაც პოტენციური მიზეზის ხასიათი აქვს. მაგრამ რა თვისება უნდა გააჩნდეს ამ პოტენციურ მიზეზს? „...თვისება, რომელიც მიზეზობრიობის შემადგენლობას განსაზღვრავს, — გვასწავლის დიალექტიკური მატერიალიზმი, — შედეგის მიმართ მიზეზის აქტიურობაა“.<sup>44</sup> მიზეზობრივ ურთიერთობაში „ჩადებულია აქტიური ელემენტი, რომელიც განსაზღვრავს შინაარსს და დაძაბულობას მოქმედებაში მიზეზის შინაარსისა და დაძაბულობის შესაბამისად“.<sup>45</sup> ამიტომ რეალურად შესაძლებელია მხოლოდ ის, რაც ამ სინამდვილეს და პროდუქტიულობას მოიცავს. სახელდობრ ამის გამო, შესაძლებლობას შინაგან ან პოტენციურ სინამდვილეს ვუნოდებთ.

მაგრამ, თუ შესაძლებლობას აქვს თავისი საფუძველი სინამდვილეში, მაშინ იმავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველგვარი საფუძველი წინააღმდეგობრივია და ამიტომ შეიძლება საწინააღმდეგო მიმართულებით განვითარდეს. როცა ჩვენ ვამბობთ, რომ რომელიმე მოვლენის დადგომა შესაძლებელია, ამით ჩვენ ვგულისხმობთ, რომ რეალურ სინამდვილეში არსებობს პირობები, რომელთა განვითარებას ამ მოვლენის სინამდვილედ გადაქცევისაკენ მივყევართ. მაგრამ ერთდროულად ამ სინამდვილეში შეიძლება არსებობდეს სხვა ქმედითი პირობებიც, რომლებსაც შეუძლიათ პროცესის განვითარება

---

<sup>44</sup> М. Фундер, Причинность и закономерность, "Под знаменем марксизма", №5, 1941, გვ. 62.

<sup>45</sup> იქვე, გვ. 62.



მეორე მიმართულებით წარმართონ. „არსებობენ ურთიერთ-საწინააღმდეგო შესაძლებლობანი, — ამბობს კუნო ფიშერი, როცა ჰეგელს განმარტავს, — საპირისპირო შესაძლებლობანი, რომელთაგან ერთი მეორეს ანადგურებს. სანამ რომელიმე მოვლენა შესაძლებელია, ასევე შესაძლებელია მისი საპირისპიროც. შესაძლებლობა შედგება შესაძლებლობისაგან იყოს ან არ იყოს, ან არსებობდეს სხვაგვარად“.<sup>46</sup> ამიტომ სინამდვილე, რომელიც შესაძლებლობის სფეროში დევს, ყოველთვის პრობლემატურია, სხვათა შორის, როგორც მოვლენის დადგომა ამ პრობლემის გადაწყვეტას წარმოადგენს. მოვლენის დადგომა იმაზეა დამოკიდებული, რომ ქმედითი პირობები სულ უფრო ძლიერდება და დაძლევენ მოვლენის საპირისპირო პირობების წინააღმდეგობას. სხვადასხვა შესაძლებლობათა წრე თანდათანობით ვინროვდება, ურთიერთსაწინააღმდეგო შესაძლებლობანი თანდათანობით ქრება და, როცა პირობათა მთელი წრე უკვე სახეზეა, განსაზღვრული შესაძლებლობა სინამდვილედ იქცევა.

სინამდვილედ ქცევის საკითხთან დაკავშირებით, ე. ი. შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევის პროცესთან ერთად წამოიჭრება შესაძლებლობის დახარისხების საკითხი. რამდენადაც ინტენსიურია ქმედითი პირობების ძალა და, პირიქით, სუსტია საწინააღმდეგოდ მოქმედი პირობების ძალა, რამდენადაც უფრო დავინროვდა ხელშემწყობი პირობების წრე, რომლებმაც გაიმარჯვეს საპირისპირო პირობებზე, მით უფრო მეტად მაღალია განსაზღვრული მოვლენის დადგომის შესაძლებლობის ხარისხი და, პირიქით.

ამრიგად, რეალური შესაძლებლობის ცნების დადგენა მკვეთრად უპირისპირდება ფორმალური ანუ აბსტრაქტული შესაძლებლობის ცნებას, ანდა, როგორც მას ჯერ კიდევ უწოდებს ზოგიერთი ფილოსოფოსი — „ლოგიკური შესაძლებლობის“ ცნებას. მაშინ, როცა ეს უკანასკნელი წმინდა სუბიექტური, აზრობრივი ცნებაა, პირველს პირობებისა და გარემოე-

---

<sup>46</sup> Куно Фишер, Гегель, его жизнь, сочинения и учение, I полутом, 1933, гл. 397.

ბების სახით საფუძველი სინამდვილეში აქვს. მაშინ, როცა უკანასკნელი ცნება ადამიანური ცოდნის შეზღუდულობის ნაყოფია, პირველი, პირიქით, სინამდვილის პირობების ცოდნას გულისხმობს. მაშინ, როცა უკანასკნელისათვის დამახასიათებელია განუსაზღვრელობა, პირველი, პირიქით, განსაზღვრულობითა და სიცხადით გამოირჩევა.

თუ რეალური შესაძლებლობის ცნებას საფრთხის ცნების განსაზღვრისათვის გამოვიყენებთ, უნდა ვთქვათ, რომ საფრთხე, ე. ი. საზიანო შედეგის დადგომის პოტენციური შესაძლებლობა არსებობს მაშინ, როცა კონკრეტულ სინამდვილეში არსებობენ ქმედითი პირობები, რომელთა განვითარებას ზიანი შეიძლება მოჰყვეს. როცა კლდის ჩამოქცევის დაწყებას ვხედავთ, ვამბობთ, რომ არსებობს იმ სახლის დანგრევის რეალური შესაძლებლობა, რომელიც ჩამოქცევის ადგილზე დგას. დაე, ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა გვიმტკიცონ, რომ თუ ადამიანური ძალების ჩარევის შედეგად ჩამოქცევა თავიდან იქნებოდა აცილებული, ანდა მისი დაცემა სხვა მხარეს იქნებოდა მიმართული, ამიტომ ეს ნიშნავს, თითქოს სახლის დანგრევის არავითარი რეალური შესაძლებლობა არ არსებობდა! მტკიცედ ვიცით, რომ ასეთი დანგრევის შესაძლებლობა იყო, რომ ამ შესაძლებლობის საფუძველი უკვე კლდის ჩამოქცევის დაწყება გახლდათ, რომელიც ფაქტიურად არსებობდა და რომ ამ შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევას მხოლოდ ადამიანის შეგნებულმა მოქმედებამ შეუშალა ხელი. საფრთხის არსებობის ეს ჩვენეული განსჯა სინამდვილის პირობების, ბუნების კანონების, გამოცდილების ცოდნას ეფუძნება და არა სინამდვილისაგან აბსტრაქციას.

თუ კონკრეტული შესაძლებლობის ცნებას კონკრეტული საფრთხის დელიქტის მიმართ გამოვიყენებთ, უნდა ვთქვათ, რომ საფრთხის არსებობა-არარსებობა ცალკეული გარემოებების ინდივიდუალური შემთხვევის მხედველობაში მიუღებლად არ შეიძლება ვამტკიცოთ. სავსებით ვეთანხმებით გერმანელ მეცნიერ შრედერს, რომელიც ამტკიცებს, რომ „კონკრეტული საფრთხის დელიქტის დროს იმ საკითხის გადასაწყ-

ვეტად, დაცული სამართლებრივი სიკეთისათვის საფრთხე შეიქმნა თუ არა, სასამართლოს განკარგულებაში არსებული ყველა გარემოება უნდა იყოს მხედველობაში მიღებული“.<sup>47</sup>

რამდენადაც საფრთხე გულისხმობს შუალედურ მდგომარეობას იმ პირობებს შორის, რომლებიც სიკეთის დაზიანებას და შედეგის რეალურად განხორციელებას უწყობს ხელს, ამდენად მას შეიძლება პოტენციური მიზეზობრიობა ვუნოდოთ. მაგრამ ამავე დროს, საფრთხე არ შეიძლება ვალიაროთ წმინდა კაუზალურ, ბუნებრივ ცნებად. ამის გვერდით, როგორც შემდგომში ვნახავთ, საფრთხის ცნება შეფასებით ელემენტებსაც შეიცავს. ამასთან დაკავშირებით საფრთხის დელიქტის მართლწინააღმდეგობის საკითხიც უნდა გამოვიკვლიოთ.

### §3. საფრთხის შემქმნელი დელიქტის მართლწინააღმდეგობა

იმ აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტის მართლწინააღმდეგობა, რომელიც ფორმალური ხასიათისაა, თვითონ მოქმედებასთან არის დაკავშირებული. კანონი, როგორც უკვე ვნახეთ, თავად ახასიათებს მოქმედებას, როგორც სამიშს თავის გვაროვნულ ხარისხში. ჩვეულებრივ, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი კანონში აღწერილია, როგორც მოქმედება, რომელიც ქცევის განსაზღვრულ წესს არღვევს. ამ წესის შინაარსი შეიძლება თვითონ სისხლის სამართლის კანონში იყოს დადგენილი. მაგრამ დიდი ნაწილი სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციებისა ბლანკეტური ხასიათისაა, თავად წესების შინაარსი კი დადგენილია შესაბამის ადმინისტრაციულ აქტებში, რომლებიც ადგენენ უსაფრთხოების ნორმებს ადამიანის საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში, რაც სიცოცხლის ან ჯანმრთელობის, ქონების ან სხვა სიკეთისათვის საფრთხის შექმნასთანაა დაკავშირებული.

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის მართლწინააღმდე-

<sup>47</sup> იხ. *Revue internationale de droit pénal*, 1969, №1-2, გვ. 11.

გობა სახელდობრ მითითებული ნორმების დარღვევას ეფუძნება. თუ ადამიანმა დაარღვია სიფრთხილის ნორმა, რომელიც დადგენილი იყო იმ სახის საფრთხის აღსაკვეთად, სისხლის სამართლის კანონს რომ ჰქონდა მხედველობაში, მაშინ ამით უკვე დადგენილია მოქმედების მართლწინააღმდეგობა და საფრთხის ხარისხს შემდგომი დაზუსტება აღარ სჭირდება.

კონკრეტული საფრთხის დელიქტებს განსხვავებული სტრუქტურა აქვთ. ამ დელიქტების უმრავლესობას რთული საკანონმდებლო კონსტრუქცია გააჩნიათ, რაც აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის ნიშნების კომბინაციაში გამოიხატება. ამ კატეგორიას კონკრეტული საფრთხის დელიქტების ორი ჯგუფი მიეკუთვნება. აქედან პირველ ჯგუფს კანონი მიაკუთვნებს ისეთ დელიქტს, სადაც ზუსტადაა განსაზღვრული მოქმედების ხერხი და დასჯადობა დაკავშირებულია იმ საფრთხის მდგომარეობასთან, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამ ხერხითაა გამოწვეული.

აბსტრაქტული ელემენტი მსგავსი შემადგენლობისა იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში მითითებული მოქმედების ხერხს არა მარტო მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ საზოგადოდ აქვს ამ სახის საფრთხის განხორციელების მიდრეკილება. კონკრეტული ელემენტი კი მდგომარეობს იმაში, რომ მოქმედების ასეთი ხერხი იწვევს პასუხისმგებლობას არა მარტო თავის თავად, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა მან განსაზღვრული ობიექტის დაზიანების კონკრეტული საფრთხე შექმნა. მაგალითად, რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 86-ე მუხლით ისჯება „დანგრევა ან დაზიანება მიმოსვლის გზების, მათი ნაგებობების, მოძრავი შემადგენლობის ან გემების, კავშირგაბმულობის ან სიგნალიზაციის საშუალებების, რასაც... შეიძლებოდა მოჰყოლოდა მატარებლის მარცხი, ხომალდის ავარია ან ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ნორმალური მუშაობის დარღვევა“. მოცემული შემადგენლობის აბსტრაქტული ელემენტი მოქმედების ზუსტად განსაზღვრული ხერხ-

ით გამოიხატება – დანგრევა ან დაზიანება მიმოსვლის გზებისა და ა. შ., ხოლო კონკრეტული ელემენტი იმით გამოიხატება, რომ ამ დანგრევამ ან დაზიანებამ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ნამდვილად უნდა შექმნას მატარებლის მარცხის ან კანონით მითითებული სხვა შედეგის გამოწვევის საფრთხე.

კონკრეტული საფრთხის ამავე (შერეული) კატეგორიის დელიქტებს მიეკუთვნება შემადგენლობათა მეორე ჯგუფიც, რომლებშიც საფრთხის შემქმნელი მოქმედება, თუმცა სისხლის სამართლის კანონით აღწერილი არ არის, მაგრამ კანონი მოქმედებას ახასიათებს ბლანკეტურად, როგორც სიფრთხილის დარღვევის ნორმას, რომელიც ადმინისტრაციული აქტითაა დადგენილი. მაგალითად, რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 85-ე მუხლით პასუხისმგებლობას იწვევს რკინიგზის, წყლის ან საჰაერო ტრანსპორტისათვის მძიმე შედეგის საფრთხის შექმნა ამ ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესის დარღვევის გზით. საფრთხის შემქმნელი ამ პირველი კატეგორიის დელიქტებისაგან საკანონმდებლო კონსტრუქციის აზრით, განსხვავდება მითითებული დელიქტების მეორე კატეგორია, რომელთა აღწერისას კანონი არ განსაზღვრავს საშიშ მოქმედებას არც მისი ნიშნების პირდაპირი მითითებით, არც ბლანკეტური მინიშნებით რომელიმე ნორმატიულ აქტზე, არამედ დასჯადობას ნებისმიერ იმ მოქმედებას უკავშირებს, რომელმაც ხელყოფის განსაზღვრული ობიექტის დაზიანების საფრთხე შექმნა. მაგალითის სახით შეიძლება დავასახელოთ კონკრეტული საფრთხის დელიქტი, რომელიც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე მუხლითაა აღწერილი: „შეგნებულად ჩაყენება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში პირისა, რომელსაც შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად“. აქ მეტი თუ ნაკლები კონკრეტულობითაა განსაზღვრული ხელყოფის ობიექტი, ესაა — ადამიანი, რომელიც რაღაც მიზეზით მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს ზომები თავის დასაცავად. მაგრამ როგორი მოქმედებით უნდა იყოს ჩაყენებული ადამიანი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარ-

ეობაში, ამაზე კანონში არაფერია ნათქვამი. მაგრამ არ იქნება სწორი, ვიფიქროთ, რომ ყოველგვარი მოქმედება, რომელსაც არ ჰქონდა არავითარი ტენდენცია საფრთხის განხორციელებისა და მხოლოდ გარემოებათა წმინდა შემთხვევითი დამთხვევის წყალობით მოხვდა საფრთხის გამომწვევ პირობათა შორის, შეუძლია საფრთხის შექმნისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნება.

თუკი სისხლის სამართალი ანგარიშს გაუწევდა ასეთ ქცევას და მას აღიარებდა საშიშად სამართლით დაცული ინტერესისათვის, მაშინ მოქალაქე იძულებული იქნებოდა, თავი შეეკავებინა ნებისმიერი, ზოგჯერ საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედებისგანაც კი იმის შიშით, რომ მას რაღაც ზომით, თუნდაც მცირე ალბათობით, მაგრამ არა გარემოებათა კომბინაციის აბსოლუტური გამორიცხვით დაზიანების საფრთხე შეუძლია შექმნას. ადვილი წარმოსადგენია, როგორ დაბრკოლებად შეიძლება შეიქმნეს ეს საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებისათვის, რასაც ზოგ შემთხვევაში მოქალაქეთა სრული პასიურობა გამოიწვიოს, ზოგჯერ კი მას შეიძლება მოჰყვეს არაფრის მომცემი საქმიანობა, რომელიც ძალიან შორეული საფრთხის თავიდან აცილებისაკენ იქნება მიმართული.

ჩვენი აზრით, იმ შემთხვევაშიც, როცა კონკრეტული საფრთხის შემადგენლობაში კანონი მოქმედების ხასიათზე პირდაპირ არ უთითებს, მასში მაინც მდუმარედ იგულისხმება, რომ ადამიანი, რომელმაც საფრთხე შექმნა, უნდა დაარღვიოს ზოგიერთი, თუნდაც დაუნერვლი წესი სიფრთხილისა.

ადამიანის პრაქტიკული საქმიანობის ყველა სფეროში, რომელსაც ასე თუ ისე საშიშ ძალთა ამოქმედებასთან აქვს შეხება, ყალიბდება სიფრთხილის ნორმები, რომელთა დაცვა ევალება ყველას, ვინც ამ სფეროში საქმიანობს. ასე წარმოიშობა და კვლავ წარმოიშობა სიფრთხილის წესები სამშენებლო და სამთო სამუშაოების წარმოების დროს, წესები, რომლებიც დაკავშირებულია რკინიგზის, საზღვაო, საჰაერო და საქალაქო ელექტროტრანსპორტთან თუ ავტოტრანსპორტთან; წესები,

რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხო მუშაობას აფეთქებასაშიშ საწარმოსა თუ საამქროში, ადვილად ალებად, ფეთქებად და რადიოაქტიური ნივთიერების გადატანის ან შენახვისას; წესები, რომლებიც ეპიდემიასთან, ეპიზოოტიასთან ბრძოლისთვისაა დადგენილი და სხვ. „ყოველგვარი წარმატებული წინსვლა ცოდნის სხვადასხვა დარგში, ახალი მეცნიერული აღმოჩენა და გამოგონება, ტექნიკური სრულყოფა, წარმოებაში რაციონალიზატორული წინადადების დანერგვა და სხვ. აგრეთვე ცხოვრების სოციალურ-ყოფითი პირობების ცვლა — ყველაფერი ეს წინდახედულობის სრულიად სხვადასხვაგვარი წესების წარმოშობის წყაროა“.<sup>48</sup>

წინდახედულობის ნორმათა რიცხვი ძალიან დიდია, ხოლო მათი შინაარსი სრულიად განსხვავებული! ნაწილობრივ ეს ნორმები პირდაპირაა გათვალისწინებული კანონით და ადმინისტრაციული აქტებით, სხვადასხვა ინსტრუქციებით, რომლებიც არეგულირებენ შრომის წესებს და ა. შ. მაგრამ ზოგჯერ ეს ნორმები წერილობითი სახით არსად არ არის გათვალისწინებული და ხალხის ემპირიული დაკვირვების განზოგადების შედეგად ყალიბდება. ყოველდღიური დაკვირვების საფუძველზე ადამიანთა ცნობიერებაში წარმოიშობა წარმოდგენა, რომ ანალოგიური ვითარებიდან არაერთხელ განვითარდა მძიმე შედეგები ან მათი წარმოქმნის საფრთხე.

იმ შემთხვევაში, როცა მოქმედებით დარღვეული წინდახედულობის ნორმა არც კონკრეტულად, არც ბლანკეტური სახით კანონით გათვალისწინებული არ არის, ჩვეულებრივ, საქმე გვაქვს ასეთ დაუნერულ, ცხოვრებისეულ დაკვირვებაზე დაფუძნებულ სიფრთხილის ნორმებთან.

საფრთხის შექმნა მართლსაწინააღმდეგოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საფრთხე იმ მოქმედებითაა გამოწვეული, რომლითაც დარღვეულია დანერილი ან დაუნერელი, საერთო ცხოვრების წესებზე დამყარებული წინდახედულობის ნორმა. ამ თვალსაზრისით საფრთხის დელიქტის მართლწინააღმდე-

---

<sup>48</sup> В.Г. Макашвили, Ответственность за неосторожность, М., 1957, გვ 125.

გობა იმ გაუფრთხილებლობითი დელიქტის მართლწინააღმდეგობას ემთხვევა, რომლითაც ზიანია გამონვეული და, რომლებიც, ამავე დროს, „ყოველთვის გულისხმობს დანერილი თუ დაუნერელი, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დამყარებულ წესებს. წინდაუხედავი ქცევა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი თავის სამსახურებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობების შესრულების, პროფესიული საქმიანობის აღსრულების, ანდა უბრალოდ, ყოველდღიურ ცხოვრებაში სავეალდებულო წინდახედულობის ნორმებს არ იცავს“.<sup>49</sup>

მაგრამ იმის დადგენით, რომ ადამიანმა არ დაიცვა დანერილი თუ დაუნერელი ნორმა წინდახედულობისა, საფრთხის შექმნის დელიქტის მართლწინააღმდეგობის საკითხის გამოკვლევა არ მთავრდება. აუცილებელია კიდევ გამოვიკვლიოთ, აღწევს თუ არა ადამიანის მიერ შექმნილი საფრთხე იმ ხარისხს, რომელიც საკმარისია საშიში მდგომარეობის, საზოგადოებრივ საშიშროებად (ე. ი. მატერიალურ მართლწინააღმდეგობად) და დასჯადად აღიარებისათვის.

როგორც უკვე ვთქვით, საფრთხეს, როგორც ცნებას, რომელიც შესაძლებლობის კატეგორიას მიეკუთვნება, შეიძლება ჰქონდეს სრულიად სხვადასხვა ხარისხი, დანყებული მინიმალურიდან, როცა ნამდვილი ზიანის დადგომა თითქმის დაუფერებლად გვეჩვენება, და დამთავრებული ყველაზე მაღალი ხარისხით, როცა, პირიქით, ზიანის დადგომა დაუფერებლად გვეჩვენება. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ადამიანის მოქმედება არღვევს სრულიად კონკრეტულ წერილობით წინდახედულობის ნორმას და, მაშასადამე, საზოგადოდ ზიანის გამონვევის უნარი გააჩნია. განსაზღვრულ კონკრეტულ პირობებში მას შეუძლია არც შექმნას რაიმეგვარი მნიშვნელოვანი საფრთხე, ყოველ შემთხვევაში ისეთი, რომელსაც სისხლის სამართალი ანგარიშს უწევს. როგორ განესაზღვროთ კონკრეტული საფრთხის დელიქტისათვის საჭირო საფრთხის სიდიდე?

---

<sup>49</sup> В.Г. Макашвили, цит. раб., გვ. 129.



იმ საფრთხის სიდიდის საკითხი, რომელიც აუცილებელია კონკრეტული საფრთხის დელიქტისათვის, არ შეიძლება წმინდა არითმეტიკული ხერხით გადაწყდეს. როგორც სწორად აღნიშნავს გერმანელი კრიმინალისტი შრედერი, „თუკი, მაგალითად, მოითხოვენ, რათა შედეგის შესაძლებელი დადგომის ზღვარი 51% და 49% შორის გადიოდეს, მაშინ დამაჯერებელი გამიჯვნა საშიშ და არასაშიშ მდგომარეობას შორის შეუძლებელი იქნება“.<sup>50</sup> ამიტომაც ზოგიერთი კრიმინალისტი გვთავაზობს, წინადადებას გვაძლევს ეს საკითხი გადაწყვიტოთ ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებით, რომლის მიხედვით საფრთხე ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც ზიანის განხორციელების მიახლოებული ან სერიოზული შესაძლებლობა არსებობს. ზოგჯერ ამ კრიტერიუმით თვითონ კანონიც სარგებლობს. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის პირველი ნაწილი ლაპარაკობს ტრანსპორტის უსაფრთხოების, ან ექსპლუატაციის წესების ისეთ დარღვევაზე, რომელიც ქმნიდა „აღამიანთა უბედური შემთხვევის დადგომის სერიოზულ საფრთხეს“.

მაგრამ ცნება „სერიოზული საფრთხე“ არ წარმოადგენს მუდმივ მოცემულობას, ყოველთვის ერთმნიშვნელოვან ცნებას. სხვადასხვა გარემოებაზე დამოკიდებულებით, ერთი და იმავე ხარისხი ზიანის დადგომის შესაძლებლობისა ერთ შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს საკმაოდ „სერიოზული“, რათა დავასაბუთოთ საზოგადოებრივი საშიშროება, ხოლო მეორე შემთხვევაში — არა.

იმ მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების დასაბუთებისათვის, რომელმაც ზიანის დადგომის საფრთხე შექმნა, იმავე მომენტებს აქვს მნიშვნელობა, დამდგარი ზიანის საზოგადოებრივ საშიშროებას რომ უდევს საფუძვლად. ამ გარემოებათა შორის ძირითადია: ა) ხელყოფის ობიექტის საზოგადოებრივი მნიშვნელობა; ბ) ხელყოფის ობიექტისათვის მოსალოდნელი ზარალის ოდენობა; გ) ზიანის დადგომის შესა-

<sup>50</sup> იხ. *Revue internationale de droit pénal*, 1969, №1-2, გვ. 9.

ძლებლობის ხარისხი (საფრთხის ხარისხი) და დ) იმ მოქმედების ზიანი, რომელიც ზიანის საფრთხეს ქმნის.

მითითებული მომენტები სასამართლომ უნდა შეაფასოს არა იზოლირებულად, არამედ მათ ერთობლიობაში, მათ დი-ალექტიკურ ერთიანობაში. ამავე დროს: რაც უფრო მაღალია ხელყოფის ობიექტის საზოგადოებრივი მნიშვნელობა (მაგალითად, საფრთხე ემუქრება სახელმწიფო წყობილების საფუძვლებს ან ადამიანის სიცოცხლეს) და რაც უფრო დიდია ზარალის ოდენობა, რომელიც ხელყოფის ობიექტს ემუქრება (მაგალითად, საფრთხე ემუქრება მრავალი ადამიანის სიცოცხლეს ან დიდი ღირებულების ქონებას), ზიანის დადგომის მით უფრო მცირე შესაძლებლობას შეუძლია დაასაბუთოს მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროება (მატერიალური მართლ-წინააღმდეგობა). და, რასაკვირველია, მით უფრო საზოგადოებრივად სასარგებლო უნდა იყოს მოქმედების მიზანი იმისათვის, რათა მიუხედავად ხელყოფის ობიექტის მაღალი ღირებულებისა, მოსალოდნელი ზიანის დიდი ზომისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის დიდი ხარისხისა, გაამართლოს მოქმედება.

და, პირიქით: რაც უფრო მცირეა ხელყოფის ობიექტის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რაც უფრო მცირეა შესაძლებელი ზიანი, ობიექტის დაზიანების მით უფრო მაღალი ხარისხია აუცილებელი იმისათვის, რათა ქმედება საზოგადოებრივად საშიშად ვაღიაროთ. და მით უფრო დიდი უნდა იყოს მოქმედების ზიანი, რათა საფრთხის შემქმნელი მოქმედება გაამართლოთ.

ამრიგად, ზიანის შესაძლებლობის ხარისხი ერთ-ერთი ის მომენტია, რომელიც საფუძვლად ედება საზოგადოებრივ საშიშროებას ან მის არარსებობას. აი, რატომ არ შეიძლება ყოველთვის და ყველა შემთხვევისათვის განისაზღვროს, სახელდობრ, საფრთხის როგორი ხარისხი შეიძლება მივიჩნიოთ საკმაოდ „სერიოზულად“ იმისათვის, რათა კონკრეტული საფრთხის საზოგადოებრივი საშიშროება დავასაბუთოთ. ეს საკითხი თვითონ სასამართლომ უნდა დაასაბუთოს თავისუფა-

ლი მოხედულობით, ყოველი ცალკეული შემთხვევის კონკრეტული გარემოებების შეფასების საფუძველზე. ასეთი გადაწყვეტილების დროს სასამართლომ, ჩვენი აზრით, ზემოთ მითითებული კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელოს. ამავე დროს, მხედველობაში მიიღება სხვა მომენტებიც (მოქმედების ჩადენის დრო და ადგილი, ძალა, რომელიც მოძრაობაში იყო მოყვანილი, მისი მართვისა და მასზე ბატონობის შესაძლებლობის ხარისხი ამ ძალის გამოყენების დროს და ა. შ.).

#### **§4. ბრალი კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დანაშაულის დროს**

კონკრეტული საფრთხის დანაშაული, როგორც უკვე ვთქვით, ე. ნ. მატერიალური, ე. ი. რეზულტატური დელიქტია. ამიტომ ბრალის საკითხი ასეთი დანაშაულის ჩადენის დროს ისევე უნდა გადაწყდეს, როგორც დაზიანების დელიქტის დროს.

საბჭოური სისხლის სამართლის მიხედვით, განზრახი ბრალი შემდეგი მომენტებით ხასიათდება:

1. ქმედების დანაშაულებრივი შედეგის გათვალისწინება;
2. ქმედების საზოგადოებრივი საშიში ხასიათის შეცნობა

და

3. სურვილი (პირდაპირი ანუ უპირობო განზრახვა) ანდა დაშვება (ევენტუალური ან პირობითი განზრახვა) მითითებული შედეგისა.

ბუნებრივია, რომ ეს მომენტები შეიძლება არსებობდეს კონკრეტული საფრთხის განზრახ შექმნის დროსაც. მაშასადამე, საფრთხის შექმნის განზრახვის დროს, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ადამიანს წარმოდგენილი ჰქონდეს დანაშაულის ყველა ნიშანი, მათ შორის თავისი ქმედების მიზეზობრივი კავშირი იმ საფრთხის შექმნასთან, რომელიც ამ დელიქტის თავისებურ შედეგს წარმოადგენს.

ამავე დროს ადამიანს შეცნობილი უნდა ჰქონდეს ჩადენი-

ლი ქმედების ხერხის საშიში ხასიათი. ეს შეცნობა იქნება სხვადასხვაგვარი იმის მიხედვით, როგორი განსაზღვრულობით ახასიათებს თვითონ კანონი მოქმედების ხერხს. თუ მოქმედების ხერხი სავსებით ზუსტადაა დახასიათებული (მაგალითად, დანგრევა ან დაზიანება მიმოსვლის გზებისა, მათი ნაგებობების, მოძრავი შემადგენლობის ან გემების, კავშირგაბმულობის ან სიგნალიზაციის, რასაც... შეიძლება მოჰყოლოდა მატარებლის მარცხი, ხომალდის ავარია ან ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ნორმალური მუშაობის დარღვევა, — რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 86-ე მუხლი), მაშინ ადამიანს შეცნობილი უნდა ჰქონდეს, რომ ობიექტისათვის საფრთხე შეიქმნა სწორედ ამ, სრულიად განსაზღვრული მოქმედების ხერხით.

თუ მოქმედება ხასიათდება ბლანკეტურად, როგორც განსაზღვრულ სფეროში მოქმედი უსაფრთხოების ნორმის დარღვევა და, ამრიგად, ეს ნორმა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად გვევლინება, ადამიანი საფრთხის განზრახ შექმნის დროს უნდა ითვალისწინებდეს, რომ უსაფრთხოების ნორმას არღვევს. მაგრამ, როგორ გავიგოთ ეს მოთხოვნა? აუცილებელია თუ არა განზრახვისათვის, რათა ადამიანს სრული განსაზღვრულობით წარმოედგინა უსაფრთხოების ნორმის დარღვევა? ვფიქრობთ, რომ განზრახვისათვის უსაფრთხოების ნორმის შინაარსის ასეთი ზუსტი ცოდნის მოთხოვნა უსაფუძვლოდ შეავიწროებდა განზრახვი ბრალის სფეროს. ზოგჯერ ყველაზე საუკეთესო სპეციალისტმაც კი არ შეიძლება იცოდეს სრული დანვრილებით დასახელებული ნორმის შინაარსი, თუმცა კარგად ესმოდეს, რომ მისი მოქმედება შეუთავსებელია საკუთარი პროფესიის კეთილსინდისიერ და უსაფრთხო აღსრულებასთან.

ჩვენი აზრით, მოქმედების საშიშროების შეცნობა განზრახვისათვის სავსებით საკმარისია, თუ ადამიანს გათვალისწინებული აქვს, რომ მისი ქცევა ადამიანთა განსაზღვრულ საქმიანობაში მოქმედ წესს ეწინააღმდეგება; არ არის აუცილებელი იმის დადგენა, რომ ადამიანს ამ ნორმის

კონკრეტული შინაარსი ჰქონდეს წარმოდგენილი. იმ შემთხვევაში, როცა მოქმედების ხერხი კანონში საერთოდ არ არის მითითებული, ადამიანს განზრახვის დროს შეცნობილი უნდა ჰქონდეს, რომ მისი მოქმედება ეწინააღმდეგება ადამიანთა საერთო ცხოვრებაში მიღებულ წინდახედულობის ზომებს და ამიტომაც ქმნის საფრთხეს რაიმე სამართლებრივი სიკეთისათვის.

უსაფრთხოების ნორმის დარღვევის გაცნობიერებასთან ერთად ადამიანს შეცნობილი უნდა ჰქონდეს, რომ მისი ქცევა ხელყოფის ობიექტისათვის ქმნის ისეთი ხარისხის საფრთხეს, რომელიც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საფრთხის შექმნის საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს უზრუნველყოფს. რასაკვირველია, თუკი ადამიანი შეიცნობს, რომ არღვევს წინდახედულობის ნორმას, ამით ის საზოგადოდ საფრთხის შექმნის საზოგადოებრივ საშიშროებასაც აცნობიერებს. მაგრამ შეიძლება იყოს ისეთი განსაკუთრებული შემთხვევაც, როცა, მიუხედავად წინდახედულობის ნორმის დარღვევის შეცნობისა, ადამიანი ვერ აფასებს ქცევის საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში, როცა, ადამიანის აზრით, საზიანო შედეგის დადგომის საფრთხე არ წარმოადგენს იმდენად სერიოზულს, რომ მოქმედების მართლწინააღმდეგობა დაასაბუთოს, ანდა, როცა ადამიანი ვარაუდობს, რომ ზიანის საფრთხის შექმნა მოცემულ შემთხვევაში გამართლებულია მიზნის მართლზომიერებით (იგი ფიქრობს, რომ საქმე აქვს ნებადართულ რისკთან). ამ შემთხვევაში განზრახვა გამორიცხულია, და შეიძლება ადამიანს პასუხისმგებლობა დაეკისროს გაუფრთხილებლობისათვის.

განზრახვის შინაარსის გამოკვლევისას, როცა საქმე ეხება საფრთხის შექმნას, შეიძლება წამოიჭრას საკითხი: აქვს კი ასეთ განზრახვას დამოუკიდებელი ხასიათი? ხომ არ ემთხვევა ეს ზიანის განხორციელების განზრახვას?

რასაკვირველია, თუ ვინმე ითვალისწინებს და სურს ზიანის დადგომა, მაშინ ამით მას სურს საფრთხეც, რომელიც ის აუცილებელი მომენტია, ზიანის დადგენას რომ უძღვის წინ

და ამიტომ მისგან განუყოფელია. საფრთხის შექმნის განზრახვა ამ შემთხვევაში ზიანის დადგომის განზრახვით შთაინთქმება და მას არა აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა. მაგრამ ის, ვინც ითვალისწინებს და სურს საკითხის შექმნის შესაძლებლობა, ყოველთვის აუცილებლად არ ითვალისწინებს და სურს ზიანის დადგომა.

შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანს განზრახული აქვს საფრთხის შექმნა და არა აქვს ზიანის დადგომის განზრახვა. მაგალითად, ვინმემ ბავშვს ხელი კრა და წყალში გადააგდო იმ განზრახვით, რომ შემდეგ თვითონ გადაარჩინოს და მიიღოს ამისათვის ჯილდო და მედალი მამაცობისათვის. იგი ითვალისწინებს, რომ თავისი მოქმედებით ბავშვის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის და სურს ეს საფრთხე, მაგრამ ამავე დროს ითვალისწინებს დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებას. მაშასადამე, საფრთხის შექმნის მიმართ მას აქვს განზრახი ბრალი, ხოლო ბავშვის სიკვდილის მიმართ — გაუფრთხილებლობა (*luxuria*-ს ფორმით). უნდა ითქვას, რომ დიდწილად საფრთხის განზრახ შექმნა შედეგის მიმართ გაუფრთხილებლობას ემთხვევა. ამიტომაც იმ შემთხვევაში, როცა საფრთხის შემქმნელი დელიქტის ჩადენის დროს სასჯელის ზომა ძლიერდება სიკეთის ნამდვილი დაზიანების შემთხვევაში, ხშირად საქმე გვაქვს სიკეთის გაუფრთხილებლობით (*luxuria*-ს ფორმით) დაზიანებასთან. ასეთი დელიქტი იქნება საფრთხის განზრახ შექმნის დელიქტი, რომელიც შედეგის მიხედვით კვალიფიცირდება.

მაგრამ შეიძლება ისეთი შეხამებაც, როცა საფრთხის განზრახ შექმნა შედეგის მიმართ არაპირდაპირ (პირობით) განზრახვასთანაა დაკავშირებული. ამ შემთხვევაში, თუ შედეგი არ განხორციელდა, ადამიანი პასუხს აგებს იმ მუხლით, რომელიც პასუხისმგებლობას კონკრეტული საფრთხის განზრახ შექმნისათვის ითვალისწინებს. მაგრამ ზიანის ნამდვილად დადგომის შემთხვევაში მან პასუხი უნდა აგოს იმ მუხლით, რომელიც განზრახი დაზიანების შესაბამის დელიქტს ითვალისწინებს.

კონკრეტული საფრთხის დელიქტის ჩადენა გაუფრთხილებლობითაც შეიძლება. საფრთხის შექმნის გაუფრთხილებლობით დელიქტთან საქმე გვექნება მაშინ, როცა ადამიანს არა აქვს შეცნობილი, რომ თავისი მოქმედებით საფრთხეს ქმნის განსაზღვრული სამართლებრივი სიკეთისათვის ანდა, თუმცა კი შეცნობილი აქვს ასეთი საფრთხე, მაგრამ მიაჩნია, რომ მას ამის უფლებამოსილება გააჩნია. საფრთხის განზრახ შექმნასთან, თავისთავად გასაგებია, საქმე შეიძლება გვექონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მცდარი წარმოდგენა შემადგენლობის ნიშნების ან საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობისა შეიძლება ადამიანის გაკიცხვის საფუძველი გახდეს.

#### **§5. საფრთხის შექმნის დანაშაულის საკანონმდებლო კონსტრუქცია**

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში კონკრეტული საფრთხის შემქმნელი შემადგენლობების უმრავლესობა მიუთითებს მოქმედების განსაზღვრულ ხერხზე. ასეთია, მაგალითად, რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 85-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს წინასწარი შეცნობით საფრთხის შექმნას რკინიგზის, საზღვაო ან საჰაერო ტრანსპორტის მოძრაობის და ექსპლუატაციის წესის დარღვევის გზით, 87-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს საფრთხის შექმნას მიმოსვლის გზების, ნაგებობების დანგრევის ან დაზიანების გზით და ა. შ.; 128-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ავადმყოფისათვის დაუხმარებლობას, თუ ამას შეეძლო გამოენჯია ავადმყოფის სიკვდილი, ანდა მისთვის სხვა მძიმე შედეგის გამოწვევა და ა. შ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, როგორც უკვე ვთქვით, ითვალისწინებს უფრო ზოგად შემადგენლობას საფრთხის შექმნისა. ესაა 128-ე მუხლი — წინასწარი შეცნობით სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება იმისა, ვისაც შესაძლებლობა არა აქვს ზომები მიიღოს თავის დასაცავად.

ამ ბოლო დროს საკამათო გახდა ასეთი საკითხი: რამდენად მიზანშეწონილია, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გათვალისწინებულ იყოს კონკრეტული საფრთხის შექმნის ზოგადი (გენერალური) დელიქტები, რომელთა ჩადენა ისჯება იმისდა მიუხედავად, რა ხერხით წარმოიქმნა ეს საფრთხე? ამრიგად, განახლდა დავა, რომელიც ამ საკითხის ირგვლივ ჯერ კიდევ კ. შტოსის მიერ შედგენილი შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის განხილვისას წარმოიჭრა.

კოდექსში ზოგადი (გენერალური) შემადგენლობის შეტანის წინააღმდეგ, ჩვეულებრივ, მოაქვთ ის მოსაზრება, რომ იმ საშიში მდგომარეობის დასჯადობას, რომელიც ნებისმიერი მოქმედებითაა გამოწვეული, „შედეგად სამართლებრივი გაურკვეველობა მოჰყვებოდა, რადგანაც ძნელია ზუსტად განისაზღვროს საფრთხის განსჯის მასშტაბი, რომლის გამო არ შეიძლება გამოირიცხოს სხვადასხვა სასამართლოს მიერ განსხვავებული გადაწყვეტილების გამოტანა“.<sup>51</sup> ამიტომაც მოითხოვენ, რათა დასჯადობა ყოველთვის დაკავშირებული ყოფილიყო მოქმედებასთან, რომელსაც განსაზღვრული თვისება გააჩნია, ე. ი. ისეთ მოქმედებასთან, რომელსაც საზოგადოდ გააჩნია მიდრეკილება, განსაზღვრული საფრთხე გამოიწვიოს. ავტორთა მეორე ჯგუფი, რომელიც ადამიანის პიროვნების უფრო ინტენსიური დაცვის აუცილებლობას აღიარებს, წინადადებას იძლევა კოდექსში შევიდეს ადამიანის სიცოცხლისა და სხეულებრივი მთლიანობისათვის საფრთხის შექმნის ზოგადი შემადგენლობანი.

ვფიქრობთ, რომ ამ საკითხში შუალედური პოზიცია უნდა დავიკავოთ. კერძოდ, ნაკლებად მიზანშეწონილია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ადამიანის სხეულებრივი მთლიანობისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის შემადგენლობის შეტანა. სხეულის დაზიანებას შეიძლება ჰქონდეს სრულიად განსხვავებული ხარისხები, დანყებული ძალიან მძიმე (მაგალითად, რომელიმე მნიშვნელოვანი ორგა-

---

<sup>51</sup> იხ. *Revue internationale de droit pinal*, 1969, №1-2, გვ. 29.



ნოს მოსპობა) და დამთავრებული ჯანმრთელობის უმნიშვნელო დაზიანებით. მაგალითად, საბჭოთა კანონმდებლობა განასხვავებს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას, საშუალო სიმძიმის სხეულის დაზიანებას და სხეულის მსუბუქ დაზიანებას, თანაც ამ ბოლო კატეგორიაში შედის ისეთი დაზიანებაც, რომელსაც ჯანმრთელობის მოშლა არ მოჰყოლია. ადამიანისათვის სხეულის ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანების საფრთხის შექმნა, ჩვენი აზრით, არ წარმოადგენს იმდენად საზოგადოებრივად საშიშს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოიწვიოს. ხოლო სხეულის მძიმე დაზიანების გამოყოფა და ასეთი დაზიანების საფრთხის შექმნისათვის პასუხისმგებლობის დანესება ასევე მიზანშეუნონელია დიდი სირთულის, ზოგჯერ კი ასეთი დაზიანების განზრახვის დასაბუთების შეუძლებლობის გამო. სხეულის დაზიანებისათვის განზრახვა ხომ დიდნლად განუსაზღვრელია: განზრახვა საზოგადოდ მიმართულია სხეულის დაზიანებისაკენ და არა განსაზღვრული სიმძიმის სხეულის დაზიანებისაკენ, ამიტომაც სხეულის დაზიანებისათვის პასუხისმგებლობის დანესების დროს, ჩვეულებრივ, გამოდიან დაზიანების ფაქტიდან და სჯიან დაზიანების იმ სახისათვის, რომელიც სინამდვილეში დადგა. მაგრამ, თუ დაზიანების დელიქტის დროსაც კი, განზრახვა არ შეიძლება იყოს დიფერენცირებული, მაშინ მით უმეტეს ძნელია სხეულის მძიმე დაზიანების საფრთხის შექმნის განზრახვის დასაბუთება.

პირიქით, ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის განზრახ შექმნის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დანესება, ჩვენი აზრით, სავსებით მიზანშეუნონელია. დაუშვებელია იმ ადამიანის დაუსჯელად დატოვება, რომელმაც შეგნებულად, დანაშაულებრივი გულგრილობით ან უკიდურესი ქარაფშუტობით აამოძრავა ძალები, რომლითაც შეიქმნა კონკრეტული და რეალური საფრთხე ადამიანის ყველაზე ძვირფასი სიკეთის — მისი სიცოცხლისათვის. პასუხისმგებლობის დანესება ასეთი ქცევისათვის მით უფრო აუცილებლად გვეჩვენება, რომ საბჭოთა სასამართლო პრაქტი-

კა და სისხლის სამართლის თეორია არ მიიჩნევს შესაძლებლად, პასუხისმგებლობა დაანესოს არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის გამო. ეს ძირითადად აიხსნება იმ გადაულახავი სიძნელეებით, რომლებიც დაკავშირებულია შედეგის მიმართ არაპირდაპირი განზრახვის დასაბუთებასთან იმ შემთხვევაში, როცა ადამიანის მოქმედება სხვა მიზნით იყო წარმართული, ხოლო სიკვდილი, როგორც შესაძლო გვერდითი შედეგი, არ დადგა. საფრთხის შექმნის ზოგადი შემადგენლობის არარსებობის დროს, როცა ადამიანი გულგრილი დამოკიდებულებით ეთამაშება სხვის სიცოცხლეს, ის შეიძლება დაუსჯელი დარჩეს მხოლოდ იმიტომ, რომ ბედნიერი შემთხვევის გამო, მის მიერ შექმნილი საფრთხე რეალიზებული არ ყოფილა.

არ შეიძლება დავეთანხმოთ იმას, რომ კონკრეტული საფრთხის შექმნის ზოგადი შემადგენლობის შემოტანა დაკავშირებულია ერთგვარ სირთულეებთან სასამართლო პრაქტიკისათვის, რომელსაც ზუსტად განსაზღვრული კრიტერიუმები საშიში მდგომარეობის განსჯისათვის არ გააჩნია. მაგრამ სასამართლო პრაქტიკა არ არის დაზღვეული ზოგიერთი სირთულისაგან იმ შემთხვევაშიც, როცა მოქმედების ხერხი კანონში ზუსტადაა დადგენილი, რადგან კონკრეტული საფრთხის დანაშაულში, მოქმედების ხერხის გარდა, ყოველთვის აუცილებელია იმის დადგენა, რომ შექმნილი საფრთხის ხარისხი საკმარისად მაღალი იყო, რათა შექმნილი საფრთხის საზოგადოებრივი საშიშროება (მატერიალური მართლწინააღმდეგობა) დაეასაბუთოთ.

ჩვენ ასევე არ ვეთანხმებით იმას, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში საფრთხის შექმნის ზოგადი შემადგენლობის შემოტანას საზოგადოებრივი აზრის თანდათანობითი, მეტად ან ნაკლებად ხანგრძლივი მომზადება უნდა უძღოდეს ნინ.<sup>52</sup> თუკი კონკრეტული საფრთხის შემადგენლობის შემოტანა პრინციპულად სასურველი და მიზანშეწონილია, მაშინ გვეჩვენება, რომ არ არის საჭირო ასეთი შემადგენლობის შე-

<sup>52</sup> იხ. *Revue internationale de droit penal*, 1969, №1-2, გვ. 175.

მოტნაზე ახლავე უარის თქმა, რადგანაც საზოგადოებრივი აზრი სრულიად მომზადებულია იმისათვის, რომ ადამიანის სიცოცხლე საჭიროების გარეშე არ უნდა ჩავეყენოთ საფრთხეში, გარდა ამისა, სისხლის სამართლის კანონმდებელი გარკვეული ზომით ხალხის ზნეობრივი აღმზრდელიცაა.

მიგვაჩნია რა მიზანშეწონილად სიცოცხლისათვის კონკრეტული საფრთხის ზოგადი შემადგენლობის შემოტანა, საერთოდ არ ვენინააღმდეგებით იმას, რომ ამ შემადგენლობის გვერდით სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გვხვდებოდა საფრთხის შემადგენლობები, რომლებშიც მოქმედების ხერხი იყო მოცემული. ეს შემადგენლობები აუცილებელი იყო იმ შემთხვევისათვის, როცა ზიანის დადგომის შესაძლებლობის ხარისხი ასეთი მოქმედების ჩადენის შედეგად მეტისმეტად მაღალია, ან როცა მოქმედების მოცემული ხერხი სიკეთეთა დიდ რაოდენობას უქმნის საფრთხეს, ან როცა საფრთხის შექმნა განსაზღვრული ხერხით ძლიერ გავრცელებულია, ამ შემთხვევებში დასახელებული ტიპის მოქმედებების წინააღმდეგ გაძლიერებული ბრძოლის აუცილებლობა წარმოიშობა. სპეციალური შემადგენლობით შეიძლება გათვალისწინებული იყოს საფრთხის შექმნა არა მარტო სიცოცხლის, არამედ ადამიანის სხეულებრივი მთლიანობის, აგრეთვე ქონებისათვის.

## **წ6. საყოველთაოდ საშიში დელიქტის საკითხი**

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა კონკრეტული საფრთხის დანაშაულებს ორ კატეგორიად ყოფს: დანაშაულებები, რომლებიც ქმნიან ინდივიდუალურ საფრთხეს, და საყოველთაოდ საშიში დანაშაულები. პირველ შემთხვევაში შემადგენლობის განხორციელებისათვის საკმარისია, თუ საფრთხე ცალკეულ სამართლებრივ სიკეთეს შეექმნა, მაგალითად, ცალკეული ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. მეორე შემთხვევაში აუცილებელია, პირიქით, საყოველთაო საფრთხის შექმნა. უნდა ითქვას, რომ საყოველთაო საფრთხე-

ის ცნება დიდ დავას იწვევს იურიდიულ ლიტერატურაში. ნან-ილი კრიმინალისტიკისა მითითებულ ცნებას წმინდა რაოდენობრივი აზრით განმარტავს. მაგალითად, ჩეხოსლოვაკელი კრიმინალისტი მირჟიჩკას აზრით, „სხეულის მთლიანობისათვის საყოველთაო საშიშა ყოველი მოქმედება, რომელიც საფრთხეს დიდი რაოდენობით ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის ქმნის. ჩვენთვის სულერთია, ეს წრე ინდივიდუალურად განსაზღვრულია თუ არა; გადამწყვეტი, ჩვენი აზრით, დიდი რაოდენობა, ე. ი. საფრთხის მოცულობაა“.<sup>53</sup> კრიმინალისტთა მეორე ჯგუფი არ ეთანხმება ასეთ რაოდენობრივ გაგებას და მიიჩნევს, რომ იმ კანონის ნორმა, რომელიც ითვალისწინებს საყოველთაო საშიშ დელიქტს, გამოყენებული უნდა იქნეს იმ შემთხვევაში, როცა ადამიანის მოქმედება მიმართული იყო არა ზუსტად განსაზღვრული პიროვნების ან გასაზღვრული პიროვნებების წინააღმდეგ, არამედ ადამიანთა განუსაზღვრელი წრის წინააღმდეგ საზოგადოდ, თუმცა რეალურად მხოლოდ ერთ ადამიანს შეექმნა საფრთხე. ასეთ თვალსაზრისს იზიარებს, მაგალითად, დასავლეთ გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრაქტიკა, რომლის აზრით, მოქმედება შეიძლება მივიჩნიოთ საყოველთაო საშიშად ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, როცა ობიექტი, რომელსაც საფრთხე შეექმნა, ზუსტად არ არის განსაზღვრული, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, კოლექტივის ერთ-ერთი წარმომადგენელია. და მაშინ ცალკეული სიკეთისათვის საფრთხის შექმნა საკმარისია იმის დასაბუთების გზით, რომ ეს ობიექტი კოლექტივის „წარმომადგენელია“ და რომ ეს შემთხვევის საქმეა, რომ სწორედ ამ ობიექტს შეექმნა საფრთხე *de lege ferenda*<sup>54</sup> სადისკუსიო საკითხია იმის გამო, ხომ არ არის აუცილებელი საზოგადოდ, უარი ვთქვათ ზოგადი საფრთხის ცნებაზე და ყველა კონკრეტული საფრთხის დელიქტის დროს შევჩერდეთ ინდივიდუალური საფრთხის განხორციელებაზე.

<sup>53</sup> A. Mińska, Die Formen der Strafschuld, 1903, გვ. 195.

<sup>54</sup> იხ. *Revue internationale de droit pinal*, 1969, №1-2, გვ. 26.

ეს აზრი გამოთქვა დასავლეთ გერმანიის წარმომადგენელმა კრიმინალისტთა მე-10 საერთაშორისო კონგრესზე.<sup>55</sup> მაგრამ კანონმდებლობათა უმრავლესობა არა მხოლოდ ინარჩუნებს ზოგადი საფრთხის დელიქტებს, არამედ ახლაც კი შეაქვს სისხლის სამართლის კოდექსებში მსგავსი ხასიათის ახალი შემადგენლობები, განსაკუთრებით ატომური კანონების დამუშავებასთან დაკავშირებით.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ზოგადი საფრთხის ცნება მოხსენიებულია დანაშაულთა ზოგიერთ შემადგენლობასთან დაკავშირებით. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლი (და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები) კვალიფიციური მკვლელობის სახით საყოველთაო საშიში საშუალებით მკვლელობას ითვალისწინებს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურებას ან დაზიანებას, რომელიც ჩადენილია ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საყოველთაო საშიში საშუალებით...

101-ე მუხლი — სახელმწიფო ქონების გაუფრთხილებლობით განადგურება ან დაზიანება, ჩადენილი ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საყოველთაო საშიში საშუალებით.

დაბოლოს, 157-ე მუხლი ითვალისწინებს მოქალაქის პირადი ქონების განზრახ განადგურებას ან დაზიანებას ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საყოველთაო საშიში საშუალებით.

ყველა მითითებულ შემთხვევაში საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა უსიტყვოდ გამოდის საფრთხის რაოდენობრივი ცნებიდან, ე. ი. იქიდან, შექმნა თუ არა დამნაშავემ საფრთხე მრავალი ადამიანის ან დიდი ღირებულების ქონებისათვის. სწორედ ამ აზრით ესმით საფრთხე ჩვენს სასამართლო პრაქტიკაშიც.

მაგალითად, სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს 1963 წლის 3 ივლისის №9 დადგენილება „განზრახ მკვლელობის

<sup>55</sup> იხ. *Revue internationale de droit pinal*, 1969, №1-2, გვ. 27-28.

საქმეთა სასამართლო პრაქტიკაში წარმოჭრილი ზოგიერთი საკითხისათვის" მიუთითებს: „მრავალი ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში ხერხით ჩადენილი განზრახვი მკვლელობა რომ დავაკვალიფიციროთ, აუცილებელია დავადგინოთ, რომ განსაზღვრული ადამიანის მკვლელობისაკენ მიმართული განზრახვის განხორციელებისას დამნაშავე სიცოცხლის მოსპობის ისეთ ხერხს იყენებდა, რომელიც დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით საშიში იყო არა მარტო ერთი ადამიანის სიცოცხლისათვის“.<sup>56</sup>

საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს ხსენებული დადგენილება მიუთითებს, რომ საყოველთაო საშიშროება საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობას და სასამართლო პრაქტიკას ესმის როგორც რაოდენობრივი ნიშანი და არა როგორც საფრთხე ინდივიდუალურად განუსაზღვრელი რაოდენობის ობიექტებისა. მაგალითად, საფრთხის შექმნა ხალხით სავსე ოთახში ყუმბარის გადაგდებით განიხილება სიცოცხლისათვის საყოველთაოდ საშიშად, თუნდაც საფრთხეში ჩავარდნილი ადამიანების რაოდენობა ინდივიდუალურად განსაზღვრული იყოს და მოქმედისათვის ეს რაოდენობა ინდივიდუალურად იყოს ცნობილი. ჩვენ არასწორად მიგვაჩნია საყოველთაოდ არცნობა მხოლოდ იმიტომ, რომ დამნაშავემ ზუსტად იცოდა, რამდენი ადამიანის სიცოცხლეს უქმნიდა საფრთხეს, მაშასადამე, რამდენად დიდია მისგან შექმნილი საშიშროება. სწორედ, პირიქით, ასეთი ადამიანი უფრო მეტად ღირსია დასჯისა, ვიდრე ის, ვინც არ იცოდა მისი მოქმედებით შექმნილი საფრთხის სიდიდე, კერძოდ, ვინც არ იცოდა, რომ ის უფრო დიდია, ვიდრე მას ეჩვენებოდა. ამის საწინააღმდეგოდ, იმავე ყუმბარის სროლა ცარიელ ადგილას, სადაც მხოლოდ ერთი კაცი იმყოფება, არ მიიჩნევა საყოველთაოდ საშიშად, თუნდაც პიროვნება, ვისაც საფრთხე შეექმნა, ინდივიდუალურად განსაზღვრული არ იყო და ის მხოლოდ „კოლექტივის წარმომადგენელი“ იყოს.

---

<sup>56</sup> "Бюллетень Верховного Суда СССР", 1963, №4.

როგორც სავსებით სწორად აღნიშნავდა ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში ცნობილი ჩეხი კრიმინალისტი მირ-ჟიჩკა საყოველთაო საშიში დელიქტის გაძლიერებული დასჯადობის საფუძველი „შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ დიდი მოცულობის საფრთხეს, მაგრამ არა იმას, რომ საფრთხეში ჩავარდნილი ადამიანების წრე არ არის ინდივიდუალურად განსაზღვრული და შემოფარგლული“.<sup>57</sup>

შემდეგ არა აქვს მნიშვნელობა, ფაქტობრივად დამნაშავის მოქმედებით რამდენ ადამიანს შეექმნა საფრთხე; გადამწყვეტია მხოლოდ ის, დამნაშავის მოქმედებით შეიქმნა თუ არა დიდი რაოდენობის ადამიანთა სიცოცხლის მოსპობის შესაძლებლობა. ყუმბარის გადაგდება ქალაქის ქუჩაში ან ხალხმრავალ რესტორანში საყოველთაო საფრთხეს აფუძნებს იმ შემთხვევაშიც, თუ კრიტიკულ დროს ახლომახლო მხოლოდ ერთი ადამიანი იმყოფებოდა. ამ მაგალითის მოხმობითაც კი შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ საფრთხე სხვა ადამიანებსაც შეექმნათ, მიუხედავად იმისა, თუნდაც აფეთქების დროს შემთხვევით ქალაქის ქუჩაზე ან რესტორანში არავინ არ იყო, ვინაიდან ადვილი შესაძლებელი იყო, ამ დროს ქუჩაში ვინმეს გაეელო ან შესულიყო რესტორანში. თანაც აქ საქმე გვაქვს სწორედ კონკრეტული და არა აბსტრაქტული, წარმოსახვითი საფრთხე. ვინც ამტკიცებს, რომ აფეთქებას არ შეუქმნია ნამდვილი საყოველთაო საფრთხე, ვინაიდან ახლომახლო არავინ იყო, მან თანმიმდევრობით უნდა უარყოს საფრთხე იმ ადამიანთა მიმართაც, რომლებიც გადაგდებული ყუმბარის აფეთქების სივრცის ფარგლებში არ იმყოფებოდნენ, აგრეთვე იმათ მიმართ, რომლებიც თუმცა ყუმბარის აფეთქების სივრცის შიგნით კი იმყოფებოდნენ, მაგრამ არ იყვნენ ყუმბარის ნამსხვრევების ვარდნის მიმართულების მხარეს; ამრიგად, ეს ადამიანები გარდუვალად უნდა მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საფრთხე ექმნებოდა მხოლოდ იმას, ვინც ნამდვილად დაზარალდა. მაგრამ

---

<sup>57</sup> A. Mišićka, Die Formen der Strafschuld, 1903, გვ. 196.

ამით საფრთხის ცნება თავდაყირა დგება, რადგანაც ეს ცნება შედეგზე დამოკიდებული ხდება.

ამრიგად, გადამწყვეტი საყოველთაო საშიშროების განსჯისათვის არის არა მხოლოდ მოქმედების საშიშროების აბსტრაქტული ხასიათი თავისთავად (საფრთხის შექმნა ცეცხლის წაკიდებით, წყალში გადაგდებით, აფეთქებით და ა. შ.), არამედ ის კონკრეტული ვითარებაც, რომელშიც მითითებული მოქმედების საყოველთაოდ საშიში ხერხი გამოიყენება. ვინაიდან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოყენებული ხერხი კონკრეტული მკვლელის მიერ საყოველთაო საფრთხეს ქმნიდა.

ყველაფერს, რაც აქამდე ადამიანის სიცოცხლის მიმართ ითქვა, მნიშვნელობა აქვს ქონების წინააღმდეგ მიმართული საყოველთაოდ საშიში მოქმედებისათვის, რომელიც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-100, 101-ე და 157-ე მუხლებითაა გათვალისწინებული. აქაც საყოველთაო საშიშროებისათვის რაოდენობრივი ნიშანია გადამწყვეტი, ე. ი. იმ ქონების დიდი ღირებულება, რომელსაც საფრთხე შეექმნა. არის თუ არა ეს ქონება ინდივიდუალურად განსაზღვრული ან მიეკუთვნება რამდენიმე მფლობელს, ყველაფერ ამას საყოველთაო საფრთხის ცნებისათვის მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელობა აქვს გამოყენებას ამ ხერხისა, რომელიც სოციალისტური ან მოქალაქის პირადი საკუთრებისათვის დიდი ზიანის საფრთხეს ქმნის. ამავე დროს მითითებული მუხლების აზრით, საყოველთაოდ საშიშად ჩაითვლება იმ ხერხის გამოყენება, რომელიც არა მხოლოდ დიდი ქონებრივი ზიანის, არამედ ადამიანთა მსხვერპლის საფრთხესაც ქმნის.

ამრიგად, „საყოველთაოდ საშიში ხერხი“, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის აზრის შესაბამისად, უნდა გავიგოთ, როგორც ხერხი, რომელიც დიდი რაოდენობის ადამიანებს ან დიდი ღირებულების ქონებას უქმნის საფრთხეს.



## §7. საფრთხის შექმნის დელიქტი, მცდელობა და მომზადება

საფრთხის დელიქტი ზოგჯერ დანაშაულის მცდელობას, ზოგჯერ კი დანაშაულისათვის მზადებას მოგვეგონებს. ძირითადი მსგავსება მათ შორის მდგომარეობს იმაში, რომ ყველა შემთხვევაში ობიექტური მიზეზობრივი კავშირი საზიანო შედეგის მიმართულებით ვითარდება, მაგრამ ამ შედეგამდე ვერ აღწევს: მიზეზობრივი ჯაჭვი ადრეულ თუ შორეულ სტადიაზე წყდება და საზიანო შედეგი არ დგება. იმის მიხედვით, როგორაა კანონით აღწერილი საფრთხის შემქმნელი დანაშაულის შემადგენლობა, ის შეიძლება ან მცდელობის, ანდა მომზადების სტადიას მიუახლოვდეს. უკანასკნელ შემთხვევაში საფრთხის შემქმნელი დანაშაულის შემადგენლობა ჩვეულებრივ კანონში უფრო ფართოდაა აღწერილი და სამართლით დაცული ინტერესისათვის უფრო შორეულ საფრთხეს გულისხმობს.

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში წარმოიჭრა საკითხი: შეიძლება თუ არა საფრთხის შემქმნელი დანაშაულის მომზადება და მცდელობა. კერძოდ, ეს საკითხი დააყენა ჩეხოსლოვაკელმა კრიმინალისტმა ადოლფ დოლენსკიმ კრიმინალისტთა მე-10 საერთაშორისო კონგრესზე რომში.<sup>58</sup> ა. დოლენსკი ამ კითხვას დადებითად პასუხობს. მისი აზრით, საფრთხის შექმნის გამიზვნითი (намерение) დელიქტის დროს შეიძლება როგორც მცდელობა, ისე მომზადება. მცდელობა შეიძლება მაშინ, როცა დამნაშავეს გამიზნული ჰქონდა განსაზღვრული სახის საფრთხის განხორციელება, მაგრამ საფრთხის რეალიზაცია საერთოდ არ მომხდარა, ანდა თუმცა საფრთხის რეალიზაცია მოხდა, მაგრამ არა იმ სახის, რომელიც დამნაშავეს მხედველობაში ჰქონდა, არა იმ ობიექტის მიმართ, ანდა არა იმ ინტენსივობით, ანდა არა იმ გზით, რომლითაც დამნაშავეს საფრთხის გამოწვევა ჰქონდა გამიზნული. მომზადების აქტი საფრთხის დელიქტისა, ა. დოლენსკის

<sup>58</sup> იხ. *Revue internationale de droit pinal*, 1969, №1-2, გვ. 249-250.

აზრით, ასევე შესაძლებელია, მაგრამ „ის საზოგადოდ იმდენად უმნიშვნელოა, რომ მისთვის პასუხისმგებლობის დანესება არასასურველია“.<sup>59</sup>

სრულიად ვეთანხმებით ა. დოლენსკის იმ საკითხში, რომ საფრთხის შექმნის მომზადების დასჯადობისათვის პასუხისმგებლობის დანესება არასასურველია. მაგრამ კიდევ უფრო შორს მივდივართ და ვამტკიცებთ, რომ საფრთხის შექმნის მცდელობაც საზოგადოებრივი საშიშროების ისეთი მცირე ხარისხის შემცველი მოქმედებაა, რომლისთვისაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დანესებას აზრი არა აქვს. ამას ერთ მოსაზრებასაც დავუმატებთ. როგორც ცნობილია, მცდელობის ან მომზადების დროს ადამიანი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მან დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით აილო ხელი. საფრთხის დელიქტის დროს დამნაშავეს ეს შესაძლებლობა წაერთმეოდა, განსაკუთრებით, თუ ამ დანაშაულის შემადგენლობა კანონში ძლიერ ფართოდ არის აღწერილი. მითითებული გარემოებების გამო, საფრთხის შემქმნელი დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის დასჯადობა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

---

<sup>59</sup> იხ. *Revue internationale de droit pénal*, 1969, №1-2, გვ. 249.

## შინაარსი

|                      |   |
|----------------------|---|
| რედაქტორისაგან ..... | 3 |
| Vorwort .....        | 5 |

## პირველი ნაწილი

### პირველი თავი

საზოგადოებრივი საშიშროება და

მართლწინააღმდეგობა როგორც დანაშაულის

ცნების აუცილებელი ნიშანი

§1. საზოგადოებრივი საშიშროება და დანაშაულის  
ცნების განსაზღვრება .....

7

§2. საზოგადოებრივი საშიშროება როგორც დანაშაულის  
ცნების აუცილებელი ნიშანი .....

13

### მეორე თავი

საზოგადოებრივი საშიშროება და

მართლწინააღმდეგობა

§1. მართლწინააღმდეგობა როგორც დანაშაულის  
ცნების აუცილებელი ნიშანი .....

31

§2. ქმედობის მართლწინააღმდეგობა და  
ანალოგიის აკრძალვა .....

38

§3. საზოგადოებრივი საშიშროება,  
მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა .....

51

### მესამე თავი

საზოგადოებრივი საშიშროების გამორიცხვა ქმედობის

მცირე მნიშვნელობის გამო .....

63

## მეორე ტავი

### დანაშაულთა კლასიფიკაცია

|   |    |
|---|----|
| §1. დანაშაულთა კლასიფიკაცია ბურჟუაზიული<br>სისხლის სამართლის მიხედვით ..... | 88 |
| §2. დანაშაულთა კლასიფიკაცია საბჭოთა სისხლის<br>სამართლის მიხედვით .....     | 90 |

## მეორე ნაწილი

### პირველი ტავი

#### ბურჟუაზიული კრიმინალისტიკის

#### მოდერნაზმარტლნიანალმდეგობის

#### შესახებ და მისი კრიტიკა

|  |     |
|--|-----|
| §1. ბინდინგის ნორმათა თეორია .....   | 100 |
| §2. ბელინგის თეორია დანაშაულის შემადგენლობისა<br>და მართლნიანალმდეგობის შესახებ .....  | 105 |
| §3. მ. ე. მაიერის თეორია მართლნიანალმდეგობის,<br>როგორც „კულტურის ნორმების“ დარღვევის შესახებ .  | 109 |
| §4. სწავლება „შემადგენლობის უარყოფითი<br>ნიშნების“ შესახებ .....   | 116 |
| §5. მეცგერის მოძღვრება მართლნიანალმდეგობის<br>შესახებ. შემდგომი განვითარება დებულებისა<br>მართლნიანალმდეგობის სუბიექტური<br>ნიშნების შესახებ ..... | 120 |
| §6. „კილის მიმართულების“ ძირითადი დებულებები<br>უმართლობის შესახებ .....   | 125 |
| §7. ფინალური თეორიის მოძღვრება<br>მართლნიანალმდეგობის შესახებ .....  | 127 |

## **მეორე თავი**

**საზოგადოებრივი საშიშროება,**

**მართლწინააღმდეგობა და**

**დანაშაულის შემადგენლობა**

|  |     |
|--|-----|
| §1. სისხლის სამართლის კანონი და<br>დანაშაულის შემადგენლობა .....   | 134 |
| §2. ქმედობის შესაბამისობა დანაშაულის<br>შემადგენლობისადმი, მისი მართლწინააღმდეგობა<br>და საზოგადოებრივი საშიშროება ..... | 140 |
| §3. დანაშაულის ცნება და დანაშაულის<br>შემადგენლობის ცნება .....  | 145 |
| §4. დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები .....   | 150 |

## **მესამე ნაწილი**

### **პირველი თავი**

**საფრთხის შემქმნელი დანაშაულის**

**მართლწინააღმდეგობა კანონმდებლობაში .....** 163

|   |     |
|---|-----|
| §1. საფრთხის შემქმნელი დანაშაულის შემადგენლობის<br>სამართლებრივი ბუნება ..... | 164 |
| §2. საფრთხის ცნება .....  | 173 |
| §3. საფრთხის შემქმნელი დელიქტის<br>მართლწინააღმდეგობა .....                   | 197 |
| §4. ბრალი კონკრეტული საფრთხის შემქმნელი<br>დანაშაულის დროს .....              | 205 |
| §5. საფრთხის შექმნის დანაშაულის<br>საკანონმდებლო კონსტრუქცია .....            | 209 |
| §6. საყოველთაოდ საშიში დელიქტის საკითხი .....                                 | 213 |
| §7. საფრთხის შექმნის დელიქტი,<br>მცდელობა და მომზადება .....                  | 219 |

თინათინ წერეთელი  
საზოგადოებრივი საშიშროება და  
მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში

Tinatin Tsereteli

**PUBLIC DANGER AND ILLEGALITY IN CRIMINAL LAW**

გამოცა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის (გერმანია)  
ხელშეწყობით

***Published by support of Heinrich Boell Foundation  
(Germany)***

გამოცემის რედაქტორი ლეილა სიხარულიძე

დაკაბადონება ნიკოლოზ გელაშვილისა  
ოპერატორი ნინო კიკინაშვილი

კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი  
„კავკასიური სახლი“  
თბილისი, გალაქტიონის ქ. №20  
ტელ.: 99 83 22  
ელ. ფოსტა: caucasianh@hotmail.com

Centre for Cultural Relations  
Caucasian House  
20, Galaktioni str., Tbilisi  
Tel.: 99 83 22  
E-mail: caucasianh@hotmail.com

